

820
f-80

ମାତ୍ରାବିଦୀ

ପାଠ୍ୟକାରୀ ଶ୍ରୀନାଥ

ଫିଲେଟିଂ ପାଠ୍ୟକାରୀ

ନେ XII

ମୁଦ୍ରଣ ନଂ ୧୮୯୪



ପାଠ୍ୟକାରୀ

ମୁଦ୍ରଣ ନଂ ୧୮୯୪

1894

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Декабря 1894 года.

შ ი ნ ს ს რ ს ი

	გვ.
I სოლომან მორბელაძე.—მოთხრობა დ. კლდიაშვილისა.	1
II სიმღერა.—ლექსი ვაჟა-ფშაველასი.	41
III ცხოვრების ჩარჩო.—დაუმთავრებელი მოთხრობა ა. ებ-ზეგისა (გაგრძელება)	43
IV ცეცხლითა და მაცხილითა.—რომანი გენრიპ სანტივიჩ-სა, თარგმანი გ. ე—მისა (გაგრძელება).	73
V აივეგორ.—რომანი ვალტერ სკოტტისა, თარგმანი (გაგრძელება)	122
VI ღვინის დაზევება.—IX ქადაგი, თხლე და მათი მოსმარება.—პროფესორის გ. შეტრიაშვილისა (დასასრული).	1
VII ევოლიუცია სალიქიონ პოეზიისა საფრანგეთში 80-კის საუკუნეში.—I, II.—კირა აბაშიძესა.	44
VIII სახალონ პოეზია და მისი საპელაგონიო და სამხ-ტოტიკო მიზანებით.—II.—მ. კ—მისა.	64
IX ეპილ ლევიეს მოგზაურობა კავკასიაში.—თარგმანი ფრანგულით კ. ბ—მისა.	95
ქრონიკა:	
X ზინაური მიმოხილვა.—საქონლის გამზიდავი ვაჭრო-ბი.—ზოგიერთი-რამ საზოგადოდ აღებ-მიკემბასა, საკუთრივ კი ვაჭრობის მნიშვნელობაზე ერის წარმოებისათვის.—სქემა ვაჭ-რობის ზრდისა.—სავაჭრო ბალანსი.—განზიდავი ვაჭრობა (ექ-სპორტი).—რა და რა კინ იცვალა მან ჩვენში.—სპეციულია-ცია.—განსხვავება უცხო და შინაურ სპეციულიანტებს შორის.—ორგანი „რისკ“: აქ, თუ იქ—კამისიონერების ხასია-თი.—ფულის აუცილებელი საკიროება ვაჭრობაში.—ქართველ ვაჭრის უძლურება კრედიტის მხრით.—რა სახით სარგებლო-ბენ ამ უძლურებით კამისიონერები?—მათი „ავანსი“ ხაფან-გია.—დასკვნა: ჩვენი მოვალეობა.—ნ. ნიკოლაძესა.	125

XI ჩემი დღიური.—ზაქოვაში და სურათები.—„ნუ დააგ- დებ ძველსა გზასა“.. Pro domo sua.—ჩვენი ჩხირ-კედელა- ობა.—რას ესწერდით და რასზე ვომობდით ამ ექვს თვეში?— უკვალისა და „ივერიის“ ბრძოლა.—ზოგიერთი გარემოებანი ამ ბრძოლისა.—კრიფი და პოლემიკა.—სიტყვა-პასუხი, „ვით მა- რგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საფოგმანები“.—შავი ფიქრები და სამწუხარო დასკვნა.—ორიოდე სიტყვა ყაზიბეგის ძეგლის შესახებ.—ა. ხოსელისა.	143
XII უცხოეთის მიმოხილვა.—ჩადაგასკარი.—ნ. ნიკოლა- ძისა.	157
XIII შინაარსი 1894 წლის „მოამბის“ ნომრებისა.	171
XIV განცხადებანი.	

სოლომან მორგელაძე

მოთხრობა

— პატარა ხანს მიითმინეთ, ბატონო, და სოლომანიც გიახლებათ.... საკა არის!

— დამაგვიანდება... დღიურ ველარ მივალ სახლში... უმთვა-
რო დამეები გახლავთ... გზაში გამიჭირდება... თვითონ იცით, რა
გზებია, მერე ჩვენსკენ... შე გიახლებით და ამის მთხოვნელი ვიქ-
ნები, თქვენვე მოახსენოთ სოლომანს ცყელაფერი... გაჭირდება
რომ არ მაღდეს, ღმერთმანი, არც კი შეგაწუხებდით!... თქვენი
იმედით ვიქნები, ჩემო ბატონო!.. შვიდობით ბრძანდებოდეთ!—
სთქვა ესა კარგა მოხუცებულმა, მაღალის ტანის კაცმა, ხელი ჩა-
მოართვა ქალს, რომელსაც ელაბარაკებოდა და კიბეზედ ჩა-
მოსულა დაპირა: სწორედ ამ დროს ქალმა წამოიძახა:

— ეჭ, ბატონო, სოლომანიც ეგერ მოჰის!

მართლაც, ღია ჭიშკარში შემოიჯირითა მოჩაქჩაქე ჯო-
რით ცხენოსანმა, რომელსაც თავზედ პატარა ქუდი ეხურა და
ყელზედ ყაბალახი ჰქონდა გადაგდებული.

ეს იყო აზნაური სოლომან მორბელაძე.

— შენ არ დამენხე, პლატონ, და სხვა არაფერი მინდო-
და!— შესძახა სოლომანმა მოხუცებულს, როცა ჯორიდან ჩა-
მოხტა და შეგებებულ პატარა ბიჭს გადასცა მაღლიანი პირუ-
ტყვი.

— რა კაი გუნებაზედ ვიყავი მერე!... ულფთო კაცი უ-
ფილხარ, პლატონ ჩემო, ღმერთმანი!— და სოლომანმა გულით
გადიხარხა და ხელი ჩამოართვა პლატონს.

— მალე, მალე გაგისტუმრებ!... მალე მოვიშორებ თავი-დან შენს ეალს... ცოტა ფეხის გადადგმა შემეზარა, თვარა ფულს ვერ ვიშოვიდი მე?! მართლა ისე დაგლახაკებული კი არა ვარ, ზოგიერთი აზნოუშვილი რომ გინახავს... უფულობას რომ შეუშინებია, ცხვირები ჩამოუშვით და არ იციან, რა წნან!.. ცოტა კიდევ მომითმინე და თელათ დაგიბრუნებ იმ შენს ფულს!...

— რა ვქნა, მე ერთი გაჭირვებული კაცი ვარ... შენოდენი მე აღარც სიარული შემიძლია, აღარც სხვა რამე საქმე... რაცხა ეშმაკად შვილი შევიყვნე სასწავლებელში, ქე ვნანობ ახლა, ნამეტანი ხარკი უნდება... ბოვშვიც ტირის და იხვეწება, სასწავლებლიდან არ გამიყვანოო... სწავლის ფული მაქვს შესატანი და ამისათვის მოვედი შენთან... რომ არ შეგაწუხო, მეტი გზა არა მაქვს... ვადაც ქე გადასულია, შენ რომ იმ ფულების დაბრუნებას შემპირდი... ბოვში გამომიგდებენ და ნუ ჩადგები ჩემს ცოდვაში!...

— ჩემს შვილს, ჩემთ პლატონ, უშველებელი კალამი უჭირავს ხელში... ისე მშვენიერად ურტყამს მიწას, რომ მოგეწონება, რომ უყურო... არ ეკადრება, მართალია, თოხიაზნოუშვილს, მარა მეტი გზა არაა, თვითონ იცი!

— ქე ამხელ მერე შენს სიგლახეს! — დაატანა სოლომანის ცოლმა ეფროსინემ, რომელიც წელან ესაუბრებოდა მოხუცებულს.

— რა ვუყოთ... დრომ ისე მოიტანა!... აბა, პლატონ ჩემო, ერთი თვე მაღროვე კიდევ და მერე მე ვიცი და ჩემმა კაცობამ...

— ერთი თვე?... ჩაფიქრდა პლატონი. — ბატონი ბძანდები, — სოქეა მან ცოტა ხნის შეძღვებ, — მეტი ხნით გადადება კი აღარ შემიძლია, სოლომან!

— არა, არა, პლატონ!... შერცხვენილი დამიძახე, თუ ერთ თვეს გადავაცილო, ის შენი ფული არ ჩაგაბარო!... მაგის გულისათვის დავრბივარ აგრე ერთი თვეა... მაშვლობა მაქვს გამოწყობილი... საქმე თითქმის გათავებულია და იცოცხლე კაი

ასაღებიც მქონდეს! ევილებ და იმ წამსვე მე, ჩემი ხელით მო-
გიტან... ცოლ-შვილს გეფიცები!...

— აბა იმედი მაქვს, სოლომან!

— პატიოსან სისტყვას გაძლევ... როგორც ევილებ სამა-
შვალოს, იმ წამსვე შენთან გამოვსწევ!... და ევილებ, ეჭვი არ
უნდა!...

— აბა ისე მივდივარ ახლა, თითქო ჯიბეში მეგულებო-
დეს ის ფულები... შვილობით ბრძანდებოდეთ!... და პლატონ-
მა წასვლა დააპირა.

— გული რომ გაგიკეთე, იმიტომ მტოვებ, შე კაცო!?
ეფროსინე!—დაიძახა სოლომანმა.

— რა იყო?—იკითხა ეფროსინემ, რომელიც პალატიდან
გამოვიდა, სადაც ჯორის დასახედავად იყო წასული.

— ხელად ერთი ზაჟუსკა მოგვართვი, თუ ქალი ხარ!

— აჲ, შე არ მომიკვდე, მე დარჩენა არ შემეძლოს... უსა-
თუოდ ახლავე უნდა წევიდე!—გაიწია პლატონმა.

— შენ არ მომიკვდე, მე შენ არ გაგიშვა!... ბიჭო!—დაი-
ძახა სოლომანმა:—პლატონის ცხენს უნაგირი მოხადე!

— შენ არ მომიკვდე, შენ, სოლომან, მე დარჩენა არ
შემეძლოს... და პლატონი უკან-უკან იხევდა სოლომანის ხე-
ლებიდან თავის ხელის განთავისუფლებას ცდილობდა.—სახლ-
ში მაქვს დაბარებული, უსათუოდ მოვალ ამაღამ თქვა, და რომ
არ მივიდე, ჯაერით მოკვდებიან... გამიშვი, შენი ჭირიმე...
შემომაღამდება... მერე ვეღარ ვივლი!

— დაგაწვენ, დაგახურავ, დაგაძინებ... დილით აღრე აღ-
გები და წახვალ, შე კაცო!... არ ეშვებოდა სოლომანი.

— მოითმინეთ, ბატონი!—შეეპატიფა ეფროსინეც.

— მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო... მეტად მადლობელი
ვარ, მარა, ნურას უკაცრავად... სწორედ რომ არ შემიძლია...
მომიტევეთ, ნუ მიძრახავთ ჩემს უზრდელობას... შეიდობით ბძან-
დებოდეთ!...

— კაია, შე დალოცვილო!... მაინც არ ეშვებოდა სოლო-
მანი.

— ნულარ აწუხებთ მეტს... თუ კი ასე ეჩქარებათ! — მიმართა ქმარს ეფროსინებ.

— დმერთმანი, ერთობ მოგილახენდი, იმისთანა გუნებაზედ ვარ, მარა თუ ჩემთან არ გესიამოვნება ერთი სტაქნის ღვინის დალევა, ღმერთმა შშვილობის გზა მოგცეს, ჩემო ბატონო!...

— მაგას რატომ ამბობ, კაცო! ?.. დრო არა მაქვს, თვარა ამდენი ხვეწით რავა შეგაწუხებდი! ... მაღლობელი ვარ... მაღლობელი ვარ! ... შვილობით ბრძანდებოდეთ! ...

პლატონმა ხელი ჩამოართვა ეფროსინებ; მერე სოლომანი გაახმო გვერდზედ და ხმა-დაბლა უთხრა:

— სოლომან, მომკლავ, თუ ამ ერთ თვეში არ მომეცი! ...

— პატიოსანი სიტყვა მოგეცი და სხვა ახლა რითი დაგაჯერო უფრო! ... გეუბნები, გათავებული მაშვლობა მაქვს, ერთი ექვსი თუმანი მერგება და შენს ოც მანეთს, შე კაცო, მოგცემ და ის იქნება! ...

— შენი ჭირიმე, შენ ჩემო სოლომან! ... თუ გინდ გეჩუქნოს, ისე ჩავითვლი...

— ლაპარაკი აღარ უნდა მაგას!

— შვილობით; შენი ჭირიმე! აბა შენ იცი, სოლომან! — ვეღლარ მოითმინა კიდევ ერთხელ არ შეხვეწნოდა სოლომანს; შემდეგ მოხსნა „ბრძანულებთან“ ნიბმული თავისი ძალზედ გამხდარი ცხენი, შეჯდა ზედ და, რომ ცხენის სიძაბუნე არ შეენიშვნინებინა, ორიოდე „წკეპელი“ გადაჰკრა; მაგრამ ღონებიხდილმა, მშიერმა პირუტყვმა ისევ ზანტად გადაადგა ფეხები და მხოლოდ კუდი მიიქნ-მოიქნია, თითქო ამით ის უნდოდა ეთქვა, რომ ცემა-ტყებას დიდი ხანია შეჩვეული ვარ და ეგ ვერ ამაჩქარებსო.

სოლომანმა ჭიშკრამდი მიაცილა პლატონი და, როცა სახლს მიუახლოვდა უკან გამობრუნებული, აივნის დასტანდაზ-ზედ გადმოწოლილ ეფროსინებ შესძახა:

— არ მომკლა ამ უხეირომ თავისი გაუთავებელი ხვეწით! .. სული ამომართვა კინალამ ოჯახ-დაქცეულმა! ..

— სხვანაირი გულისაა მაგ დალოცეილი, თვარა მაგის ადგილას სხვა ხვერწნას კი არა, „პრისტავით“ მოგადგებოდა კარზედ!.. უსათუოდ გიჩივლებდა!—მიუგო ეფროსინებ.

— მიჩრევლოს და, კაცი არ ვიქნები, ორი იმოდენი, რაც მმართებს, ზედ არ დავახარჯვინო, სანამ ამოიგებს... ისე იცო-ცხლა სოლომანშა!.. ისევ სიამტკბილობით თუ რამეს გამომ-რჩება, თვარა საჩივრით და „პრისტავებით“ ბერჩს ვერაფერს მოიგებს!..

სოლომანი აივანზედ ავიდა და დალალული, ნამგზავრი სჯდომად გაყოლებულ აიგნის ფიცარზედ გაწვა.

— რატომ ხარ ასე წინ-დაუხედავი, შე უბედურო?!— წყენით უთხრა ეფროსინებ.

— რა იყო, შე ქალო? ცუდი რა ვქნი?

— აბა, რომ ეპატიუებოდი იმ კაცს, რა გეგულებოდა სახ-ლში მისატანად?!... ნეტავი შენ კულა-ბზიკობა არ გჭირდეს და სხვა არა მინდა-რა!.. რომ დარჩენილიყო, რას აპირობდი!?.

— ერთ, ორ შეპატიუებით რავა დარჩებოდა, შე ქალო!.. გადამთიელი ხომ არ არი, ჩევნებური ჩევულება არ იცოდეს... შევეპატიუე, ვალი მოვიხადე... ისე ხომ ვერ გაუშობდი, ასე არ მეთქვა... იმის შეგეშინდა, რომ არაფერი გვაქვს?!.. თუ არ გვაქვს—გვექნება, გვექნება!.. იმისთანა ტკიცინა წითელ-წითელ თუმნიანებს მოგიტან, რომ თვალები აგიბჭყვრიალოს... ექვსს ერთად... როგორც კაცი!.. ორ თუმანს პლატონას გადუუგდებ, ერთს იმას თავიდან მოვიშორებ... ოთხი თუმანი დაგვრჩება, ნახევარ წელიწადს ქე გეყოფა და მერე კიდევ გავასაღებ ხა-დმე ერთ გვრიტს და იქიდანაც ხელის ჭუჭყი შემოგვივა!.. შენ დარდი ნუ გაქვს... გული არ გეიტეხო. მხიარულად იყავი... ჯერ ხომ არაფერი წამიხოენია?..

— შენ სულ ასე იძახი და საქმით კი ეს კაი ხანია ვერა-ფერი დევინახეთ!.. მარტო წანწალს უნდები, სხვა არაფერი გამოდის ამ შენ ახალ მაშვლობიდან!..

— რატომ არა, შე ქალო!... ყოველიფერი გათავებულია...

— გაათავეთ მოლაპარაკება?

— რასაკვირველია!

— რაზედ შეათანხმე?

— ბესარიონმა უნდა მისცეს ქაიხოსროს ორმოცი თუმანი ფულად, ოცი თუმნის ვექსილი და ოცი თუმნის ბარგი!..

— სად შეუძლია მერე ბესარიონს მაგდენის მიცემა!.. სა-
და აქვს მაგის შეძლება იმ უბედურს?.. რა ღრო მოვიჲა, შე-
ნი ჭირიმე!.. — მწუხარებით წარმოსთქვა ეფროსინემ.

— უნდა იშოვოს, მეტი რა გზა აქვს!.. უმზითო ქალს ვინ
მოჰყიდებს ხელს?!.. იშოვის... ნაშოენიც აქვს... გამოსტყუებს
ვისმეს, ცოტას ადგილსაც გაჰყიდის და შეაგროვებს... ამას-
ლაპარაკი არ უნდა და ამასთან ერთი ღროით რომ ვახშამს მა-
ჭევდე და დამაძინებდე, ძალიან დაგიმაღლი, იმიტომ რომ ხვალ
დილით ბესარიონთან უნდა გავსწიო... ჯვარის-წერის დღე
უნდა დავანიშვნიო...

— თუ ღმერთი გწამს, მალე გადარჩი მაგ საქმეს... ტყვი-
ლა წანწალს ნუ უნდები...

— მაგ წანწალით ვშოულობ, შე დალოცვილო, ორიოდუ-
გროშს... საქმის გათავება მეც ძალიან მეჩქარება, იმიტომ რომ
ქე მეშინია, არ ჩამეშალოს... ბესარიონის შვილი ყელში და-
ნას იყრის, ბევრს მზითევს აძლევთო და, თუ ვინმე გამოუჩნდა
ნაკლებ მზითევთ წამყვანი, ქე გაატანენ იმ ქალს და მე დავ-
რჩები პირდაღებული... ამის შიში რომ მაქვს, იმიტომ დავწან-
წალობ იქით-აქეთ... მონდომებული ვარ სულ-დაუთქმელად გა-
ვათავებიო საქმე!...

— არ ვიცი, არ ვიცი, რომ ბესარიონმა იმდენი ხარჯის
გაწევა შეიძლოს! — ექვით სთქვა ეფროსინემ.

— მეტი რა ღონე აქვს... რაზედ ებმებოდა საქმეში?...
შენ დარღი ნუ გაქვს!... ოღონდ კუჭის გასაძლომი მიშოვე
ღროით და დანარჩენი მე ვიცი!...

ეფროსინე წამოღვა და ქმრის თხოენის ასასრულებლად
წაიდა. სოლომანმა, ვიწრო, საჯდომ ფიცარზედ გულ-აღმა
გაშლართულმა, მალე ხვრინვა ამოუშვა.

შუა დღე იქნებოდა, სოლომანი რომ აზნაურ ბესარიონ
საქარაძისას მივიღდა მეორე დღეს.

პატარა, დაბალ-კედლებიან სახლის ივანზედ გაშობილი
ჩოხით, ჩიბუხით ხელში მოსიარულე ბესარიონმა, როგორც კი
დაინახა სოლომანი, ხმა მაღლა გადმოიძახა:

— გიგოია, ბიჭო, გიგოია!

ამ დაძახებაზედ ოდის გვერდზედ მდგარ სამზარეულო სა-
ხლიდან გამოვარდა პატარა ბიჭი.

— ჯორი ჩამოართვი, ბიჭო! — უბძანა ბესარიონმა.

სოლომანმა მისცა ჯორი პატარა ბიჭს, ჩამოუშვა ჩოხის
აკეცილი კალთები, გაიბერტყა მტვერი, გადაელაპარაკა ბიჭს —
აბა ბიძი შენ იცი, ჯორს კარგა მიქმიეო, დაბალი კიბე ცეკვიტაჲ
აირბინა და ავიდა ავანზედ.

— დილა მშვიდობის, სოლომან ჩემო! — შეეგება ბესარიონი.

— ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, ჩემო ბატონო! — მი-
უგო სოლომანმა და ჯორისკენ გადმოიხედა.

ამ უკანასკნელს მაღლა აელირა თავი და პატარა გიგოიას
უძალიანდებოდა, ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან, თუმცა სა-
წყალი ბიჭი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ლაგამში ექაჩებოდა.

— ჩიშ, ჩიშ! შე ეშმაკის კერძო! — გადმოსძახა სოლომან-
მა: — გასაძლომად მიჰყევხარ, შე უბედურო, ჩიშ, ჩიშ!

ჯორმა თითქა გაიგოვო პატრონის სიტყვა და გაჰყვა
ბიჭს.

— მაგ საწყალს ჰქონია, სახლში რომ ტყველა თავჩამო-
კრული აბია, აქაც ისე დამემართებით და თავის გუნებაში ისევ
გარეთ, წმინდა ჰაერზედ ყოფნას რჩეობს! — სიცილითა სთქვა სო-
ლომანმა.

— სწორედ კარგი ჯორი გყავს, სოლომან, მე და ჩემმა
ღმერთმა! — უთხრა ბესარიონმა და თავისი გრძელი ულვაშები
გადისწორა.

— შე დალოცვილო, პატრონი აქე, პატრონი — თვარა
ჯორს ქება-გინების რა ესმის! — და სოლომანმა გადიხარხარა.

— პატრონი არი და არი... მაგას რაღა ლაპარაკი უნდა!

— ყოჩალი, ყოჩალი! ბესარიონ ჩემო!

და სოლომანი ის-იყო დაეპირა მოჰყოლოდა ქაიხოსრო ქათამაძისგან შემოთვლილ ამბაქს, რომ აივანზედ გამოვიდა ორი ქალი. წინ-მომავალი მაღალის ტანისა, გამხდარ პირი-სახეზედ ბალდაჭით თავ-მოხვეული იყო ბესარიონის ცოლი პე-ლაგია; ამას რომ მოჰყვებოდა მაღალი, შავ თვალ-წარბა, ლა-მაზი პირისახის ყმაწვილი ქალიშვილი, თავშიშველა, წელზედ გადაგდებულ ორი გრძელი ნაწნავით — იყო ბესარიონის ასული ელპიტე, რომელსაც ურიგებდა სოლომანი ქაიხოსრო ქათამა-ძის შვილს. ყმაწვილი ქალი დედის შემდეგ მორცხვად მივიდა სოლომანთან, ჩამოართვა ხელი და ისევ დედას ამოეფარა.

— დაბძანდით, ბატონო! თავაზით შეეპატიუა პელაგია სტუმარს.

— გახლავართ, ჩემო ბატონო! — და როცა ქალები დას-ხდნენ, ესეც ჩამოჯდა მოშორებით გრძელს ფიცარზედ, რომ-ელიც სკამის მაგივრობასა სწევდა.

— ხომ შვილობით ბძანდებით, ბატონო? — მოიკითხა სო-ლომანმა პელაგია.

— გახლავართ, შენი ჭირიმე! .. — უპასუხა მან: — თქვენ, ბა-ტონო?

— გმადლობთ... გახლავართ, ისე! ..

— კაი დაგემართოსთ! — წაილაპარაკა პელაგიამ...

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ერთობ შეგვაწუხა სიცხემ აქეთ... ნამეტანი სიცხე დე-იკავა! — დაიწყო პელაგიამ.

— ჩვენც, ბატონო, ჩვენც!

— შარშან არ ყოფილა ამ დროს ამისთანი სიცხე... უფ-რო გრილი იყო... წვიმებიც იყო... ახლა კი! ..

— კი, ბატონო, კი! .. წრეულს წვიმა სულ არ ყოფილა თითქმის... დეიწვა ქვეყანა, თქვენი მტერი დეიწვა! .. — უგუნ-ბოლ ამბობდა სოლომანი და ბესარიონმაც შეამჩნია, რომ ეს ყოვლად უმნიშვნელო ლაპარაკი აწუხებდა სოლომანს; ამას-თანავე თვითონაც ეჩქარებოდა მალე გაეგო, თუ რა ამშავი

მოუტანა მაშვალმა, მაგრამ ელპიტეს იქ ყოფნა უშლიდა. ამიტომ მოინდომა ქალიშვილი თავიდან მოეშორებინა.

— რა დროს შარშანდელ ამიდებზედ მუსაიფია, შე ქალო, — უთხრა მან ცოლს, — მაგ კაცი ნამგზავრია და, რაღა ლაპარაკი უნდა, მშიერია... შეეცადეთ, დროზედ იქნეს სადილი... შიმშილით ნუ მოჰკლავთ მაგ კაცს... წადი, შეილო, ელპიტე, დააჩქარე, მალე დაგვაჯინე სუფრაზედ!

ელპიტე მამის სიტყვაზედ წამოდგა და წასვლა დააპირა.

— მეც ახლავე მოვალ, შეილო, — დაატანა სიტყვა პელაგიამ, — მანამდი შენ მიხედე, შეილო!

— კი, ბატონო! — თქვა ყმაშვილმა ქალმა და ბრძანების ასასრულებლად წავიდა.

აივაზზედ დარჩნენ ბესარიონი, პელაგია და სოლომანი. სოლომანსაც ეს უნდოდა. შევიდა თუ არა ოთახში ელპიტე, მარდად წამოვარდა თავის აღვილიდან, მოიწია ცოლ-ქმრისკენ და ხმა-დაშვებით, რომ სხვას არ გაეგონა მისი სიტყვა, დაიწყო:

— საქმე ისე მოვყარე, როგორც თქვენ გსურდათ!... და სოლომანმა თავმომწონედ გადაპხედა ჯერ ცოლს, მერე ქმარს. — ქაიხოსრო, თქვენი სამზახლო, თანახმაა მიიღოს ოცი თუმნის ვექსილი, ასე რომ ხელზედ მისაცემი გექნებათ ორმოცი თუმანი და ოცი თუმნის ბარგი... ბარგი უნდა შეფასებულ იქნეს ორი კაცისაგან... ვექსილი სამი წლის ვადით!... მგონია, რომ ამაზედ უკეთესი პირობები შეუძლებელია... მართალი უნდა თქვას კაცმა, ქაიხოსრო ერთობ პატიოსნურად მოგეპყროთ... ღმერთმანი! იმას რომ შეილი ყავს, თქვე დალოცვილებო, იმის-თანა ყმაშვილები ას თუმნიან ქალებს. არ ჯერდებიან... მარა ერთი რომ თქვენი ქალი მოსწონა მამა-შეილს და ამასთან მეც ისე შევუჩნდი, ისე შევუჩნდი, რომ საშველი აღიარ მივეცი, არც სხვაგან გოვუშვი და არც არავინ მივაკარე მაშვლად მისულიყო და დევითანახმე ყორიფელზედ კიდევაც!... ორასი მანეთი, ვექსილი რომ აძლევთ... ჩასათვალავიც არ არი... იმიტომ რომ სამი წლის განმავლობაში უფრო შენთვისდებით, დოუახლოვდებით ერთმანერთს, უფრო დამოკვრდებით — ერთი

სამი. წლით კიდევ გადროებს, მერე კიდევ გამოაცვლევინებთ ვექსილს და ერთ დღეს შეიძლება კიდევაც იმ ვექსილს ჩაი-ლულის წყალი დაალევინოთ!.. რავა დევიჯერო, შვილმა გიჩი-ვლოსთ... მზახალმა ამასობაში გეგმ ფეხებიც ქვე გაჭიმოს!—და აქ სოლომანმა გულით გადიხარხარა.

— არა, შენი ჭირიმე.... მაგას რატომ იფიქრებთ,—იწყინა სოლომანის რჩევა პელაგიამ:—ჩემს შვილს მე რასაც თვითონ შეგპირდი, უკლებლად უნდა ჩავაბარო დანიშნულ დროჩედ.... შვილს რავა მოვატყუებ!!...

— რასაკეირველია, რასაკეირველია!—დაატანა სიტყვა ბე-სარიონმაც.—რაც გადაწყვეტილი იქნება, მე ჩემს შვილს უსა-თუოდ უნდა მივცე!... მოტყუება რაში მეჭივრება!...

— სიტყვას მოჰყვა, თვარა მეც კარგათ ვიცი, რომ თქვენ ამგვარ რამეს არ იყადრებთ....—სიცილითა სთქვა. სოლომან-მა, თუმცა გუნებაში კი დარწმუნებული იყო, რომ ბესარიონი ყოველ ღონის ძიებას იხმარდა ვექსილის ტყვილა შერჩენისა-თვის.—სიტყვას მოჰყვა, თვარა ან მე რავა გირჩევთ მაგისთანა საქმეს—მე არ გამლანძღვს შენი სიძე, ის ოცი თუმანი რომ დეეკარგოს? რამდენს შემომიკურთხებს!?. ჩემი თავის მტერი-ხომ არ ვარ, თქვე დალოცვილებო.... არც ამ ხელობაზედ ვი-ღებ ხელს.... ამით ვშოულობ ცოტ-ცოტას, თითო-ოროლა გროშს.... და ნამეტანი ტყვილები რომ შემომერიოს, ვიდა მენდობა... ის კი არა, ამას გეხვერწებით, რომ, თუ ღმერთი გწამთ, ბარეთ ისე გამოაწყვეთ, რომ ლაპარაკი არაფერი იქნეს, ოც თუმანზედ მეტად თუ არა, ნაკლებ არ შეაფასონ... თუმცა შემფასებლებსაც, ვინც იქნება სულ ერთია, თითო-ოროლა კაპიქს ვარებთ და ჩვენს ნებაზედ შეაფასებენ, მარა მაინც ქაიხოსროსთან გაფთხილებული უნდა იყვეთ... ცოტა ანგარი-შის მოყვარული კაცია... კარგ მოყვარეს კი შოულობთ, რო-გორც კაცი!.. სწორედ კარგ მოყვარეს შოულობთ! მერე სულ-იაფად! ყმაწვერლია იმისთანა, რომ ქება აღარ უნდა, თვითონ-ვე იცით!.. მართალია, აზნოუშვილი არ არი, მარა სასულიერო წოდების კაცია,—და დღევანდელ დღეს დედლებს უზრუნვე-

ლი ლუკმა რომ აქვთ, ბევრ თავადიშვილს არა აქვს... ამას ყველა ვხედავთ!.. ეპისკოპოზზე მოუწერია იმ ყმაწვილისათვის, თქვენი სასიძოსათვის, და აჩქარებს — მალე ცოლი შეირთეო, კურიახევა მინდა შენიო, საცხა კარგ, დიდ მრევლიან ეკლესიაზედ ამწესებს და თან პირდება, შენს სოფელში გადაგიყვანო ამ მოკლე ხანშიო... ერთი სიტყვით, ბედი ქონებია თქვენს ქალს...

— კი, რასაკვირველია, ყველაფერი ისე სასიამოვნოა, სოლომან ჩემო, მარა... — და ბესარიონმა სიტყვა გააგრძელა.

— რა მარა, ავ? — ეუცხოვა სოლომანს ეს სხვანაირ კილოზედ ნათქვამი სიტყვა; იგი სრულიად სხვას მოელოდა ბესარიონისაგან.

— რა მარა, რა? — ჩააცივდა სოლომანი ბესარიონს; მაგრამ პასუხი ვეღარ მიიღო, იმიტომ რომ ამ დროს აივანზედ გამოვიდა ელპიტე და მოახსენა:

— მზად გახლავთ, ბატონო, სადილი!

— ახლავე, შეილო, ახლავე მოვალთ!... აბა, წამობძანდი, სოლომან, — უთხრა ბესარიონმა სოლომანს.

— მობძანდით, ბატონო! — მიიპატიუა თავის მხრით პელაგიამაც.

— გიახლებით, ბატონო! — სთქვა სოლომანმა და ისევ ბესარიონს მიუბრუნდა: — რაია, რა, რატომ თქვი შენ ისე სხვანაირად: მარაო?!

— მერქ, შე კაცო, მერქ... ნასაღილებს უფრო კარგად და თავისუფლად მოვილაპარაკებთ... ახლა საღილი ვჭამოთ!..

— ბატონი ბრძანდები! — უკმაყოფილებითა სთქვა სოლომანმა, რომელსაც ამ „შარამ“ გული ატყინა, თავზარი დასკავით თუ ბესარიონმა რამე გადიოთიქრა და ამდენამდი მოყვანილი საქმე, თითქმის გათავებული, ხელახლად სახლაფორთოდ და საწანწალოდ გამიხადოს? ამ შიშმა იმდენად შეიპყრო სოლომანი, რომ მაღაც დაუკარგა, ხალისი მოუსპო და ცუდს გუნებაზედ დააყენა. საღილმა მეტად უგემურად ჩაიარა; სამაშვლოს დაკარგვის შიშმა მოუსვენრობაში ჩააგდო სოლომან.

საღილიც გათავდა, სტუმარს ხელსაბანი წყალი მიართვეს და ზალიდან პატარა ოთახში შეიწვიეს მოსასვენებლად. პატარა, დაბალ ოთახში, რომლის ჭერს კაცი ადვილად შესწევდებოდა ხელით, უკვე მზად იყო ერთ კედელთან გაყოლებულ ტახტზედ მუჟაქა და ბალიში სოლომანისათვის.

— აბა, სოლომან, მოისვენე! — უთხრა ბესარიონმა, რომელიც სოლომანს შემოჰყვა ათახში.

— სწორედ არ დამეძინება, უნდა გითხრა, ბესარიონ ჩემო!..

— რატომ, შე კაცო... არ იცი ნასაღილევს ძილი თუ?

— ძილი კა არა... შენ იმისთანა მითხარი ერთი სიტყვა, რომ გამაშტერე და ის არი... ბესარიონ, სწორედ რმისათვის ვარ მოსული, რომ საქმე დავაბოლოვოთ... შორს გადადება აღარ შეიძლება... ის კაცი თანახმად იმაზედ, რაც შენ თქვი, ახლა ჯვარის-წერის დღე უნდა დაგვინიშნო... დაგვიანება აღარ შეიძლება, იმიტომ რომ, როგორც გითხარი, ეპისკოპოზი აჩქარებს იმ ყავილს — კურთხევა უნდა მისი... რასაც დამაბარებ, რა დღესაც დამინიშნავ, ქაიხოსროს უნდა გავაგებიონ და იმ დღისათვის ისიც მოემზადება...

ბესარიონმა მარჯვენა ხელით გაისწორა თავისი გრძელი „ულაშები“, ჩამოჯდა ტახტზედ და სიტყვა-გაჭიანურებით სთქვა.

— ჯერ ერთი რამ საქმე გვაქვს... აჩქარებით, შე კაცო, ჭალაში არ აშენდება!

— რა საქმე? — გაოცებით იყითხა სოლომანმა: — მე ყველაფერი გათავებული მგონია!

— მიჭირს, სოლომან, მიჭირს, ძალიან მიჭირს, ვერ წარმოიღენ... ბევრი ფულის შოვნა მჭირდება... მერე შვილიც ერთობ ამიხირდა, ბევრს აძლევო, ჩვენსას აღარ ფიქრობო...

— რაღა დროს მაგაზედ ლაპარაკია, ბესარიონ? — წამოვარდა სოლომანი: — რაღა დროს მაგაზედ ლაპარაკია?!

— რა ვქნა, სოლომან? .. სხვა შვილებიც მყავს... ყოველი კაპიკი მილლიონია ჩემთვის... სად ვიშოვო, მანეთი კი არა,

აბაზი, ერთი აბაზი?.. მინდოდა ადგილი გამეყიდა და მით გაშესტუმრებია ქალიშვილი, მარა ცალკე შვილი მკლავს, მიწას გვიყიდიო, ცარიელზედ გვტოვებო, ცალკე ისიც მაწუხებს, რომ მუქთად უნდათ ჩეიგდონ ხელში მშეენიერი მიწა, რაკი შემატყვეს, რომ ფული მჭირდება... ასე რომ თელად იმ ფულს ვერ მოვუყარე თავი და, როგორც ვატყობ, ვერსად ვიშვივი! იმედი მქონდა ვიშვიდი, მარა ტყვილი იმედი გამომიღვა...

— რას აპირობ მერე? რას, რას აპირობ? — ეკითხებოდა გაფაციცებული სოლომანი.

— ვარი უნდა ვუთხრა მაგ საქმეზედ, თუ რომ...

— თუ რომ რაი?... თუ რომ რაი?

— თუ რომ არ დამიკლო...

— თუ რომ არ დაგიკლო?!.. — კინაღამ იყვირა სოლომან-მა. — თუ რომ არ დაგიკლო?!?..

— ჰო! — წყნარად სთქვა ბესარიონმა.

— როგორც კაცი, შენ, ბესარიონ, შე თვითონ თქვი, მოხერხდება ახლა მაგ?.. მოხერხდება ახლა მაგ?

— რატომ არა! — ისევ დამშვიდებით მიუგო ბესარიონმა.

— შენ არ მომიკვდე!... მე არ მოგიკვდე!... ცოლ-შვილი არ დამეხოცოს!.. ყოვლად შეუძლებელია... ყოვლად შეუძლებელია...

— შენ თუ მოინდომება?..

— რას მეუბნები მაგას?! რა რიგად მოვინდომო, რა რიგად? რა რიგად მოვინდომო!.. შენგან არ მიკვირს ახლა მაგ?! — გაცხარებით ისროდა სოლომანი. — ქაიხოსროსთან წამომტცეს მაგისთანა რამე და სახლიდან არ გამომაგდებს, თვალებს არ დამათხრევინებს? გამლანძლიას, გამთათხავს, მიწასთან გამასწორებს, ის კაცი, ამას ლაპარაკი არ უნდა. მე ვერ ვეტყვი მაგას, და თუ ვისმეს პირით შოუთვლი, ნება შენია! ჰმ! ახირებულია, შენ ნუ მომიკვდე! იმ კაცმა გამომაგზავნა ჯვარის-წერის დღეს დასანიშნავად, საქმე გათავებულია ჰგონია და ახლა მივიდე და ის ვუთხრა, ბესარიონი ქალს არ მისცემს შენს შვილს, თუ კიდევ ასი მანეთი არ დოუკელი-თქვა! რას მეუბნები, მოკლავს ის კაცი და ის იქნება!

— რა ვქნა, სოლომან, რა ვქნა? რაც არ შემიძლია, არ შემიძლია და არ შემიძლია!

— რაღაზედ მარბენიყებდი, შე დალოცვილო, ამდენს ხანს? მუცელში ნაღველი ჩამექცა, გული კი გამისივდა ამდენი წან-წალით, თავი გამისკდა გაუთავებელი ლაპარაკით, ჯორი მოვ-კალი აშასა და იმას შუა და ახლა მეუბნები, არ შემიძლიაო! პატიოსან კაცთან შეგყარე, საჭმე სულ შენდა სასარგებლოდ მოვიყვანე, იმდენი ვეცადე... სიძეთ იმისთანა კაცი მოვიყვანე, რომ სიტყვა თქვას ერთი—ათას მანეთს დიდის სიხარულით მისცემენ—ამისთანა კაცი სულ იყფად გიშოვე. ჩემი მეცადინეო-ბით; ჩემი რჩევით და ჩაგონებით. კაცი სხვა არ მივაკარე, სხვა-გან არსად წასულიყო ქალის საძებრად... და ახლა!...

— მადლობელი ვარ შენი, სოლომან, მეტის-მეტი მად-ლობელი ვარ! ჩემს დღეში რავა დევივიწყებ, რაც შენ ჩემი ოჯახისათვის იშრომე!

— განათლებული ყმაწვილი, მდიდარი ოჯახი... ხვალ ჩი-ნებული მღვდელი იქნება... უზრუნველი ცხოვრება, გამოულევე-ლი ლუკმა პური... ჰმ, ეს გაშოვნიე ორმოცი თუმნით! ორმო-ცი თუმნით! იმიტომ რომ ვექსილი რა ჩასათვალავია? ფული ხომ არ გხდება და სამ წელიწადს შიგნით რა იქნება, ვინ იცის! და ახლა კიდევ დაკლებაზედ ლაპარაკობ! არ შემიძლიაო! წი-ნედ გეთქვა, შე დალოცვილო, წინედ გეთქვა! ღმერთო მომ-კალი, ეს რა ამბავი მომივიდა?! რა პირით შევხედო ახლა იმ კაცს? რა ვუთხრა, რითი ვიმართლო თავი? სამარეს მითხრი, ბესარიონ, სამარეს მითხრი და ცოცხალს მაგდებ შიგ, იცო-დე.... ვიღა მენდობა აწი? ჩემს სიტყვას ვიღა დეიჯერებს აწი? — სოლომანი გულ-შეწუხებული ულონოდ დაეშვა ტახტზედ და სასოწარკვეთილებით საესე თვალები ბესარიონს მიაპყრო.

— ძმობას გფიცავარ, მეც ვნანობ, რატომ შევები მაგ სა-ჭმეს. მარა რა ვქნა, რა ვქნა? უზომოთ ვწუხვარ, რომ თავი ვერ მოვაბი ჩემთვის მაგისთანა სასარგებლო საქმეს!..

— მეტი გზა არ არი, საცხა იქნება, უნდა იშოვო ის ფულიც, რაც გაკლია, — რამდენისამე ხნის სიჩუმის შემდეგ.

სთქვა სოლომანმა: — უნდა იშოვო სადაც იქნება, რამე ფერად! რამდენი გაკლა?

— ასი მანეთი! — მიუგო ბესარიონმა.

— ასი მანეთის გულისათვის კარგავ ახლა იმისთანა სა-სიძოს? ასი მანეთის გულისათვის? — წამოხტა სოლომანი.

— თითქო შენ თვითონ არ იცოდე, რა ძნელი საშოვა-რია, ასი მანეთი კი არა, ასი კაპიკიც. რომ ჩამომეკიდო, გროშ-კაპიკს იმაზედ შეტს, რაც ახლა ხელზედ მაქვს, გროშ კაპიკს ვერსად ვიშოვი! ღმერთი მოწამეა, გულით მინდა იმ ყმაწვილის სიძობა, მარა არც ის შემიძლია ერთ შეკრის გადავუკე და და-ნარჩენი მოვიმდურიო. რა ვქნა, აღარ ვიცი, ღმერთმანი!? ნა-მეტან გლახა დროში ვცხოვრობთ. მე რომ მარტო მიჭირდეს, არაფერი, და ყველას, ყველას რომ გვიჭირს, საჯ უნდა წევი-დეთ, ვისთან მივიდეთ, ვის შევეხვერწოთ მოხმარება? ვინ ოხერი, ასს კი არა, ორას მანეთსაც რამეს ვიტყოდი, რომ რამე გამე-წყობოდეს, რამე გამაჩნდეს. სხვას ზომ არ ვაძლევ — შეკრის მი-აქვს. მარა, რომ არ გექნება, რა უნდა მისცე! მეგონა საღმე ვიშოვი, რამეს დავაგირავებდი, მარა დასაგირავებელიც ხომ ალარაფერი მირჩება! ახლა მოწყალებასასვით ვთხოვ შემაწიოს ასი მანეთი. მამასაც და შვილსაც ვთხოვ ამას. თუ მიზამენ წყა-ლობას, საუკუნოდ მოსამსახურე ვიქნები მათი, თუ არა-და, უნდა დავანებო თავი. ხელი უნდა ევილო მაგათ მოყვრობაზედ!

— მე არ მოვკვდე, ბესარიონ, შენ ასე იავად ვერსად ვერ იშოვო სიძეთ მისთანა ყმაწვილი!

— მაგ მეც ქე ვიცი! მარა რას იზამ კაცი!?

— რომ იცი, თავი არ უნდა დეიზოგო!. ასი მანეთისა-თვის შეილს კაცი რავა დოუკარგავს ბედნ!?. შენგან მიკვირს ეგ ამბავი, თვარა სხვისგან არა გამიკვირდება. შენ რომ გიცნობ, იმიტომ მიკვირს და, მართალი გითხრა, ეჭვიც მებადება, სხვა რამ მიზეზი არ იყოს აქ... ყოყმანი რომ დაგაწყებია! — ცოტა ხნის გაჩუმების შემდეგ უთხრა ბესარიონს სოლომანმა.

— ბესარიონ, შენს ცოლ-შვილს გაფიცებ, იმ შენ საყვა-რელ ქალიშვილს გაფიცებ, რომლის გაბელნირებას ასე მშა-

რედ ეჩქარები—ხომ არავინ შემოგძლევია ამ დღეებში? გაფიცები იმ შენს შეიღს, მართალი მითხრა!

— რაღაზედ დაგიმალო?

— შემოგეძლია!

— კი!

— იმ წამსვე მიგხვდი! ვინაა?

— არი ერთი ყმაწვილი.

— ქაიხოსროს შეიღს ჯობია?

— ჯობნით სწორედ ვერ ჯობია... მარა.

— რაღა მარა, რაღა მარა, შე კაცო! რას გთხოვს! მართალი თქვი, თუ კაცი ხარ!

— სამას მანათს ხელზედ და დანარჩენი ისე, როგორც ქაიხოსრო.

— ას მანეთშია განსხვავება, ას მანეთში! და ასი მანეთის გულისათვის ცვლი განათლებულ ყმაწვილს ვიღაც სოფლის ყრუელაში? კაი თუ ღმერთი გწაშს, კაია! გაშტერებული ვარ შენგან, რომ ამისთანა რამე მესმის... ჩემს თავს ვფიცავარ... ას მანეთს ვერ იმეტებ, ვერ იმეტებ და ეგ არი! სხვა არაფერი!— ცხარობდა სოლომანი.

— არ მაქვს დეიჯერე, შე ქრისტიანო, არ მაქვს, არა!.. ამიტომაც უფრო გლახას ვჯერდები... აბა, რა ვქნა?

— ნება შენია, ჩემო ბატონო, ნება შენია! როგორც გიჯობს, ისე მოიქცევი, რასაკვირველია! რა გეეწყობა... მე სიკეთე მინდოდა შენთვის, ღმერთმა იცის, თვარა სხვა ინტერესი მე მაინც და მაინც იმისთანა არც კი მქონებია. სამაშვალოს აღებაზედ თუ იტყვის კაცი, მე აქ, შენთან, ზარალშიაც ვარ. შემეძლო ის ყმაწვილი სხვაგან წამეყვანა, სხვა ქალი მეჩვენებია, სადაც ას თუმანზედ არც ალაპარაკებდნენ—ჩემი პირდაპირი სარგებლობა იქნებოდა—ასი მანეთი მერგებოდა სამაშვალო. მარა შენი გულისათვის მევიყვანე აქ... ჩემდა პირად მე დიდის სიამოვნებით სამაშვალოს დაკლებაზედ თანახმა ვარ, მარა აქედან ვიცი, რომ ქაიხოსრო არასფრის გულისთვის მაგას არ იზამს... მერე, როგორც გითხარი, მე ვერ ვეტყვი მზითვის

დაკლების თაობაზე ერთ სიტყვასაც... მაღლობა ღმერთს! არ მეგონა, თუ ამ ოჯახში მე ასე შერცხვენილი დატრიებოდი... ვერც იმას წარმოვიდგენდი, თუ რომ ასე ერთი ფილის გული-სათვის ადამიანის შვილს ბედს დაუკარგავდით! რა გაეწყობა! მე კი არა, ჩემზედ უკეთესებს მოსვლიათ ამნაირი შემთხვევა! ალბად შევმცდარვარ, ვერ მიშიგნია, სად არი იმ ყმაშვილის ბედი!...

იმრთ უფრო გულნატკენმა, რომ ასე მოულოდნელად ეც-ლებოდა ხელიდან სამაშესლო, ექვსი თუმანი, მწუხარე სოლო-მანმა რამდენჯელმე გაიარ-გამოიარა ოთაში, მერე მივიდა ფან-ჯარასთან და გაყუჩებულმა ეზოში დაიწყო ყურება. ბესარიო-ნი ხმა-ამოულებლივ იჯდა ტახტზედ.

— მაშველი ვინ დაგრძის? — ლიმილით იყითხა სოლომანმა, ისე რომ თავი არ მოუბრუნებია ბესარიონისკენ.

ამ უკანასკნელმა ვერც კი მოასწრო პასუხის მიცემა, რომ სოლომანი შოტრიიალდა და დაიძხა:

— ძალი ხსენებაზეა! თავს მოვიჭრი, თუ მე ახლა ამაში ვცოლებოდე... სიკოია გლახაკი დეეთრევა მაგაზედ! ხომ მივხვდი, ხომ მივხვდი? როგორც კაცი, მითხარი, მივხვდი თუ არა! ხომ! ეჭ, რავა მოათრევს თავის რაში... აი გაგისკდა თავი, შენი ცა-რიელი თავი!

— სიკოიას სიტყვას რავა გავყვები, შე კაცო! — მიუგო ბესარიონმა.

— თავი მომჭერით, თუ მაგ მაშვლად არ დაგიდიოდეს! აბა რა უნდა მაგას შენთან, რას მოეთრევა! — ცხარობდა სო-ლომანი.

— კაცი კაცთან მივა-მოვა, რა ვუყოთ!

— არა, არა... მაგით მე ვერ მომატყუებ, ბესარიონ ჩემო! ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ და ამას კი არ მოველოდი, რომ შენთან სიკოს რჩევას და სიტყვას ჩემს რჩევაზედ და სიტყვა-ზედ მეტი პატივი ექნებოდა!.. კაცი ალარ ვყოფილვარ, ღმერ-თო მომჟალი, და ის არი! ბოლოს არ ინანო კი, ეგ მითქვაშს, ბოლოს არ ინანო! ახლა კი შვიდობით ბძანდებოდეთ! — და ზო-

მაზედ მეტად გაწიწმარებულმა სოლომანმა ქუდსა და ყაბალახს, წამოავლო ხელი: — შვილობით ბძანდებოდე!

— რა იყო, შე კაცო? რა მოგივიდა? — წამოვარდა ბესა-რიონი

— არაფერი... მოლაპარაკებას არ დაგიშლით და ისაა! — დაცინვით წარმოსთქვა სოლომანმა და ზალაში გავიდა.

— სოლომან, მომითმინე.

— ახლავე შინ უნდა წევიდე... ჯორი უბძანე გამომიყვანან.

— სოლომან, მომითმინე! — ეხვეწებოდა ბესარიონი.

— სწორედ არ შემიძლია და ტყვილა მაკავებთ!

— ახლა ასე გულმოსრულად შენი წასვლა... ღმერთმანი, სიკედილია ჩემთვის... არ დევეძებ იმ ოხრიშვილს!

— რატომ, რატომ! — დაცინვით სთქვა სოლომანმა.

— მომითმინე, სოლომან... ვილაპარაკოთ... ევებ რამე სა-შეალება მოეგიონოთ... საჭმეს ვუშველოთ... უშენოთ მე ვე-რაფერს ვერ მოვახერხებ იმაზედ მეტს, რაც ვქენი...

— შენ არ მომიკვდე, მე ერთ წამსაც აქანა დადგომს არ შემეძლოს! სალაპარაკო რაღა გვაქვს?! ჰე, მაღლობა ღმერთს ქონდეს! კაცი ყორიფელს შეესწრები! — მწარედ ჩაიცინა სო-ლომანმა და აივანზედ გავიდა.

— ვეხვერწები და აღარ მოგვიცადა სოლომანმა! — უთხა ბესარიონმა პელაგიას, რომელიც აივანზედ ემუსაიფებოდა ახ-ლად მოსულ სტუმარს, გამხდარის პირი-სახის კაცს, რომელსაც ისე ჰქონდა გაბურდენული თმა და წვერი, გეგონებოდათ, ამ კაცს სავარცხელი იშვიათად სჭერია ხელშიო. ეს იყო ის სი-კოია, რომლის დანახვამ ასე თოთვის-წამალივით აფეთქა სო-ლომანი. მეტად ღარიბი აზნაური იგიც, სხვა ზოგიერთივით, დაღიოდა მაშვლად აქა-იქ და ამით შოულობდა თითო-ორთო-ლა მანათს და ასე გამოჰყავდა წლილან-წლამდე თავი, რასა-კვირველია, ღიღის გაჭირვებით.

სოლომანმა ცავად ჩამოართვა ხელი სიკოიას და მერე პე-ლაგიასთან მივიდა გამოსამშეიღობებლად.

— რატომ ასე მაღე მიბძანდებით, ბატონო? მოგვიცადეთ ამაღამ! — უთხრა პეტრა ჯორგიამ.

— საჭირო საქმე მაქვს, ოჯახში უნდა გიახლოთ უსა-თუოდ... გმადლობა... შეიღობით ბძანდებოდეთ!

სოლომანი გამოეთხოვა ყველას და გაწიწმატებული სულ ჩაქჩაქით მიარბენინდღა თავის პატარა ჯორს.

ბესარიონი თვალს ადევნებდა და თავის გუნებაში ამბობდა: — სად წამიხვალ... სამაშვალოს ასე ადვილად რავა დაკარგვე? არ ვიცი, რა კაციც ბძანდები? კარგ დროს არ მოეთრია ეს გლახა სიკორა... დაჩწმუნებულია, რომ მაშვლად დამიღის... თავს გეიტებ და სამაშვალოს არ დაკარგავ, ვიცი, ჩემო სოლომან!

— გაათავეთ, ბესარიონ, ქათამაძესთან მოლაპარაკება? — იკითხა სიკორამ.

— რას. გაათავებ, ყმაწვილო! მომკლეს, მომკლეს იმდენს ჰიყუინბობენ თითო კაპიზედ... — მიუგო ბესარიონმა: — რაღაცა გონიათ ის ყმაწვილი და ცოტას კი აღარ ჯერდებიან იმათ გუნებაში... ჯერ იმის მაღლობაც მითხრან, რომ ქალს ვაძლევა-ფულს და ქალს რავა მივცემ ქათამაძეს? კაი ფულით კაი გვარიშვილის კაცს ვიშოვი... ქათამაძეს არ ჩოუყარო ას-ასიანები!

ამასობაში სოლომანი გულ-ამღვრეული მიაჩაქაქებდა აღმართ-დაღმართებში თავის ჯორს და წამ-და-უწუმ დეზებს სცე-მდა საწყალ პირუტყვს, რომელსაც სრულიად ვერ გაეგო, რა დაეშავებინა ასეთი თავის პატრონისთვის. სოლომანი დღემდე კარგად ეპყრობოდა ჯორს და დღეს კი ტყვილა-უბრალოდ ამდენი ცემა-ტყება მიაყენა. გაკვირვებული, თან შეშინებული და დაშვრთხალი ჯორი მარბოდა და, მისდა უნებურად, ხან კოლბოხებს წაჲკრავდა ფეხს, ხან ქვას, წაითორხილებდა ამის გამო, რასაკვირველია, ახლა ამიტომ აგინებდა და პლანძლავდა პატრონი. არც გასამტყუნარი იყო სოლომანი, რომ ასე უდი-ერად ეპყრობოდა ჯორს. განა სოლომანს შეეძლო გულ-გრი-ლად მთელი ამდენის ხნის საქმის ჩაფუჭება? კაცმა ამდენი იწან-წალა, იდავიდარაბა, ძაღლის ყბა გამოიბა, იმდენის ლაპა-

რაკით, ხან ერთი შეიჯერია, ხან მეორე, ათასნაირის ტყუილების თქმა დასჭირდა. ერთი სიტყვით, ყოველივე დაითმინა, რაც ამისთანობაში მაშვალს თავის ტეხა დატყუდება ხოლმე, და როცა ყოველივე ესე თავს გადახდა და კაცმა იფიქრა, ახლა კი მეშვეობა, საქმეს თავი გამოვაბიო, სამაჭანკლოს ჯიბეში ჩავიჩხრიალებო, როცა დასვენებას აპირობდა—წარმოიდგინეთ, ამ დროს იგებს, რომ ეს ამდენი შრომა ტყვილი ყოფილა, უქმი, უსარგებლო, საქმე ხელახლად დასაწყობი და გასარიგებელი... განა. შეიძლება გულგრილად აიტანოს ამისთანა ამბავი ადამიანში? განა შეიძლება, რომ ამ ყოფაში იმისთანა ცეცხლი არ მოეკიდოს, რომ, ჯორი კი არა, თავისი თავიც დაავიწყებინოს? ასეთი იყო სოლომანის მდგომარეობაც! ხელიდან ეცლება, ეცლება ეს საძაგლი ბესარიონი, ჰმ, ასი მანეთის გულისათვის და ბესარიონთან ერთად ეცლება სამაშვალო ექვსითუმანიც, რომელიც თითქმის ჯიბეში ეგულებოდა საწყალ ღარიბ აზნაურს, რომელმაც თავის ლირსებასა და წოდებასაც კი აღარ მიჰქედა, ოღონდ ის ოხერი ორიოდე გროში ეშოვნა... იკარგება, იკარგება წვალებით, ოფლით ნაშოვნი სამაშვალო და ამასთან იკარგება დროც! გაცთა ხომ კაცი... სადმე სხვაგან შეეძლო მაშვალობა გეეწყო და ახლა უკვე აღებული ექნებოდა გასამრჯელო!.. და სოლომანს საშინლად გული მოსდიოდა იმ კუდაბზიკა აზნაურებზე, რომლებსაც არაფერი გააჩნიათ და მაინც თავის გვაროვნობას და წინანდელ ამაყობას არ ივიწყებენ, რომლებთანაც ამის გამო ადამიანი ვერავითარ საბეჯითო საქმეს ვერ დაიკავებ, რომ ათას ნაირ ტყვილებში არ გეხევიო... ქაიხოსრო ქათამაძეს რავა დეიკოლიებდა ასი მანეთის დაკლებაზე! ქაიხოსრო უიშისოდაც თავს იკლავდა, რომ შვილის ხათრით ასე ნაკლებიანი მზითვით მიჰყავდა რძალი, როცა მის შეილზედ ნაკლები ყმაწვილები ას-თუმნიან ქალებსაც წუნობენ. დაეკარგა, წმინდად დაეკარგა სოლომანს მისი სამაშვალო ექვსი თუმანი... და მერე ვინ წეილებს ხეთ თუმანს სიკო, სიკოია გლახაკი! ეს უფრო უწყლავდა გულს უილბლო მაშვალს... რომ ვინმე გამოჩნდეს მერმე, თუ გინდ გლახაკი,

ოღონდ კი წაკლები ითხოვოს მზითვი, ბესარიონი ამ მესამეს გაატანს თავის ქალიშვილს... იმას ერთი დარღი აქვს: მოწიფული ქალი თავიდან მოიშორიოს და, რაც შეიძლება, უფრო იოლად გამოვიდეს. ამ გლახაქმა სიკოიამ გამოუძებნა სადღაც ვილაცა ახერი და სიძეთ ურიგებს... რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ბესარიონი ამ უკანასკნელს მისცემს ქალს და ასი მანეთი ხელში შერჩება! სიკოიასაგან ემართება ახლა ეს, რა კაცისა-გან?! ვინაა იმისთანა, რომ ცოლის თხოვნას აპირობს? სად გამოაწყოს ახლა ახლო მაშვალობა—ეს სოლომანისთანა აზნა-ურისთვის, ფულის შოვნის თითქმის ერთად-ერთი წყარო, ერ-თად-ერთი საშუალება? სოლომანის გული ათას ნაირად ტრია-ლებდა და ტოკავდა... მისი ტვინი გარდამეტებულ მუშაობაში იყო, მტკიცე საბუთებს ეძებდა, რომ იქნება დავაჯერო რო-გორმე ქაიხოსრო და დავაკლებინო ათი თუმანიო. მაგრამ მო-საზრების ძალას ის სიკოია უსუსტებდა, რომელიც თვალ-წინ უდგა, რომელიც სოლომანს მოსვენებას არ აძლევდა, გულს უმღვრევდა და გონებას უჩილუნგებდა.

— მეც დამეკარგოს, მარა არც იმას გავატან! — გადაწყვე-ტით წამოიძახა სოლომანმა და ამასთანავე ერთი ისე ღონიე-რად გადაჰკრა მათრახი ყოვლად უდანაშაულო ჯორს, რომ უიმისოდაც დამფთხალმა პირუტყვამა სრულიად გონება დაჰკარ-გა, გაფრინდა რაც ღონე ჰქონდა, და თან თავისი აღელვებუ-ლი მხედარიც გაიტაცა.

ეფროსინემ პირველ დანახვისათანავე შეატყო ქმარს აღე-ლვება და, როცა შეიტყო, როგორც იყო საქმე, საყვედურით უთხრა ქმარს.

— წინდაწინვე ვიცოდი, რომ მაგ მაშვალობიდან არაფე-რი ხეირი არ გამოვიღოდა! სად აქვს ბესარიონს იმდენი შეძ-ლება, რვაასი მანეთი ერთ შვილს მიცეს მზითვაა!

— თუ არა აქვს, მოვაძებნიებ! ასე ადვილად რავა წამიჭა ხელიდან!

— ახლა კაი მიზეზი მაინც გაქვს და, თუ ღმერთი გწამს, თავი დაანებე მაგ საქმეს.

— შენც არ მომიკვდე! — გაცხარებით წამოიძახა სოლომანმა: — ასე ადვილად მომრჩება ბესარიონი?! მერე ყველა ამიგ-დებს, ვისაც რავა იამება, ისე მომინდომებს ათამაშებას! ისე სოლომანმა იკოცხლოს, როგორც მე არაფერ საშვალებას არ დევერიდო ბესარიონთან ჩემი ტყვილა გაცენისათვის! ნახავს აგერ, თუ იმან ქალიშვილი გაათხოვოს სიკოიას დახმარებით-ლერთო მომკალი, სიკოიაზედ გასაცვლელი კაცი შევიქენი... ამასაც ნახავენ! — სოლომანს ეტყობოდა, რომ ბესარიონს არა-ფრით არ დაჭიბოვდა თავის ჯავრის ამოსაყრელად.

გარეთ ძაღლმა დაიყეფა.

— ვინ ოხერია ამ დროს? კაცს მოსვენებას არ აღირსებენ! — გაანჩხლებითა სთქვა სოლომანმა.

ძაღლმა უფრო მოუხშირა ყეფა.

— ვიღაც არი, მართლა! გახედე ერთი! — უთხრა ეფრო-სინემ.

სოლომანი უკმაყოფილოდ წამოდგა, გავიდა აიგანზედ და-დაიძახა.

— რომელი ხარ მაღ?

— მე ვარ, სოლომან... გამომხედე, შენი ჰირიმე! — მოი-სმა ხმა.

ლამის სიბნელეში ყოვლად შეუძლებელი იყო კაცს კაცი დევნახა.

— ვინ შენ!.. სახლში შემოდი, მაგ ბნელაში რომ გაჩე-რებულხარ! — გაჯაერებით გადუძახა სოლომანმა. — ნწა, გაჩუმ-დი, შე მგლის არჩიო! — მიაძახა მან ძაღლს.

— აქეთ გამომხედე, თუ კაცი ხარ! — მოისმა ისევ ხმა.

სოლომანი, რომელმაც დაკვირვებით ყური დაუგდო ამ ხმას, გაშტერებული დარჩა, ნუ თუ მართლა ბესარიონის ხმაა ეს ხმა? რა უნდა ბესარიონს ამ დროს, ამ ღამეში, აქ, ამ სი-შორეს? ხმა კი ბესარიონისაა, ნამდვილ მისი ხმაა!

სოლომანმა ჩაირბინა ეზოში და იქითკვენ გაეშურა, საი-დანაც ხმა მოისმოდა.

— ბესარიონი ხარ?

— მე ვარ, სოლომან, მე...

— რა ამბავია? რას დაუკარალო შენი აქ მოსვლა ამ დროს? — ეკითხებოდა გაოცებული მასპინძელი.

— მეტის-მეტი გულფიცხი კაცი ხარ, შე დალოცვილო... შურდულივით გამოექანე, სიტყვაც აღარ მაცალე მეტქვა! უმიზეზოდ თოფის წამალივით აფეთქდი! მეტი გზა აღარ დამირჩა, უკან უნდა გამოგყიდებოდი!

სოლომანმა გულიანად გადიხარხა ამაზედ.

— შენ ქე გეცინება და მე საქმე მიხთება, შე კაცო?

— სახლში მობძანდი, ბესარიონი!

— არა, არა... აქ გვირჩევნია! — მიუგო ბესარიონმა.

— სახლში მობძანდი... არავინ არ მყაფს... მე და ჩემი ცოლი ვართ მარტო!

— არა, არა... აქ გეტყვი იმ ორ სიტყვას, რაც სათქმელი მაქვს, შენთან კი უკაცრავად ვარ!

— აიგანზედ მაინც აეიდეთ...

— გთხოვ აქედან ნურსად წამიყვან... მშვენიერ ადგილის ვართ! აქეთ მობძანდი! — ბესარიონმა უფრო შიგნით გაიშია ეზოსკენ, თან სოლომანიც გაჰყვა, და ცხენიც ჯვერდთ ამოიყენა. — აქ ველარავინ შეგვხედაქს, სტუმარიც რომ მოგივიდეს ვინმე! .. ჰო, იცი, რისთვის მოვედი ახლა მე შენთან?

— სწორედ აღარ ვიცი! — მიუგო სოლომანმა.

— ნუ დამღუპავ კაცს, სოლომან... შენი ცოლ-შვილის გულისათვის, ნუ დამღუპავ! ყურქმოჭრილი მოსამსახურე გამხადე შენი... და შენს შემწეობას ნუ მომიშლი... შემეწიე, აგრემც შენც ღმერთი შეგვწევა!

— ბესარიონ ჩემო, მე ამ დილასაც. გელაპარაკებოდი...

— კი, კი... ჩემი სიკეთე რომ გსურდა, იმიტომ გეისარჯე... ჩემს სიგლახეში მე ვარ, მარტო მე ვარ, დანაშაული, ყორიფელი ჩემი ოხერი ხელმოკლეობით მემართება... მარა ჩემს შვილს ვაბრალებ, ჩემს საწყალ ელპიტეს, ოხერი მამის ხელში რომაა ჩავირდნილი... ოუ გინდ მომაკვდავი მცოლებოდეს და გამოგებრუნებიოს, ისე ჩაეთვლი, ოუ იმდენად შემე-

წევი, რომ იმ ყმაწვილს, ქაიხოსროს შვილს, ჩემს ელპიტეს არ დააშორება... შენს ხელშია ყველაფერი, სოლომან!

— ბესარიონ ჩემო, ახლა შენ თვითონ თქვი... კკვიანი კაცი ხარ... შემიძლია ქაიხოსროსთან გავბედო მაგის თქმა...

— შემიბრალეთ... კაცი შემიბრალეთ... კაცი, კაცი!.. მწარე გულით მონდომებული ვიყავი, ყველგან ვეძიე, მარა თელათ ვერ მოვუყარე ფულს თავი... ამას გეხვეწებით და გემუდარებით, ქვეყანაში ნუ გამომაჭიანებთ, ნუ შემარცხვენთ... ქალს ნუ მიმიტოვებთ... შე კურთხეულის შვილო, არ იცი რა დრო მოგვესწრო, რა საცოდვაობაში ვართ ერთიანად ჩავარდნილი?.. ყველას, თელათ აზნაურობას რა გასაჭირის დღე გვადგა, რა შეი დღე შემოგვესწრო?.. სამზითვო ფული კი არა, ლუკმა პურს ძლივს-ძლივს ვშოულობთ. წლიური საჩიო სანახევროდ აღარა გვაქვს... ამასთან იმისთანა უჯმერთობაც შემოვიდა, რომ სანამ ფულით ჯიბას არ გოუტენი ქალს, აღარავინ თხოულობს... სად იშოვოს ჩემისთანა აზნოუშვილმა ხუთასი და ექვსასი მანები... კაი, გავყიდე მიწა, შევივიწროვე საქმე, ერთი მოვიშორიე როგორც იქნა; მეორეს და მესამეს რაღა უყოს კამა?.. ფიქრობ, ფიქრობ, მარა არაფერი გამოდის... ქალი კი ხანში შედის და, თუ დროზედ ვერ უჩვენე გზა, შემოგაბერდება ხელში და მერე ხელსაც არავინ მოგიყიდებს... დაგედვა შვილის ცოდვა... ღმერთს გფიცავარ, იმისთანა გარემოებაში ეართ, რომ ისევ ის ჯობია, კაცი ოჯახს რომ არ მოეკიდო!... ღმერთს გფაცავარ... აბა რანაირია ახლა ჩემი მდგომარეობა!.. კაციც რომ უარესი შეიქმნა, რომ ერთმანეთის შებრალება აღარ იციან... ბიჭა, თუ კაი კაცი ვარ, სამოყვრით გინდებვარ, რაღაზედ მცარცვავ და მგლეჯავ... ამაზედ მეტი უკულმართობა იქნება?!.. ღმერთმანი, ცოდვაც არაა, რომ ამისთანაში კაციც მიატყუო, თუ კი რამე გაგეწყობა...

— შენ ხომ არ აპარობ ამ გზას დალგე?.. — სიცალით უთხრა სოლომანმა.

— არაფერი ცოდვა არ იქნება, ის ღრჯო კაცი, ქაიხოსრო რომ მოვატყუო... მარა ჩემს სასიძოს კი ამას არ ვუზამ არაფრის გულისთვის...

— ბესარიონ, შენ რაღაც გაქვს ნაფიქრები... ისე გატუობა... მე თელი ხვალინდელი დლე თავი უნდა ვიტეხო, რამე გზა გამოვნახო, ქაიხოსროს რომ შამოუარო... თელი გზაც, შენგან რომ წამოველი, ამას მოვანდომე, მარა ჯერ ვერაფერი დავაწყვე.. ვაი სიკოს ტყავს, სულ იმან ამირია ეს საქმე, თუ არა შენ ას მანეთს კი იშოვიდი, სადაც იქნებოდა!.. სადმე იქნება ფეხს კი წავაკურევინებ იმ გლახაქ!..

— სოლომან, სიკოიას თავი დაანებე, ყური მიგდე აგერ! — ჰო!

— შენ არ მოშიკედე, იმ შეილს გეფიცები, უფრო დამიჯერებ, შენ არაფერი დაგაკლდეს... თუ არ შევემატოს... ჩემს სიტყვას თუ შენ დეიჯერებ და დაადგები!

— რაი, რა? — მოუთმენელად შესხახა სოლომანმა.

— ჩემსას მინდოდა მეთქვა ეგ შენთვის, მარა არ დამაცალე, გამომექცი... ამ ღამეში წამომიყვანე ამისათვის...

— თქვი, თქვი, შე კაი კაცო! — აჩქარებდა სოლომანი — სული წამივიდა ეს არი...

— შენ თვითონ კარგად იცი, რომ იმ ჩემ სასიძოს ძალიან მოსწონს ჩემი ელპიტე, — დაიწყო ბესარიონმა.

— მართალია...

— იმასაც ამბობს თურმე, რომ სხვა ქალს არ შევირთავო, თუ არა ამ ჩემს ელპიტესკო... ეს იმისთანა სარწმუნო კაცმა მითხრა, რომ არ შემიძლია არ დავუჯერო... მერე კიდევ იმ ყმაწვილის ნათესავიცაა... მზითებს რას დევეჭებო, ასე ამბობს თურმე... მე ქალი მინდაო, თვარა... ჩემი სამყოფა სარჩო ყოველთვის მექნებაო...

— მართალი გითხრა, ჩემთანაც ქე უაქვამს მაგ...

— ჰო და... მერე, შე კაცო, თუ კი საქმე ასეა, ქაიხოსროს ნუ გადამატან!

— მე ვერ მიგიხვდი კიდევ, რისი თქვა გინდა! — უთხრა სოლომანმა.

— რა მინდა და შენ რომ იმ ყმაწვილთან მოიტაპარაკო...

— რა?

— უთხარი, რომ ასე-ასეა შენი სასიმამროს საქმე... ფული ველარ იშოვა-თქვა... მიწა-წყალს ტყვილ ფასში ნუ გააყიდვინებ-თქვა... სამღვდელოდ ემზადები-თქვა და პირველი სამადლო საქმე იქნეს ეგა-თქვა... თუ ერთი ასი მანეთი არ მოუკელი, იძულებული იქნება-თქვა, ქალი სხვას მისცეს... ისიც უთხარი, რომ მთხოვნელიც ყავს-თქვა... რაკი ისე გულით უნდაჩემი შვილი, რავა დევიჯერო, ასე ცოტასათვის უარი თქვა... ბერე კიდევ შენებურად რომ მოუკედი, ის ყმაწვილი, დარწმუნებული ვარ, თანახმა გაგიხდება...

— ყმაწვილი კი გაგვიხთება თანახმა, მარა საქმე ქაიხოსროა,—წამოიძახა სოლომანშა.

— ის ყმაწვილი თუ თანახმა გახთა ამ ასი მანეთის მოკლებისა, მეტი ალარაფერი გვინდა...

— ყმაწვილს ვინ კითხავს, ბატონი!! — მოუთმენელად წამოიძახა ისევ სოლომანშა.

— ბატონო, შენ გეიგონე ჯერ ჩემი... და მერე თქვი, თუ ვცდები... ყმაწვილი თუ თანახმა გაგვიხთა, ქაიხოსროს ნურაფერს ეტყვი შენ... მომიყვანე ის ჩემს სახლში იმ აზრით, რომ რაც პირობა გვქონია, ვითომ იმას ვაძლევ... სამზითვო ფულის ჩაბარების დროს შეიტყობს, რომ სამასი მანეთის მეტს არ ვაძლევ...

— თავს მოიკლავს... ერთს უბედურებას გვიზამს! — წამოიძახა სოლომანშა.

— ეგ მეც ვიცი, მარა შენ უნდა დაარიგო ყმაწვილი, რომ მამას იქვე ხალხში თხოვოს, რაც იქნება, იმით დაკამაყოფილება... ვინც იქ დაგესწრებათ, ყველა შემოეხვევით და თხოვთ ქაიხოსროს და, რავა დევიჯერო, ყველას ხათრი არ გაგიწიოსთ. მით უფრო რომ, ეტყვით, მალე მიიღებთ-თქვა... ყოჩალათ ყმაწვილი უნდა იქნეს, ამას გეხვერწები დაარიგო იგი კარგად... თუ ასე მომეხმარები, ერთი სიტყვით, შენ ყურმოკრილ ყმათ გამხოთი... ცოლშვილს გფიცავარ...

სოლომანშა სიტყვა იცალა ბესარიონს; მერე კი ლიმილით უთხრა:

— ეგ კაი დაგემართოს, შენთვის, შეიძლება კარგი იქნეს,
მარა რა...

— ვითომ ქაიხოსრო სამაშვალოს აღარ მოგცემს?

— ჰო!

— შე კაცო, უიმისოთაც ხომ გეკარგება და თუ ასე მოი-
კცევი, ჩემი სიძე იმდენად უმაღური რავა იქნება, რომ შენი
ხვედრი, რაც შენ წესით გერგება — ხუთი თუმანი — დაგიკარ-
გოს... მაგაში მე ვიქნები სწორედ თავმდები... ამას გარდა,
ჩემი მხრით, როგორც კაცი, იმ თუმანს, რომელიც გაკლდება,
მე მოგარტმევ ჩემი ჯიბიდან... როგორც პატიოსანი კაცი!

— კარგი... ბატონი ბრძანდები! — ცოტა მოფიქრების შემ-
დევ სთქვა სოლომანმა... მაგას კი ეგრე გავაწყობ, თუ შენ, ბე-
სარიონ, შენი მხრით არ მომატყუება...

— ღმერმა თავი დამიმხოს მაშინ... ცოლშვილი გამიწყვი-
ოს...

— აბა კარგი... გახსოვდეს ეს შენი სიტყვა!

— უპატიოსნო, შერცხვენილი კაცი დამიძახე, თუ შენ
აამე დაგაკარგვიო!

— გენდობი. მეტი გზა არ მაქს... თუ მომატყუე და სი-
კოიას ჯაერი მაინც აღარ ჩამყვება რომ შენი შვილის სამაშვა-
ლო იმას აღარ ეჭნება წალებული...

— აბა ასე, ჩემო სოლომან...

— კი ბატონო!

— ამ საშ დღეში მოგელი და იმ ყმაწვილის აზრსაც გა-
მაგებინებ, შენი სულის ჭირიმე...

— კი, კი.

— შენს სულს დავენაცვლე... შენ თუ მოინდომე, ყოვე-
ლიფერი იქნება; რაღა თქმა უნდა... ახლა ისე წავალ სახლში,
თუგინდ ფრთხები მქონდეს შემოსხმული...

— ახლა რავა წახვალ სახლში, რას ამბობ, ბესარიონ?

— კი, შენი ჭირიმე, კი...

— გადირია ჩემი მტერი... ამ ღამეში სიარული?.. მოი-
ცენე და ხვალ დილა-აღრიანად წაბძანდები და ის იქნება...

— არა, არა, სოლომან ჩემო!

— რა მიზეზია, რატომ ახლა?

— მართალი გითხრა, არ მინდა ვინმეგმ გეიგოს, თუ მე შენთან ვიყავი... არაფერი არ მიტირს... ცხენი კაი მყავს... თვალს არ მაჟლია... მეტი რა მინდა... შვილობით, შენი ჭირი-მე, და აბა, შენებურად მომიკვარახჭინე ეგ საქმე და მერე მე და ჩემმა ნამუსმა ვიცით...

— შიში ნუ გაქვს... დაიმედებული იყავი!.. ოღონდ შენი მხრით შენი სიტყვა არ დაივიწყო!..

ბესარიონი გამოემშვიდობა სოლომანს, მოაჯდა ცხენს და ისე გააქროლა ამ უმთვარო, ბნელ ღამეში, რომ მხოლოდ ცხენის-ფეხის ტყაპა-ტყუპი ისმოდა.

— ეფროსინე! — მხიარულად შესძახა სოლომანმა ცოლს, სახლში რომ შევიდა: — ლმერთი ისევ ჩვენსკენ არი... ან კი რა-ვა ღოუკარგავდა საწყალ კაცს მის ნაშრომ-ნაღას-ნაწვალებს... წარმოიდგინე, ბესარიონ საქარაძე იყო ახლა ჩემთან — და სოლომანი მოუყვა, თუ რა ღაპარაკი ჰქონდათ და რა პლანები დააწყვეს. — მეც მაგას მოვიფიქრებდი, რასაკვირველია, მარა ისე ვიყავი გაცეცხლებული, რომ ნამეტანი... რა ეშმაკი კაცია, ბესარიონიც... ისიც გეიგო, ესეც და ახლა უნდა, რომ ორივე ყმაწვილი შეაჯიბროს... რა ოხერი რამაა... მარა იმათ ყველას თავი უტეხიათ... მე ჩემი არ დამეკარგოს-და!..

იმედ-მოცემული, გამხიარულებული სოლომანი მაღიანად უეკუა თავის ღარიბულ გახშამს და სიმოვნებით გადაჰკრა თრიოდე სტაქანი წყლიანი ღვინო.

მეორე დღეს სოლომანმა გასწია ქაიხოსრო ქათამაძისას.

ქაიხოსრო ქათამაძე იყო სასულიერო წოდების კაცის შვილი, თუმცა თეითონ ღვდლობა არ დეეძია, უფროსი შვილი, ნიკო კი სამღვდლოდ გამოზარდა და სემენარიაში კურს-დასრულებულისათვის ცოლის თხოვნას ეჩქარებოდა, რაღანაც ეპისკოპოზს მისი მღვდლად კურთხევა უნდოდა. ნასწავლის შვილით თავ-მომწონე ქაიხოსრო ქალების დიდ გამორჩევაში იყო თავის შვილისათვის: ლამაზიც, დიდ-მზითვიანიც და კაი

გვარიშვილიც უნდა ყოფილიყო უსათუოდ მისი შვილის საკოლო. ბევრს აზნაურს ენატრებოდა ეშვივა სიძედ სამღვდლოდ გამზადებული ყმაწვილი ქათამაძე; ბევრმა დაივიწყა ამისათვის-თავისი გვარიც და წინანდელი წარჩინებულობა, მაგრამ ბევრი ღირსი არ გახდა ქაიხოსროს ყურადღებისა. ბეღმა, ისიც სოლომანის წყალობით, ბესარიონ საქარაძეს გაულიმა, მაგრამ ამ უკანასკნელს წელი სწყდებოდა იმდენის მზათვის მიცემითა. რა-საკვირველია, სხვა შემთხვევაში ამდენი პატივი არ დაედებოდა ნიკო ქათამაძეს, მღვდლად საკურთხი რომ არ ყოფილიყო. მღვდელს ცოტა ჯამაგირიცა იქნებოდა შემოსავალიც თავის-მრევლიდან და ამით უფრო უზრუნველყოფილია, ვიღრე უმეტესი ნაწილი სრულიად გაღარიბებულ, გაღატაკებულ, დაცემულ ჩვენებურ აზნაურობისა. ბესარიონიც ამ უკანასკნელებს ეკუთვნოდა და აღარც თავის აზნაურულს სიამაყეს დაეძებდა, აღარც თავის კარგ გვარიშვილობას, ოღონდ რაიმე გზით ქალი-შვილი იმისთანა კაცისათვის მიეცა, რომელსაც ლუკმა პური-მაინც საძებარი არა ჰქონოდა. ქაიხოსრო კიდევ გულ-დაწყვეტილივით იყო, რომ მისმა შვილმა ასი თუმანი ვერ აიღო, მაგრამ შვილის ხათრით აღარაფერს ამბობდა; იცოდა, რომ ნიკოს მეტად მოსწონდა საქარაძის ლამაზი ქალიშვილი; თან ესეც ამშვიდებდა, რომ გამრჯელ, დაუზარებულ ქაიხოსროს, თავის დაგვა-რად, კარგი მოწყობილი, შეძლებული ოჯახი ჰქონდა.

სოლომანის მისვლისათანავე იკითხა, რას შვრება ბესარი-ონიო, მზათაა თუ არაო. სოლომანი თვისის მოქარებულის ენით მოუყვა, თუ რა მზადებაშია ბესარიონი და რა სიხარულით მო-ელის ქალიშვილის გაბედნიერების დღეს, და ამიტომ, მისდა ნებისად, ჯერ მზათ არაა და მალე კი ცველაფერი თავმოყრი-ლი ექნებაო. ქაიხოსრომ ვერც ახლა მოითმინა, რომ სოლო-მანისათვის საყვედური არ ეთქვა, შენ შემაცთინე და ასე ცო-ტა-მზითვიანი ქალი ათხოვიყ ნიკოსაო. სოლომანმა კარგად-იცოდა ქაიხოსროს ხასიათი და თავი მოუქონა.

— შე დალოცვილო... ქალი კაი ვუშოვე, კაი ოჯახისა... და ფული თქვენოდენი ვისა აქნეს!.. რაღათ გინდათ ერთ სა-

ცოდავ აზნოუშეილს თელი საცხოვრებელი რო წაართვათ?!.. მოგცემსთ კი, მარა ღვთის მოცემული თქვენ რომ თქვენი ბე-ვრი გაქვთ... რაღათ გესაჭიროებათ მეტი?!!..

ქაიხოსრომ სიამოვნებით გადიხარხარა ამ ქებაზედ დასო-ლომანს უთხრა.

— მეღლა ხარ, მეღლა, სოლომან ჩემო!

სოლომანის ქება-შესხმით ნასიამოვნები ქაიხოსრო მეათა-სედ მოჰყვა, რა ნაირად მოსწონდათ უფროსებს სემინარიაში მისი შეიღლი, რას ჰპირდებოდა ახლა ეპისკოპოზი,—ერთის სი-ტყვით, მოხუცებულს კაცს მეტის-მეტად მოსწონდა თავისი შეიღლი. სოლომანმა დიდის მოთმინებით მოისმინა გაუგავებე-ლი ტრაბახი მოხუცებულის კაცისა და მემრე, როცა მოხერხე-ბული დრო იშოვა, თავის საქმეს შეუდგა. მოუყვა ნიკოს საქ-მის გარემოებას და ყმაშვილი ძალზედ ააშფოთა თავის ნაამბო-ბით.

— უსათუოდ უნდა დოუკლო იმ კაცს ასი მანათი, თვა-რა ბესარიონი სხვას მისცემს ქალს... ასი მანათის გულისათვის რავა დაკარგვას ყმაშვილი კაცი იმისთანა საცოლოს, როგორც საქარაძის ქალია! მე არ მოვკლედ! შენ ის არ იფიქრო, მარტო ჩემი ინტერესი მალაპარაკებდეს... მაშინ უსინიდისო დამიძახე... მე ის მინდა, რომ კაი ყმაშვილს, როგორიც შენ ხარ, ჩენი ქვეყნისთვის სასარგებლო, რასაკვირველია, შეგხვდეს კაი ქა-ლიც... ჩემი სარგებლობა უპირველესი ის იქნება, რომ მოუყვა-რედ შემძინება ერთი კაი ოჯახი... და ღმერთმა ყოველ ჩე-მიანს მისცეს იმისთანა კაი საოჯახო ქალი, როგორიც ელპიტე იქნება... ლამაზი, მშვენიერი, წყნარი, თავმდაბალი, უწყინარი, ჭკვიანი, მორჩილი ყველასი, ერთი სიტყვით, რაც კი საჭიროა საოჯახო ქალისათვის... ყმაშვილი დაკარგვას ასი მანეთის გუ-ლისათვის ამისთანა ქალს?! არა მცონია!—დაატანა სოლომანმა და თავის ლაპარაკით იმ ზომამდინ მიიყვანა ყმაშვილი კაცი, რომ, პირიქით, ის ეხვეწებოდა და ემუდარებოდა, შემწეობა აღმომძინე, დამეხმარე საქმე არ ჩაიშალოსო. ნიკო თანხმა იყო სოლომანის ყოველ წინადადებისა ყოველის მისის რჩევისა.

გამარჯვებული მაშვალი ახლა მხიარულად მიაჩაქაქებდა საღა-
მოს ჯორს თავის სახლისაკენ და ერთხელაც არ უთქვაშს წყრო-
მის სიტყვა თავის დაულალავის ამხანაგისათვის.

კვირიკაბისთვის დამლევი იყო. ბესარიონ საქარაძის პატა-
რა ეზოში ბლომად მოეყარა ხალხს თავი; ბევრი კიდევ თან-
და-თან ემატებოდა. ეზოს ერთს კუთხეში გაკეთებულ ფანჩა-
ტურს ქვეშ სუფრები იყო გაწყობილი, გრძელი ფიცრის სა-
სხლომებით აქეთ-იქიდან. საღამოეამდებოდა. სასიძო თავის მა-
ყრიონით უკვე კაი ხნის მოსული იყო.

მორთულ-მოქმაზული დედოფალი, ეკლესიაში წასასვლე-
ლიად ჯვარის-დასაწერად მომზადებული, ჯერ-ჯერობით ქალე-
ბით გატენილ, პატარა ოთახში იჯდა, მორცხვად თავ-დახრილი
და ძირს თვალებ-დაშვებული. დედა-მისი პელაგია მოუსვენრად
იყო, ხან-და-ხან შემოირბენდა ოთახში და ისევ მალე სადღაც
გაჭქრებოდა, ყველას რაღაც აღშფოთება და უკმაყოფილოდ
ყოფნა ეტყობოდა. ხან-და-ხან თუ გადუუზრუნებდა ერთი მეო-
რეს ორიოდე სიტყვას. და მერე ისევ მალე შესწყვეტავდნენ
ლაპარაკს და თავის ქნევით დედოფლისაკენ გაიკირებოდნენ.
ეტყობოდა, რაღაც უსიამოვნო ამბავი უნდა ყოფილიყო, რომ
ასე მწერარედ იყო მთელი ეს საზოგადოება.

მართლაც, სამწუხარო ამბავი იყო. ქაიხოსრო ქათამაძე
წასვლის პირობდა შვილიან - მაყრებიანად და იძახდა, რომ
ერთს წამსაც არ დავიცდი, თუ ბესარიონი თელათ ოთხას მა-
ნეთს არ ჩამაბარებს ხელშიო. ბევრს ეხვეწნენ, ათასნაირად ამ-
ართლებრნენ ბესარიონს, მოატყუა ერთმა კაცმაო, გუშინ უნ-
და მოეტნა ასი მანეთიო, ბევრი ამისთანები უთხრეს, მაგრამ
მოხუცებული ვერაფრით ვერ დაამშვიდეს და ვერ დაიყოლიეს.

— ბატონო, იყოს ეგ ასი მანეთი ბესარიონზედ... მერე
მოგვცემს, ხომ არ დეიკარგება... უსიამოვნობას ნუ მივაყენებთ
ამ თელ საზოგადოებას! — უთხრა სასიძომ მამას.

— შენ, შვილო, ჯერ ქვეყნის ამბავი არაფერი იცი!..
შენს გამოზღაში რომ მე ფული დამიხარჯავს, ტყვილა ნაშო-

ვარი კი არ მქონებია... შენისთანა ყმაწვილს ის მზითები ეკადრება, ბესარიონი რომ შენ შეგპირდა?.. იმსაც აკლებს კიდევ?!.. არ მოგიკვდეს ქაიხოსრო, მე ეგ არასფრის გულისათვის არ ვქნა, შენ ჯვარი არ დაგაწერიო!—თითქმის ყვიროდა გაშიშმატებული ქაიხოსრო.

— გთხოვ, მამა...—დაიწყო ნიკომ.

— ტყვილა მთხოვ!

— ჭულია! — წარმოსთვეს მოურავმა და მის სმას რაღაც. ურუ
სიბრა და ყელის ამოსლანსუვა დაეტეო.

— რას მიბრძნებ?

— ნერ ერთი ლაპარაკი დავიწევთ მოსკოვში და ერ ბაქაობეთ.

— ას, მირონ იგნატიი! ორგორ არ გავათავეთ, დღემდის ის

შეჩერებულები ნამდვილ ეშმაგებად მეჩენებიან!.. შეკები, პირიდგან ცეცხლი ამოსდით, რქებიც კი აქვთ. გხილუბი დაუკრეციათ და თოთო მტკაცელი ღოვან ტუჩებს აქეთ გადმოუშვიათ.

— რა სისულელესა დაპარაკობ? — მეგას ედ უთხრა პოლოსკობი.

— შენ არ მითხარი, მირონ იგნატიიჩ?.. აა ჩვენსა რომ სტუმრები დადიოდნენ... ღმერთო ჩემო, სახამ შენ არ ამისილე თვალები, რატომ გრა გხედავდი?.. დღემდის ნამდვილი, სწორედ ნამდვილი კაცები მეგონენ, და დღეს კი დავოწმუნდი, რომ ეშმაკები უფრიანან!

— კარგი, კარგი... მაგას თავი დავანებოთ, მე მაგაზედ არ გელაპარაკები. — უკამაყოილოდ უთხრა მოურავას, რომელსაც კულის მიუხედრებელის გამო გუჯი უწესდებოდა.

— მაშ რაზედა ბრძანებთ, მირონ იგნატიიჩ?.. — უპასუხა ქადმი, დააწერ არიგე სელების თითები სტოლზედ და შეშინებულის თვალებით კატასაკით შესცემოდა.

— გახსოვს, ჩვენ დიდიას გათხოვებაზედ დავიწყეთ დაპარაკი და საქმრო კი გრძ ამოუკრჩიეთ?

— როგორ არა, მახსოვს, მირონ იგნატიიჩ! მახსოვს. შენის წეალობით გადარჩა იმ ბარსაროსების, რომელიც ნახშირსაკით შავები არიან, პირიდან ცეცხლი ამოსდით და თითო მტკაცელი ღოვანები აქვთ...

— მოიცა, ნუ როშამ მოშლილ წისქიალსაგით, — შეაუნა მირონამ.

— მე რა, მე არა... მე ხომ არავერს კამბობ.

— მაშ, რას ჭიდიქრობ დიდიას გათხოვებაზედ?

— რა უნდა ვითიქრო... რა ვიცი ფიქრისა? ფიქრი შენი საქმეა, მირონ იგნატიიჩ! როგორც გინდა, ისე მოიქმედო.

— მაშ თუ ჩემი საქმეა, — გასწორდა პოლოსკო: — ლიდიას რუჭარგი ჟარირნი არ გაუწნდა, ისეთი სისიათი აქეს, რომ მალე დაიღუპება.

— დაიღუპება, მირონ იგნატიიჩ! ჭეშმარიტია, რომ დაიღუპება.

— ახლა, როგორა გგონია? ვინ აკარჩევ მის საქმირდი? — ჭიდოთხა მირონამ და უურება დაუწერ.

— არ კიცი, მირონ იგნატი! არა.

— მე აკარისი ისეთი კაცი, რომელიც ქმრობასაც გაუწევს და მამო-
ხასაც! — ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა პოლოსკომ და უგან დაიწა.

— ესე იგი, ოოგორ, მირონ იგნატი! — შეჭედა ქალმა: — კარ-
გად კურ გამიგა, რას ამბობთ?

— კიდევ ეგ არის, რომ კურ გაგიგიათ! — მაუგო მოურავმა და
შემდევ დაუმატა: — ისეთი კაცი ამინტენია, რომელიც მიმას მზრუნვე-
ლობას არ მოაეჭერს და ქმრის მოვლეობასაც ალესორულება.

— არა, არ მესიმის... ჴა, ჴა, ჴა! — გაიცინა ჯულიამ, თითქოს
სიცილით უხდა შეისყიდოს მოურავის მოთმინებათ. — არ მესმას.

პოლოსკომ შექმნდებირა და ქალს გაღიძებული სახე ისეპ გაუ-
შესდა.

— მაშ პირდაპირ გეტევი. — მკაცრად წარმოსოთქვა მან და მკა-
ფიოდ დაუმატა:

— ლიდია მე უნდა შევირთო...

იმის მიუხდავად, რომ ჯულია სმა-ამოულებელს მორჩილებას
იყო შეჩერება, ამ სიტუაციის გაგონებამ უკადაგებრი გადააიწეა და,
თუმცა სმა არ ამოუდია, უკან მიაწედა; არივე სელები რამდენ ჯელმე-
დაიქნია და მთლად გაფითოდა.

კარგა სანია გაიარა, სანიმ ჯულია გონის მოვიდოდა და წენა-
რად წარმოსოთქვიძა:

— რას ამბობ, მირონ იგნატი! ღმერთისა მაინც არ გეშინიან?

— რად გაგიკვირდა? — ჴკითხა მირონიმ. — ლიდია ლამაზია, წა-
შოსადეგი, უმარილი... მეც, მართალია, სანში კარ შესული, მაგრამ,
უმადლობ წემს დმერთსა! მურნია კურ არა მიქიოს-რა?.. ესლანდელს
ციანა უმარილებს თუნდა ათს მოუგერეს გისერისა. — სთქვა მირონს
და ისეთის ძრიელებით დაჭრა მუშატი სტოლს, რომ თითქმის
სასლი შეინძრა.

ჯულიას შეეშინდა და წმოლებარდა ზეზედ.

— მირონ იგნატი!.. მართალისა ბრძანებოთ... მაგრამ... მაგრამ...
ოოგორ იქნება?... მე... მე...

— შენ რა? — შეჭედა ურცსკად. — გინდა სთქვა, რომ შენი. სა-
კურელი კაეგვ?

ქალს შერცხვა, თავი დაჭრა და მთლად გაიწურა.

— ჴა, ჴა, ჴა! — ბოროტად ჩაისასარა მირონიმ. — რა კუურთ?
განა ცოტა ქალებს გაკარშეიგებიგარ?

— ცოდოა თქვენთვის, მირონ იგნატი! ცოდო! — ძლივს წარ-
მოსთქვა კულიამ და თვალებზე ხელი დაიფარა.

— ეს რაღა ამაგია? — დაუდრიადა პოლოსკომ. — ცოდებული...
არ გაძედო! — წარავლო სელი და მორე სელით მუშიტი მოუდერა.

— კა! — დაიძსა დედაგაცმა და მუსლიმზე დაეცა.

შირონამ შეჭირა ზიზდითა, ქალის გამათასირებულის სარ-
სარით ჩაიხარება და უთხრა:

— წინააღმდეგობა? არ გაძედო, არ გაძედო-მეთქი, თორემ,
გაგსრუსამ!.. გეძმის? გაგსრუსამ-მეთქი!

ქალი ცახცახებდა და შიშიაგან სახე დაპრანწოდა. დიდის სნის
მტარევლობის ქეშ ყოფნას ყოველივე საკუთარი წადილი დაეკრია
და სხვის ბრძანებლობის აღმსრულებელ იარაღად გადაქრიცებულიურა.

— ლერთო, ლერთო! მირონ, მირონ იგნატი! შემიბრულე! —
ცხარიგით შეჭირა დამონებული.

პოლოსკომ სელი გაუშვა, სხა გამოიცვალა და, თითქოს მო-
ტბა, მომშვიდობა და უთხრა:

— მაგრამ ჩემს წინააღმდეგ მაიცც არ მოიქცევი... კარგად
უნდა გესმოდეს, შე სულელო, შენა! — აქ პოლოსკომ შესუმრებითაც-
კი გააბეჭიოა, ცხვირზე წესარად რამდენჯერმე წიოპურტი დაჭ-
კრა და განაცრო: — შენის სიუკარულისათვის ჩავდივარ ამას... მუ-
მინდა, რომ ოჯახში უცხო ვინმე არ შემოგვეპრას, უკეთავერი სელ-
ში არ ჩაიგდოს და ერთს დღეს ულუკმა-პუროდ არ გამოგაპან-
სუროს... გეძმის? გაიგე, რომ შენთვისა კურუნავ და შენის გან-
ცხომისათვის თავი უნდა გაგწირო!

— გაიგე, მირონ იგნატის, გაიგე. — უპასუსა ქადმა, მაგრამ
სახე კი ოდნაკაც არ შესცევალა, ისევ ის სულეთ-მობრძანის მეტები-
ლება ჰქონდა, ისევ იმ მწარე სატანკევლსა ჰქონდა.

— მე მინდა, რომ იმ სახლში, სადაც შენ უკეთავე და მეტი
უფლება გაქმის, შენი ღირსეული ადგილი გეჭიროს.

— განა ჩემი გაგდება შეუძლიან ვისმერი — ივითხს დედაცმა
და გამოუცდელის თვალებით დაუწურ ცემრა.

— რასაკვირველია, შეუძლიან! — გადაშალა სელები მოურავმა. —
განონათ შენ სკეტლიციის ცოდად არა სარ ცნობილი და, ვინწ
შენის ქალის ქმარი იქმნება, სასლიდან გაგაგდება... მე რომ შე-

გირთო დიდია, მაშინ სულ სხვა იქნება... მე მიუკარხაო შენა და მენის ქალის კი მსოლოდ ქმარი მერქმევა.

— ქალის ისებ გონივრულმა მოაზრებამ გაურბინა თავში, გულ-მა საწინააღმდეგოდ გაიბრულა და სცადა კიდევ სიტყვა ჩატხოვა ურცხვის დაპარაკში.

— კარგი, მაგრამ... არ მესმისი... არ მესმის, მიროს იგნა-ტიჩი...

— აა არ გესმისი? — უკმაყოფილოდ გააწევეტინა მოურავმა სი-ტება.

— ნემი ქალის ქმარი შენ უნდა შეაქნე? — წამოიძისა ჭულიამ და თთებს მტრევა დაწმუნა. — როგორ იქნება, როგორ მოსერსდება? ..

— დავიცერდი, ცოტაოდნად ტერინი გაანმორი და სულელური ცოუ-მორწმუნოება და ამია შესედულება გადასგდე. ისეთის სახლ-ში სარ აღზრდილი, რომ მაგ სესი უკრეველი გავლენა უნდა ჰქონ-დეს შენზედ, მაგრამ ცოტა მალა დატანე შენის თავს, რომ შენი მოქმედება სამუდამოდ თავში სარემი არ გაგახდეს. — გაცი მიუკადა ასლოს. — აივიკრე, შენი ქალი იზრდებოდა თავისის მამისთან, რომელ-საც თვალის დასახსავად ეყავრებოდა. შენი ქმარი ბავშობიდანეს შენის სიძულვილს აწერებდა უკრეში ლიდიას; ლადია შენის უსიყვარულობას... მითხარ, უცემოდ ვისი-და იმედი გაქცე? ... არა, ჭულია, შენთვის, შენის მოსერებისათვის ლიდია მე უნდა შეკირ-თო და შეკირთვ კადეც.

მეტის-მეტად მნელი იურ უბედურის დედაკაცისთვის ამ სა-ზიზღარის წინადაღების თანსმობა გამოეწისდებინა, მაგრამ სხვაიროვ კერ მოიქცეოდა, რადგანაც საკუთარი სურგილი წერთვათ მისთვის, საკუთარი წადილი აღარა ჰქონდა.

შეშინებული, დამონებული, დატუშებული და დაჩაცრული სუ-ლი სულიერის ღირსების მოკლებული იურ და სწორედ იმ დროს, როდესაც წინააღმდეგობისათვის უკნასენელი საშუალებას სმარბლა-და, ბრძანების აღარულებას შეჩემება ბუნება უკელაიერს ეთანხმებოდა.

კიდევ დიდ სასი მოუნდა პოლსკოს მეცადისება ჭულიას და-სარწმუნებლად; კიდევ დიდ სასი ცდილობდა დაეკერებინა, რომ უკედას საბენიეროდ საჭირო იურ ლიდია იმას შეკრთო ცოდნად.

— მაშ თანასმა სარ? — უკანასკნელად ჰქითსა პოლოსკომ.

— რაც გინდა ჭერა, როგორც გინდა, მოიჭერა, — ქვითინით წარ-
მოსთქმა კულიამ, დაიფარა პირისასეზედ სეღვით და ოთახიდვან
გასკლას აპირებდა.

— მომცა.— შეაყინა პოლოსკომ.

— არ დამიშლი, არ ეწედება შემიშალო სეღი?

— რაც გინდა, ისა ჭერ-მეთქი.

— შემწეობასაც სომ მომცემ?

— მომიტევ... მაპატი და ეგ-ეი აღარ შემიძლიან? — უპასუხა
კულიამ, წასკდა ქვითინი და მდუღარებას აშენებდა.

— შეგაძლებინებ! — დაუღირიალა ისკვ პოლოსკომ, დაუჭირა მკლა-
ვი და ისეიის ძალით დაიქნია, რომ ქალს ზღართანი გასდა იატაკზედ.

— მოგვლამ, საზიზღარო! — წაუჭირა უეღში პოლოსკომ. — დაგარჩობ!

— ღმერთო მაღალო! შენ შემიწევალე! — უეღში სრიალით წარ-
მოსთქმა ქალია და ამღვრეული თვალები კაცს მიაქცია. — კმარა, გეუთოვა.

— აღასრულებ ყოველს ჩემს სურვალს?

— სომ იცი, რომ აღვასრულებ, რაღად მაწევალებ, რაღადა მკითხავ?
მიროსამ გაუშევა დედაკაცი და ჩაცინებით წარმოსთქმა:

— შესა მტერი — შენი ენა უოფილა!.. წადი მოქმედე, დამ-
შეიდგი და ლიდიას გაფავავებამ არ შეგაშინოს, თორემ კაი შეს გინდა.

დედაკაცი წამოდგა, დარეტიანებულივით წავიდა ფართვატით,
რამდენ კედებ შესდგა, კედელს მიეუუდა და ბოლოს კარებამდის ძღიგს
მიაღწია.

კაცი გარგა სასის ჩაფაქტებული უუერებდა იმ კაცებს, საიდგანაც
კულია განიდა და ბოლოს წამოიძახა:

— მეტის-მეტი სულელია, მაგრამ ეგა სფობს.

(დასასრული არ არის)

ՍՈՍԵԼՈՒՏԱ ԷՎ ԹԱՇՅՈԼՈՒՏԱ

Իռթանո

Ճյենքոց Տեհիշտիսա

III *)

Համզենուսամյ դլու Մյմզեց հաֆմո . հիյենու . դյևանուսա ցայ-
մարտա լուսնուսային . ցազունուն ընեպիշո լա ցայւագնուն վայց ցիսա ,
հոմյելուց մինդոր-մինդոր մծուուա շույունչել , Մյուլ-սայլա-
ցասա լա եռհուունչել . յւ ցիս հիցորունսա լա լուսնաս Մո-
րու . մյուլագ , հուու ցըրմանմա շուլլկյեցիմ ըուու ռմո ցալուսա-
լա և սուլունուցիծ աելուս , այյետ ցիցօ սյուլ ար ոյո . լուսնո-
ւան կոյց . ան Ծյոյ-Ծյոյ գագուունուն , ան մինդոր-մինդոր , հի-
ցորունս կոյց—Ծյալ-Ծյալ . սահուցագուա , յւ նյեժա-Ծյեպիս սա-
հելմիոյու—մյուլյեցուրո Ֆուլուցուցիս մյույնա—յրուա սու-
րո աջուու ոյո , Կուրա մյուրա լասաելուցուրո , զուուր պույ-
մինցուրուն . ամ սութանու ե՛մուրա յ՛վուալունուն եռլու տատրյեն
լա օմոյր-կորոմյելոն ծրծոն .

Սյուլուս ցալմա-ցամունիա ըուու , ելու-սուլյեցու Ծյոյեց ոյո
աբյենուո . սեցա ըուու լա პարարա մծունարու լա ածլուն նաձուրյեալ
ցալակոմյուլուու սամուրեց լա վառեց օ . ամ Ծյոյեցսա լա վառ-
եց մենու ար ոյո սյունինա ծոնա յըունա սեցա-լա-սեցա նագուր-
սա ; սուրան Ծյու Ծյեպրեց մրացլագ ոյո չունցու , լատու լա
ցարյուլո լուրո ; մրացլագ ոյո աշրայց մյուլո , ուուսեցրո ,
կայրնա , մյուրույո ; վառեցսա լա մծունարու լա արնեց մուսարեց-

*) «Թոամից» № 11.

ლი წავი იყო დაბინავებული თავის ახირებულს საღომში-იმიერ-ჭორომეოში ამბობდნენ, რომ ზოგიერთი წავი ასის წლი-სა იქნება და სიბერისაგან ისე გათეთრებულია, როგორც თოვლიო.

მაღლობ მინდვრებში ბევრი იყო ჯოგი გარეულის ცხე-ნებისა, რომელგანც დაპუტკუპებოდათ ფაფრები და სისხლითა ჰქონდათ გავსებული თვალები. მდინარეებში ფუსფუსი გაჰქონ-და თვეზის ქარვანსა, ხოლო ლელიან-ჩალიანები სავსე იყო იმ ფრინველითა და ფრთოსანით, რომელსაც წყალი უყვარს. ჩინე-ბული იყო, ეს ქვეყანა, რომელიც თითქმის ძილს მისცემოდა, თუმცა კი ეტყობოდა კიდევ კვალი, რომ წინად აქ აღამიანს ჰქონოდა ბინადრობა. საცა არა მგონია ნანგრევნი სჩანდა რო-მელლაც ისტორიის უწინარეს ქალაქისა; თვით ლუბნი და ხოროლი ძველებურ ნანგრევებზედ იყო გაშენებული; ხშირი იყო საფლავებიც, ახალი და ძველი, რომლებზედაც უკვე ტუჩ გაჩენილიყო. როგორც ყრუ მინდვრებში, აქც ლამ-ლამბით წამოდგებოდნენ ხოლმე ვითომ სულნი მიცვალებულთა და სხვა-და-სხვა მავნენი და ჰქონდათ ერთი ამბავი; ხოლო მოხუცნი იმიერ-ჭორომელნი ხშირად უფრო საკვირველებას უამბობდნენ ხოლმე ყმაწვილებს ლამ-ლამე ცეცხლა-პირას; დიდი ამბავია ხოლმე ხან-და-ხან იმ უსიერსა და უღრანს ტყეებშით, საიდა-ნაც ისმის რაღაც უცნაურ ნადირთა ღმუილი, ყვირილი მგელ-კაცებისა, ყიუინი არც თუ ომ-ბრძოლისა და არც თუ ნადი-რობისა; წყალ-ქვეშ წერიალი გააქვს ხოლმე იმ ქალაქის ზა-რებს, რომელიც დიდწყლობას ქვეშ დაუტანიაო. ადგილ-მამუ-ლი ნაკლებად იყო გამოსადეგი და ძნელიად მისავლელ-მოსავ-ლელი: ზოგან მეტად ჭაობიანი, ზოგან ურწყავი, გადახრუკუ-ლი, გოლვიანი და საკმაოდ საშიშო ბინადრობისათვის. დასა-ხლდებოდნენ თუ არა და დაიწყებდნენ მოწყობას, მოვიდოდა ბრძო თათრებისა და აკლებდა, მოაოხრებდა ყოველსავე. ამ ქვეყნებს ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე მხოლოდ იმიერ-ჭო-რომელნი: იქერდნენ წავსა და ნადირობდნენ თვეზისა და სხვა ნადირსა. როცა შიშიანობა არ იყო, უმეტესი ნაწილი ქვე-

მოურთა აქეთ-იქით დაიქამდებოდა ხოლმე სეჩიდან და მიღიოდა სანადიროდ, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, „საშოვარზედ“: მოედებოდნენ მდინარეებსა, ტყე-ღრეებსა, ლელიან-ჩალიანებსა და ნადირობდნენ წავს ისეთს მიყრუებულ, უხვედრ ადგილებში, რომლის არსებობაც იქნება არც კი არავინ იცოდა რიგიანად.

ხალხი მაინც თავისას არ იშლიდა და ცდილობდა დამკვიდრებულიყო როგორმე აქაურობაში, სწორედ ისე, როგორც მცენარე ცდილობს გაჭმაგრდეს. დედა-მიწაში ფესვებითა და, ერთგან ამოგლეჯილს, მეორეგან უნდა ფესვები მოიკლოს.

და აი ამ უდაბნოშიაც გაჩნდა ქალაქები, სიმაგრენი, ახალ-მოშენეობა, მოსახლეთა სოფლები და მეკომურთა ბინადრობა. მამულები ადგილ-ადგილ ნაყოფიერი იყო, ხოლო ხალხს აწესებდა ნამეტანობა თავისუფლებისა, უარარაობა კავშირისა. ნამდვილმა ცხოვრებამა და ბინადრობამ იჩინა თავი ამ მხარეში მხოლოდ მაშინ, როცა ეს მამულები ხელში ჩაიგდეს თავად კისნევეცეცებმა. თავადმა მიხეილმა, მოგილეველის ქალის შერთვის შემდეგ ცოლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თავისს იმიერ-ღნეპრის სამფლობელოს; მიხეილი ურჩევდა ყველას იქ დასახლებასა, აძლევდა მამულებს ყრუ ადგილებში, ათავისუფლებდა ხარჯისა და ბეგარისაგან ოც და ათის წლის ვადით, აშენებდა მონასტრებსა და ყველგან შეჰქონდა თვისი წესი და რიგი. ისიც კი, ვინც დაიდის ხნიდგანვე იყო დასახლებული და ფიქრობდა, რომ ჩემს საკუთარს მამულზედა ვარ დაბინავებულიო, სიამოვნებითა კისრულობდა თავადის მორჩილებასა და მის ხიზნობასა; კარგად იცოდა, რომ ამ ხიზნობისათვის შფარველობას გაუწევდა ძლიერი ბატონი და, მაშასადამე, აღარავითარი შიშიც აღარ ექნებოდა თათრებისა და ქვემოურებისა, რომელნიც თათრებზედ უფრო საშიშნი იყვნენ. ცხოვრება აღყვავდა და დაიწყო პირამდე დუღილი უფრო ახალგაზდა თავად ერემის რეინასავით მაგარს ხელში. მისი მამულები იწყებოდა იქვე ჩიგირინიდან, ხოლო თავდებოდა კონტო-

პთანა და რომნებთანა. ეს კიდევ არაფერი: მისი საკუთრება იყო მამულები სანდომირის სამოურავოდგან დამოკიდებული ვილნოს სამოურავოში, რუსეთისაში და კიევისაში; პუტივლის ახლო გამარჯვებულს თავადს კი უფრო უყვარდა მამულები ზედა-დნეპრისა.

თათარი დიდ ხანს დაძრწოდა ხოლმე ორიოლთან, ვორსკის ახლო-მახლო და სცევეტდა ყურებს მგელივით, ვიღრე გა-ჰედაედა ჩრდილოეთად ექნა პირი; ქვემოურნი მიწყნარებულნი იყვნენ; თეთვი მოუსვენარნი ახლო-მახლო შემდგარნი ბრძონი ავაზაკთა დაქმორჩილნენ თავადის ბატონობას. ნალირი, მოუსვენარი ხალხი, რომელიც წინად ძარცვითა და რბევით სცხოვრობდა, ეხლა განსაზღვრულ ყოფაში ჩავარდნის შემდეგ, დაბინავდა სამზღვრებს ახლო და გამაგრებული სახელმწიფოს მიჯნებზედ, როგორც ჯაჭვით დაბმული ძალი თავისის საშინელის კბილებით, ემუქრებოდა თათრების ურდოთა.

ყოველივე გაცოცხლდა და გადახალისდა. ძველის გზების ნაკვალევზედ გაიჭრა ახალი გზები, მდინარეთა ნაპირებად გაჩნდა გოდორ-ყურები, ამოვსებული ძარცვის დროს ტყვედ შეპყრობილ თათრისა ან ქვემოურის ხელით. იქ, საცა წინად ქარი ზუზუნებდა ლელიანებში, ახლა წისქვილებს გაჰქონდა მხიარულად რახრა-ში, ოთხსაზე მეტი ბორბალი ტრიალებდა, ქარის წისქვილებს გარდა, და ჰუკვევდა პურს მარტო იმიერ-ჭორომეთში. ორმოცათას ხიზანს მიჰქონდა ლალა თავისს ბატონისათვის, ტყები გაისა საფუტკრებით, სამზღვრებზედ გაჩნდა ახალი სოფლები, დასახლდნენ მეკომურნი. მინდვრებში გარეულ ჯოგთან ერთად სძოვდა ნახირი. ერთ-ფეროვანი, გულის გამაწვრილებელი მიდამო შეამკო ეკლესიებისა და მონასტრების შევერცხლილ და მოოქროებულმა გუმბათებმა და უდაბნო ნელ-ნელა გაივსო ხალხითა და მცხოვრებლებით.

ბატონი დესპანი კარგს გუნებაზედ იყო და მიღიოდა აუჩქარებლად; საშუალ არა ჰქონდა-რა, საქმე გაკეთებული იყო. თუმცა იანვრის დამლევი იყო, ზამთარი არას არ ეტყობოდა. ჰაერში გაზაფხულის სუნი იდგა; გამთბარი დედა-მიწა მოფენი-

ლი იყო გუბეებით, მინდორში ბალახი მწვანედ ბიბინებდა, ხოლო მზე ისე იკბინებოდა, რომ შუალელისას კაცი იძულებული იყო საზამთრო თბილი ტანსამოსი გაეხადნა.

რაზმი დესპანისა შესამჩნევად გადიდდა. ჩიგირინში მომატა ვლახეთის საელჩო ამალა, რომელიც გამოეგზავნა გოსპოდარს ლუბნში. ამალის უფროსად იყო პან როზენ ურსუ. ამალას თან ახლდა რამდენიმე ცხენოსანი და მხლებლებით საცხე ურმები. ამათ გარდა დესპანთან ერთად მოდიოდა ჩვენი ნაცნობი პან ლონგინუს პოდიპენტა, ზერვიკაპტურის ლერბისა თავისის გრძელის მახვილითა და ამდენისამე მხლებლითა.

ცხრა თვალი მზე, ჩიგებული ამინდი და სურნელება მოახლოვებულის გაზაფხულისა ატკბობდა გულს რაღაც სიხარულითა, ხოლო დესპანი მით უფრო მხიარულად იყო, რომ თავადის სახლში მიდიოდა ხანგრძლივის მოგზაურობის შემდეგ; თავადის სახლი კი მისი სახლიც იყო. მიდიოდა მაშინ, როცა უკვე კეთილად ჰქონდა შესრულებული მინდობილობა და ამის გამო, რასაკვირველია, დაიმედებული იყო, რომ თავადის სახლში კარგად დამხვდებიანო.

ისიც კია, რომ ცოტაოდენი სხეა მიჩეზებიც ჰქონდა ასეთის სიხარულისათვის.

თავადის ჯილდოს გარდა (დესპანს უყვარდა თავადი გულითა და სულითა), ლუბნში ელოდა დესპანს მაყვალივით შავი თვალები.

ეს თვალები ეკუთვნოდა ანუსა ბოჟობოლატა კრასენსკისას, კნეინა გრიზელდას ფრეილინას, ყოვლად ლამაზს მთელს ამალაში, დიდს ოინბაზს, რომელმაც თავბრუ დაახვია ლუბნის ახალგაზდა კაცებს, ხოლო თვითონ კი ისე ჰქონდა დამშვიდებული გული, ვითომც გარშემო არაფერი ამბავიათ. კნეინა გრიზელდას ზნეობა უპირველესს საქმედ მიაჩნდა, ზრდილობის წეს-რიგი სასტიკი იყო მის სასახლეში, მაგრამ ეს მაინც არ უშლიდა ახალგაზდობას ერთმანეთში სიყვარულის ისრების სროლა ჰქონდათ, ჩხვერა და სულთქმა-უში გაემართნათ. პან სქემეტუსკიც ოხრავდა სხვებთან ერთად შავის თვალებისა-

თვის, ხოლო როცა მარტოდ-მარტო დარჩებოდა ხოლმე თა-
ევის თათახში, წამოავლებდა ხელს ფანტურსა, და დაწყებდა
მღერას:

„შენ ყვავილო ყვავილთაო“....

მაგრამ რადგან მხიარულის ბუნების კაცი იყო და გაგი-
ჟებით უყვარდა თავისი სამხედრო ხელობა, მაინცა და მაინც
გულს არ უკლავდა ის გარემოება, რომ ანუსა, მასთან ერთად,
უღიმოდა პან ბიხოვეცსაც ვლახეთის დროშისას, პან უურცელ-
საც, რომელიც ხელობით თოფჩი იყო, დრაგუნს პან ვოლო-
დიევსკისაც, და ასე გასინჯეთ, გუსარს პან ბარანოვსკისაც,
თუმცა ეს უკანასკნელი საშინლად იყო დამახინჯებული ყვა-
ვილითა, ძალიან უკიდებდა ენას და ჩიფჩიფობდა, რადგან ტყვია
ჰქონდა სასაში მოხვედრილი. ჩვენმა დესპანმა ერთხელ კიდეც
გამოითხოვა ხმალში ანუსას გამო პან ვოლოდიევსკი და ბუმბე-
რაზობით ებრძოლა, მაგრამ როცა დიდ ხანს დარჩა ლუბში
უსაქმურად, გაბეზარდა და ანუსას ახლო ყოფნამაც ვერ განუ-
ფანტა მოწყენილობა; ამიტომ, როცა წასვლა მოუხდა იქიდან,
დიდის სიმოვნებით გაუდგა გზას: არც არა დაპნანებია-რა,
არცა-რა მოსაგონი დარჩენია რამე.

ახლა კი მხიარულად იყო. ახლა ყირიმიდან დაბრუნებუ-
ლი მოდიოდა, მინდობილობა კარგადა ჰქონდა შესრულებული
და ამიტომ მხიარულად ღილინებდა თავისთვის და მოერეკე-
ბოდა ცხენს. მის გვერდით მოდიოდა პან ლონგინუსი, რომე-
ლიც უზარმაზარს ცხენზედ იჯდა და ჩვეულებრივ იყო მწუხა-
რე და მოწყენილი. ეტლები და ურმები საელჩის ამალასი უკან
დარჩა; უკან დარჩენენ აგრელვე ჯარის-კაცი და მხლებელნი.

— ბატონი ელჩი ისე ძევს თავისს ეტლში, როგორც კუნ-
ძი, და სძინავს,—სთქვა დესპანმა.—იმდენი საკვირველი ამბავი
მიამბო თვისის ვლახეთისა, რომ ბოლოს ენა მოეღალა. კაი გასა-
გონი ამბები კია. დიალაცი, მაგათი ქვეყანა მდიდარია, ჰავა-
თბილი; ოქრო, ღვინო, საქონელი, ყოველივე უხვად არის.
მაშინვე ვიფიქრე, რომ ჩვენს თავადსაც, რაკი მაგილველ ქა-

ლისგან არის დაბადებული, უფლება აქვს-მეთქი გოსპოდარების ტახტის დაჭერისა. ვლახეთი უცნაური ხილი არ არის ჩვენებისათვის. ბევრჯელ აუდენიათ იქ ზურგზედ ბოლი ოსმალოს-თვისაც, თათრისათვისაც, ვლახელთა და სემიგრადელთათვისაც...

— იქ ისე მაგარნი ვერ არიან მცხოვრებნი, როგორც ჩვენში,—ჩამოართვა სიტყვა პან ლონგინუსმა.—ჩიგირინში მიამბო ესა პან ზაგლობამა, ხოლო იმისც რომ არ დამეჯერებინა, მაგასვე ამბობს სამღვთო-წერილის წიგნები.

— როგორ თუ წიგნები?

— მე მაქეს ერთი მაგისთანა წიგნი, შემიძლიან გაჩენოთ... სულ თან დამაქეს მუდამ.

პან ლონგინუსმა ჩაჰურ ხელი ხურჯინში, ამოილო იქიდან პატარა წიგნი, რომელსაც ტყავის ყდა ჰქონდა, ჯერ ღვთის-მოსაობით აკოცა წიგნს, მერე გადაჭმალა რამდენიმე ფურცელი და სთევა:

— წაიკითხეთ, აბა.

პან სქუეტუსკიმ დაიწყო კითხვა:

— „შენს მჯარველობას მოვმართავთ, ღვთისიმშობელო“... აქ ვლახების ამბავი არა არის-რა? რას ამბობ? ეს ხომ ძილის პირია!

— წაიკითხეთ ქვემოდ.

— „.... რათა ლირს ვიყვნეთ საუკუნო ცხოვრებისა. ამინ“.

— ჰო-და, ახლა კითხვაა...

სქუეტუსკიმ წაიკითხა:

— „კითხვა: რადა ჰქვიან ვლახეთის კავალერიას სუბუქი? მიგება: იმიტომ, რომ აღვილად და სუბუქად ილტვის ბრძოლის ველიდან. ამინ!“ — მართალია. ეს კია, რომ ამ წიგნში ძალიან არეულ-დარეული ამბებია.

— ეგ წიგნი ჯარის-კაცა წიგნია და ლოცვებთან ერთად შიგ მოთავსებულია სხვა-და-სხვა *instructiones militares*, რომელთა წყალობითაც ბევრს რასმე გაიგებს კაცი სხვა-და-სხვა ხალხის შესახებ, ვის რა ღირსება აქვს და რა ნაკლულევანება სჭირს; აი, მაგალითად, ვლახების ამბავს, რომ ისინი მხდალნი არიან და მასთანვე დიდი მოღალატენი და ფიცის გამტებნი.

— რომ მოლალატენი არიან, იქიდანაცა სჩანს, რაც თავად მიხერლს. გადახდა... მაგრამ აი ჩვენს თავადს ვლახეთის მთელი სადროშო ჰყავს პან ბიხოვეცის უფროსობით. ეს კია, რომ ამ სადროშოში ოცი ვლახელიც ძლიერ იქნება.

— როგორა გგონიათ, ბატონო დესპანო, დიდია თავადის მხედრობა?

— იქნება რვა ათასამდე, ყაზახნი რომ არ ვიანგარიშოთ რომელნიც მიჯნებჩედა სდგანან. ამას გარდა, ზაცეილიხოვსკიმ მითხრა, რომ ახალი რაზმებიც უნდა შეადგინოსო.

— მაშ, შესაძლოა, ღმერთმა ბრძანოს და გავუმკლავდეთ კიდეც ვისმესა თავადის მხედართ-მთავრობით?

— ამბობენ, რომ დიდი ომია მოსალოდნელი ოსმალთანაო და თვით მეფე ამხედრდება და მთლად რესპუბლიკის ჯარით წავა სალაშკროდაო. ყირიმშიაც გავიგონე ეს ამბავი და იქნება იმიტომაც მიმიღეს ისეთის პატივისცემითა. ხმა დადის, რომ, როცა მეფე და გეტმანები დაიძვრიან, თავადი ყირიმს უნდა დაესხას თავს და სულ გაქროს თათრების სახსენებელიო. დაალაც, რომ სხვას ვერც შიანდობენ ამისთანა დიდს საქმეს.

პან ლონგინუსმა აღაპყრნა ცად მიმართ ხელნიცა და თვალნიცა.

— ღმერთო მოწყალეო! ასტეხე ამისთანა ომი საღიღებლად ქრისტიანობისა, ხოლო მე ცოდვილს ნება მომეცი ამ ომში შევასრულო აღთქმა ჩემი, რათა შემეძლოს ან მოჟისვენო, ან იქვე მივევებო მოწამებრივსა აღსასრულსა.

— ომის გამო დასდევით აღთქმა?

— ეგოდენს ღირსეულს რაინდს, როგორც თქვენა ბრძანდებით, მთლად გადავუშლი ჩემს გულს, თუმცა კი ბევრი ლაპარაკი მომინდება. მოგეხსენებათ, რომ ჩემი ღერბია ზერვიკაპტური *), ხოლო წარმომდინარება მისი ასეთია: გრიუნველდა ახლო ჩემმა წინაპარმა სტოვეიკო პოდბიპენტამ დაინახა თუ-

*) ზერვიკაპტურ—ვითომ მოიხსენ ყაბალახიანი წამოსასხამი.

რმე სამი რაინდი, რომელთაც ყაბალახიანი საბერო წამოსასხა-
მი ეცვათ; რაინდი მწერივად თურმე მიღიოდნენ ცხენებითა
და ჩემმა წინაპარმა ერთის შემოქმედით სამსვე ერთად გააგდე-
ბინა თავი ხმლითა; ეს ამბავი ძველს ქრონიკებში სწერია, ჩე-
მის პაპის დიდად სასახელოდ...

— თქვენს წინაპარს თქვენზედ სუბუქი ხელი აღარა ჰქო-
ნია. ტყუილად არ დაურქევიათ ზერვიკაპტური.

— მეფემ უბოძა ღერბი, ხოლო ღერბზედ სამი თხის თა-
ვია გამოსახული; იმ რაინდების მუზარადებზედაც, რომელიც
• მოჰკლა ჩემმა წინაპარმა სტოვეიკო პოდიპენტმა, ასეთივე
თხის თავები იყო თურმე გამოსახული. ეს ღერბი თავისს მა-
ხვილითურთ ჩემმა წინაპარმა უანდერძა თავისს ჩამომავალსა და
უბრძანა, არ შეარცხინთ სახელი და დიდება ჩემის გვარი-
საო.

— მართლა რომ შესანიშნავის გვარის კაცი ყოფილხართ!
პან ლონგინუსმა მწუხარედ ამოიოხრა და განაგრძო:

— ერთი მე-ღა დავრჩი ჩემს გვარში და ამიტომ აღთქმა
დავდე ტროქს ყოვლად-წმიდისა ქალწულისა წინაშე ვიცხო-
ვრო სიწმიდითა და მანამ არ დავადგა ფეხი საქორწინო ფიან-
დაზსა, ვიდრე ჩემის წინაპარის მაგალითისამებრ ამავე მახვილით
სამს მტერს ერთად არ მოვკვეთ თავსა. ოჯ, ღმერთო მოწყა-
ლეო, შენ უწყი, რომ ყოველივე მოვიქმედე, რაც კი შემძ-
ლო. უბიწოება ჩემი დავიცევ დღევანდლამდე, გულსა ჩემსა
ვუბრძანე დაღუმებულიყო; ვეძებდი ომს და ვიბრძოდი, მაგრამ,
ვაი ჩემდა, ბედმა არ გამიღიმა.

პან სქეშეტუსკიმ თავი ვეღარ შეიმაგრა და გაილიშა.

— მაშ ვეღარა და ვეღარ მოახერხეთ სამი თავი მოგეკვე-
თნათ ერთად?

— ვერა. ბედი არა მაქვს! ორ-ორი კა გავაგდებინე და
სამი ერთად კი ვერა. ორ ჰქნას კაცმა, მტერს ვერა სთხოვ, ისე
დადექით, როგორც მე მეხერხებაო და ისინი კი თვითონ არა
სდგებიან მწერივად სამ-სამი.. მარტო ერთი ღმერთი ჰქედავს
ჩემს მწუხარებასა: ღონე მაქვს მაჯაში, იარაღაცა... ღრო კი

მირბის, მალე ორმოცი წელი გამღუნავს... გულს სწყუჩიან სიყვარული, გვარი ლამის ამოსწყდეს და სამი თავი კი არსადა სხანს და არა! კაი დამემართოს, კარგი ზერვიკაპტური მე არა ვარ! სასაცილოდა ვარ აღებული ყველასაგან, როგორც სამართლიანად ამბობს პან ზაგლობა.

ლიტველმა ისე დაიწყო ამოოხერა, რომ მისმა ცხენმაც კი, უთუოდ თანაგრძნობის გამო, შესაბრალისი ჭიხვინი მორთო.

— ერთის თქმა შემიძლიან, — სთქვა დესპანმა: — იმის თქმა, რომ თუ თავად ერემისა ხელშიაც ვერ ეწიეთ ბედს, გამოეთხოვეთ მაშინ თქვენს იმედს.

— ღმერთმა ბრძანოს! იმიტომ არ მოვდივარ, რომ მინდა მის სამსახურში შევიდე.

ეს ორთა-შუა ლაპარაკი შეწყვეტილ იქმნა ერთის საკ-მაღლ უცნაურის ამბის გამო. როგორც წინადაცა ვთქვით, ამ ზამთარს მდინარენი არ გაყინულა და ფრინველნი არ წასულიყვნენ თბილს ქვეყნებში. პარუჩიკი და პან ლონგინუსი მიუახლოვდნენ უკვე კალამლიკის ნაპირს, და უცებ შეჰნიშნეს, რომ ცაში მიფრინავდა გუნდი წეროებისა. წეროები ძლიერ დაბლა მიფრინამდნენ, მაგრამ უცბად, იმის მაგიერ, რომ ლელიანებში დაშვებულიყვნენ, შესცვალეს მიმართულება და მაღლა-მაღლა წავიდნენ.

— ისე მიპრინავენ, თითქო მისდევს ვინმე და თავს უნდათ უშველონო, — სთქვა პან სქმეტუსკიმა.

— აგერა, პხედავთ? — და პან ლონგინუსმა დაანახვა თე-თრი ფრინველი, რომელიც ცდილობდა გუნდს დაახლოვებოდა.

— მიმინოა! მიმინო უშლის ძირს დაშვებასა! — დაიძახა დესპანმა. — ელჩისა ჰყავს მიმინოები; უთუოდ იმან აუშვა.

ამ დროს მოუახლოვდა ცხენოსნებს პან როზვან ურსუ, რომელიც ანატოლიის შავს ცხენზედ იჯდა. მას მოჰყვნენ რამ-დენიმე მხლებელნიცა.

— ბატონო პარუჩიკო, — სთქვა მან, — გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ნადირობაში.

— ეგ თქვენი მიმინოა?

— ჩემია და კარგიც არის, როგორც თქვენც დაინახავთ...

სამივე ერთად გააჭინეს ცხენები; ვლახელი ბაზიერთუხუცესიც დაედევნა მათ უკან.

მწყაზარშა მიმინომ ძალა დაატანა ამ დროს წეროთა გუნდს, მაღლა-მაღლა წასულიყო, მერე ისარივით აფრინდა თვითონაც უფრო მაღლა და გაიძაბა ერთს ადგილას. წეროები ერთად შეჯგუფდნენ. ატყდა ხმაურობა და ყიუინი. ფრინველთ გაიწვდინეს კისრები, აიღეს მაღლა ნისკარტები, თითქო ისრებიაო და ელოდნენ ერიშს.

მიმინო კი ისევ თავს დასტრიალებდა გუნდს. ხან დაეშვებოდა, ხან ისევ მაღლა წავიდოდა; კაცს ევონებოდა, ეშინიან დაეშვას ძირსაო, საცა ასი მახვილივით გამწვეტებული ნისკარტი დაპატიჟოდა. მხოლოდ მის თოვლივით თეორის ფრთებს გაჰქონდა ქათქათი ულრუბლო ცის ლაუგარდში.

უცებ, იმის მაგიერ, რომ ფრინველთ მიჰსეოდა, მიმინო გაექანა სხვა მხრისაკენ და მაღლე მიიმაღლა ხეებს იქიდან.

სქეტუსკი პირველი გაექანა მიმინოსკენ. ელჩია, ბაზიერთუხუცესშა და პან ლონგინუშმაც იმის მაგალითს მიჰბაძეს.

ერთს აღმართთან, საცა მოსახვევი ჰქონდა გზას, დესპანმა უცბად შეაყენა ცხენი; ახლა სხვა და ახირებული სურათი წარმოაუდგა თვალ-წინ. შუა გზაზედ ეგდო ეტლი, რომელსაც ღერძი გასტეხოდა. ორს ყაზახს ეჭირა გამოშვებული ცხენები; მეეტლე არსადა სჩანდა; ალბად წავიდა საღმე სხვა ეტლის საშოვნელიად. ეტლს ახლოს იდგა ორი ქალი, ერთი მწყრალის, მამაკაცივით რიხიანის სახესა, მელის ბეწვის მძიმე ქურქ-წამოსმული; ამ დედაკაცს თავზედაც ამისთანავე ქუდი ეხურა, რგვალ ბოჭკოანი; მეორე იყო ყმაწვილი ქალი, ტანადი და მაღალმაღალი, მეტად სურათის და ჩინებულის სახისა. ახალგაზდა ქალის მხარზედ ღინჯად იჯდა მიმინო ლტოლვილი, გაეშალა ფრთები და ნაზად იქირქნიდა ნისკარტითა.

დესპანშა ისე ძლიერ ალაგმა ცხენი, რომ კინაღამ ჩააჩოქა, მერე გონება-დაუტანებლივ მიიღო ხელი ქუდთან და სულ

თავ-გზა დაეპნა: არ იცოდა, რა ექნა, სალაში მიეტა, თუ მი-
მინოზე დაეწყო ლაპარაკი; დესპანი უფრო აირია მაშინ, რო-
ცა ყმაწვილმა ქალმა შეანთა ისეთი თვალები, რომლისთანაც
თავისს დღეში არ ენახა: მაყვალივით შავი, ცეცხლის-მფრქვე-
ვი; წამ-და-უწუმ იცვლებოდა მეტყველება მისის თვალებისა...
ამ თვალებთან ისე გაფასდებოდა თვალები ანუსია ბოჟობოლა-
ტისა, როგორც სანთელი გაფასდება ხოლმე ჩირალდანთან.
წვრილი წარბები შავად გადასჭიმოდა და ამკობდა მშეცნიერს
თვალებს; მარჯანივით ბაგეთა შორის მოსჩანდა მიჯრით მი-
წყობილი თეთრი კბილები; კისერსა და ზურგს უფარავდა ხში-
რი წაბლის-ფერი თმა, რომელიც საამურად ჰდელავდა. უყურებ-
და დესპანი ამ თვალებს, ამ შეკოქბებულს ტანადობას, ამ თეთრს
მიმინოს მის მხარზედ და ჰეთიქრობდა: „იუნონა ჩამოსულა ამ
ქვეყნად, თუ სხვა რამ ღვთაებააო“. ჩვენი პარუჩიკი იდგა, თი-
თქო გაქვავებულაო, ქუდ-მოხდილი და ჰერძნობდა მხოლოდ,
რომ გული ეკუმშებოდა უცნაურის ტკივილით. ის-იყო უნდა
დაეწყო სიტყვა თვისი: „თუ ხარ სიკვდილის შეიღი, და არა
ღვთაებაო“... და სწორედ ამ დროს მოვიდა ელჩიცა, პან ლონ-
გინუსიცა და ბაზიერთ-უხუცესიცა. ღვთაებამ გაიწოდა მკლავი,
მიმინო გადავიდა ზედ და გაიარა კინკილით. დესპანს უნდო-
და დაესწრო ბაზიერთ-უხუცესისათვის და აეყვანა ფრინველი,
მაგრამ მიმინო ერთი ფეხით ქალის მკლავზედ იდგა, ხოლო
მეორეთი დაებღაუჭა დესპანის ხელს და ისეთის სიხარულით დაი-
წყო ჭიროპინი, ისე დაუწყო მიზიდვა თავისკენ დესპანს, რომ
ბოლოს მაინც თავისი გაიყვანა. სქეტუსკის სულ ურუანტელ-
მა დაუარა, ხოლო მიმინო მაშინ დაპნებდა, როცა ზედ ქალის
ქუდი დაპნერეს.

— რაინდნო! — დაიწყო უფროსმა ქალმა: — ვინც უნდა
იყვნეთ, ნუ გვეტყვით უარს და შემწეობა აღმოუჩინეთ ქალებს,
რომელთაც თვითონაც არ იციან, რა ჰქნან. ჩვენს სახლამდე
სამ მილზედ მეტი მანძილი არ არის, მაგრამ ეტლის ღერძი გა-
გვიტყდა და ლამის მინდოოში დაერჩეთ ამალამ. მეტლე გავუ-
გზავნე ჩემს შეიღებს, რომ იქნება ურემი მაინც გამოგვიგზავ-

ნონ, მაგრამ ვიღირე ის დაბრუნდება, დაღიმდება კიდეცა; აქ დარჩენა კი ამაღამ ძნელია, საშიშია... ყველგან სეფლავებია ახლო-მახლო...

ხნიერი აზნაურშვილის ქალი აჩქარებითა ლაპარაკობდა და ისეთი რიხიანი ხმა ჰქონდა, ისეთი ომახიანი იყო, რომ დესპანს გაუკვირდა კიდეცა. მანც ზრდილობიანად უპასუხა:

— რა თქმა უნდა, ფიქრადაც არ მოგვივა, რომ ამ მინდორში დაგტოვოთ და შემწეობა არ აღმოგიჩინოთ თქვენცა და თქვენს მშვენიერს ქალსაც. ჩვენა გმისახურობთ თავად ერემია ვისნევეცკის ჯარში, მივდივართ ლუბნსა და, ვგონებ, გზა ერთი გვაქვს. ერთი გზაც რომ არა გვქონდეს, დიდის სიამოვნებით გადვეხვევეთ ჩვენს გზას, ოღონდ კი ის საყვედლური არ დავიშახუროთ, რომ ქალებს პატივისუმით არ მოეკიდნენო. ეტლები არა გვყავს, ჯარის კაცნი ვართ, ცხენებით მივდივართ, მაგრამ იმედი მაქვს, ბატონი ელჩი სიხარულით დაგითმობთ თავისს ეტლს.

ელჩმა მოიხადა თავისი სიასამურის ქუდი (პოლონური კარგად იცოდა ელჩმა) და, როგორც ნამდვილს კარის კაცს შეეფერება, რაღაც ძალიან ასლი თავაზიანი სიტყვები სთქვა პასუხად. ბაზიერო-უხუცესს უბრძანა, წადი მალე და საჩქაროდ მოართვი ქალებს ეტლიო, რომელიც კარგა უკან დარჩენილიყო. დესპანი კი ამ დროს თვალს არ აშორებდა მშვენიერს ასულს, ისე რომ ახალგაზდა ქალი. სირცეგილით გაწითლდა და თვალები ძირს დაჭხარა. უფროსმა დედა-კაცმა კი, რომელიც ყაზახის იერისა უფრო იყო, განაგრძო:

— ღმერთმა გადაგიხადოთ სამაგიერო ჩვენის პატივისცემისათვეს. ლუბნამდე ჯერ კარგა შორს არის; ამიტომ უარს ნუ გვეტყვიოთ და ჩვენს სახლში გვეწვიეთ. ჩვენ რაზელოგიდანა ვართ; მე გახლავართ ქვრივი თავადის კურცევიჩ-ბულიგისა, ეს კი უფროსის კურცევიჩის ასულია, ჩემის მაზლისა. იმან მოგვცა აღსაზრდელად ეს ობოლი ქალი. ჩემი შეილები ეხლა შინ არიან; მე ჩერკასში ვიყავ სალოცავად და იქიდან მოვდივარ. გზაში ეს უსიამოვნება შეგვემთხვა და თქვენ რომ არ შეგხვედროდით, მინდორში მოგვიხდებოდა. ლამის გათევება.

კნეინა კიდევ განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა შორიდან მომავალი ეტლი, რომელსაც მოსდევდნენ კაცები ელჩისა და ჯარის-კაცნი პან სქუეტუსკისა.

— მაშ თქვენ თავად ვასილ კურცევიჩის ქვრივი ბრძანდებით? — ჰკითხა დესპანმა.

— არა! — საჩქაროდ უპასუხა კნეინამ უკმაყოფილებით. — კონსტანტინეს ქვრივი ვარ, ეს კი ვასილის ქალია, ელენე. — კნეინამ მიუთითა ყმაწვილ ქალზედ.

— ლუბნში ბევრსა ლაპარაკობენ ხოლმე თავად ვასილის შესახებ. კარგი მეომარი იყო და მეგობარი თავადის მიხეილისათ.

— მე ლუბნში არა ვყოფილვარ, — სთქვა გორგოზობის კილოთი კნეინამ, — და არა ვიცირა, თუ რამ სამხედრო ღვაწლი მიუძღვის ვასილს, ხოლო რაიცა შეეხება მის შემდეგს ყოფა-ქცევას, ლაპარაკადაც არა ღირს... ყველამ იცის, რაც იყო.

ამ სიტყვებზედ კნიაუნა ელენემ თავი ისე დაჭლუნა, თითქო ყვავილია, ნამგლით მოთიბულიო.

— მაგას ნუ ჰბრძანებთ, — თავ-გამოდებით გამოესარჩილა დესპანი თ. ვასილს. — თავადი ვასილი, რომელსაც კაცთა სასტიკმა მართლ-მსაჯულებამ გადუწყვიტა, წაერთვას ქონება და სიცოცხლეო, იძულებული გაპხადეს გაქცეულიყო და თავი გადაერჩინა სასჯელისგან, მაგრამ მერე დამტკიცდა იმისი სრული უბრალოება. ვასილს დაუბრუნდა სახელი, აღდგენილ იქმნა მისი პატიოსნება და ახლა მით უფრო დიდებულია მისი სახელი, რაც უფრო მეტი იყო მისი დამტანჯველი უსამართლობა.

კნეინამ მტრულად შეჭედა დესპანს. მისი უიმისოდაც უსიამოვნო სახე დაპერიხა სიბრაზემ, მაგრამ პან სქუეტუსკის ისე-თი შესახედაობა ჰქონდა, რომ უნებურად პატივის ცემით უნდა მოჰკირობოდა, ამიტომ ვერა ჰბედავდა ეპასუხნა რამე მისი თვის და ისევ კნიაუნა ელენეს მიჰმართა:

— შენთვის საჭირო არ არის ამისთანაების მოსმენა. ისა სჯობიან, წახვიდე და თვალ-ყური დაიჭირო, რომ ყოველივე ბარგი გადაწყონ ჩვენის ეტლიდან ელჩის ეტლში.

— ნებას მიბოძებთ, მოგეშველოთ? — ჰკითხა დესპანმა.

ორივენი წავიდნენ ეტლისაკენ, მაგრამ შესდგნენ თუ არა მის გვერდით, კნიაენამ აიღო მაღლა თავისი ისარივით გრძელი წამწმები და ისე შეაშუქა პარუჩიქს თვალები, რომ ასე ეგონა, ცხრა თვალის მზის სხივი, თბილი, ალერსიანი სხივი მომხვდათ

— როგორ გადაგიხადოთ მაღლობა,— დაიწყო ქალმა და დესპანს ისე ეგონა, რომ მისი ხმა საუკეთესო მუსიკაო,— როგორ გადაგიხადოთ მაღლობა, რომ ეგრე გამოესარჩლეთ მამიჩემის სახელს და იფარავდით იმ უსამართლობისაგან, რომელსაც აყენებენ მახლობელნი ნათესავნი.

— ო, პანა! — უპასუხა პარუჩიქმა და თან ჰერძნობდა, რომ გული მისი სლებოდა გაზაფხულის თოვლივითა.— ღმერთს გეფიცებით, რომ თქვენის სიტყვების გულისთვის მზადა ვარ ცეცხლში გადავვარდე, სიცოცხლე გავწირო... მაგრამ მაინც ჩემი დამსახურება თქვენს წინაშე იმდენად მცირეა, რომ არა მგონია, ნება მქონდეს მივიღო თქვენი მაღლობა.

— თუ კი არ უგულებელ-ჰყოფთ ჩემს მაღლობას, თუ არ მაღლობის თქმით, სხვათრივ რით გადავიხდი თქვენს სიკეთეს მე, ერთი საწყალი ობოლი.

— მე? — განაგრძობდა უმეტესის აღფრთოვანებით დესპანი: — მე მხოლოდ იმას ვნატრობ, რომ თქვენი გული მოვიგო, მხოლოდ იმასა გთხოვთ, რომ ნება მიბოძოთ ვიყო თქვენი ერთგული ყმა.

კნიაენა გაწითლდა, აირია, მერე უცებ გაყვითლდა და, მიიფარა-რა ხელები პირი-სახეზედ, ყრულ წარმოსთქვა:

— მარტო ერთს უბედურებას მოგიტანთ თქვენ ეგა.

დესპანი დაიხარა ეტლისაკენ.

— ყველაფერს ავიტან, — სთქვა მან დიდის გრძნობითა, — ყველაფერს — უბედურებასაც, მწუხარებასაც, ტანჯვასაც.

— რაინდო, შეუძლებელია, რომ პირველ ნახვისათანავე მზად იყოთ ყოველივე იტვირთოთ ჩემდა სამსახურისათვის.

— დაგინახეთ თუ არა, მყისვე დამავიწყდა ჩემი თავი და ახლა ის ვიცი მხოლოდ, რომ აქამდე თავისუფალი ჯარის-კა-

ცი, დღეს დატყვევებული ვარ. სჩანს, ასეთია ნება უფლისა. გრძნობა ისარია, რომელიც უცბად განეწონების გულსა... და აი ვგრძნობ, რომ ისარი მაქვს გულს გარჯობილი, თუმცა იქნება მე თეოთონ არ დამეჯერა, სხვას რომ ეთქვა ვისმე გუშინ ეს ამბავი ჩემთვის.

— თუ თქვენ ვერ დაიჯერებდით მაგას გუშინ, მე როგორ დავიჯერო დღეს?

— დრო დაგაჯერებთ, ხოლო განა შეიძლება არ დაიჯეროთ... გულ-წრფელობა ჩემი? განა არ ეტყობა ჩემს სიტყვებს, არ მეტყობა სახეზედ?

კვლავ მაღლა აიღო კნიაჟნამ ისარივით სწორე წამწმები, კვლავ მისი თვალები დააცქერდა ვაჟკაცურს, კეთილშობილს სახეს ახალგაზდა რაინდისას, სახეს, საესტი ისეთის აღტაცებით, რომ კნიაჟნა ძალზედ გაწითლდა. ახლა კი თვალები ძირს აღარ დაპატიჟარა და დიდ ხანს უცქირეს ერთმანერთს ამ ორმა აჩსებამ, რომელთაც მინდორში პნახეს ერთმანერთი, უცბად მიუხვდნენ ერთმანერთს. გულის პასუხს, უცბად გააერთიანეს თვისინი სულნი.

გარნა მოხუცი კნეინა დაურიდებლად აცხადებდა უკმაყოფილებას. ელჩის ეტლები მოვიდა, მხლებლებმა გადაალაგეს ბარგი-ბარხანა და ერთს წუთს. შემდეგ ყოველივე მზად იყო.

პან როზენ ურსუმ თავაზიანად დაუთმო ქალებს თვისი ჩასაჯდომი, დესპანი შეჯდა თავისს ცხენზედ და ყველანი გაუდგნენ გზას.

სალამურამდებოდა. აღიდებული წყალი კალამლიკისა ოქროს ფრად შეელება ჩამამავალს მზეს და მოწითანო ფერი დაედო სალამოს ქამსა. მაღლა ცაზედ სუბუქი ბამბიქულასავით თეორნი ღრუბელნი ნელ-ნელა მიეშურებოდნენ ცის დასავლისაკენ, თითქო დაღლილან დღისით და ახლა დასასვენებლად მიღიან სადღაც შორსაო. პან სქეშტუსკი მიერკებოდა ცხენს იმ მხრივ, რომელისკნაც კნიაჟნა იჯდა ეტლში და იყო გაჩუმებული. ისე ლაპარაკი იმასთან, როგორც ამ ერთის წინად ელაპარაკებოდა, არ შეიძლებოდა, ხოლო სხვა რამეზედ ბაასი და მუსაიფი არ უნდოდა. მთლად გული უცემდა სიხა-

რულით და თავი უპეტყვრიალებდა, თითქო ლვინო დაულე-
ვიაო.

ყველამ აჩქარებით გასწიეს. ჩამოვარდა დუმილი და მხო-
ლოდ ცხენების ფრუტუნი-ლა ისმოდა. ბოლო ეტლში მყოფ-
მა თავადის ამაღამ დაიწყო რაღაც ვლახური სიმღერის თქმა,
მაგრამ იმასაც მაღე მიუწყდა ხმა. ღამე გამეფდა ნელ-ნელა,
ვარსკვლავებმა იწყეს ციმციმი ცაზედა, ნამიან მინდვრებს ნისლ-
ბურუსი ისე ეხვეოდა, თითქო დაუსრულებელი ზღვააო.

წინა ეტლი შევიდნენ ტყეში, მაგრამ ჯერ რამდენიმე სა-
უნიც. არ გაევლოთ, რომ მოისმა ცხენების თქარა-თქური და
ხუთი ცხენოსანი გამოჩნდა ველზედა. ესენი იყვნენ ახალგაზდა
თავადიშვილნი და მოდიოდნენ თავიანთ დედის საშველად. უკან
მოსდევდათ ეტლი, რომელშიაც ოთხი ცხენი ება.

— თქვენა ხართ, შვილებო? — შეპყვირა მოხუცმა კნეინამ.

— ჩვენა ვართ, დედა! — ცხენოსნები მოუახლოვდნენ ეტლს.

— გამარჯვება თქვენი! აი ამ რაინდთა წყალობით, შვე-
ლა აღარ გვეჭირვება ახლა. ესენი ჩემი შეილები არიან და მა-
თი ბედი თქვენის გულ-კეთილობისათვის მომინდვია: სვიმინი,
იური, ანდრია და ნიკოლოზ... ეგ მეხუთე ვილაა? — და კნეი-
ნამ გულმოდგინედ დაუწყო თვალიერება მეხუთესა. თუ თვა-
ლები არ მატყუებს, ეგ ბოგუნია. მართალია, თუ არა?

კნიაუნა სწრაფად მიიკუნძა ეტლის კუთხეში.

— თავს გიკრავთ, კნეინა, თქვენც, კნიაუნა ელენე! — სთქვა
მეხუთე ცხენოსანმა.

— ბოგუნი! — განაგრძო კნეინამ. — პოლკიდან მობრძანდი,
გერიტო? მერე ისიც გუდა-ნაბდითა? გამარჯვება, გამარჯვება!
ჰეი, შვილებო! რაინდებსა ვთხოვე, რომ ამაღამ ჩვენსა მობრ-
ძანდნენ რაზლოვს, ახლა თქვენ მიეცით სალამი! სტუმარი ლეთი-
საა! სთხოვთ თქვენცა.

თავადიშვილებმა ქუდები მოიხადეს.

— გთხოვთ უმორჩილესად, მობრძანდეთ ჩვენს საწყალს
სახლში.

— სიტყვა მომცეს კიდეც ბატონშა ელჩაც და ბატონშა დესპანშაც. საპატიო სტუმრებს უნდა დავუხვდეთ, მაგრამ, ვინ იცის, სამეფო კარის სიმღილრე-ფუფუნებას ჩვეულებს მოეწონებათ თუ არა ჩვენი ლარიბული მასპინძლობა!

— ჩვენ საჯარისკაცო პურს გიახლებით, ბატონო, და არა სამეფო კარის საკადრისს,—სთქვა პან სქვეტუსკიმ.

— ვიცი, რა მასპინძლობაც იცის აქაურმა თავად-აზნაურობამ; ისიც ვიცი, რომ სამეფო კარის მასპინძლობაც ვერ მოვა იმის მასპინძლობასთან.

ყველანი გაუდგნენ კვლავ გზას. კნეინამ განაგრძო:

— დიდი ხანია წარვიდნენ ჩვენთვის კარგი დრონი. ვოლინსა და ლიტვაში კიდევ არიან კურცევიჩები, რომელთაც მთელი ამაღა ჰყავთ და ბატონურად სცხოვრობენ, მაგრამ იმათ ლარიბ ნათესავების დარღიც არა აქვთ,—ლმერთმა ჰკითხოს და გადაახდევინოს სამაგიერო! — ჩვენ კი თითქმის ისევე გაჭირვებითა ეცხოვრობთ, როგორც ყაზახები... იმედია მოგვიტევებთ ჩვენს სილარიბებსა და გულ-წრფელად მიიღებთ იმას, რასაც წმინდა გულით გიძლვნით. ხუთი შეილის პატრონი ვარ და ერთი სოფელი და ორიოდე ცალკე მეკომური კი მყავს ყმები. თან ეს ქალიც ჩვენი საზრუნავია.

დესპანი ძლიერ გააკვირეა ამ სიტყვებმა, გაგონილი ჰქონდა ლუბბში, რომ ჯერ ერთი რაზლოგი პატარა სოფელი არ არისო, მეორეც, რომ ეგ სოფელი ოდესშე ვასილის საკუთრება იყო, ელენეს მამისაო. მაგრამ ეხლა მოუხერხებელი იყო ეკითხნა კნეინასათვის, როგორ ჩაუვარდა ხელში ეს მამული კონსტანტინესა და მის ქვერიცს.

— ხუთი შეილი გყავთ? — ჰკითხა პან როზვან ურსუმ.

— ხუთი მყვანდა... ხუთი ლომი, — უპასუხა კნეინამ, — მაგრამ უფროსს, ვასილს, ურჯულოებმა ბელგორიდში *) მაშალებით თვალები ამოსწვეს... ამის გამო კუთაც შეერყა. როცა ყმაწვილები ლაშქრად მიდიან, მე მარტოდ ვრჩები იმისა და

*) იკერმინი.

ამ ქალის ანაბარად... მაგრამ ამისაგან რა ნუგეში უნდა მქონდეს? მწუხარება უფრო მაღია!...

ზიზღის კილო, რომელიც დაეტყო კნეინას ხმაზედ, როცა თავისს მაზღის წულზედა ლაპარაკობდა, არ გამოეპარა პარუჩიკს. შეაურეოლა სიბრაზით და კინალამ ლანდლვა-გინება არ დაიწყო, მაგრამ მთვარის შუქზედ კნიაუნას სახეს მოჰკრა თვალი და გულში ჩაიკლა სიბრაზე.

— რა დაგმართნიათ? სტირით? — ნელის ხმით ჰკითხა სქმეტუსკიმ.

კნიაუნამ ხმა არ ამოილო.

— არ შემიძლიან, თქვენს ცრემლებს ვუცექირო. — სქმეტუსკი დაიხარა მისკენ და, რაკი მოხუცი კნეინა გაერთო პან როზვანთან მუსაითითა, განაგრძო უფრო მკაფიოდ: — ლეთის გულისათვის, ერთი სიტყვა მაინცა სთქვით... ღმერთია მოწამე, სიცოცხლეს გავწირავ თქვენდა დასამშვიდებლად.

უცბად იგრძნო, რომ ერთი ცხენოსანი ისე ეკვრის გვერდში, რომ მისი უზანგი მოედო ახირებულ თანამგზავრის უზანგსა.

კნიაუნასთან ლაპარაკი შესწყდა. გაკვირვებული და გულმოსული სქმეტუსკი მოუბრუნდა აბეზარსა და გამბედავს თანამოგზაურს.

მთვარის შუქზედ დესპანს შემოჰბლვირა ორმა თვალმა, შემოჰბლვირა მედიდურიბით, დაცინვით, ლირფობით... ის საშინელი თვალები ისე ბრიალობდა, როგორც მგლის თვალები სიბნელეში.

— „ეს რა ჯახრუ-ჯანაბაა? ეშმაკი და ქაჯია, თუ სხვა რამ წყეულ-შეჩევნებული?“ — სთქვა თავისს გულში დესპანმა და ერთხელ კიდევ გადაჰედა თანამგზავრს ცეცხლივით ანთებულის თვალებით.

— ზედ რას მოგვაგდეთ ეგ თქვენი ცხენი და ან რას შემომცეკერიხართ აგრე ჩაცივებით?

ცხენოსანმა არა უპასუხა-რა და განაგრძო კვლავ დაცინვითა და გულზეაობით ყურება.

— თუ გვინიათ, რომ ბნელა, კვესს დაგიკვესებთ, თუ ვიზ წრომობას ჰერძნობთ, აგერ მინდორი! — სთქვა დესპანშა და, ცოტა არ იყოს, მუქარის კილო დატყო იმისს ლაპარაკს.

— არა, შენ მოჰშორდი მაგ ეტლს, თუ მინდორსა ჰე-დავ, — მოუჭრა სიტყვა ცხენოსანშა.

პან სქეშეტუსკი აენთო და, პასუხის მაგივრად, ისეთი წინ-ლი ჰკრა თანამგზავრის ცხენს, რომ უცბად ერთს ადლზედ გა-დახტა და გაიტაცა მხედარი.

ცხენოსანშა შეაყენა ცხენი და ერთს წუთს კაცს ეგონე-ბოდა, რომ უნდა დაეცეს თავს დესპანსაო, მაგრამ ამ დროს გაისმა მკვეთრი, ბრძანების ხმა კნეინასი:

— ბოგუნ, რა დაგემართა?

კნეინას სიტყვები ისე მოედო ცხენოსანს, თითქმ. ჯადო უყვესო. მოატრიალა ცხენი, შემოუარა ეტლს და კნეინასთან დაიბადა.

— რა დაგემართა? პერეიასლავლში ხომ არა ხარ, ან ყი-რიმში. რაზლოგში ხარ. ეს. დაიხსომე. ახლა კი გასწი წინა; მალე ხევია და ხევში კი ბნელა. აბა, გასწი!

პან სქეშეტუსკი ჯავრობდა კიდეცა და ჰკეირობდა კი-დეც. ცხადი იყო, რომ ბოგუნი მიზეზს ეძებდა და ჩხუბის გა-დაკიდება უნდოდა... მიზეზი იპოვნა, მაგრამ რად ეძებდა ამ მიზეზს? ასე უცებ, რაზედ დამესხა თავსაო?

დესპანს. გაუელვა ფიქრმა, რომ ამ დავიდარაბაში კნიაუნა თუა გარეულიო. ნამდეილად ასეა. მთვარის მკრთალს შუქზე-დაც შეპნიშნ, რომ კნიაუნას სახეზედ ნაცრის ფერი ედო და შეშინებული იყო.

ბოგუნმა, კნეინას ბრძანების თანახმად, ჰკრა ქუსლი ცხენ-სა. კნეინამ გააყოლა თვალი და სთქვა ვითომ თავისთვის, მა-გრამ უფრო კი დესპანის გასაგონად:

— თავზედ ხელ-აღებულია! — ქაჯია ყაზახებისა!

— ეტყობა, ცოტა კარგ ჰკუაზედ ვერ არის, — ზიზლით უპასუხა სქეშეტუსკიმ: — ეგ ყაზახი თქვენის შვილების სამსა-ხურშია?

მოხუცი ქნეინა გაგულისდა..

— რასა ბრძანებთ? ბოგუნია, პოლკოლკოვნიკი, შესანი-შნავი მხედარია, ჩემი შვილების მეგობარი, თითქმის მეექვე შვილობილია ჩემი. შეუძლებელია, რომ არა გაგეონოთ-რა მაგაზედ; ყველა იცნობს.

მართლაც, პან სქემეტუსკიმ კარგად იცოდა მისი გვარი. ყაზახთა პოლკოვნიკებსა და ატამანების სახელსა და გვარს შორის, მისი გვარი გამოერჩია და ჰქებდა დნეპრის გაღმა-გამოღმა. უსინათლონი სიძლერით ამკიბრდნენ ბაზრობა-დღეობაში და მიკიტანხანებში; ლხინსა და ქიფუში ახალგაზდა გმირ-მეომრის საოცარ საგმირო საქმეებს მოუთხრობდნენ ერთმანეთს. ვინ იყო, საიდან გადმოვარდა, ამისი არავინ არა იცოდა-რა. მართალი ეს იყო მხოლოდ, რომ ბოგუნი აღზარდა მინდვრებმა, დნეპრმა, ჭორომებმა, ჩერტომელიკმა თვისის გაუვალის ვიწროებითა, ხევ-ხუვებითა, ლადა-ლუდა გზებითა, კლდე-ფრია-ლოებითა. როცა მშეიდობიანობა იყო, ხან სხვებთან ერთად დახეტიალობდა „სათევზაოდა და სანადიროდ“, დალალუნობდა დნეპრის მისახვევ-მოსახვევ არე-მარეს, დაძრწოდა ჭაობ-ჭან-ჭრობებსა და ლელიანებში სანახევროდ შიშველ-ტიტველ ამ-ხანაგებთან, ხან მთელის თევობით მარტოდ-მარტო სცხოვ-რობდა უტეხსა და უღრიან ტყეების ტევრებში. იმისი სკოლა ის იყო, რომ თავს დაპისხოდა თათართა ცხენების ჯოგებსა და ნახირს ყრუ-მინდვრებში, ჩაუსაფრდებოდა ვისმე, ომს გადი-ხდიდა, ითარეშებდა მდინარეთა ნაპირად მდებარე თათრე-ბის სოფლებში, ბელვორდისა და ელახეთში. დღისით ვერსად დააყენებდით, თუ არ მინდვრად, ღამით ცეცხლს უჯდა მინ-დორშივე. ჯერ ისევ ყმაშვილი იყო, რომ ქვემოურების სატრფიალო შეიქმნა; ჯერ ისევ ახალგაზდა იყო, რომ ატამა-ნობა დაიწყო და მალე ყველას გაღააჭარბა თვისის გამბედა-ბითა და გულადობით. ერთი ასიოდე ამხანაგი კი ჰყოლიდა და მზად იყო თუნდ ბახი-სარაი მოელაშკრა და ამოეწვა თვით ყენის თვალ-წინ; უკიდებდა ცეცხლს თათრების სოფლებს, ქალაქებს, ულეტდა შეუბრალებლად ყველა მცხოვრებსა, ტყველ-

შეპყრობილს მურჩებს ცხენის კუდს აბამდა და აგლეჯინებდა, მეხივით თავს ესხმოდა, სიკვდილივითა ჰქრებოდა. ზღვაში; როგორც დამახვეული, ისე დაეცემოდა თავს ოსმალთა კატარლებსა, თვით ბუჯაკამდე მივიღოდა და, როგორც ამბობდნენ, შიგ პირში ჩაუკარდებოდა ლოში, ისე რომ არა დაჲშავებოდა-რა. ზოგიერთი მისი საქმე სწორედ განსაცვიფრებელი იყო თვასას უგუნურის, თავზედ-ხელ-აღებულის გაბედულობითა. ვინც ნაკლებად გამბედავნი და ნაკლებად თავზედ-ხელ-აღებული იყვნენ, საშინელის ტნჯვით ეთხოვებოდნენ წუთი-სოფელს სტაბბოლში, საკა მარგილებზედ აცვამდნენ, ან არა და ცოცხალნი ლპებოდნენ კატარლებზე მუშაობითა და ნიჩბების მოსმითა, გარჩა ის კი უვნებელი გადარჩებოდა ხოლმე და პირიქით დიდს დავლა-ალაფსაკა შოულობდა. ამბობდნენ, რომ ბოგუნს აღურაცხველი სიმდიდრე აქვს დამალული დნეპრის ლელიანებშით; ეს კიდევ არაფერი: ბევრს თავის თვალით ენახა, რომ ბოგუნი ტურტლიანის წალებით ფეხ-ქვეშ სთელავდა ფარჩასა და აბრეშუმსა, ფიანდაზად უფენდა ძვირფას ხალებს ფეხ-ქვეშ თავისს ცხენებსა; ანუ ხავერდის ტანისამოსით გამოწყობილი კუპრში პბანაობდა და მით ვითომ ამტკიცებდა, რომ მე ყაზახი ვარ და, როგორც ყაზახს, მეჯავრება, მეზიზლება, დარღი არა მაქვს ძვირფასის ქსოვილებისა და მდიდრულის ტანისამოსისაო. ერთს ადგილას ვერ დარჩებოდა დიდ ხანს. მისი ხელმძღვანელი იყო საკუთარი ქეიფი და ლაგამ-ამოუდებელი ჭკუა-გონება. ხან მივიღოდა ჩიგირინსა, ან პერეიასლავს და ქეიფიაბდა თავ-დავიწყებამდე იმიერ-ჭორამელებთან, ხან ბერივითა სცხოვრობდა, გაურბოდა ხალხს და ივლტოდა მინდვრაჲ, ხან კიდევ შემოირტყავდა უსინათლოებს, მთელის დღეობით უგდებდა ყუჩს იმათს სიმღერების თქმას და მუჭით უყრიდა წინ ოქროებსა. აზნაურთა შორის თავაზიანი კარის-კაცი იყო, ყაზახთა შორის — დამთხვეული ყაზახი, რაინდებთან — რაინდი, ავაზაკებთან — ავაზაკი. ბევრს გიურ ეგონა და მართლაც თავ-შეუკავებელი და მოუსვენარი კაცი იყო. რად არსებობდა ქვეყნად, რა სწადდა, რას ეტრფოდა, ვისა და რას ემსახურებოდა, თვი-

თონაც არ იცოდა. ემსახურებოდა მინდვრებს, ქარ-ბუქსა, ლა-შურიანობას, სიყვარულს და თავისს გადარეულს ფანტაზიას. ეს ფანტაზია იყო მიზეზი, რომ ბოგუნი ისე ერჩეოდა სხვა აეაზაკთა ბელადებში, იმ ბრძოში, რომელსაც მარტო ოდენ ძარცვა-რბევა ჰქონდა აზრად და რომელისათვისაც სულ ერთი იყო, ვისაც გაძარცვევდა, თავისიანებს, თუ თაორებსა. ბოგუნი შო-ულობდა დავლასა, მაგრამ შოულობდა ომში; უყვარდა განსა-ცდელი, იმიტომ რომ მიმტაცველი ძალა ჰქონდა მისთვის, ოქროებს აბნევდა ბზესავით, ოლონდ კი სიმღერა მოესმინა, ეძებდა სახელს, დიდებას და სხვა აღარაფრის დარღი აღარა ჰქონდა-რა.

უველა აეაზაკ-ბელადთა შორის მარტო ბოგუნი იყო გან-ხორციელება რაინდ-ყაზახის ტიპისა და ამიტომ საერო სიმ-ღერა-მგოლისნობაში ის აირჩია თავისს სასურველ გმირად და მთელს უკრაინას მოპტინა მისი სახელი.

უკანასკნელს დროს პერეიისლავის პოდპოლკოვნიკი იყო, ნამდვილად კი პოლკოვნიკობის თანამდებაბას ასრულებდა. მოხუცს ლობოდას მტკიცედ ველარ ეჭირა კვერთხი თავისს და-დამბლავებულს ხელში.

პან სქუეტუსკიმ კარგად იცოდა, ვინც იყო ბოგუნი, ხოლო თუ ეკითხებოდა ხნიერს კნეინას იმის ვინაობას, თქვე-ნის შვილების სამსახურში ხომ არ არის ეგ ყაზახიო, მხოლოდ იმიტომ ეკითხებოდა, რომ ვითომ ვინ არის, ვინა გდიაო. იგ-რძნო რომ, ეგ კაცი ჩემი მტერიაო და უურადება არ მიაქცია მის ბელადობის სახელ-დიდებას; დესპანის სისხლმა დუღილი დაიწყო მარტო იმიტომ, რომ ყაზახი ჰბედვას და ასე უზრდე-ლად მეპყრობაო. ცხადად ჰქედავდა, რომ საქმე უნდა გათავე-ბულიყო რითიმე, რაკი ერთხელვე დაიწყო. პან სქუეტუსკიც თავ-გამოდებული კაცი იყო, ისიც არაფერს არ შეუშინდე-ბოდა, ისიც გაბედვით ეგებებოდა განსაცდელს. მზად იყო, თუნდ იმ წუთსვე გამოპყიდებოდა ბოგუნს, მაგრამ არ შეიძ-ლებოდა: კნიაჟნას ვახლავარ გვერდით, იმას ვაცილებო.

ბოლოს, ეტლი გასცდა ლელე-ხრამსა და კარგა შორს გამოჩნდა შუქი სანათებისა რაზლოგში.

IV

კურცევიჩ-ბულიგები ძველებურის თავადიშვილის გვარი-სანი იყვნენ და ისეთივე გერბი ჰქონდათ, როგორც კურჩის, რომლის ჩამომავლობა მომდინარეობდა კორიატისაგან და იქ-ნება მართლა რიურიკიც იყო მისი მამა-მთავარი. ამ გვარის ორ შტოდან, ერთი ლიტვაში სცხოვრობდა, მეორე—ვოლინ-ში, ხოლო ვოლინელ კურცევიჩთაგან ღნეპრის გამოლმა მხე-რეს გადმოსახლდა მარტო თავადი ვასილ. ლარიბმა თავადიშვილ-მა ვერ შეიფერა თავისი მდიდარი ნათესაობა და ისევ ის ირ-ჩია, რომ თავად ვისნევეცკის სამსახურში შესულიყო, სახელო-ვან „ერიომას“ სამსახურში.

ერთგულის სამსახურისა და მრავალგვარ დავალებისა-თვის, რომელიც ვასილმა გაუწია თავადს, ებოძა საუკუნო სა-კუთრებად წითელი რაზლოგი, (შემდეგ მგელთა რაზლოგი დაერქვა, რადგან ბევრი იყო იქ მგლები) და დამკვიდრდა ამ მამულში. 1629 წელს მიიღო კათოლიკეთა სარწმუნოება და შეიჩოთ რაგოზანელი ქალი, რომელიც სახელ-განთქმულის ჩამომავლობისა იყო. ერთის წლის შემდეგ დაიბადა ელენე; დედა ლოგინობას გადაჭყვა, ხოლო თავადმა ვასილმა ფიქრა-დაც აღარ გაიტარა, მეორე პირ ცოლშვილს მოჰკიდებოდა და დაიწყო ოჯახში მხნეობა და ზრუნვა ქალის აღზრდისა-თვის. ვასილი მტკიცე ხასიათის კაცი იყო და შესამჩნევი ლირ-სებანი ჰქონდა: რაკი წელში გამაგრდა და უზრუნველი ცხოვ-რება დაიმკვიდრა, დაიბარა მაშინვე ვოლინიდან თვისი ძმა კონ-სტანტინე მთელის მისის ოჯახობითურთ. ორივ ძმები სცხოვ-რობლენე მშვიდობიანად 1643 წლიდე, მაგრამ ამ დროს ას-ტყდა ომი და ვასილიც ლაშკრად წავიდა მეფე ვლადისლავ. თან ერთად სმოლენსკს და ი სწორედ აქ მოხდა საშინელი ამბავი.

მეფის ბანაკში ჩაუგარდათ ხელთ ბარათი, მიწერილი შეინის სახელზედ, ხელ-მოწერილი თავად ვასილის მიერ და დაბეჭდილი მისის გერბის ბეჭდითა. ასეთმა ცხადმა საბუთმა იმ რაინდის ღალატისამ, რომლის სახელიც მანამდე შეუმწიკვლელი იყო, ყველა დიდად გააკვირეა. ამაოდ ფიცულობდა ვასილი, რომ არც მე დამიწერია ეგ წერილი და არც მომიწერია ქვეშ ჩემი სახელი და გვარი. კურჩის გერბით იყო წერილი დაბეჭდილი და ამის გამო აღარავითარს ეჭვს ადგილი აღარა ჰქონდა. ვინ-ლა დაიჯერებდა, რომ ვასილმა ბეჭედი დაჭვარგა! ეს იყო მიზეზი, რომ საცოდავ ვასილს ასეთის მძიმე დანაშაულისათვის გადაუწყვიტეს სახელისა და პატივის აყრა და დასჯა სიკვდილით. ვასილი იძულებული იყო გადაკარგულიყო საღმე. ღამე მოვიდა საიდუმლოდ რაზლოგს, დააფიცა კონსტანტინე, რომ ელენეს უპატრონებო და გადიხევწა სამუდამოდ. ამბობდნენ, რომ ერთხელ კიდევ მოსწერა წიგნი თავად ერემიას, სთხოვა, ნუ მოუსპობ ლუქა-პურს ელენესა და ნება მიეცი გულ-დამშევიდებით იცხოვროს კონსტანტინეს მზრუნველობის ქვეშეო და მასუკან მიწყდა იმის შესახებ ხმა. ჭორი დადიოდა მხოლოდ, რომ ვითომ ვასილი გარდახვეწის შემდეგვე მოკვდაო, ან რომ ვითომ სახელმწიფო ჯარში შევიდა და ომიანობაში მოჰკლეს სადღაუ გერმანელების ქვეყანაშიო; მაგრამ ნამდვილად კი არავინ არა იცხოდა-რა. ალბად მკვდარი იყო, რომ თვისის ქალის ამბავს აღარა კითხულობდა. მალე სულ მიავიწყდათ ვასილი და გაიხსენეს მხოლოდ მაშინ, როცა მისი საქმე გამოაშკარავდა.

ვიღაც კუპევიჩი, ვიტებსკელი, კვდებოდა და გამოტყდა, რომ შეინს წერილი მე მიეწერეო და დავბეჭდე ბეჭდით, რომელიც ვიპოვე ბანაკშიო. რასაკვირველია, ყველამ ირწმუნა მაშინვე სიმართლე თავადის ვასილისა. განაჩენი გაბათილებულ იქმნა, სახელი და პატივი მისი—ალდგენილ, მაგრამ ვაი რომ ყოველივე ესე გვიან-ლა იყო საკუთრად მისთვის. რაიცა შეეხება თვით რაზლოგს, თავადს ერემიას, რასაკვირველია, ფიქრადაც არ მოსდიოდა, ეს მამული გამოეწირა ელენესთვის. ვისნე-

ვეცყები უკეთ იცნობდნენ ვასილს და ერთს წუთსაც არ დაუ-ჯერებიათ, რომ იგი დამნაშავე ყოფილიყოს. ვასილს ძალიან აღვი-ლად შეეძლო დარჩენილიყო თავისს მამულში, ვისნევეცყების ძლიერ ფრთეთა ქვეშე, და სასაცილოდ აეგდო მსჯავრი სასა-მართლოსი, გარნა თუ გადიხვეწა, გადახვეწა იმიტომ, რომ ვერ შესძლო აეტანა თვისი უპატიურება.

ელენე გულ-დამშვიდებითა სცხოვრობდა თვისის ბიძის მამობრივ მზრუნველობის ქვეშე და მხოლოდ მის სიკვდილს შემდეგ დადგა ელენესთვის შავ-უკულმა დღენი. კონსტანტინეს ცოლი, რომელიც ქმარმა საეჭვო ჩამომავლობის ოჯახიდან მო-იყვანა, სასტიკის ხასიათის დეზაკაცი იყო, გულ-ფიცხი, დაუ-ლგრომელ-დაუყენებელი. მარტო ქმარს შეეძლო შიშში ჰყო-ლოდა. როცა ქმარი მოუკედა, მთელი რაზლოგი თავისს რკინის ხელში ჩაიგდო. გლეხ-კაცები ცახ-ცახებდნენ იმის შიშითა, მხლებელთაც სულ ელეთ-მელეთი მოსდიოდათ მის დანახვაზედ; მეზობლებსაც კა მოსვენებას არ აძლევდა. თვისის ბატონობის მესამე წელს ორჯელ დაესხა თავს სი-ვინსკებს ბროვარკებში. ვაჟკაცურად ჩატმული, ამხედრებული, თვითვე მიუძღვდა წინ მხლებელებსა და ჯამაგირით დაჭრილ ყაზახებს, თითქო მხედართ-მთავარიაო. როცა თავად ურემიას ჯარმა ზურგზედ ბოლი აადინა თათართა ბრბოს, რომელიც დათა-რეშობდა შვიდ-საფლავის ახლოს, კნეინა მიეტია თავის ხალ-ხით რაზლოგში შემოსულს დანარჩენს თათრებს და სულ გუ-და-ნაბადი ააკრეფინა. თანდათან რაზლოგს ისე დაუწყო ცქე-რა, როგორც თვისისა და თეისის შვილების საკუთრებას. შვი-ლები ისე უყვარდა, როგორც ძუ-მგელს უყვარს თავისი ლეკვები, მაგრამ რაյი თვითონ გაუნათლებელი დედა-კაცი იყო, სრულიად არ იზრუნა იმათის აღზრდისათვის. მართლ-მადიღებელთა ბერჩა, რომელიც კიევიდან დაიბარა, ასწავლა მის შვილებს წერა-კითხვა-და ეს იყო და ეს, ამით გაათავეს შეძენა სიბრძნისა. იქვე ახლო კი ლუბნი იყო, თავადის სახლობა იდგა, რომელიც ისეთი სკო-ლა იყო, რომ იქ უფრო შეეფერებოდათ, რაც უნდა იყოს, წურთვნა ახალგაზდა თავადიშვილებს. გარნა კნეინას თავისი

საბუთები ჰქონდა, რისთვისაც არ ჰგზავნიდა თავისს შეილებს ლუბნში აღსაზრდელად.

ჰმ, ლუბნში გაეგზავნა! მერე თავად ერემიას რომ გა-
ჰსენებოდა, ვისი საკუთრებაც იყო რაზლოგი და ელენეს
მზრუნველობა თვითონვე ეკისრა? ხომ უნდა აძღარიყო და
გამოსთხოვებოდა სამუდამოდ რაზლოგს. კნეინას ის უნდოდა,
სრულიად დაპირწყვბოდათ ლუბნში, რომ კურუევაჩები არსებობენ
საღმე ქვეყნადაო. და აი ამიტომ ახალგაზდა თავადიშეილები
იზრდებოდნენ. შინა-კაცებად, თითქმის ნადირებად, უფრო კა-
ზახთა წესზედ, ვიდრე თავად-აზნაურის შესაფერად. ჯერ ისევ
ბავშვები იყვნენ, რომ დედასთან ერთად თავს ესხმოლნენ სივი-
ნსკებს და თათართა ბრძოსა. წიგნები და წერა-კითხვა დაბა-
დებითვე ჭირივით ეჯავრებოდათ: მთელს დღეს იმის მეტს არას
აკეთებდნენ, რომ შეილდ-ისარს ისროლნენ, თოვებსა სცლიდ-
ნენ და სწავლობდნენ ქამანდის კვრასა და რარალის ხმარება-
სა. დედა იმის ნებასაც კი არ აძლევდა, რომ ოჯახის საქმეები
ეკეთებინათ. საცოდაობა იყო სწორედ, რომ ასეთს ყოფაში
იყენენ ჩამომავალნი შესანიშნავის თავადიშეილის გვარისა!
თვითონ ისინიც კარგად ჰგრძნობდნენ თავიათ უმეტებას და
ამიტომ ერიდებოდნენ თავად-აზნაურობასა, ისევ იმასა რჩეობ-
დნენ, რომ ყაზახების ბრძოთა ბელადებ შორის ყოფილიყვნენ
ხოლმე. ბოლოს დაუახლოვდნენ კიდეც ქვემოურობას, საცა-
ახალგაზდა თავადიშეილები თავიათ მეგობრებად მიაჩნდათ. ხში-
რად ნახევარ-წლობით რჩებოდნენ სეჩსა, დადიოდნენ „საშო-
ვარზედ“ ყაზახებთან ერთად, იღებდნენ მონაწილეობას იმათს
თარეშობაში ოსმალთა და თათართა წინააღმდეგ და სულითა და
გულით შეიყვარეს ასეთი დროს-გატარება. კნეინა წინააღმდე-
გობას არ უწევდა ამაში შეილებს. ან კი რისთვის გაუწევდა
წინააღმდეგობას, როცა ხშირად დიდი დავლა და ალაფი მო-
ჰქონდათ; ეს კია, რომ ერთს ამისთანა თარეშობის დროს, უფ-
როსი, ვასილი, ხელში ჩაუვარდათ ურჯულოებს. დანარჩენმა
ძმებმა ბოგონისა და სხვა ყაზახების შემწეობით გაანთავისუფ-
ლეს, მაგრამ უკვე თვალები ამოეწვათ საცოდავისათვის.. მას

უკან ძალა-უნებურად სულ სახლში იყო საწყალი გამომწყვდე-
ული. მანამდე ერთი შეუპოვარი და დაუცხრომელი, შემდეგ
უცებ გამოიცვალა: გულ-ჩილობა დასჩებმდა, ლვთისნიერი შე-
იქმნა. უნცროსნი ძმანი სამხედრო ზნეს არ სტოვებდნენ, რის
გამოც მეტ სახელად უწოდეს „ყაზახთა თავადნი“. საკმაო იყო
თვალი მოგვრათ რაზლოგ-სირომახისათვის, რომ მაშინვე მი-
ხვედრილიყავით, რა ხალხიცა სცხოვრობდა იქ. როცა პან
სქეშეტუსკი და ელჩი შევიდნენ ალაყაფის კარებში, თვალ-წინ
წარმოუდგათ ეზო კი არა, არამედ უფრო ციხე-დარბაზი, რომე-
ლსაც სქელი კედლები ჰქონდა მუხის ძელებისა და პატარა ვი-
წრო ფაჯურები, თითქო სათოფურებიაო. სადგომები მოსამსა-
ხურეთა და ყაზახთათვის, თავლები, ფარდულები იქვე გვერდ-
ზედ ჰქონდა მიღებული სახლებს. ამის გამო შენობანი სულ-
ზედი-ზედ იყო მიყრილი უწესოდა და ურიგოდა. ფაჯურები
რომ განათებული არა ყოფილიყო, კაცი ვერ მიხვდებოდა, თუ
აქ ადამიანის საცხოვრებელი სახლიაო, ისეთის საცოდავის შე-
სახედაობისა იყო იქაურობა. ეზოში ჭებს ახლო ორი წერო
აყუყულიყო: ჭიშკარს ახლო სვეტი იდგა, რომელზედაც დათუ-
ნა იყო მიბმული. მძიმე მუხის ჭიშკრიდან გახვილოდათ პატა-
რა ეზოში, რომელსაც თხრილი ერტყა და ბალი ჰქონდა გარ-
შემო.

ცხადია, რომ ეს სადგომი შეჭურვილი ციხე-სიმაგრე იყო,
ყოველ-გვარ თავ-დასხმისგან უზრუნველ-ყოფილი. საზოგადოდ
ყოველივე ესე მოაგონებდა კაცს ან ყაზახთა ცალკე მოსახ-
ლეობას ქვეყნის სამზღვარზედ, ან კიდევ ავაზაკთა ბუნაგა-
მოსამსახურენიც, რომელნიც მაშხალებით გამოეგებნენ სტუმ-
რებს, უფრო ავაზაკებსა ჰგვანდნენ, ვიდრე ჩვეულებრივს მოსა-
მსახურებს. უზარმაზარი ქოფკები საშინლად იღრინებოდნენ,
ჰლამობდნენ ჯაჭვების დაწყვეტას, უნდოდათ ზედ შეჭვარდნო-
დნენ სტუმრებს და დაეფლითათ; თავლებიდან მოისმოდა ცხენ-
თა ჭიხვინი; ახალგაზდა ბულიგებმა თავიანთ დედითურთ მაშინ-
ვე დაუწყეს ლანძღვა-თრევა მოსამსახურებს, ვინ იცის კი რის-
თვის. ამ ვაი-ვაგლახსა და უწესოებათა შორის ყველანი შევი-

ღნენ ბოლოს სახლში და მხოლოდ აქ გაოცდა როჩეან ურსუ (მანამდე კი ჰინანობდა; რად დავთანხმდი ამისთანა ქოხში ღამის გათევასაო) იმ სურათის წინაშე, რომელიც თვალ-წინ წარმო-უდგა. შინაგანი მორთულობა და გარეგანი შესახედაობა შორი-შორს იყო ერთმანერთზედ.

პირველივე სანახაეთ, რომელმაც გააოცა როჩეან ურსუ, იყო უშველებელი ტალანი. ამ ტალანის კედლებზედ ჩამოკი-დებული იყო ყველგან ცხენების იარაღი ყოველის თვისის სამკაულოთა, ყოველ-გვარი საომარი საჭურველი და გარეულ ნაღირთა ტყავები. ორს ვეებერთელა ღუმელში გაჟეონდა გუგუნი ღიდრონს მუხის კუნძებს. ცეცხლის ალი ანათებდა ძვირფასს ცხენის იარაღსა, ბჟყვრიალა ჩაჩქან-ჯავშნებსა, ოსმა-ლურს კაუჭა ხმლებსა, რომლებიც მოჟედილი იყო თვალ-მარგა-ლიტითა, რკინის პერანგებს, ჯაჭვის წვრილ-თვალსა, მუზარა-დებს პოლონურსა და ოსმალურს; მეორე კედლებზედ ეკიდა ძველებური ფარები, პოლონური შუბები და აღმოსავლეთის ხელ-კომბლები, ერთის სიტყვით, ყოველ-გვარი საჭურველი, კომბლებიდან დაწყებული ხანჯალსა და დაშნებამდე, რომლე-ბის ვადებსაც ისე გაჟეონდათ ბჟყვრიალი, ისეთი წყალი და ჯავარი ჰქონდათ, თითქო ცვარი დაუდვია ზედ და მზეზე ბრწყი-ნავენო. კუთხებზი ეკიდა მთელი გროვა მელისა. მგლისა, და-თვისა და ყარყუმის ტყავებისა — ნაყოფი თავადიშვილების ნაღირობისა. დაბლა, კედლის გაყოლება, მსხვილ მარგილებზედ სთვლებავლნენ ქორები, მიმინოები, სვავები. სვავები ახალგაზდა თავადებს მგელზედ სანაღიროდა ჰყავდათ.

ტალანიდან სტუმრები დიდს სასტუმრო ოთახში შევიდ-ნენ. აქაც ბუხარში დიდი ცეცხლი გუგუნებდა, ხალო სიმდი-დრე აქ უფრო მეტი იყო, ვიდრე ტალანში: ხის კედლებს ჩა-მოფარებული ჰქონდა ხავერდის ქსოვილები, იატაკი დაფენი-ლი იყო აღმოსავლეთის ჩინებულ ხალებითა. შუა ოთახში იდ-გა გრძელი სტოლი გადაჯვარედინებულის ფეხებითა, შეკრუ-ლი უბრალო ფიცრისაგან; სტოლზედ ელაგა სხვა-და სხვა ჭუ-რჭელი, ან ოქროში-ცურვილი, ან ვენეტიკის შუშისა; კედ-

ლებს ახლო იდგა პატარა სტოლები, კამოდები, საწიგნობლები, რომლებზედაც ეწყო პატარა ყუთები, ბრინჯაოთი შემკული, სპილენძის შანდნები და საათი. ყოველივე ესე ოდესმეოსმალოებმა დასტაცეს ვენეტიკელებს, ხოლო ახლა ყაზახებს წაერთმიათ ოსმალოებისათვის. მთელი ოთახი სავსე იყო მშვენიერის ნივთითა და ვეჯითა, რომელთა დანიშნულება არც კი იცოდნენ პატრონებმა; სიმღიდრე და სილარიბ-სიმარტივე მინდვრის მცხოვრებელთა ყველგან ერთმანეთში იყო არეული. ძვირფასი ოსმალური კამოდები, ბრინჯაოთი და სადაფით დასევადებულები, გვერდთ უდგა უბრალოდ გაჩორქილს გრძელს. სკამებს, ხის სკამები—მბილ ტახტებს, ხალიჩებით დაფენილსა. უოველმავე ასან ოდნავაც არ გააკვირვა პან სქესტუშესკი, რომელმაც კარგად იცოდა, როგორცა სკხოვრობდნენ სამზღვარზედ დაბინავებულნი, მაგრამ ელჩს კი ძლიერ უკვირდა, როცა ჰელავდა, რომ ამისთანა სიმღიდრეში კურცევიჩებს ტყავის მოკლე ჯუბები ცუპათ; უკვირდა პან ლონგინუს პოდბიპენტასაც; ლიტვაში მიჩვეული არ იყო ამისთანაების ხილვასა.

ამასობაში თავადიშვილები ცდილობდნენ გაერთოთ სტუმრები. ძლიერ უნდოდათ, რომ, რაც კი შეიძლებოდა, სასიამოვნო მასპინძლობა გაეწიათ, მაგრამ ვაი რომ ვერ ახერხებდნენ! დესპანი ძლიერ იმაგრებდა ღიმილსა.

— დიდად მახარულნი ვართ, რომ გვესტუმრეთ,—დაიწყო უფროსმა, სეიმონშა: — და დიდად გმადლობთ თქვენის გულ-კეთილობისათვის. ჩვენი სახლი თქვენი სახლია; ისე ბრძანდებოდეთ, როგორც თქვენს საკუთარს სახლში. სალაშს გიძლვნით ჩვენს ღარიბულს ქოხში.

ისე ამბობდა ამ სიტყვებს, რომ არ ეტყობოდა, თუ ან თავს იმდაბლებდა, ან თუ ჰერნობდა, რომ უმასპინძლდებოდა. ისეთს ხალხს, რომელნიც მათზედ მაღლა იდგნენ. ამას თხოულობდა ყაზახთა ზნე-ჩვეულება. ამბობდა ამას და თავს უკრავდა; დაბლა; მასთან ერთად თავს უკრავდნენ მისნი ძმანიცა.

კნეინამ შეუმჩნევლად ჩამოსწია სახელო ბოვჭნსა და მეჭარე ოთახში გაიყვანა.

— გამიგონე, ბოგუნ,—სხაპა-სხუპით უთხრა კნეინამ:—შენთან დიდ ხანს სალაპარაკოდ არა მცალიან. ჟეგატყე, რომ ის ახალგაზდა აზნაურშვილი როგორლაც თვალში არ მოგდის და მიზეზს ეძებ, რომ ჩეუბი აუტეხო.

— დედა!—და ყაზახმა კნეინას ხელზედ აკოცა,—ქვეყანა დიდია: იმას სხვა გზა აქვს, მე—სხვა. მე იმას არ ვიცნობ, იმაზედ არა გამიგონია-რა, მაგრამ ცოტა შორს იყოს კნიაჭნასა-გან, თორემ გავაცნობ ჩემს ხმალსა.

— ჰაი, შე თავზედ ხელ-ალებულო, დამთხვეულო! გონება საღა გაქვს, ყაზახო? რა გემართება? ან იქნება გინდა შენი თავიც დაპლუპო და ჩვენიცა? ეგ კაცი ვისნევეცკის სამსახურშია, იმისი დესპანია, მცირე კაცი არ არის... ელჩად იყო გა-გზავნილი თავადისაგან ყევნთან. ჩვენს ჭერ-ჭვეშ რომ თუნდ ოდნავ შეახოს ვინმემ მაგას ხელი, იცი რა მოხდება? მოურა-ვი-თავადი მიაქცევს ყურადღებას რაზლოგს, შურს იძიებს მაგ კაცისათვის, ჩვენ გავვრეცავს აქედან და ელენეს წაიყვანს თა-ვისთან ლუბნში... მერე? თავადსაც დავას დაუწყებ? ლუბნ-საც დაესხმი თავსა? აბა, სცადე, თუ მარგილზედ ჩამოგება მოგ-ნდომებია, დამთხვეულო ყაზახო!.. ეტრფის თუ არა ეგ აზნა-ურშვილი ქალს, ეს სულ ერთია,—როგორც მოსულა, ისევე წავა,—და ყოველივე წინანდებურად დარჩება. თავი შეიკავე მაშ და, თუ არ გინდა, წადი, საიდანაც მოსულხარ, თორემ ხათაბალას გადაგვაცვამ თავს!

ყაზახი იკვნეტდა ულვაშს, ჰქონიავდა, რაც შეეძლო, მაგ-რამ მაინც მოისახრა და იგრძნო, რომ კნეინა მართალს ამბო-ბსო.

— კარგი,—სთქვა ბოგუნმა,—მე თავს შევიკავებ, მხოლოდ ელენე კი ნუ გამოვა მაგათანა.

— ეგ რადაო? გინდა სთქვან, რომ დაკეტილში ჰყავთ გასათხოვარი ქალიო! მე გადავსწყვიტე და გამოვა კიდეც. შენ განკარგულებას ნუ იძლევი; შენ აქ სახლის უფროსი არა ხარ.

— ნუ ჯავრობთ, კნეინა. თუ სხვაფრივ არ შეიძლება, თქვენი ნებაა. წარჩს არ შევიხრი, ხმალზე ხელს არ გავი-

კრაე, თუნდა ბრაზით ვირჩობოდე, თუნდა სულ ცეცხლში ვიწოდე.

— შენ აი ის ფანდური აიღე, დაუკარი, დაამღერე რამე ზე-და და დარღი გადაგივლის; გამხიარულდები. ახლა კი დროა სტუმრებს მივხედოთ.

სასტუმრო ოთახში ყმაწვილს თვალიშვილებს სალაპარაკო საგანი გამოელიათ და დაიწყეს კვლავ დაბლა თავის კერა და მადლობის თქმა პატივისცემისათვის. პან სქემეტუშსკიმ გულ-ცივად და აძაყად გაუბნია თვალი თვალში ბოგუნსა, მაგრამ შეამჩნია, რომ საბრძოლველად აღარ იწვევდა. ახალგაზდა ატა-მანის სახე ბრწყინავდა ყოვლად გულ-კეთილის მხიარულებითა და ეს მოჩვენებელი მხიარულება ისე ჰმალავდა, რაც მის გულ-ში ვნებათა ბობოქრობა იყო, რომ თვით გამოცდილი თვა-ლიც კი ვერას შეატყობდა. დესპანი გულ-მოდგინედ ათვალი-ერებდა ბოგუნს: წელან სიბნელეში კარგად ვერ გაარჩია იმისი პირი-სახე. ეხლა მის წინაშე იდგა ჭანდარივით ტანადი ახალ-გაზდა კაცი, შავვერემანი, ხშირ და გრძელ-ულვაშებიანი. იმის უკრაინულ დალინებას ისე ეტყობოდა ლიმილი, როგორც ნისლია და ბურუსს შეეტყობა ხოლმე, რომ მათ უკან მზეა დამალულიო. ატამანის მაღალს შეტყობისა ჰუარავდა ხშირ წარბებ ზემოდ სწო-რედ შემოკერცხილი შავი თმები. არწივივით კეხიანი ცხვი-რი, ცხვირის ნესტოები, რომელიც საბერველივით ებერებოდა და თეთრი კბილები, რომელიც ყოველ გაღიმებაზედ თეთრად უელვარებდა, ცოტა არ იყოს, ისეთს იერსა სდებდა, თითქო მტაცებელი ფრინველია; საზოგადოდ, უკრაინული სილამაზე ჰქონდა, თვალსაჩინო, აფერადებული, გამაგულისებელი. მეტად მდიდრული ტანისამოსიც ძლიერ განასხვავებდა მინდვრების რაინდს თვალიშვილებასაგან, რომელთაც ტყავის მოკლე ჯუ-ბები ეცვათ. ბოგუნს ეცვა თბილი და მოკლე კაბა ვერცხლით ნაქსოვის ფარჩისა და წითელი დოშლული. წითელი ფერი მაინც საყვარელი ფერი იყო პერეიასლავის ყაზახთა. პრტყელ ქამარ-ზედ ეკიდა ძვირფასი ხმალი; მაგრამ ეს ხმალიცა და დანარჩე-ნი მორთულობაც სულ არაფერი იყო იმის ოსმალურ ხანჯალ-

თან შედარებით. ხანჯლის ტარი სულ დიდრონის წყლიანისა და ჯავარიანის ძვირფასის ქვებით იყო მოჭედილი. ყველას ისე ეგონებოდა, რომ ბოგუნი დიდის გვარის ბატონ-კაციაო, მით უფრო რომ ლაზათიანი მიხვრა-მოხვრა პქნდა და ისე თავი-სუფლად ეჭირა თავი, რომ არაფრით არ ემჩნეოდა მდაბიო გვა-რის-კაცობა. ბოგუნი მივიდა პან-ლონგინუსთან, მრაისმინა ამ-ბავი მისის წინაპარის სტოეეკოსი, ჯვარ-შემოსილთა სამის თა-ვისა და მერე მიშმართა დესპანს, თითქო მათ შორის არა მომხ-დარა-რაო:

— ამბობენ, რომ თქვენ ყირიმიდან მობრძანდებით?

— ყირიმიდან გიახლებით,—გულ-ცივად უპასუხა დესპანმა.

— მეც ვყოფილვარ იქა, და თუმცა ბახჩასარაიში ვერ მოვხედი, მაინც ვფიქრობ, რომ იქაც მომიხდება ყოფნა, თუ გამართლდა, ყველა ის სასიამოვნო ამბები, რომელიც შევიტყე.

— რის შესახება ბრძანებთ?

— ამბობენ, რომ თუ ჩვენი ყოვლად-მოწყალე მეფე ოს-მალოს დაუწყებს ომს, თავადი-მოურავი ყირიმს გაილაშვრებს ცეცხლითა და შახვილითაო. უკრაინასა და ქვემოურობას ძა-ლიან ესიამოვნათ ეს ამბავი: თუ მაგისთანა კაცის წინამძღო-ლობითაც ვერ ვინავარდეთ ბახჩასარაიში, სხვის ხელში უფრო აღარა იქნება-რა.

პარუჩიკს სასიამოვნოდ დარჩა, რომ ასეთის პატივის-ცე-მით მოიხსენია ატამანმა თავადი იურემია. გაილიმა და მოტკბი-ლებულის ხმითა სთქვა:

— გეტუობათ, არა სჯერდებით იმ ქველობასა და ვაუკა-ცობას, რომლითაც ისეთი დიდება და სახელი მოიხვეჭეთ?

— მცირე ომია—მცირე სახელია, დიდი ომია—დიდი დიდე-ბაა. კონაშეეიჩმა აქ კი არ შეიმოსა დიდება, არამედ ხოტინის ბრძოლაში.

ამ დროს გაილო კარი და ოთახში შემოვიდა ელენე. წინ მოუძღვდა ვასილი, უფროსი ძმა კურცევიჩებისა. ვასილი უკვე ხანში შესული კაცი იყო, გაყვითლებული, გამხდარი, იმისთანა კუშტის სახისა, თითქო განდეგილიაო; ბიზანტიის

ხატებს მოაგონებდა კაცს. მხრებზედ სცემდა დარღისა და ტანჯვისაგან გაჭალარავებული თმები, თვალების ნაცელად ორი სისხლივით დაწითლებული ფოსო უჩანდა. ხელში ეჭირა სპილენძის ჯვრი და დაუწყო იმით ჯვარის გადაწერა ოთახსა და ყველა იქ მყოფისა.

— სახელითა ღვეთისა მამისათა, სახელითა მაცხოვარისათა და ყოვლად-წმიდისა ქალწულისათა,—დაიწყო ვასილიმ:—თუ კეთილი ამბავი მოგაქვთ, მოგიძლენით სალაში ამა ქრისტიან ულს სახლში.

— მიუტევეთ, ბატონებო,—სთქვა ჩურჩულით კნეინამ:—თავისს ჭკუაზედ ვერ არის.

ვასილი კვლავ განაგრძობდა ჯვარის გადაწერას.

— ვითარცა სწერია სამოციქულოში: „რომელმაც დასთხიოს სისხლი თვისი სარწმუნოებისათვის, სცხონდეს; რომელმან ვერა დასთმოს საუნჯვენი სოფლისანი,—იგი წარწყმდეს“, ვილოცოთ! ვაი თქვენდა, ძმანო! ვაი ჩემდა, რამეთუ აღვსდეგით საუნჯვეთათვის სოფლისა! ღმერთო, მოწყალებასა შენსა ნუ მოგვაკლებ ჩვენ ცოდვილთა! ღმერთო, ნუ მოგვაკლებ მოწყალებასა... ხოლო თქვენ, კაცნო, მოსულნო შორიდან, რა ამბავი მოგაქვთ თან? მოციქულებად გამოგვეცხადენით, თუ არა? ვასილი გაჩუმდა და ელოდა პასუხს.

— ჩვენ მაგ მაღალს მოწოდებას ვერ ვიტვირთებთ,—სთქვა ერთს წუთს შემდეგ დესპანმა:—ჩვენ უბრალო ჯარის-კაცნი ვართ. მზად-მყოფნი დავდოთ თავი სარწმუნოებისათვის.

— მაშინ ცხონდებით, მაგრამ ჯერ ჩვენთვის არ დამდგარა დრო განთავისუფლებისა... ვაი თქვენდა, ძმანო! ვაი ჩემდა!

ბოლო სიტყვები თითქმის გულ-ამოსკვნით წარმოსთქვა უსინათლომ, ხოლო მის სახეზედ ისეთი სასოწარკვეთილება იხატებოდა, რომ სტუმრებმა აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ამ დროს ელენემ დასვა ვასილი სკამზედ, ხოლო თვით გავიდა საჩქაროდ ოთახიდან და შემობრუნდა ფანტურით ხელში.

ფანტურის ტკბილმა ხმამ გაავსო ოთახი. კნიაუნამ დამღერა სამღვთო საგალობელი:

დღისით და ღამით შენ მოგიწოდებ, უფალი
დაუბრე ტანჯვა, გააშრე ცრემლი ჩემი,
იყავ მამა მოწყალე ჩემდა ცოდვილისა,
ისმინე ვედრება ჩემი!...

ვასილმა ძირს დაჭხარა თავი და ისმენდა საგალობლის სიტყვებსა. ისე იმოქმედა საგალობელმა, რომ კაცს ეგონებოდა, გამაცოცხლებელი ბალზამი მოეცხო მის გულსაო; ნელ-ნელა განშორდა მის სახეს ბეჭედი ნაღველისა და მწუხარებისა. ბოლოს, თავი მისი სულ მკერდს დაეყრდნო. ასე დარჩა კარგახანს, არც თუ თითქო სიზმარშიაო, არც თუ გარინდებულია.

— თუ გალობა არ შევწყვატეთ, სულ დამშვიდდება, — ნელის ხმითა სთქვა კნიაუნამ. — როგორც ჰედავთ, ამის სიგიურე ის არის, რომ სულ მოციქულებს ელის, და ვინც უნდა მოვიდეს ჩვენსა, გამოვა და ეკითხება, მოციქულები ხომ არა ხართო...

ელენემ განაგრძო გალობა:

მასწავე მე გზა, პო მეფეთა მეფეო,
რაღან ვარი მე ვით მგზავრი უდაბურს მინდვრად,
გინა ვით ნავი გზის დამკარგველი ზეირთ შორის
განუზომელის ზღვისასა.

კნიაუნას ხმა თან და თან უფრო ძლიერდებოდა. ფანტურით ხელში, თვალებ-აღპყრობილი ზეცად, ისე ჰშვენდა, რომ დესპანმა თვალი ვეღარ მოაშორა. პან სქემეტუსკის ზედ დარჩა თვალები და სულ დაავიწყდა ყოველივე.

მხოლოდ კნიაუნას სიტყვებმა გამოაფხიზლა ტკბილ ზმანებიდან.

— კმარა! ახლა კი კარგა ხანს აღარ გაეღვიძება. მანამდე გთხოვთ ვახშამი ინგბოთ.

პან როზევანშა, როგორც დიდ საზოგადოებაში ყოფნას ჩვეულმა კავალერმა, კნეინას გაუკეთა მკლავი. დესპანშა დაინახა ესა და ელენეს გაუწოდა ოვისი ხელი. მისმა გულმა აჩქარებით დაიწყო ბაგა-ბუგი, როცა იგრძნო კნიაუნას ხელის შეხება.

— მგონია ანგელოზნიც ვეღარა ჰგალობენ ცაში თქვენზედ უკეთესად,—უთხრა დესპანმა კნიაუნას.

— ღმერთსა სცოდავთ, რაინდო, რომ ჩემს გალობას ან-გელოზებისას ადარებთ,—უპასუხა ელენემ.

— არ ვიცი, ვცოდავ თუ არა, მაგრამ ის კი მართალია, რომ სიმოვნებით მივცემდი ნებას, თვალები ამოეწვათ ჩემთვის, ოღონდ კი სიკვდილამდე თქვენის გალობის მოსმენა არ მომკლებოდა. მაგრამ, რას ვამბობი? მაშინ ხომ ვეღარ დაგინახავ-დით და ეს ჩემთვის აუტან ელი ტანჯვა იქმნებოდა.

— ნუ ამბობთ მაგისთანებს. ხვალ წახვალთ აქედან და-უველივე გადაგავიწყებათ.

— არას დროს, არას დროს! ისე შემიყვარდით, რომ ჩემს დღეში ვერ დაგივიწყებთ.

კნიაუნას სიწითლე მოერია და ატლასივით გაჭხადა მისნი ღაწვნი; გულმა მეტის ძლიერებით დაუწყო ასვლა და დასვლა, თითქო ზლვის ტალღა ადის და-დადისო. რაღაც უნდოდა ეთქეა, მაგრამ სიტყვები არ ჰნებდებოდა.

— თქვენ უფრო დამივიწყებთ, რაკი გვერდთ გახლავთ ეს ატამანი, რომელიც აიღებს ჩონგურს და დაუწყებს კვრას თქვენს სიმღერაზედ.

— არასოდეს, არასოდეს! — წაილაპარაკა ჩუმად კნიაუნამ. — მაგრამ გეშინოდეთ კი მაგისი, საშინელი კაცია.

— რა არის ჩემთვის ერთი ყაზახი! თუნდ მთელი სეჩი უდგეს ზურგთ უკან, თქვენთვის მზად ვარ მაინც ყველას შევ-ბედო. თქვენა ხართ ჩემი ერთად-ერთი ფას-დაუდებელი საუნჯე, ჩემი სიცოცხლე... მითხარით, თქვენც თანაუგრძნობთ ჩემს სი-ყვარულს?

ნელიად თქმულმა „დიალმა“ სამოთხის მუსიკასავით და-უტკბო სმენა პან სქუეტუსკის; გამოუთქმელმა სიხარულმა

აღიტაცა და აღაფროვანა მთელი მისი არსება; იგრძნო, რომ ახალი ძალი მომემატაო, თითქო ფრთები გამომესხა მხრებზე-დაო. ვახშამზედ ერთხელ-ორჯელ მოჰკრა თვალი ბოგუნს; სახ. საშინლად შესცვლოდა, გაპირობებოდა, მაგრამ დესპანს იმისი-დარღი არა ჰქონდა, რაკი დარწმუნდა, რომ ელენესაც ვუყვარ-ვარო. „ღმერთმა მშვიდობა მისცეს! — ფიქრობდა გულში. — ოღონდ გზაში კი ნუ გადამელობება, თორებ გავსრესავ“. იმისი ფიქრი ეხლა სხვა იყო. დესპანი ჰგრძნობდა, ელენე ისე ახლო-ზის ჩემთანაო, რომ მისი მხარი თითქმის ჩემს მხარს ეხებაო; ჰქედავდა, როგორ აღიოდა და დადიოდა მისი გულ-მკერდი, როგორ ბრწყინავდა მისი თეალები, ხან მორცხვად ძირს და-ხრილი, ხან მოკაშკაში, ვით წყვილი ვარსკვლავი. ელენე თუ-მცა დაჩაგრული იყო კურცევიჩებისაგან, თუმცა ერთს ფერო-ვანს ცხოვრებაში იყო და ობლად ჰგრძნობდა თავს, მაინც უკრაინელი იყო და ცეცხლივით ცხელი სისხლი ედგა ძარ-ლებში. როგორც კი იგრძნო პირველივე თბილი სხივები სი-ყვარულისა, მაშინვე აღყვაედა, ვარდივით გადიშალა და განი-ღვიძა ახალის ცხოვრებისათვის. მის სახეს ბეღნიერებისა და გა-მბედაობის ნათელი გადასდიოდა, ხოლო ქალწულებრივს კდემა-მოსილებას შეექო და აეფერადებინა მისი ლაწვები. პან სქე-ტუსკი სიხარულით ჯდომას ვეღარ ახერხებდა ერთს ალაგას. სვამდა უანგარიშოდ, მაგრამ თაფლ-ლვინო არ ათრობდა: ულვი-ნოდაც მთვრალი იყო სიყვარულით. სუფრაზედ ვეღარავის ვეღარა ჰქედავდა, კნიაჟნას მეტს, ვეღარა ჰქედავდა, რომ ბოგუნი უფრო და უფრო ფითრებებოდა და ხელში ჰმუქავდა თავისს ხანჯლის ტარს, არ ესმოდა, რომ პან ლონგინუსმა მე-სამედ ჩამოარაკრაკა ამბავი თვასის წინაპარის სტოვეკოსი, ხოლო კურცევიჩმა — გალაშკრების ამბავი „ოსმალოს საუნჯეთა“ საშოერადა. ბოგუნს გარდა, ყველანი სეამდნენ. მოხუცი კნეინა კარგს მაგალითს აძლევდა ყველას, რაღან მალ-მალე სცლიდა სადლეგრძელოებს ხან სტუმრებისას, ხან ყოვლად-მოწყალე ბა-ტონის თავადისას და, დასასრულ, გოსპოდარ ლუბულისას. ჩა-მოვარდა ლაპარაკი უსინათლო ვასილის შესახებაც, რომ ყმა-

წვილობაში არა ერთი და ორი რაინდული საქმე მოექმედნა, მაგრამ ბოლოს ის უბედურება შეეჭინება და მას უკან სიგიუეც დასჩემდა. ამ სიგიუის გარემოება უფროსმა სვიმონმა ასე განმარტა:

— თქვენ თვითონ კარგად მოგეხსენებათ, სულ მცირე რამ მტვერი როგორ აწუხებს თვალს, თუ შიგ ჩაგვივარდა და მაშ აბა რას იზამდა კუპრის ნაჭრები, როცა ტვინს უწევდა? რასაკვირველია, ცუდს საქმეს დაჰმართებდა.

— დიალ, ტვინი ძალიან ნაზი ორგანო გახლავთ, — კვერი დაუკრა პან ბოლგინუსმა.

მოხუცმა კნეინამ მხოლოდ ეხლა შეპნიშნა, რომ ბოგუნს ფერი აღარ ედო.

— რა დაგემართა, გვრიტო?

— გული და სული მტკივა, დედა, — ყრუდ წილაპარაკა შეან: — მაგრამ ყაზახის სიტყვა კვამლი არ არის: რაცა ვთქვი, იმას არ გადავალ.

— მოითმინე, შვილო, ჯილდო მოგელოდება.

ვახშამი გათავდა, მაგრამ ჭიქა-ჭურჭელი მაინც კვლავ ივსებოდა თაფლ-ლვინით. დაუძახეს ახალგაზდა პატარა ყაზახებს და დაიწყო ცეკვა. პატარა ყმაწვილებს უნდა ეცეკვნათ ჩონგურსა და დაირაზედ. პატარა ხანს უკან, თვით მასპინძლებ-მაც დაიწყეს ცეკვა და ბუქნა. მოხუცმა კნეინამ შემოიყარა დოინჯი, აბარტყუნებდა ფეხებს ერთსა და იმავე ალაგას და აყოლებდა ხმას მუსიკასა. პან სქშეტუსკიმაც თავი დაუკრა ელენეს და სახოვა ეთამაშნა იმასთან ერთად. როცა ხელი შემოჭვია კნიაუნას, ასე ეგონა, რომ მთელი ქვეყანა მყავს ხელ-შემოხვეულიო. თამაშობის დროს; იმისი გრძელი, კავებად და-შვებული თმები ეხვეოდა გარშემო დესპანის ყელს, თითქო კნიაუნას უნდა, აღარსად აღარ გაუშვას დესპანი და საუკუნოდ თავისი გაპხადოსო. ვეღარ მოითმინა ყმაწვილმა კაცმა და, როცა კი დრო იხელთა, ახლა აღარავინ გვიყურებსო, დაიხა-რა და გულ-მხურვალედ დაუკოცნა ძვირფასი ბაგენი.

ნაშუალამევს, როცა პან ლონგინუსი და დესპანი მარტონი იყვნენ იმ ოთახში, საცა დასაძინებლად წაიყვანეს, პარუჩიკი დაჯდა ქეჩაზედ და სთქვა:

— სულ სხვა კაცი წამოვა ხვალ თქვენთან ლუპნსაც!

პოდბიპენტამ (ის-იყო გაათავა ლოცვების კითხვა) გაკვირვებით დააჭირტა თვალები.

— როგორ თუ სხვა კაცი? თქვენ კი აქა რჩებით განა?

— მე კი არა, ჩემი გული რჩება აქა. ჩემი ხორცი წამოვა ხვალ თქვენთანა. ვერა ჰქედავთ, რა აღლვებაში ვარ.

— შეგიყვარდათ კნიაენა, თუ რა ამბავია?

— მიხვდით. ეგ ისევე მართალია, როგორც ის, რომ ახლა მე თქვენთანა ვარ. ძილი აღარ მეკარება. იმატომ გეუბნებით ამას, რომ თვითონ თქვენც ჩჩილი გული გაქვთ, რომელსაც სიყვარული სწყურიან; თქვენ აღვალად მიხვდებით, რა ცეცხლში ვარ.

პან ლონგინუსმა მძიმედ ამოიოხრა იმის დასამტკიცებლად, რომ მესმის, რაც არის ტანჯვა სიყვარულისაო, და ერთს წუთს შემდეგ ჰქითხა:

— იქნება, თქვენც აღთქმა გაქვთ დადებული უბიშოებისა?

— ახირებულ საქმესა მკითხავთ. ყველამ რომ მაგისანა აღთქმა დასდოს, კაცთა ნათესავი ხომ მალე გაჰქირებოდა დედა-მიწის ზურგზედ.

მოსამსახურეს შემოსვლამ შესწყვიტა მუსაიფი. ეს მოსამსახურე იყო მოხუცი თათარი შავისა და აჩქარებით მოძრავის თვალებითა; სახე ისე ჰქონდა დაშემეჭილი, თითქო გაჩირული გაშლიაო. დიდ-მნიშვნელოვანებით შეჰქედა სქმეტუსკის და ჰქითხა:

— ხომ არა ჰნებავთ-რა ბატონებსა? იქნება, თაფლის შორთმევა გვიბრძანოთ?

— არა, არა გვინდა-რა.

თათარი. მიუხსლოვდა სქმეტუსკის.

— ორიოდე სიტყვა მაქვს თქვენთან სათქმელი, პანნას დაბარებული, —ჩურჩულით უთხრა თათარმა.

— ი, მითხარი, მითხარი! — სთქვა სიხარულით დესპანმა: — ნუ დაერიდები ამ რაინდს: მაგას გავუმეტავნე ჩემი საიდუმლო. თათარმა ლენტის ნაჭერი გამოილო სახელოდან.

— პანნამ გამოგიგზავნათ ეს შარფი და მიბრძანა მოგახსენოთ, რომ მიყვარხართ სულითა და გულითაო.

პარუჩიკმა საჩქაროზედ გამოართვა შარფი, დაჰკოცნა მხურვალედ და, როცა გონზედ მოვიდა, ხელ-მეორედ ჰკითხა:

— როგორ დაგაბარა, რა უთხარიო?

— რომ მიყვარხარ სულითა და გულითაო.

— აშა, ტალერი მიჩუქებია მაგისათვის. მაშ კნიაუნამა სთქვა, რომ მიყვარსო?

— დიალ.

— აშა, კიდევ ტალერი. ღმერთმა დღე მისცეს, მეც თვითონ ძლიერ მიყვარს. უთხარი... მაგრამ დაიცა: მე თვითონ მივწერ. მომიტანე მხოლოდ საწერ-კალამი და ქალალდი.

— რა მოგართვათ? — იკითხა თათარმა.

— საწერ-კალამი და ქალალდი.

— ეგები არა გვაქვს ჩვენა. თავად ვასილის დროსა გვქონდა; მერე მაშინაცა გვქონდა, როცა ყმაწვილი ბატონები სწავლობდნენ წერა-კითხვას ბერისაგან; მაგრამ მას უკან დიდი ხანია.

პან სქემეტუსკიმ უკმაყოფილებით გაატკაცუნა თითები.

— პან პოდბიპენტა, საწერ-კალამი ხომ არა გაქვთ?

ლიტველმა მხრები შეიშმუშნა და ოვალნი აღაბყრო ზეცად.

— ფუ, ეშმაკა! — გაილანდლა პარუჩიკი: — ხათაბალა სწორედ!

თათარი დაჯდა ამ დროს იატაკზედ და დაუწყო ღუმელ-ში. ცეცხლს ჩხიკინი.

— რა საჭიროა მიწერა? პანნა დასაძინებლად წავიდა. რიც საც მიწერა გინდოდათ, ხვალ დილით შეიძლება მოგახსენოთ.

— მართალს ამბობ. როგორც ვხედავ, ერთგული ყმა ყოფილხარ კნიაუნასი. აშა, კიდევ ტალერი! დიდი ხანია, რაც ემ-სახურები?

— აგრეთოთხმეტი წელიწადია, რაც თავადმა ქასილმა ტყველ წამომიყენა. მას უკან ერთგულად ვემსახურებოდი ჩემს ბატონს, მერე, როცა იმან აქაურობას თავი დაანება, ეგ პატარა ქალი კონსტანტინეს დაუტოვა, მე კი მითხრა: „ჩელი! ამ პატარას თავი არ დაანებო და ისე გაუფრთხილდი, როგორც შენს თვალის ჩინს“. ლა ილ ალლაჲ!

— მერე შენც სწორედ აგრე იქცევი?

— სწორედ აგრე ვიქცევი და უფრთხილდები კიდეც.

— რასა ჰედავ, მითხარი? ხომ არა აწუხებს-რა კნიაუნას?

— ბოროტი განზრახვა აქვთ იმის შესახებ. ბოგუნს უპირობენ მიცემას, იმ წყეულს, იმ ჭოფაკსა.

— ო, ტყუილად უპირობენ, არა გამოვა-რა! გამოჩნდება კაცი და გამოესარჩელება კნიაუნას.

— დიალ! — სთვეა მოხუცმა და თან გადაბრუნა მუგუზ-ლები. — ბოგუნს უნდა მისცენ, რომ იმანაც წაავლოს ხელი და გაიტაცოს, როგორც მგელმა ბატყანი; თეითონ ისინი კი რაზ-ლოგში დასტოვოს; რაზლოგი ვისია მერე თავად ვასილის შემდევ? რასაკვირველია, კნიაუნასია, და არა იმათი. ბოგუნი ყველა-ფერზედ თანხმაა; ლელიანებში იმდენი ოქრო და ვერცხლი აქვს, რომ რაზლოგში ჭვიშაც. არ არის იმდენი; მაგრამ კნიაუნას სძულს ბოგუნი მას აქეთ, რაც კაცი შემოაკვდა იმის თვალ-წინა. მათ შორის სისხლი დაინთხა და სისხლისაგან მძულვარება დაიბადა.

დესპანს ძილი აღარ მიეკარა. მთელს ლამეს. სცემდა ბოლთას ოთახში, შეჰყურებდა მთვარეს და ვარაუდობდა საქმის გარემოებას. ახლა კი მიხედა კურცევიჩების ოინებსა. კნიაუნა რომ რომელსამე პოლონელს აზნაურშეილს შეერთო, მაშინვე რაზლოგი იმის ხელში გადავიდოდა. ვინ იცის, იქნება ანგარიში მოეთხოვა მზრუნველობისა! აი ეს იყო მიზეზი, რომ უიმსოდაც გაყაზახებულმა კურჩევიჩებმა გადასწყვიტეს ყაზახისა-თვის მიეკათ ქალი. ისეთი გული მოსდიოდა ამაზედ პან სქუერუსკის, რომ გაახსენდებოდა თუ არა, მაშინვე გონება-დაუტანებლივ ხმალზედ გაისვამდა ხოლმე ხელსა. დაიფიცა, რომ სულ

გავაქარწყლებ ასეთს მანქანებსაო და ჰერძობდა კიდეც ღონეს ასეთის განზრახვის განხორციელებისათვის. ყოველ შემთხვევაში, თავადი ერემიაც მზრუნველი იყო ელენესი, ჯერ იმიტომ, რომ რაზლოგი უბოძეს საჩუქრად მოხუცს ვასილს ვისნევეცკებბა, მერე კიდევ იმიტომ, რომ თვით ვასილი სწერდა ბარიდან თავადს და სთხოვდა, ჩემის ქალის მზრუნველად ბრძანდებოდეთო. თავადმა-მოურავმა მხოლოდ იმიტომ ვერ შეასრულა ეს თხოვნა, რომ აუარებელი საზოგადო საქმეები ჰქონდა, ომიანობა იყო ატეხილი და სხვა თავ-სატეხი დავიდარაბა უშლიდა სელს; საჭიროა გავახსენოთ მხოლოდ ეს გარემოება და მაშინვე შეუდგრბა ამ საქმის გაჩარხვასაო.

გათენებული იყო უკვე, როცა პან სქეშეტუსკის მიეძინა. ეძინა გუნებიერად, უსიზმრებოდა და უზმანებოდ. როცა გაიღვიძა, უკვე მოფიქრებული ჸქონდა, როგორც უნდა ემოქმედნა. საჩქაროდ ჩაიცვეს ტანთ იმანა და პან პოდბიპენტამ. პან სქეშეტუსკის მხლებელნი და ჯარის-კაცნი უკვე ცხენებზედ. ის-ხდნენ. სასტუმრო ოთახში ელჩი საუზმეს შეექცეოდა კნეინას-თანა და მის შვილებთან. ბოგუნი იქ არ იყო; არ იცალნენ, ეძინა ჯერ ისევ, თუ წასულიყო სადმე.

სქეშეტუსკი მიესალმა კნეინას.

— პანი! — სთქვა მან, — დრო მიღის, მალე უნდა შეესხდეთ ცხენებზედ; მაგრამ ვიღრე გულითა და სულით მაღლობას გადაგიხდიდეთ გულ-უხვის მასპინძლაბისათვის, მინდა მოგელაპარაკოთ თქვენა და თქენს შვილებს ერთის დიდად საყურადლებო საქმის გამო.

კნეინას გაოცება შეეტყო სახეზედ; გაკვირკებით შექსედა თავისს შვილებს, ელჩსა და პან ლონგინუსს, თითქო იმათვან უნდა შეიტყოს, რა ამბავია, რა საქმეაო და, ცოტა არ იყოს, შეწუხებულის ხმითა სთქვა:

— ბზადა ვარ თქვენდა სამსახურად.

ელჩს უნდოდა ამდგარიყო, მაგრამ კნეინამ ნება არ მისცა და პან სქეშეტუსკი გაიყვანა ტალანში, რომელიც საჭურველითა და ცხენების იარაღით იყო მორთული. ახალგაზდა თავა-

დიშვილები გამწყვრივდნენ და ისე გამოიჭიმნენ. მათ წინ იდგა კნეინა; მან ჰქითხა სქეტუსკის:

— რა საქმეზე გნებავთ მელაპარაკოთ?

დესპანმა გულ-ცივად, კუშტისა და მწყრალის სახით შე-ჰქითხა კნეინას.

— მომიტევეთ, კნეინა, და ოქვენც, თავადნო, რომ ჩვენის ჩვეულების წინააღმდეგ ვიქტევი და, იმის ნაცვლად, რომ საპატიო მაშუალნი გამომეგზავნა, მე თვითონ ვლაპარაკობ: ჩემდა სასარგებლობა. უამისობა არ შეიძლება; ისე მოხდა საქმე. რომ სიტყვა არ გავაჭიანურო, გთხოვთ, როგორც კნიაუნა ელენეს მზრუნველს, ეგ ქალი მე მომათხოვოთ.

მეხი რომ დასცემოდა რაზლოგს ამ შუა-გულ ზამთარში, იქნება უფრო ნაკლებ განცვიფრებულიყვნენ კნეინაცა და მისი შვილებიც, ვიდრე განცვიფრდნენ დესპანის ამ სიტყვებითა. დიდ ხანს შესცემროდნენ ისინი გაკვირვებით დესპანს და ის კი ისე იდგა, ვითომც აქ არაფერიაო, გულ-დამშვიდებული, იმედიანი, თავ-მომწონე, თითქო იმიტომ კი არ მოსულა აქ, რომ ითხოვოს რამე, არამედ იბრძანებლოსო: კნეინა ისე იყო გაოგნებული, რომ ენა ჩაუვარდა:

— როგორ? ოქვენ? ელენე ცოლად? — ძლივს ჰქითხა ბოლოს ლულლულით კნეინამ.

— დიალ, მე, პანი კნეინავ; ეს გახლავთ ჩემი მტკიცე განზრახვა.

კიდევ დადგა წუთი დუმილისა.

— უკაცრავად, ბატონო დესპანო (კნეინა ძლივს მოვიდა გონს და დაიწყო ჩვეულებრივის სასტიკას კილოთი), ეგ სურვილი თქვენისთვის რაინდისა დიდად სასახელოა ჩვენთვის, მაგრამ იძულებულნი ვართ უარ-ვყოთ, რადგან ელენეს ცოლობა სხვას აღეუთქვი.

— იმას მიაქციეთ ბხოლოდ ყურადღება, როგორც გულ-შემატკიცარმა მზრუნველმა, კნიაუნას სურვილის წინააღმდეგ ხომ არ აღუთქვით სხვას მისი მითხოვება და ან ჩემზედ უკეთესია თუ არა ის, ვისაც მისი ცოლობა აღუთქვით?

— ბატონი დესპანო! ვინ უკეთესია — ეგ ჩემი საქმეა. თქვენ იქნება უკეთესიცა ბრძანდებით, — ეგ ჩვენთვის სულ ერთია, ჩვენ თქვენ არ გიცნობთ.

დესპანი გასწორდა წელში და საშინელის მრისხან ებით მოავლო თვალი კნეინას.

— მე ხომ გიცნობთ თქვენ, მოღალატენო! — შეჲყვირა სქეტუსკიმ. — თქვენ გინდათ ტეტიას მისცეთ თქვენი ნათესავი, იმ პირობით, რომ არ გამოგწიროთ მამული, რომელიც მძლავრობით ჩაგივდიათ ხელში...

— თვითონ შენა ხარ მოღალატე! — შეჲყვირა კნეინა-მაც. — მაგრე გვიხდი სამაგიეროს მასპინძლობისათვის, მაგრე გვიხდი მაღლობას? ჰო-ჰოი, გველო! ვინა ხარ, სიდან ჩამოგვივარდი?

ახალგაზდა თავადიშეიღები კალის თვალით კედელზე ჩამოკიდებულ საჭურველისაკენ იცქირებოდნენ.

— საზიზღარნო! — განაგრძო დესპანმა, — გასძარცვეთ ობოლი... მაგრამ არა უშავს-რა. ერთს დღეს უკან ყაველივე ეცოდინება თავადს.

გაიგონა თუ არა ეს სიტყვები კნეინამ, მივარდა კედელს, ჩამოილო დიდი შუბი და ეცა ჰან სქეტუსკის. თავადიშეიღებმა სტაცეს ხელი და ჩამოჰვლიჯეს კედლიდან, ვისაც რა იარაღი მოხვდა ხელში — დანა, ხმალი, ხანჯალი — და ისუ შემოეხვივნენ გარშემო, თითქო გამძეინვარებული მგლები არიანო.

— მაშ თავადთან მიხვალ, ჰა? — ღრიალებდა კნეინა. — მერე იცი, რომ შენ აქედან ცოცხალი ველარ გახვალ, რომ ახლა დადგა შენის აღსასრულის დღე?

სქეტუსკიმ დაიკრიფა გულ-ხელი და წარბიც არ შეისარტ.

— მე, როგორც თავადის ელჩი, ყირიმიდან მოვდივარ, — სთქვა დესპანმა, — და თუ აქ ერთი წვეთი ჩემი სისხლი დაიქცა, სამს დღეს შემდეგ, ქვა-ქვაზედ ალარ დარჩება აქა, ხოლო თქვენ ყველანი ლუბნის ციხეებში დალპებით. არის განა ქვეყნად ისეთი ძალი, რომ დაგიფაროთ-ლა? ტყუილად ნუ მემუქრებით, მე თქვენი არ მეშინიან!

— დავილუბებით და დავილუპოთ, სამაგიეროდ შენ პირველი მოკვდები.

— თუ აგრეა, დამკარით; აი ჩემი მკერდი!

თავადიშვილებსა და მათს დედას ამართული ეჭირათ იარალი, შეიგ დესპანის გულში დამიზნებული, მაგრამ ყველას რაღაც საიდუმლო ძალა უკრავდა ხელს. კინალამ ტიროდნენ სიბრაზით, ისე აკრაჭუნებდნენ კბილებს, მაგრამ დარტყმას კი ვერც ერთი ვერა ჰქონდავდა. ვისნევეცკის საშინელმა სახელმასრულიად დაუდუნა იმათ მარჯვენა.

დესპანი მეუფე და ბატონი იყო იმ წუთს.

კინამ, რაკი სხვა ველარა მოახერხა-რა, მიჰყო პირი უშვერს ლანძლვას:

— სალახანა! გუდა-მშიერავ! თავადის სისხლი მოგწყურდა? მაშ, დამაცადე! ვინც უნდა იყოს, ყველას მივცემ ქალს და შენ კი—არას გზით! ამას თვით თავადიც ვერ მიბრძანებს.

— მე დრო არა მაქეს ჩემის აზნაურშვილობით ვიტრაბახო,— გულ-დამშვილებით უპასუხა პან სქმეტუსკიმ: — მაგრამ ვაგონებ თქვენის თავადობის საკადრისი იქნებოდა, რომ ფარ-ხმალი დაგქონდეთ ჩემდა მოსართმევად. ესეც არ იყოს: თუ ტეტია შეგიწყნარებდათ, მე უფრო კეთილად მოგექცეოდით. მე თქვენზედ ნაკლები ქონება არა მაქეს, ხოლო თუ ამბობთ, რომ ელენეს არ მოგცემთო, მოისმინეთ, რა გითხრათ: მეც თქვენ დაგიტოვებთ რაზლოგს, მეც არ მოგთხოვთ მზრუნველობის ანგარიშს.

— ნუ ჩეარობ იმის ბოძებას, რაც შენ არ გეკუთვნის.

— ბოძებას კი არ გეუბნევით, ალთქმას გაძლევთ საკვლავოდ და ამ ალთქმას ჩემის რაინდულის სიტყვის მოცემით ვამოწებ. ახლა ორში ერთი ირჩიეთ: ან ანგარიში მიეცით თავადს მზრუნველობისა და აიბარგენით რაზლოგიდან, ან ეგ ქალი მე მომეცით და ყოველივე ისევ თქვენ დაიტოვეთ...

შუბი ნელ-ნელა უსხლტებოდა ხელიდან კნეინას და ბოლოს სულ გაუვარდა და ბრახვანი წოილო იატაქზედა.

— აირჩიეთ, — განიმეორა პან სქუეტუსკიმ: — ანუ მშვიდობა, ანუ ომიანობა.

— რა ბედია, რომ ბოგუნი სანადიროდ წავიდა მიმინოებით: — სთქვა ახლა კი, ცოტა არ იყოს, დამტკბარმა კნეინამ: — თქვენი დანახვაც კი ეჯავრებოდა; ჯერ ისევ გუშინ ეჭვიანობდა საშინლად. ის რომ აქ ყოფილიყო, სისხლის დაუღვრელად არ გათავდებოდა საქმე.

— პანი კნეინა, მეც ხმალს ვატარებ იმიტომ კი არა, რომ წელზედ მეკიდოს მხოლოდ.

— მაინც ეს მითხარით ერთი, ეკადრება თქვენისთვანა რაინდს, სახლში სტუმრად შეხვიდეთ და აგრე აუინებით გაიძახოდეთ თქვენსას, ძალათი მიგყავდეთ ქალი, თითქო ოსმალთა ტყვეაო?

— ეკადრება, როცა ეგ ტყვე ტეტიასთვის უნდა მიგეყიდნათ.

— მაგრე ნუ იხსენიებთ ბოგუნს! თუმცა არ იცის, ვინ იყვნენ მისნი მშობელნი, მაინც გულით სახელოვანი რაინდია. და ჩვენც ბავშვობიდანვე ვიცნობთ, ლვიძლი შეილივით არის ჩვენს სახლში. ეხლა იმისთვის სულ ერთია, გინდა ეგ ქალი წაგვირთმევია და გინდ ხანჯალი დაგვიცია.

— კნეინა, ჩვენის წასვლის დროა! მომიტევეთ, თუ კიდევ განვიმეორო: ორში ერთი აირჩიეთ.

— კვეინამ შვილებს გადაჭხედა.

— აბა, შვილებო, პასუხი მიეცით ამ რაინდს.

თავადნი ერთმანერთს უცქეროლენენ და იდგნენ გაჩუმებულნი. ბოლოს სეიმონმა წაილულლუდა:

— გვიბრძანებ, დედავ, დავკრათ, დაეკრავთ, გვიბრძანებ, მივცეთ ელენე და მივცემთ.

— დაკრა არ ივარგებს, და არც მიცემა ვარგა... ორ წყალ-შუა ჩაგვაგდეთ, დესპანო! ბოგუნი ერთი თავზედ ხელ-ალებული კაცია, დაურიდებელი. ვინ დაგვიფარავს იმის შურის-ძიებისაგან? თვითონაც დაიღუპება თავადის ხელითა, მაგრამ უმალ ჩვენ დაგვლუბავს. რა წყალში გადავცვინდეთ?

— ნება თქვენია.

კნეინა კიდევ გაჩუმდა.

— გამიგონეთ, რანდო. ყოველივე ესე საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ბოგუნს პერეიასლავში გავისტუმრებთ, როგორც იქნება, ჩვენ კი ღლენეთურთ ლუბნს მოვალთ; ხოლო ოქვენ სთხოვეთ თავადს საბუთები გამოგვიგზავნოს რაზლოგის მფლობელობისა. ბოგუნს ას-ორმოცდა ათი კაცი ჰყავს, ერთი ნაწილი მათი აქცი კია რაზლოგში. ეხლა ვერ წაიყვანთ ელენეს: გზაზე გადაგელობებიან და წაგარომევენ. სხვაფრივ არ შეიძლება. წაბრძანდით, ამ საიდუმლოს ნუ გაამუღავნებთ და გვერდოდებოდეთ.

— რომ შერე მიღალატოთ?

— რომ შეგვეძლოს, დიალაც! მაგრამ სად შეგვიძლიან. თქვენ თითონაც კარგად ჰქოდავთ, რომ არ შეგვიძლიან. სიტყვა მოვეცით, რომ დრომდე ამას არავის არ გაუმხელთ.

— გაძლევთ. შერე მომცემთ ელენეს?

— არ შეგვიძლიან არ მოგცეთ, თუმცა ბოგუნი კი ძლიერ გვეცოდება.

— ფუჭ, ფუ თქვენს თავადობას! — მიუბრუნდა უცებ დესპანი კურცევიჩებს. — ოთხნი ხართ, აგრეთნი გულლდნი, ჯანსაღნი და ერთის ყიზახისა კი გეშინიანთ, გინდათ ღალატით შეჰვეროთ. თუმცა მადლობელი უნდა ვიყო თქვენი, მაგრამ მაინც ვიტყვი: ეგ არ შეჰვერის, არ ეკადრება თქვენს კეთილშობილებას!

— თქვენ ნუ ერევით ამ საქმეში! — შეჰყვირა კნეინამ. — თქვენ იმას ნუ სწუხართ, ჩვენ რა უნდა მოვიქმედოთ. რამდენი კაცი შეგვიძლიანთ გამოიყანოთ იმის ას ირმოც და ათის კეცის წინააღმდეგ? თქვენ დაიფარავთ ჩვენს ოჯახს? აიგრ დაიფარეთ თუნდ ელენე მაინც, რომელიც ლამის ძალათი მოიტაცოს. ეგ თქვენი საქმე არ არის. თქვენ ლუბნს წადით არსეინად და შერე ჩვენ თვითონ მოვიყვანთ იქ ელენეს.

— როგორც გსურდეთ, ისე მოიქეცით, მხოლოდ ერთი სიტყვა კიდევ: თუ კნიაუნასთვის ერთი სიტყვა გითქვამთ საწყენი, ვაი თქვენ გინდათ!

— მაგისთანა სიტყვებს ნუ ჰხარჯავთ, ტყუილად ნუ გვა-
ბრაზებ ჩევნცა.

— გინდათ ძალით გაათხოვოთ ქალი; აი ეხლაც ჰყიდით
რაზლოვის გულისათვის და იფიქრეთ კი, მოვწონვარ თუ არა?

— რაო მერე? მაგას თუ გინდათ თქვენთანვე ვკითხავთ...

კნეინას კვლავ გული მოსდიოდა; ცხადად შეპნიშნა, რომ
დესპანი ზიზღით ეკიდებოდა იმასაცა და მის შვალებსაც. სვი-
მონი წავიდა ელენეს მოსაყვანად და მალე დაბრუნდა იმას-
თან ერთად.

გაბოროტებასა და წყევა-კრულვას შორის, რომლითაც
ჯერ კიდევ სავსე იყო ტალანის ჰაერი, თითქო ჯერ კიდევ:
არ გადუვლია ქარტეხილსა და გრიგალსაო, წარბ-შეჭმუხვი-
ლთა, გამძვინვარებულთა და გამწყრალ-განრისხებულთა შორის
კრიფუნას ნათელ-გადაფენილმა სახემ ისე გამოაშუქა, თითქო
მზე გამოჩნდა ზამთრის ღრუბლებშიო.

— კრიაუნა,—სთევა გულ-ცივად კნეინამ და სქეშეტუსკი-
ზედ მიუთითა, — თუ ამის წინააღმდეგ არა გაქვთ-რა, აი თქვე-
ნი მომავალი ქმარი.

ელენე გაფითრდა ზარდანჩოსავით, შეჰკივლა, მიიფა-
რა ხელები თვალებზედ და მერე უცებ გაუწოდა სქეშეტუსკის.

— ნუ თუ მართლა? — წაილაპარაკა ნეტარებით აღვსილმა
კრიაუნამ ჩურჩულით.

ერთს საათს შემდეგ ელჩისა და დესპანის ქარავანი აუ-
ჩეარებლივ მიდიოდა ტყე-ტყე ლუბნისაკენ. ქარავანს წინ მიუ-
ძლოდნენ სქეშეტუსკი და პან ლონგინუსი; მათ მისდევდა გრძე-
ლის ლენტივათ საელჩოს ეტლები. დესპანი მთლად მთანთქუ-
ლი იყო ფიქრით, რომ უცებ მისი ყურადღება მიიქცია სიმ-
ღერის სიტყვებმა...

„ვსწუხვარ, ვსწუხვარ, გული კვნესის...“

შორის ტყეში, ცალ-ფეხა ბილიკზედ, გამოჩნდა ბოგუნი-
იმისი მერანი სულ ქავში იყო, ტალახით მოსვრილი.

ეტყობოდა, თვისის მუდმივის ჩვეულებისამებრ, ყაზახი ეცა მინდორს, მოედო ტყე-ლრესა, რომ თავისუფალის ჰაერის სუნ ჯერით გამაძლარიყო, შორს გადახვეწილიყო საღმე, თავდავიწყების მისცემოდა და გაეყუჩებინა თვისი მწუხარება, თვისი ტკივილი გულისა.

ახლა ისევ რაზღვებს მიღიოდა.

პან სქემეტუსკიმ გააყოლა თვალი შორს მიმავალს მოხდენილს, შნოიანს რაინდს და უნებურად იფიქრა გულში და წაილაპარაკა კიდევ ჩუმადა:

— სწორედ ბედია, რომ კაცი შემოჰკდომია იმ ჩემის სიცოცხლის თვალ-წინ!

უცებ რაღაც დანანებამა და წუხილმა ატკინა გული. ბოგუნიც ენანებოდა და უფრო კი ისა ჰქონდა სანანურად, რომ სიტყვა მისცა კნეინას და აღარ შეეძლო გაეჭინებინა ცხენი და ეთქვა მისთვის:

— ერთი და იგივე ქალი გვიყვარს... ჩვენში ერთ-ერთს უნდა გაუშავდეს სიყრმე. იშიშვლე დაშნა, ყაზახო!

გრ. გ—ძე

С П З З Б З М

თავი ღვდება მეტასურატე

ნუ ამბობ, რომ მე ვტყუში, — კველას ხელობად
გადაუქმდებია ისე აჩვენის სხვას თავი, როგორიც ნამ-
დევილად არ არის. გლობა ამ ხელობით შორისალებას
თოვლილობს, სასახლის კაცი მარტლა და დიდაცობას
შოულობის; არც სასულეორ წოდება ჟოკის ას ხელ-
ბას უასს და დონთქელი სამსეფრო კარიც ამით აორ-
კეცებულ თვალს ღვაწლს; კველა ამ ხელობას მისღებს,
კველა ამით სარგებლობს და კონც ქამითულია იმით,
რაც ნამდევილად არის, იგი ვერც შორს წავა ცხოვრე-
ბაში. ასეთია ეს ქვეყანა.

ქველებური პიესა

ტემპლსტოს პრეცენტორიის თავმჯდომარე, ალბერტ მალ-
კოაზენი ძმა იყო ფილიპე მალვაზენისა, რომელიც ჩვენს მო-
თხოვაში უკვე მოვიხსენეთ. ალბერტი დიდი მეგობარი იყო
ბრიან დე ბოა გილმერისა. ტაძრის რაინდთა შორის ყველაზედ
გარეუნილი ეს იყო, თეთი ბოა გილბერტზედაც კი; იგი ძლიერ
ოსტატურად მაღალადა თავის გარეუნილებას და ცუდს საქუი-
ელს, ამისათვის ტაძრის რაინდთა დიდი უფროსი ლუკა ბომა-
ნოარი დიდს პატივსა სცემდა მას და ზნეობიან კაცად
სთელიდა. ბომანოარმა შხოლოდ მაშინ დაპარგა ალბერტის
ნდობა, როდესაც შეიტყო, რომ რაინდთა სადგომში მას ურიის
ტყვე ჭალი მიეღო. როდესაც ალბერტი მოვიდა, ბომანოარმა
მრისხანედ შეხედა მას.

— ამ ჩვენი ორდენის რაინდთა საღომში, — დაიწყო მრი-
სხანედ ბომანთარმა — იმყოფება ებრაელი ქალი, რომელიც შე-
ნის ნებადართვით მოუკანიათ, ბატონო პრეცენტორი.

ალბერტ მალეოაზენი შეკრთა და გაჩუმებული იდგა. მან ალმოკითხა ბომანოარის თვალებში ბოა გილბერისა და თავის-თავის დაღუპვა, თუ რომ არაფერს მოახერხებდა.

— რას გაჩუმებულხარ? — განაგრძო დიდმა მაღისტრმა.

— გაგიბედო პასუხის მოცემა? — მოახენა ალბერტმა მოკრძალებით და ცდილობდა გონება მოეკრიბა.

— სთქვი, ნება გაქას, — მიუგო დიდმა მაღისტრმა: — შენ ხომ იცი ჩვენი წესდების მუხლი, რომელიც ყოველს რაინდს ქალთან თავისუფლად მოქცევას სასტუკად უკრძალავს.

— ვიცი, მაღალ-ლირსო მამაო, — მიუგო პრეცენტორმა. — მაშ ჩემს თანამდებობას როგორ მივიღებდი, უმთავრესი მუხლი ჩვენის წესდებულებისა რომ არა მცოდნოდა.

— მაშ კვალად გეკითხები — როგორ მოხდა, რომ აქ ერთმა რაინდმა თავის საყვარელი მოიყვანა შენის ნებადართვით და ამით შემწიკელა ეს წმინდა აღგილი, ის ქალი ხომ ებრაელი ჯადოქარია.

— ებრაელი ჯადოქარია! — ლალად-ჰუკ ალბერტ მალვო-აზენმა, — ძალნო ცათანო, თქვენ დაგვიფარეთ!

— დიალ, ძმაო, ებრაელი ჯადოქარია! — გაუმეორა დიდმა მაგისტრმა წარბების შეჭმუხვით: — ნამდვილი ჯადოქარია. განა შეგიძლიან უარ-ჰუკ, რომ ეს რებეკა ქალია იორკელის გაჭრის ისაკისა და მოწაფე საზიზლარი ჯადოქარის მარიამისა? ნუ თუ უარს იტყვი, რომ იგი — ხს, სათქმელადაც კი მეზი-ზლება! — ახლა ამ სახლში იმყოფება?

— შენმა სიბრძნემ, მაღალ-ლირსო მამაო, — მიუგო პრეცენტორმა, — თვალები ამიხილა და გონება გამინათლა. მე დიალ მიკეირდა, რომ ისეთი კარგი რაინდი, როგორიც ბრიანდე ბოა გილბერია, ისე ძლიერ მოაჯადოვა ამ ქალის მშვენიერებამ; იქნება ზნეობითაც იგი სრულიადაც დაცემულიყო, თუ რომ ეს ქალი აქ არ მიმეღო და ამით ბოლო არ მომეღო მათის ტრუიალებისათვის.

— განა იმას ჯერ არ დაურღვევია თავისი აღთქმა იმ ქალთან შეკავშირებით? — ჰკითხა დიდმა მაღისტრმა.

— როგორ! ამ წმინდა სავანეში! — ლალად-ჰუკ პრეცენტორმა და პირჯვარი გადიწერა. — წმინდა მაგდალინა და ათიათასი ქალწული იყოს ჩვენი მფარველი! არა! მე თუმცა შეეცოდე იმ ქალის აქ შემოყვანით, მაგრამ ასე იმისთვის მოვიქეც, რომ ბრინანისა და იმ ქალის შორის ერთობა მომებსო. აწ თქვენმა სიბრძნემ გამავებინა, რომ ეს ებრაელი ტურფა ქალი ჯადოქარი ყოფილა და იქნება ესეც იყოს მიზეზი გილბერის უგუნურის ტრფიალებისა.

— სწორედ, სწორედ! — სთქვა ბომანოარმა. — ამისათვის გილბერი ლირსია შებრალებისა და არა სასჯელისა, ჩვენი ლოცვა-ვედრება და დარიგება მას გონზედ მოიყვანს და კვალად დააჭინებს სიმართლის გზაზედ.

— ცოდოც კია ჩვენმა ორდენმა ისეთი გმირი მეომარი დაჲკარგოს, როგორიც ბოა გილბერია, — უთხრა კონრად მონფიტშეტმა: — იმან თავის ხელით სამასი სარკინოსი მოკლა.

— სისხლი ამ დაწყევლილის ძალლები ურიებისა, — მიუგო დიდმა მალისტრმა ბომანოარმა, — სასიამოენო მსხვერპლი უნდა იყოს ანგელოსთა და წმინდანებისათვის, რომელთაც იგინი მარად ჰემობენ. მაღლითა ღეთისათა ჩვენ ბოლოს მოვულებთ იმ მახეს, რომელსაც ბოროტმა სულმა დაუგო ჩვენს მოძმეს. ბრიანი გასწყვიტავს კავშირს ამ დალილასთან ისე, როგორც სამჭონმა გასწყვიტა ორი ახალი თოკი, რომლითაც შეკრეს იგი ფილისტილიანელთა. რაც შეეხება ამ ჯადოქარს რებეკას, იგი უსათუოდ სიკვდილით უნდა დაისაჯოს, ამისთვის რომ ჩვენი მოძმე მოაჯადოვა.

— მერე ინგლისის კანონები? — უთხრა პრეცენტორმა, რომელსაც ძლიერ გაუხარდა, რომ თავის თავსაც და ბოა გილბერსაც ასე ადვილად ააცდინა დიდი მალისტრის ბომანოარის მრისხანება.

— ინგლისის კანონები, — წარმოსთქვა ბომანოარმა მედიდურად, — უველა უფროსს ნებას აძლევს თავის უწყებაში მართლ-მსაჯულება თვითონ მოახდინოს. თვით უბრალო ბარონსაც კი აქვს ეს უფლება. ნუ თუ ამ უფლებას დიდს მალისტრს კი ჩა-

მოართმევენ? არა! ჩვენ უნდა გავასამართლოთ ის ჯადოქარი ქალი და დავსაჯოთ. იგი ალიგვება დედა-მიწის პირიდებან და მისგან დათესილი უბედურებაც დავიწყებას მიეცემა. იმის გა-სამართლებლად დიდი დარბაზი მოამზადეთ.

ალბერტ მალევაზენმა თავი დაუკრა და გამოვიდა, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ დიდი დარბაზი მართლა მოემზადებინა, არამედ იმისთვის, რომ ბრიან დე ბოა გილბერი ენახა და ყვე-ლაფერი ეთქვა. მან მაღვ იპოვნა ბოა გილბერი, რომელიც ისე იყო გაბრაზებული, რომ პირიდან დორბლებსა ჰყავიდა; მიზე-ზი გაბრაზებისა ისევ რებეკა იყო, რადგანაც მის საზიზლარს სურვილს არ დამორჩილებოდა.

— უმაღურია, უმაღური! — ყვიროდა ბოა გილბერი. — იგი უარ-ჰყავს იმ კაცს, ვინც იგი სიკვდილს გადაარჩინა, ზეცას გე ფიცები, მალევაზენ, ამ ქალისათვის მე იქამდინ დავრჩი ცი-ხე-დარბაზში, ვიდრე იმის კედლები და თაღები სრულიად არ დაინგრძნენ. ჩემს ფარს მე მას ვაფარებდი და მეშვილდისრენი კი სეტყვასავით მაყრილნენ ისრებს, ჩაჩქანი რომ არ მცმოდა, სიკვდილს ვერ გადავურჩებოდი. ყოველივე ეს განსაცდელი მე იმისთვის გამოვიარე და ის თავქეიფა გომბით კი არამც თუ ეხლა არ მექცევა ალერსიანად, არამედ მომავალშიიც იმედს არ მაძლევს ალერსისას. ის ეშმაკი, რომელიც მთლად იმის ხალხს ჰყლობს, მე მგონია მთლად იმის არსებაში დამკვიდრე-ბულა.

— მე კი ასე მგონია, ის ეშმაკი თქვენ ორივეს არსებაში-დამკვიდრებულა, — მიუგო პრეცენტორმა: — რამდენჯელ გირჩიე, თუ თავდაჭერილად არა, ფრთხილად მაინც მოიქეცი-მეთქი. აკი-გითხარი, ქრისტიანობაშიაც ბევრი მოიპოვება ისეთი ქალი, რომელიც შენის ალერსით თავსაც მოიწონებს-მეთქი, შენ კი ჩასცივებით ერთს ჯიუტს ებრაელს ქალს და ალარ ეშვები. ღმერთს გეფიცები, ლუკა ბომანორი მართალს ამბობს, იმ ქალ-მა შენ მოგაჯადოვა.

— ლუკა ბომანოარი! — შეპყვირა გილბერმა: — ეგ არის შენი დაპირება, მალევაზენ? როგორ ვერ დამალე და რად გააგმინე უგუნურს ბომანორს; რომ რებეკა პრეცენტორიაში იმყო-ცება?

— რა უნდა მექნა? — მიუგო პრეცენტორმა: — მე ყოველი ღონისძიება ვიხმარე, რომ შენი საიდუმლოება არ გამჟღავნებულიყო, მავრამ ეშმაკმა გაამჟღავნა იგი თუ სხვა ვინმებ, ეს მხოლოდ ეშმაკსავე ეცოდინება. მაინცა და მაინც საქმე ჩვენს სასარგებლოდ მოვაბრუნე; შენ არაფერი გევნება, თუ რებეკას თავს დაანებებ. შენ ჯადოქრობის მსხვერპლად გთვლიან და ძლიერ ეცოდებით, რებეკა კი მართლა ჯადოქარია და კანონისამებრ უნდა დაისაჯოს.

— ზეცას გეფიცები, ეგ არას გზით არ შეიძლება! — უთხრა ბოა გილბერმა.

— ზეცას გეფიცები, შეიძლება კიდეც და ეგრეც უნდა იყვეს! — მიუგო მალვოაზენმა. — ვერც შენა და ვერც სხვა ვანმე ვერ დაიხსნის იმას. ლუკა ბომანოარმა გადასწყვიტა, რომ ურიის ქალი სიკვდილით დაისაჯოს; შენ ხომ იცი, იმას ნება აქვს ეს გონივრული და ღვთის სასიამოვნო საქმე შეასრულოს.

— ვითომ დაიჯერებს მომავალ საუკუნეთა ხალხი, რომ ჩვენს დროში ასეთი ცრუ-მორწმუნოება იყო! — წარმოსთქვა ბოა გილბერმა და ოთახში ბოლოთას სცემდა.

— დაიჯერებს თუ არა, ეგ მე არ ვიცი, — უთხრა წყნარად მალვოაზენმა, — ეს კი ნამდვილად ვიცი, რომ სასულიერო და სამოქალაქო წოდების ას კაცში ოთხმოც და ცხრამეტი სმინს იტყვის დიდის მაღისტრის გადაწყვეტილებაზედ.

— დაიცა, მე ერთი რამ მოვიგონე, — უთხრა ბოა გილბერმა: — ალბერტ! თუ ჩემი მეგობადი ხარ, შენ ეს ქალი აქედან უნდა გააპარო; ამის გამო მე ამას უფრო მივარდნილს და უშიშარს აღვილას გადავიკვან.

— თუნდაც რომ შემეძლოს, მე მაგას არ ვიზამ, — მიუგო პრეცენტორმა: — ეს სახლი საცხავა დიდი მაღისტრის მოსამსახურეებითა და ერთგულის ხალხითა. დიალ, პირდაპირ გეუბნები, ძმაო, მე ეგ არ შემიძლიან, შენი გულისათვის ბევრი უსიამოებება გადამხდა და არ მინდა, რომ ერთი ურიის გომბიოსათვის საკვედური მითხრან და თანამდებობაც წამართვან. მე კი იმას გირჩევ, რომ თავი დაანებო ამ ჯადოქარს ქალს და სხვა

მონახო. მოიფიქრე, ბოა გილბერთ: შენი მომავალი დიდება დამოკიდებულია იმ ადგილზედ, რა ადგილიც ეხლა გიჭირავს. თუ შენ ჯიუტობას დაიწყებ და არ დაუტევებ ჩეხეკას, ბომანოარი უსათუოდ გაგდევნის, დაგლუბავს. დაე, როგორც უნდოდეს, ისე გადასწყვიტოს ეს საქმე, წინააღმდეგი ნუ გაუხდები. როცა ბომანოარის უფლება შენ ჩაგივარდეს ხელში, მაშინ რამდენიც გინდა ეტრუიალე ურიის ქალებს.

— მალვოაზენ, — დაიწყო ბოა გილბერთმა, — შენ გულ-ცივი კაცი ხარ....

— მეგობარო, — გააწყვეტინა პრეცენტორმა, რომ უფრო უარესი სიტყვა არ ეთქვა, — გულ-ცივი ეარ და ამისთვის გაძლევ ასეთს დარიგებას. გიმეორებ: შენ რებეკას უკრ დაიხსნი და შენც იმასთან ერთად დაიღუპები. წალი დიდს მაგისტრთან, ფეხ ქვეშ ჩაუგარდი, უამბე... .

— არა, ზეცას გეფიცები, ფეხ ქვეშ ჩასავარდნი არა მაქვს-რა! მაგრამ იმ გამოჩერჩეტებულს პირში კი ვეტყვი...

— უთხარი პირში, — მიუგო მალვოაზენმა გულ-ცივად, — რომ შენ გაგიუებით გიყვარს ურიის ქალი. რამდენსაც გულ-მხურვალებას გამოიჩენ რებეკასადმი, ბომანოარიც იმდენს უფრო ეცდება მის დაღუპვას; არც შენ მოგივა კარგი საქმე: რა-კი გაიგებენ, რომ შენ ალთქმა დაგირლვევია, არც ერთი მე-გობარი აღარ მოგეშველება. მაშინ უნდა გამოეთხოვო შენ შენს მომავალს დიდებას და იძულებული იქნები ისეთს პატარ-პატარა ჩსუბებში მიიღო მონაწილეობა, როგორიც არის ფლა-ნდიისა და ბურგუნდიის შორის ჩსუბი.

— დიალ, შენ მართალს ამბობ, მალვოაზენ, — უთხრა ბრიან დე ბოა გილბერთმა ცოტა მოფიქრების შემდეგ: — მე, არ ვაუფლებ ჩემს თავზედ გამოჩერჩეტებულს ბომანოარს; რებეკამ კი იმდენად არ მოიგო ჩემი გული, რომ იმისთვის თავი გავწირო. მე იმას გავაგდებ, თავის თავის ანაბარა დავტო-ვებ, თუ რომ...

— თუ რომ რაღა, შენს გადაწყვეტილებას უარს ნულა-რა ჰყოფ, — უთხრა მალვოაზენმა: — ქალები ტიკინები არიან, რო-

შელნიც მხიარულობის დროს გვართობენ. ნამდვილი საგანო ცხოვრებისა პატივის მოყვარეობაა. დაე, ათასი იმისთანა ტიკინი დაიღუპოს, როგორიც ეს ურის ქალია, ვიდრე ისეთი რაინდი, როგორიც შენა ხარ. ეხლა გავშორდეთ ერთმანეთს; კარგი არ იქნება ერთად რომ გვნახონ. ამასთანავე განკარგულება უნდა მოვახდინო, რომ დარბაზი მოამზადონ ურის ქალის გასამართლებლად.

— როგორ? — შეჰყვირა ბოა გილბერმა. — ეგრე მალე?

— დიალ, — მოუგო პრეცენტორმა: — საქმე დიდ ხანს არ გაგრძელდება, რადგანაც მსაჯულმა თავის განაჩენი წინადვე დაადგინა.

— რებეკა, — ლულლულებდა ბოა გილბერი, როდესაც მარტო დარჩა, — შენ მე ძვირად დამიჯდები. განა მე შენ შენი ბედის ანაბარა გაგიშვებ, როგორც მირჩევდა ეს ორპირი კაცი მალვოაზენი? არა, ყოველს ლონისძიებას ვიხმარებ, რომ გადაგარჩინო, ოლონდ უმადური კი ნუ იქნები! თუ შენ კვალადუარსა მყოფ, ჩემი შურის ძიება ისევე დიდი და ძლევრი იქნება, როგორც სიყვარული; სიცოცხლეს და პატიოსნებას ბოა გილბერისას არაფერი დაუშავდება, თუ გინდ რომ ზიხლი და საყვედური მოელოდეს ჯილდოლ.

მოახდინა თუ არა პრეცენტორმა საჭირო განკარგულება, მასთან შემოვიდა მონ-ფიტშეტი და შეატყობინა დიდი მალისტრის სურვილი, რომ ურის ქალი ჯადოქრობისათვის ეხლავე უნდა გავასამართლოთო.

— საკვირველია, ღმერთმანი, — უთხრა პრეცენტორმა: — ჩვენ რამდენიმე ურია ფერშალი გვყავს და რატომ იმათ არ ვეძახით ჯადოქრებს, მერე რამდენი მძიმე ავადმყოფი მოურჩენიათ.

— დიდი მალისტრი სულ სხვასა ფიქრობს, — მოუგო მონ-ფიტშეტმა, — და ამაზედ მინდა გულახლილად მოგელაპარაკო. ჯადოქარია ებრაელი ქალი თუ არა, დაე ისევ ის დაიღუპოს, ვიდრე ბრიან დე ბოა გილბერი, რომელიც დიდად სასაჩვებლო კაცია ჩვენი ორდენისათვის. შენ ხომ იცი, რა ადგილი

უჭირავს გილბერს ჯარში, რა სახელი აქვს მოხვეჭილი და რა ერთგულნი არიან იმისი ბეკრი ჩვენი მოქმენი. მაგრამ ყოველი ეს არაფერს ნიშნავს დიდი მაღისტრისათვის, თუ არ დავამტკიცებთ, რომ ბოა გილბერი მსხვერპლია ებრაელის ქალის ჯადოსნობისა. შთლად ებრაელთა სული რომ ამ ქალის სხეულში იდგეს, ზაშინაც კი უმჯობესი იქნება მარტო იგი დაიღუპოს და ბოა გილბერი კი გადარჩეს.

— მე ეს არის ეხლა ველაპარაკებოდი გილბერს, რომ იმ ქალს თავი დაანებოს, — უთხრა მალვოაზენმა: — მაგრამ ვიპთვნით კი საკმაო საბუთებს, რომ რებეკას ჯადოქრობა დაუტკიცოთ და დავსაჯოთ? დიდი მაღისტრი ეითომ არ გამოიცვლის თავის აზრს რებეკას შესახებ, როდესეც დაინახავს, რომ გამამტკიცებული ჟაბუთები ჩაკლები იქნება?

— საკმაო საბუთები უსათუოდ უნდა მოვნახოთ, ალბერტ, — უთხრა მონ-ფიტშეტმა: — უნდა მოვნახოთ-მეთქი, გესმის თუ არა?

— მესმის, — მიუგო პრეცენტორმა: — ჩვენი ოორდენის მიკეთისათვის, არასაკვირველია, არაფერს არ დავზოგავ, ამაგრამ, დრო ძლიერ ცოტაა და ვაი თუ ვერ მოვასწროთ ისა, რაც გვინდა.

— უსათუოდ უნდა მოვასწროთ, მალვოაზენ, — განაგრძო კონრადმა: — ამას მოითხოვს როგორც ორდენის, ისე შენი საკუთარი სარგებლობა. ტემპლისტო დარიბი პრეცენტორია. მეზონ-დეს პრეცენტორია, უფრო დიდია და მდიდარია; ხომ იცი დიდს მაღისტრს რანაირად ვუყვარვარ; შენ ებრაელი ქალის გასამტკიცებლად ტუურლი მოწმები უნდა იშოგნო, თუ მეზონ-დეს პრეცენტორობა გინდა. რას იტყვი ამაზედ?

— იმ კაცებ შორის, — მიუგო მალვოაზენმა: — რომელნიც ბოა გილბერთან ერთად მოვიდნენ, ორი ჩემი კარგი ნაცნობია რეინი ჩემი ძმის ფლოიბე მალვოაზენის მოსამსახურენი იყვნენ და შემდეგ ფრთხ დებეთან მიევჭინენ. ჭქნება იმათ დაცნენ რამე რებეკას ჯადოსნობისა.

— დროით ნახე იგინი და, თუ საჭირო იყოს, ფულიც აჩუქე.

— იგინი ერთ ვერცხლადაც კი მზად არიან დაიფიცონ, რომ მათი შშობელი დედაც ჯალოქარი იყო! — მიუგო პრეცენტორმა.

— წადი დროით, — უთხრა მონ-ფატ-შეტმა: — გასამართლება შუადღის დროს დაიწყება. დიდი მაღისტრი ასე ერთგულად არავის გასამართლებას არ შესდგომია, როგორც ამ ქალისას.

ცახე-დარბაზის დიდი ზარი თორმეტჯერ ჩამოჰკრეს, რებეკას ამ დროს ფეხის ხმა მოესმა. იგი მიხვდა, რომ მასთან რამდენიმე კაცი მიდიოდა და ძლიერ გაეხარდა, რადგანაც იმას ბოა გილბერის მისვლისა უფრო ეშინოდა, ვიდრე სხვა რომელიმე უბედურებისა. კარები გაიღო და რებეკასთან კონრადი და მალვაზინი შევიდნენ თხი შევად ჩატული ჯარის-კაცით.

— ქალი დაწყეველილის ერისავ! — უთხრა პრეცენტორმა, — ადექი და უკან გამოგვყე.

— სადა? — ჰკიახა რებეკამ, — და რისთვის?

— ქალო, — მიუგო კონრადმა, — შენი საქმე დამორჩილებაა და არა გამოკითხეა. მაგრამ სჯობს იცოდე, რომ დიდი მაღისტრის სამსჯავროს წინაშე უნდა წარსდგე და შენი დანაშაულობის შესახებ პასუხი უნდა მისცე.

— კურთხეულ იყოს ღმერთი აბრამისა! — ღალად-ჰყო რებეკამ და გულხელი დაიკრიბა: — მსაჯულის სახელი ჩემთვის მფარველის სახელსა ნიშნავს, თუ გინდ რომ იგი ჩემი ხალხის მტერიც იყოს. მე მზადა ვარ გამოგყვეთ, მხოლოდ ნება მომეცით ჩაღრი დავიხურო.

ყველანი კიბეზედ ჩავიდნენ და იმ დარბაზში შევიდნენ, სადაც რებეკა უნდა გაესამართლებინათ. დარბაზში ბლობა ხალხი იყო, ასე რომ რებეკამ ძლივს გაატანა. მას გვერდით მისდევდნენ პრეცენტორი, მონ-ფატ-შეტი და ჯარის-კაცი. როდესაც რებეკა თავის ადგილს მიღიოდა, ხელში ვიღამიც ქალალდის ნაჭერი ჩაუდო, რომელიც უგულოდ დაიჭირა ხელში და მისი შინაარსისა არაფერი იცოდა.

თავი ۲۰ რცდაშთმცველი

სასტიკი იყო კანონი, რომელიც კაცს კაცის შებრალებას უშენდა; სასტიკი იყო კანონი, რომელიც კაცს უმანქო და გულწრფელ ამოვნებით დატებობას უკრძალავდა; მაგრამ უფრო სასტიკი იყო იგი მაშინ, როდესაც მაღლა აღმართავდა ხოლმე მტარვალობის სკიპტრის და თავის უფლებას დვოთის უფლებას ეძახდა. საშუალო საუკუნენი

დანიშნულს დროს მოსამართლენი დარბაზში შეიკრიბნენ. დამნაშავეს პირდაპირ მაღლობს ადგილზედ ტაძრის ორდენის ღიღიდი მაღლისტრი იჯდა, ხელში კვერთხი ეჭირა და განიერი მანტია ესხა. მის წინაშე ორი მწერალი იჯდა სტოლთან, რომელთაც საქმის გარემოება მთლად უნდა დაეწერათ. შემდეგ ისხდნენ შავტანისამოსიანი სასულიერნო პირი, ოთხი პრეცენტორი, რაინდნი და საჭურვლის მტვირთველნი. დარბაზის ქვემო ნაწილში ახლო-მახლო სოფლებიდან მოსული ხალხი და ჯარის კაცნი ისხდნენ. მთლად კრებას დიდებული სანახობა ჰქონდა. ვიდრე გასამართლება დაიწყებოდა, ყველამ ერთად ფასლმუნი იგალობეს და ამ გალობას მთელი დარბაზი ბანს აძლევდა.

გალობა რომ გათავდა, დიდმა მაღლისტრმა თვალი გადა- აყლო მთლად კრებას და შენიშნა, რომ ერთი პრეცენტორის ადგილი ცარიელი იყო; ბრიან დე ბოა გილბერი, რომელსაც ეს ცარიელი ადგილი ეკუთვნოდა, მოშორებით იჯდა რაინდებთან ერთად; ერთი ხელით მანტიას იფარებდა პირისახეზედ, ხოლო მეორეთი ხმალი ეჭირა და მის ბოლოთი თითქოს რაღასაც ჩაზავდა იატაკზედ.

— უბედური! — წარმოსთქვა დიდმა მაღლისტრმა და გულ- მტკივნეულობით შეხედა გილბერს. — ხომ ხედავ, კონჩალ, მას ეს წმინდა საქმე რანაირად აშინებს. ის საღამდინ მოიყვანს გმირსა და მამაცს რაინდს ცბიერი ფაშტერება ქალისა! უყუ- რე, ჩვენთვის ვეღარ შემოუხედნია; ვეღარც იმ ქალს უყურებს;

ვინ იცის რეებსა ხაზავს იატაკზედ. იქნება კიდეც გვემუ-
ქრება; მაგრამ ჩვენ მის მუქარს ყურს არ დაუუგდებთ და ჩვენს.
მოვალეობას წესისამებრ შევასრულებთ.

ყოველივე ეს ჩუმად უთხრა მონ-ფიტშეტს და შემდეგ ხმა-
ბალლა მიმართა კრებას:

„კეთილ მორწმუნე და გმირნო ბატონებო, რაინდნო და
წევრნო წმინდა ორდენისა! კრება ესე მხახდა ბრძანებითა და
სურვილითა და დის მალისტრისა, რომელსაც უნდა, შეიტყოს
აზრი თავის თანაშემწეოთა. ჩვენ უნდა გავასამართლოთ, ებრა-
ელი ქალი რებეკა, ასული იორკელის ჩასკისა, რომელმაც მო-
აჯადოვა ჩვენი ორდენის ერთგული რაინდი. ჩვენი მოძმე ბრიან-
დე ბოა გილბერი ყოველთვის ერთგული დამცველი იყო წმინ-
და ჯვარისა. იგი ისე გათქმული იყო თავის გონიერებით ჭლ-
მოსავლეთისა და დასავლეთის რაინდთა შორის, წომ ჟველა-
ნი ჩემს მოადგილედ რაცხავდნენ, როდესაც ღმერთი ინ ებებდა
და ამ თანამდებობისგან გამანთავისუფლებდა. ჩვენთვის რომ
ეტკეთ, ესოდენ კეთილ მსახურმა და პატივცემულმა კაცმა
დაივიწყა თავის მოვალეობა, აღთქმა გასტეხა და ებრაელ ქალ-
თან მოგზაურობდა, რომელსაც თავის თავზედ უფრო ძლიერ
უფრთხილდებოდა და ამ წმინდა სავანეშიაც კი შემოიყვნას,
უსათუოდ ვიფიქრებდით, რომ ბოროტი სულ დაპატრიონებია
ჩას და მოუჯადოვებია-მეთქი. ჩვენ რომ სხვაფრივ გვეფიქრა,
დამერწმუნეთ ვერც ლირსება, ვერც გმირობა და ვერც დიდება-
ცერ დაიხსნიდა მას სასჯელისაგან. მაგრამ თუ რაინდს ეშმაკი-
დაპატრიონა, თუ იგი მოაჯადოვეს და ზუარი გადაავლო ქა-
ლის შევენიერებას, მაშინ იგი ლირსია სიბრალულისა და არა-
სასჯელისა. ახლა გთხოვთ, ჩემნო თანამეტათბირენო, გამოე-
ძიოთ: მარტო ამ ურწმუნო ქალის დასჯით უნდა დავემატო-
ჟილდეთ, თუ მასთან ერთად ჩვენი მოძმეც უნდა დავსაჯოთ?“

ამას შემდეგ ჰკიოთხეს მოწმებს, რომელთაც დაამტკიცნა,
შემ ბრიან დე ბოა გილბერი არავითარს განსაკლელს არ ერი-
ცებოდა, რომ რებეკა უვნებდა დამოუყვანა ცეცხლ-მოკიდებულ-
ციხე-დარბაზიდან. ჰკიოთხეს აგრედვე ტემპლსტოს ჟრეპუნიტორ-

საც, რომელსაც უნდა ეაშნა თუ როგორ მიიყვანა ბოა გილბერტა ებრაელი ქალი პრეცენტირიაში. პრეცენტორი მალვოაზენი ცდილობდა, ყოველი ბრალი რებეკასთვის დაედო, ბოა გილბერტი კი გაემართლებინა. იგი ამბობდა, რომ რაინდი ალბად მართლა მოჯადოებულია, რომ ებრაელი ქალი შეუყვარდაო. ამასთანავე მან სინანულით ალიარა, თავის დანაშაული, რომ რებეკა და იმის საყვარელი პრეცენტორიაში მიიღო. — მაგრამ ის, რაც ჩემი თავის გასამართლებლად უნდა ვთქვა, — წარმოსთქვა მალვოაზენმა, — უკვე მითქვამს აღსარებაში დიდი მაღისტრისათვეს; მან იყის, რომ ჩემს საქციელში არავითარი ბოროტი განზრახვა. არ იყო. სინარულით ვკისრულობ. ყოველს, სასჯელს, რამაც კი დამინიშნავთ.

— კარგად ლაპარაკობ, ძმაო ალბერტ, — უთხრა ბომანიარმა: — სურვილი კარგი გქონია, შენი მოძმის დახსნა გდომებიდა დალუპვისგან. მაგრამ შენი საქციელი მაინც უკანონოა: შენ იმ კაცისავით მოქცეულხარ, რომელსაც გაგრუებული ცხენის დაჭრა უნდოდა და ამისთვის უზანგოში ავლებდა ხელს და არა აღვირუში. ჩვენი ორდენის დამფუძნებელის წესდება ვვიწერს „მამაო ჩვენოს“ წარმოთქმას ცამეტჯერ დილით და ცხრაჯერ საღამოთი, ამას იქით ერთი ორად უფრო მეტჯერ უნდა წარმოსთქვა; ტაძრის რაინდი კვირაში სამჯერ სჭამენ ხორცს! მაგრამ შენ შვერდი დღის განმავლობაში სრულიად არ უნდა ჭამო. ასე მოიქეც ექვს კვირას და შენი მონანიება ამით დასრულდება..

ტეპლსტოს პრეცენტორმა თავის უფროსს ცბიერებით დაუკრა დაბლა თავი და თავის ადგილზედ დაჯდა.

— საჭიროდ ხომ არა სთვლით, ძმანო, — განაგრძო დიდმა მაღისტრმა, — გამოვიკვლიოთ ამ ქალის წარსული ცხოვრება, რომ დავრწმუნდეთ, ჯადოქარია იგი თუ არა? მოწმების ჩვენებიდან სჩანს, რომ ჩვენი მოძმე მოჯადოებულია ამ ქალისაგან.

გერმანი მეოთხე პრეცენტორი იყო, რომელიც ამ გასამართლებას დაესწრო; სამს პრეცენტორს ხომ უკვე ვიცნობთ: კონრადს, მალვოაზენს და თვით ბოა გილბერტს. გერმანი ძველი მეომარი იყო და თავის მოძმეთა შორის დიდად პატივცემა.

მული იყო. იგი წამოდგა და თავი დაუკრა დიდს მაღისტრს, რომელმაც ნება მისცა ლაპარაკისა.—მე ძლიერ მინდა გავიგო, მაღალ-ლირსო მამაო, რას იტყვის თვითონ ჩვენი მოძმე ბრიან: დე ბოა გილბერი ამ გამ-მტყუნებულ საბუაქმზედ და რა თვა-ლით უყურებს თავის უბედურს კავშირს ებრაელ ქალთან?

— ბრიან დე ბოა გილბერო,—უთხრა დიდმა მაღისტრმა,— ხომ გესმის, რასაც გეკითხება ჩვენი მოძმე გერმანი, გიბრძანებ-ჰასუხი მიუგო.

ბოა გილბერმა თავი დიდის მაღისტრისკენ მიიღო, მაგრამ ჰასუხი კი არ გასცა.

— სიყრუვის ეშმაკი ჩასჯდომია სხეულში,—ლაღად-ჰყო დიდ-მა მაღისტრმა.—განვედ, წყეულო! სთქვი, ბრიან დე ბოა გილ-ბერო!

ბოა გილბერმა ძლივს დამალა ბომანოარის სიტყვებით გამოწვეული ზიზლი და სიბრაზე, რადგან კარგად იცოდა, რომ ამ გრძნობათა გამოაშარავება მას არაფერს უშველიდა.—მე, მაღალ-ლირსო მამაო,—მიუგო მან,—ჰასუხს არ ვაძლევ მაგისთან ამ გამოურკვეველს და უცნაურს გამტყუნებაზედ. ჩემს ჰატიოს-ნებას რომ შეხებოდნენ, მაშინ ჩემს ლირსებას დავიცავდი იშ ხმლითა, რომლითაც არა ერთხელ მიბრძოლია ქრისტიანობი-სათვის.

— გვიპატივებია შენთვის, ძმაო ბრიან,—უთხრა დიდმა მა-ღისტრმა,—თუმცა შენს თავს იქებ და შენის მოღვაწეობით თა-ვი მოგაქვს, მაგრამ ყოველივე ეს ეშმაკის ბრალია, რომელიც გაქეზებს უწმინდურ საქმეთა ჩასაღენად. გიმეორებ, ყოვე-ლივე გვიპატივებია, რადგანაც მაღლითა ღვარისათა გვინდა განვა-გდოთ ამ კრებიდან ის, ვინც აწ მფლობელია შენის გულისა.

ბოა გილბერს თვალები ზიზლით გაუბრწყინდა, მაგრამ ჰა-სუხი მაინც არ მისცა.—ეხდა,—განაგრძო დიდმა მაღისტრმა,— როდესაც პრეცენტორის გერმანის კითხვას ასეთი შეუსაბამო. ჰასუხი მოჰყვა, მივუბრუნდეთ ისევ ამ უბედურების საიდუმლო-ების გამოკვლევას, დავ, ვინც რამ იცოდეს ებრაელი ქალის შესახებ, წინ წამოდგეს და ყოველიფერი სთქვას.

ამ დროს დარბაზის ქვეშთა ნაწილში რაღაცა ხმაურობა ატყდა და როდესაც დიდმა მაღისტრმა ამის მიზეზი იკითხა, მიუგეს, რომ აქ არის ერთი კაცი, რომელიც ბრალდებულს თავის წამლით სწეულებისაგან გაუკურნია.

ხალხიდან ძალად გამოაგდეს წინ ერთი საწყალი საქსონელი გლეხი-კაცი, რომელიც რებეკას მოერჩინა სიდამბლისაგან და ყშინოდა ამისთვის არ დაშსაჯონო. რასაკვირველია, იგი სრულიად არ მორჩინილიყო, რადგანაც ჯერ ისევ ყავარჯებით დადიოდა. მან თვალებში ცრემლებ-მორცეულმა აღიარა, რომ ამ ორი წლის წინად იორქში ვმუშაობდი ებრაელ ისაკ-თან და უყცრად ავად გავხდიო; მაშინ ლოგინიდანაც არ შემეძლო წამოლდებომა და იქამდინ ვიწევ ისაკის სახლში, ვიდრე ამ ქალის წამლების წყალობით სიარული არ შევიძელიო; განსაკუთრებით უფრო ერთი მაღამო შრგებდა, რომელიც თანაც გამომატანა და საგზაო ფულიც მომცაო.—ნუკი მიწყენთ, მაღალ-ლირსო მამაო,—განაგრძო საქსმა,—და არა მეონია ამ ქალს ჩემ-თვის ცუდი სდომებოდეს, თუმცა, საუბედუროდ, იგი ებრაელია, ამისათვის რომ ამის წამლების ხმარების დროს მამართ ჩვენსაც ვეტყოდით ხოლმე, მაგრამ წამალი მაინც თავის ძალას არა ჰქარგავდა.

— ხმა გაიმინდე, მონავ, —უთხრა დიდმა მაღისტრმა, —და აქედან დაიკარგე! ჯოჯოხეთურის წამლებით მხოლოდ შენის-თანა მხეცებმა უნდა მოიჩინონ თავი. მე შენ გეუბნები, რომ ეშმაკი ადამიანს ზოგჯერ ავადა ხდის და ისევ მაღა არჩენს მხოლოდ იმისთვის, რომ ამით სახელი მოუპოვოს თავის ეშმაკურს წამალს. აქა გაქვს ის მაღამო თუ არა.

გლეხმა-კაცმა ჩაიყო უბეში ხელი და კანკალით ამოიღო პატარა კოლოფი, რომელსაც ზემოდან ჩამდენიშე ებრაელი ასო აჯდა და ეს საკმაო იყო ბევრისათვის ეფიქრა, რომ მაღამო ეშმაკის აფთიაქრდან იყო. ბომანოარმა ბევრი აღმოსავ-ლეთური ენა იკოდა და კოლოფის თავზედ შემდეგი ზედ-წარწერა ამოიკითხა: „დო-შმან იუდეს მუსლისამან დაადარცხა.“

— ეშმაკ შეუძლიან სამღრღოო წერილი დათვის გმობად გადააქ-

ცის, — სთქვა ბომანოარმა, — და ჩვენს არსებრის პურში შხამი აუ-
რისოს არავინ არის. აქ ექიმი; რომ ამ მალამოს ნაწილები. გა-
გვავებინოს?

ორმა ექიმი, რომელთაგან ერთი ბერი იყო და მეორე,
დალაქი, გასინჯეს წამალი და სთქვეს; რომ ჩვენ ამ წამლისა
არცარა გაგვეგება-რა და არცარა ვიცით-რაო. იგი რაღაც სხვა-
ნაირი წამალია. და თითქოს საკმლისა და ქაფურის სუნი უდი-
სო. ერთის სიტყვით, იმათ ჩვენებიდან ისა სჩანდა, რომ რაკი
ამ: წამლის ვითარება ჩვენ არ ვიცით, მაშასადამე, უკანონო და
ჯალოქრული წამალია. წამლის შემოწმების შემდეგ საჭირა
თავის მალამო თვითონვე მიიღო, მაგრამ დიდმა მალისტრმა
ამის დანახვაზედ მრისხანედ შეიკრა წარბები. — რა გქვიან შე
ნა? — ჰკითხა მან სწეულს.

— ღიღი, სინლეის შვილი ვარ, — მიუგო საფულელმა კაცმა.

— ღიღიო, სინლეის შვილიო, — უთხრა ღიღმა მალისტრმა,
— უმჯობესია, დამბლადიყო, ვეღრე ურწმუნოს წამალი იხმარო
და მორჩე; უმჯობესია ურწმუნოთ ძალად წაართვა ქანება,
ვეღრე ნებაყოფლობით მიიღო მათგან საჩუქარი და სასყიდელი.
წადი და ისე მოიქეც, როგორც გითხარი.

— საუბედუროდ, — წარმოსთქვა გლეხმა, — ჩემთვის ეგ და-
რიგება, მაღალ-ღირსო მამაო, გვიან-ლა არის, რაღანაც
უკვე დაუძლურებული ვარ; ჩემი ორი ძმა კი მდიდარ ურიას-
თან მუშაობენ და სიტყვისამებრ თქვენისა ვეტყვი, რომ უმჯო-
ბესია გაძარცვონ იგი, ვეღრე ერთგულად ემსახურონ.

— გააგდეთ ეს ყბედი აქედან! — დაიყვირა ბომანოარმა,
რომელსაც არ ეგონა, რომ ღიღი იმის დარიგებას ასე გამოი-
ყენებდა.

სინლეის შვილი ღიღი ხალხში დაიმალა და არ გამოდიო-
და გარედ, რაღანაც უნდოდა გაეგო ბედი თვეის კეთილის
მყოფელის რებეკასი, თუმცა ამასთანავე კიდეც ეშინოდა მრის-
ხანე ღიღის მალისტრისა.

ღიღმა მალისტრმა რებეკას ჩადრის მოხდა უბრძანა. მან
მშვიდად და ღირსეულად მიუგო, რომ იმ ხალხის ქალები, რო-

შელსაც მე ვეკუთვნი, უცხოელ ხალხთან არას დროს ჩადრის არ იხდიანო. მისმა სასიამოვნო ხმამ და წყნარმა პასუხმა ხალხში სიბრალული გამოიწვია. მაგრამ ბომანოარმა ქალის სიტყვებს უური არ ათხოვა და უთხრა გუშაგებს რებეკასთვის ჩადრი მოყხადათ. გუშაგებს ის-იყო უნდა შეესრულებინათ ბომონოარის ბრძანება, რომ ამ დროს რებეკა მივიღდა დიდ მალისტრთან და უთხრა: —ნუ ამხდით ჩადრის, თუ თქვენი ქალების სიყვარული გაქვთ!... მაგრამ დამავიწყდა, ვაი რომ თქვენ ქალები არა გყავთ! მაშ თქვენის დების სიყვარულის და განსვენებული დედი-თქვენის პატივისცემის გამო მანც ნუ მისცემ ნებას თავიდან ჩადრი მომხადონ. მაგრამ არა, მე დავემორჩილები თქვენს სურვალს. —უთხრა მან ისეთის მწუხარებით, რომ თვით ბომანოარსაც კი შეეცოდა იგი. —თქვენ უფროსი ხართ ამ ძმობისა და ბრძანებისამებრ თქვენისა დაგანახვებთ ჩემს უბედურს სახეს.

რებეკამ გადაიხადა ჩადრი და ყველას მოკრძალებით შე-ზედა. მისმა საოცარმა სილამაზემ ჩოქელი ჩამაგდი ახალ-გაზდა რაინდებში და ერთმანეთს გაკვირვებით დაუწყეს ცქერა; იგინი თითქოს თვალებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს, რომ ბრინ-ნის გასამართლებელი საბუჟი ამ ქალის მშვენიერება არის და არა მისი ჯაღოქრობაო. ყველაზედ უფრო ძლიერ ღილი შე-ძრწუნდა, როდესაც თავის კეთილის მყოფელის სახე დაინახა. გამიშვით აქედან, —უთხრა მან კარის გუშაგებს, —გამიშვით! ერ-თიც რომ კიდევ შევხედო ამ ქალს, მე ჩემი დამემართება, ამი-სათვის რომ მის დასჯაშა კოტაოდენი წილი მეც მიღევს.

— გაჩუმდი, უბედურო კაცო! —უთხრა რებეკამ, როდესაც მისი ხმაურობა გაიგო: —შენ სიმართლე თქვი და მე ამით არა-შითარი კნება არ მომეცა. შენ შენის მწუხარების და გულ-მტკივნეულობის გამოცხადებით ვერაფერს მიშველი. უმჯობესია შინ წახვიდე და შენს თავზედ იზრუნო.

გუშაგებს უნდოდათ ღილი გარედ გაეგდოთ, მაგრამ პი-რობა მისცა აღარაფერს დავაშავებო და ისევ დასტოვეს. ამას შემდეგ რამდენსამე მოწამეს კიდევ ჰკითხეს, მაგრამ რადგანაც იგინი წინალვე იყვნენ შესყადულნი და დარიგებულნი, აშისა-

თვის არცერთმა მათგანმა რებეკას სასარგებლოდ არ აჩვენა. ერთმა მოწმემ ისიც კი სთქვა, რომ როდესაც რებეკას უნდოდა ბოა გილბერს გაჰქცეოდა, იგი გედად იქცა და ტორკვილსტონის ციხე-დარბაზის გარშემო კარგა ხანს დაპირინავდათ, მერე ისევ შემოვიდა ოთახში და კვალად ქალად იქცაო.

როდესაც ყველა მოწმებს ჩვენება ჩამოართვეს, დიდმა მაღისტრმა მედილურად ჰყითხა რებეკას: — რას იტყვი შენი თვის გასამართლებლადაო?

— გთხოვოთ შებრალება, — მიუგო მშვენიერმა ეპრაელმა ქალმა აკან კალებულის ხმით: — ვიცი არავითარს სარგებლობას არ მომიტანს და ამასთან თავის დამცრობაც რქნება. დაგარწმუნოთ, რომ სხვა სარწმუნოების ავადმყოფთა და დაჭრილთა განკურნა ჩვენ ორივეს სარწმუნოების დიდს დამაარსებელს არ გაარისხებს-მეთქი, ამითიც აგრძელვე არა გამოვა-რა; დაგიმტკიცოთ, რომ ზოგი მოწმების (ლმერთმა შეუწიდოს მათ!) ჩვენება მტკნარი სიცრუვეა-მეთქი, ესეც არაფერს მიშველის, რადგანაც მათი ჩვენება თქვენ კეშმარიტებად მიგაჩნიათ; აგრძელვე არა-თერს სარგებლობას მომიტანს იმის განმარტება, რომ ჩემი ტანისმოსი, ჩემი ენა და ჩემი ყოფა-ცხოვრება ჩემი ხალხის კუთვნილებას შეადგენს. მინდოდა დამემატებინა — ჩემი სამშობლოისასა-მეთქი, მაგრამ ვაი რომ ჩვენ სამშობლოს მოკლებულნი ვარო! არ შინდა აგრძელვე თავი გავიმართლო ჩემი მდევნელის საქციელის გამოაშეარავებით; იგი ეხლა აქა სდგას და ყურს უგდებს ჩემს შესახებ მოგონილს ჭორებს, რომელთაც ჩემი სასტიკი მტარვალი გილბერი რაღაც ჯადოჭრობის მსხვერპლად გადააქციეს. ლმერთი იყოს ჩვენ შორის მსაჯული! მე მზად ვარ ათჯერ უფრო იმაზედ მეტი სასჯელი ავიტანო, როგორსაც ეხლა მიმზადებთ, ვიდრე დავთანხმდე იმაზედ, რასაც მეუბნებოდა ეს შვილი ბერიალისა, იმ დროს, როდესაც არც მეგობარი მყავდა და არც მფარველი. იგი თქვენი სარწმუნოების კაცია და, რასაკირველია, იმის ლიტონს სიტყვას უფრო დაჯერებთ, ვიდრე გულწრფელს ფიცს ებრაელის ქალისას! მე მას არ დავაბრალებ იმას, რასაც მე მაბრალებენ, მე მხოლოდ მი-

ვმართავ მას. დოა, ბოა გილბერთ, მე შენ მოგმართავ და გე-კითხები: სიცრუვე არ არის ყოველივე ის, რასაც მე მაბრალე-ბენ და ეს ცილის-წამება მხოლოდ იმისთვის არ არის მოგო-ნილი, რომ ჩემი სიკვდილი უნდათ?

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა; ყველამ ბრიან დე ბოა გი-ლბერს დაუწყეს ცქერა. იგი ქასავით გაშეშებული იღგა.

— სთქვი, — განაგრძო რებეკამ: — თუ კაცი ხარ, სთქვი, თუ ქრისტიანი ხარ! გაფიცებ ტანისამოსს, როშელიც გაცვია, სა-ხელს, რომელსაც ატარებ, რაინდობას, რომლითაც ამპარტა-ნობ, პატიოსნებას დედიშენისას, საულავს მამიშენისას: სთქვი, არის რამე სიმართლე იმაში, რასაც მე მაბრალებენ?

— მიეც პასუხი, ძმაო, — უთხრა დიდმა მალისტრმა: — პა-სუხი მიეც, თუ რომ მტერმა, რომელსაც შენ ეპრაჭი, ენა არ დაგიდუნა.

ბოა გილბერი მართლა ხმას ვერ იღებდა ვნებათა ღელ-ვისაგან, მაგრამ ბოლოს ძალა დაატანა თავის თავს და უთხ-რა რებეკას: — ბარათი ნახე! ბარათი!

— აი ხომ ხედავთ, — სთქვა დიდმა მალისტრმა: — აქედან განა ნამდვილად არა სხანს ამ ქალის დანაშაული? მისი საზი-ზლარი ჯადოქრობის მსხვერპლი მხოლოდ რაღაც ბარათს ახ-სენებს, რომელშიაც, ვინ ციის, რამე შელოცვა სწერია და ის უბამს ენას ამ უბედურს ბოა გილბერს.

რებეკა მიხვდა ბრიანის სიტყვებს და დახედა ბა-რათს, რომელიც ხელში ჩაუდეს მაშინ, როდესაც სამჯავროს წინაშე უნდა წამდგარიყო, ხალხში ამ დროს ხმაურობა ატყ-და. რებეკამ ისარგებლა ამით და სხვების ჩუმად ბარათში ალ-მოიკითხა არაბულად: მოთოხოვე დაშეგვეღრ. ბარათი მა შინვე დამალა. როდესაც ხმაურობა მიწუნარდა, დიდმა მალისტრმა. კვალად დაიწყო ლაპარაკი:

— რებეკა, ამ უბედური რაინდის ჩვენება შენ ვერაფერს. გიშველის, რადგანაც, როგორც ვხედავთ, იგი მოჯადოვებუ-ლია. გაქვს რამე კიდევ სათქმელი?

— თქვენი სასტიკის კანონების ძალით მე ერთი იმედი

თვის არცერთმა მათგანშა რებეკას სასარგებლოდ არ ჩვენა-
ერთმა მოწმემ ისიც კი სთქვა, რომ როდესაც რებეკას უნ-
დოდა ბოა გილბერტს გაჰქიცეოდა, იგი გედად იქცა და ტორკვი-
ლსტონის ციხე-დარბაზის გარშემო კარგა ხანს დაჰქორინავდათ,
მერე ისევ შემოვიდა ოთახში და კვალად ქალად იქცაო.

როდესაც ყველა მოწმებს ჩვენება ჩამოართვეს, დიღმა მა-
ლისტრმა მედილურად ჰქითხა რებეკას:—რას იტყვი შენი თავის
გასამართლებლადაო?

— გთხოვთ შებრალება,—მიუგო მშევნიერმა ეპლაელმა
ქალმა აკან კალებულის ხმით:—ვიცი არავთარს საჩემებლობას
არ მომიტანს და ამასთან თავის დამცრობაც უქნება. დაგარ-
წმუნოთ, რომ სხვა სარწმუნოების ავადმყოფთა და დაჭრილთა
განკურნა ჩვენ ორივეს სარწმუნოების დიდს დამაარსებელს არ
გაარისხებს-მეთქი, ამითიც აგრედვე არა გამოვა-რა; დაგიმტკი-
ცოთ, რომ ზოგი მოწმების (დმერთმა შეუწლოს მათ!) ჩვენება
მტკნარი სიცრუვეა-მეთქი, ესეც არაუერს მიშველის, რადგანაც
მათი ჩვენება თქვენ კეშმარიტებად მიგაჩნიათ; აგრედვე არა-
ფერს სარგებლობას მომიტანს იმის განმარტება, რომ ჩემი ტა-
ნისამოსი, ჩემი ენა და ჩემი ყოფა-ცხოვრება ჩემი ხალხის კუთ-
ვნილებას შეადგენს. მინდოდა დამემატებინა—ჩემი სამშობლოი-
სასა-მეთქი, მაგრამ ვაი რომ ჩვენ სამშობლოს მოკლებულნი
ვართ! არ მინდა აგრედვე თავი გავიმართლო ჩემი მდევნელის
საქციელის გამოაშკარავებით, იგი ეხლა აქა სდგას და ყურს
უგდებს ჩემს შესახებ მოგანილს ჭორებს, რომცლთაც ჩემი სა-
სტიკი მტარვალი გილბერტი რაღაც ჯადოჭრობის მსხვერპლად
გადააჭიეს. ღმერთი იყოს ჩვენ შორის მსაჯული! მე მზად ვარ
ათჯერ უფრო იმაზედ მეტი სასჯელი ავიტანო, როგორსაც ეხ-
ლა მიმზადებთ, ვიღრე დავთანხმდე იმაზედ, რასაც მეუბნებო-
და ეს შეილი ბელიალისა, იმ დროს, როდესაც არც მეგობა-
რი მყავდა და არც მფარველი. იგი თქვენი სარწმუნოების კა-
ცია და, რასაკვირველია, იმის ლიტონს სიტყვას უფრო დაიჯე-
რებთ, ვიღრე გულწრფელს ფიცს ებრაელის ქალისას! მე მას
არ დავაბრალებ იმას, რასაც მე მაბრალებენ, მე მხოლოდ მი-

ვმართავ მას. დიალ, ბოა გილბერთ, მე შენ მოგმართავ და გეკითხები: სიცრუვე არ არის ყოველივე ის, რასაც მე მაბრალებენ და ეს. ცილის-წამება მხოლოდ იმისთვის არ არის მოგონილი, რომ ჩემი სიკვდილი უნდათ?

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა; ყველამ ბრიან დე ბოა გილბერს დაუწყეს ცქერა. იგი ქვასავით გაშეშებული იდგა.

— სთქვი, — განაგრძო რებეკამ: — თუ კაცი ხარ, სთქვი, თუ ქრისტიანი ხარ! გაფიცებ ტანისამოსს, რომელიც გაცია, სახელს, რომელსაც ატარებ, რაინდობას, რომლითაც ამპარტავნობ, პატიოსნებას დედიშენისას, საულავს მამიშენისას: სთქვი, არის რამე სიმართლე იმაში, რასაც მე მაბრალებენ?

— მიეც პასუხი, ძმაო, — უთხრა დიდმა მაღისტრმა: — პასუხი მიეც, თუ რომ მტერმა, რომელსაც შენ ეპრავი, ენა არ დაგიდუნა.

ბოა გილბერი მართლა ხმას ვერ იღებდა ვნებათა ღელვისაგან, მაგრამ ბოლოს ძალა დაატანა თავის თავს და უთხრა რებეკას: — ბარათი ნახე! ბარათი!

— ი ხომ ხედავთ, — სთქვა დიდმა მაღისტრმა: — აქედან განა ნამდვილად არა სხანს ამ ქალის დანაშაული? მისი საზოზღარი ჯადოქრობის მსხვერპლი მხოლოდ რაღაც ბარათს ახსენებს, რომელშიაც, ვინ იცის, რამე შელოცვა სწერია და ის უბამს ენას ამ უბედურს ბოა გილბერს.

რებეკა მიხვდა ბრიანის სიტყვებს და დახედა ბარათს, რომელიც ხელში ჩაუდეს მაშინ, როდესაც სამჯავროსწინაშე უნდა წამდგარიყო, ხალხში ამ დროს ხმაურობა ატყდა. რებეკამ ისარგებლა ამით და სხვების ჩუმად ბარათში აღმოიკითხა არაბულად: მოთხოვთვე დამწეველი, ბარათი მაშინვე დამალა. როდესაც ხმაურობა მიწუნარდა, დიდმა მაღისტრმა კვალად დაიწყო ლაპარაკი:

— რებეკა, ამ უბედური რაინდის ჩვენება შენ ვერაფერს გიშველის, რადგანაც, როგორც ვხედავთ, იგი მოჯადოვებულია. გაქვს რამე კიდევ სათქმელი?

— თქვენი სასტიკის კანონების ძალით მე ერთი იმედი

კიდევ დამრჩენია თავის დასახსნელად,—მიუგო რებეკამ:—თუმცა ჩემმა სიცოცხლემ ამ ბოლოს დროს უტედურად განვლო, მაგრამ მე მაინც არ მინდა: უარვყო ნიჭი ღვთისა, როდესაც უფალი მაძლევს თავის დახსნის საშუალებას. მე უარსა ვყოფ თქვენ მიერ დადებულს ბრიალს და ვამტკიცებ, რომ არაფერში დანაშაული არა ვარ და თქვენი გადაწყვეტილება, უსამართლოდ მიმიჩინია: ამის გამო გთხოვთ ორი რაინდის შორის ბრძოლა მოხდეს, ჩემს დაშველს რარნდს მე თვითონ მოვიყეან.

— ვინ იქნება, რებეკა, ისეთი რაინდი,—უთხრა დედმა მალისტრობა:—რომ ჯადოქარი ქალისათვის შუბი ხელში აიღოს? ურისი ქალის რაინდობას ვინ იყისრებს?

— ღმერთი მომცემს დამცველს,—მაუგო რებეკამ:—არა მგონია, რომ მთლად ინგლისში, სტუმრის მოყვარე, დიდსულოვან, თავისუფალ ინგლისში, სადაც პატიოსნების დასაცველად თავს არ ზოგავენ, არ მოიპოვებოდეს ისეთი კაცი, რომელმაც სიმართლისათვის იბრძოლოს. მაგრამ კმარა; მე ფალრვანთა ბრძოლას ვთხოულობ და აი ჩემი ნიშანი საბრძოლველად გამოწვევისა.

ესა საქვა რებეკამ და გაიხადა ნაკერი ხელთათმანი და დიდი მალისტრის წინაშე დააგდო, რამაც ცველანი გააკვირვა და გააცი.

თავი იცდამეჩიდვეთ

აი ჩემი წინდი, ჩემი ბელთათმანი! მე მას თავს შევ-
წირავ უკანასკნელ სისტემის წვეთამდე!
შექსპირი. — რიჩარდი II.

ლუკა ბომანოარს ცოტა არ იყოს შეეცოდა რებეკა. იგი ბუნებით სასტიკი კაცი არ იყო; მაგრამ რაკი გულის-თქმათ მოკლებული იყო და თავის მოვალეობაც თავისებურად ესმოდა, მას ბერულის ცხოვრებით ნელ-ნელა გაექვავებინა გული და თავის წმინდა მოვალეობად სთვლიდა სხვა რჯულის ხალხის დევნას. ეხლა კი მის სახეს მრისხანება, აღარ ეტყობოდა და

ამის მიზეზი იყო ის მშვენიერი პლატა, რომელიც მის წინაშე იდგა მარტოლ-მრტო, უმწეო და უნუგეშო და რომელიც თავისთავს ასე გრძივრულად და გაბედვით იცვავდა. ბომანოარმა ორჯელ გადიწერა პირჯვარი და თითქოს უკეირდა, რომ იმის გაკაუებულს გულსაც სიბრალულის გრძნობა შეეპარა.

— ქალო,—უთხრა შან რებეკას,—თუ სიბრალული, რომელსაც ვგრძნობ შენდამი, შენი ჯადოქრობის ნაყოფია, დიჭი და მანაშავე ყოფილხარ! მაგრამ მე ამ გრძნობას ჩვეულებრივ, გულის მოძრაობად ვთვლი, გამოწვეულს იმით, რომ შენი ესოდენ მშვენიერი გარეგნობა კურკელი ყოფალა ჯადოქრობისა. შეინანე, საბრძოლო ასულო, აღიარე შენი ჯადოქრობა, უარ-ჰყავი შენი ცრუ სარწმუნოება, მუხლი მოიღრიკე ამ პატიოსანი ჯვარის წინაშე და ყოველიფერი გეპატივება საჭაოსაც და საიქიოსაც. რომელსამე დათა მონაცერებში შეხვალ და იქ ბევრი დრო გექნება მოსანანიებლად, მოიქეც ასე და ცოცხალი დარჩები. განა ისეთი რა ბეღნიერება მოგანიჭა მოსეს რჯულმა, რომ იმისთვის თავი დაიღუპო?

— იგი რჯულია ჩემი მამა-პაპისა, — მიუგო რებეკამ, — იგი მოგვცა ღმერთმა სინაის მთაზედ ქარიშხალითა და ჰექა-ქუხილით, ცეცხლითა და ლრუბლითა; ეს თქვენ ქრისტიანებსაცა გწამთ; თქვენში ამბობენ, რომ ეს რჯული გაუქმდას, მაგრამ ჩემს მასწავლებლებს ეგრე არ უსწავლებიათ ჩემთვის.

— დაუძახეთ აქ ჩვენს მგალობელს (კაპელანს), — სთქვა ბომანოარმა, — და იმან დაუმტკიცოს ამ წარმართს...

— მაპატივეთ, რომ სიტყვას გაწყვეტინებთ, — უთხრა რებეკამ მოკრძალებით, — მე ქალი ვარ და ჩემი სარწმუნოების შესახებ ცერივის გავეჯიბრები, მაგრამ იმისთვის თავის გაწირე კი შემიძლიან, ზუ ღვოს ნებაც იქნება. გთხოვთ ჩემი დამცველის შესახებ პასუხი მომცეთ.

— მოშეცი ჯე ამის ხელთამანი, — დამისა ბომანოარმა. — ჭეშმარიტად, — განაგრძო მან, როდესაც ჟულიანთმანის წმინდა ქსოვას და ნაზ თითქებს დააცემერდა, — ეს სუბუქი ილა სუსტი წინდია შენის დიდი საქმისათვის! ხომ სელა, რებეკა, რა გან-

სხვავებაა შენი ნაზი ხელთაომანის და ჩვენი მძიმე სამკლაურების შორის, ასეთივე დიდი განსხვავებაა შენი და ტაძრის რაინდთა საქმის შორის; შენ ეხლა მთლად ჩვენს ორდენს იწვევ საბრძოლველად.

— დასდევით სასწორზედ ჩემი უმანკოება,—მიუგო რებეკამ,—და ჩემი აბრეშუმი! ხელთაომანი მძიმე მოვა თქვენს ფოლადს სამკლაურებზედ.

— გაშ შენ არც ცოდვათა შენანიება გინდა და არც საბრძოლველად გამოწვევის უარის ყოფა?

— არა, კეთილშობილო ბატონო,—მიუგო რებეკამ.

— და აგრე იყოს,—წარმოსთქვა დიდმა მაღისტრმა:— ღმერთი თვით დაგვანახვებს სიმართლეს.

— ამინ,—მიუგეს პრეცენტორებმა და მათი ხმა მთელს კრებაში გაისმა.

— ამანო,—განაგრძო ბომანოარმა,—თქვენ უკვე იცით, რომ ჩვენ შეგვეძლო უარი გვეთქვა ამ ქალისათვის ბრძოლაში გაწვევის შესახებ; თუმცა იგი უჩიაა და ურწმუნო, მაგრამ რადგანაც უცხო ქვეყნელია და შემწე არავინა ჰყავს, ამისათვი ღმერთმა დაგვიხსნას, უარი ვუთხრათ იმაზედ, რასაც თხოულობს; მით უმეტეს, რომ იგი მთლად თავის სასოებას ჩვენს კანონზედ ამყარებს. ამას გარდა, ჩვენ რაინდები სამხედრო ხალხი ვართ და დიდი სირცხვილი იქნება, რომ რაიმე მიზეზით ბრძოლაში გასვლაზედ უარი ვუთხრათ. მაშასადამე, ბრძოლა უნდა მოხდეს. თქვენის აზრით, კეთილმორწმუნე მმანო, ეის უნდა ჩაბარდეს წინდი ბრძოლისა, რომ იგი ამავე დროს ჩვენი დამცველიც იყვეს?

— ბრინ დე ბო გილბერს, რომელსაც ეს საქმე უფრო შეეხება,—სთქვა გუდალრიკის პრეცენტორმა.

— მერე ჩვენი ძმა ბრინი რომ მოჯადოებული იყოს?— უთხრა დიდმა მაღისტრმა. — მე ამას სიფრთხილისათვის ვამბობ, თორემ ჩვენს ორდენში არც ერთი რაინდი არ არის ისეთი, რომ იმაზედ მეტს ვენდობოდეთ.

— ღირსო მამაო, მიუგო გუდალრიყის პრეცენტორმა,— რომელი რაინდიც სამღაო საქმისთვის იბრძოლებს, იმაზეც არავითარი თილისმა არ იმოქმედებს.

— მართალს ამბობ, მმაო,— უთხრა დიდმა მაღისტრმა.— ალბერტ მალვაზენო, ეს წინდი ბრძოლისა ბრიან დე ბოა გილბერს გადაეცი.— შენ, მმაო, მიუბრუნდა იგი ბოა გილბერს,— უშიშრად უნდა გახვიდე საბრძოლველად და იმედი გვაქვს, რომ გაიმარჯვებ, თუ მართალი ხარ. შენც, რებეკა, გიცხადებთ, რომ სამი დღის განმავლობაში დამცველი უნდა იშოვნო.

— ძლიერ მოკლე ვადას მაძლევთ, მიუგო რებეკამ: — მე უცხო ქვეყნელი ვარ და ძნელად ვიშოვი კაცს, რომელიც ჩვემთვის თავს გამოიდებს და ასეთს გამოცდილს და გულაზს რაინდს შეებრძოლება.

— ჩვენ მეტს ვადას ვერ მოგცემთ,— უთხრა დიდმა მაღისტრმა: — ბრძოლა ჩვენ თვალ-წინ უნდა მოხდეს და საჭირო საქმები კი ნებას არ გვაძლევს მეოთხე დღესაც აქ დავტჩით.

— ნება უფლისა იყოს! — ღალად-ჰკო რებეკამ, — სასოება მაქვს იმისი, ვისაც ერთს წამშიაც შეუძლიან დამიხსნას ამ გაჭირვებისაგან, თუ თავის ნება იქნება.

— შენ კარგად ღიაპარაკობ, — მიუგო დიდმა მაღისტრმა, — მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, ვისაც შეუძლიან ანგელოზად მოჩვენება. ჩვენ ეხლა ისლა დაგვრჩნია, რომ საბრძოლველი ადგილი დაგვინიშნოთ, აგრედვე, თუ საჭიროება მოითხოვს, შენი დასასჯელი ადგილიც. სად არის ამ სავანის პროცენტორი?

ალბერტ მალვაზენს რებეკას ხელთამანი ჯერ ისევ ხელში ეჭირა და ბოა გილბერს ჩუმად, მაგრამ ცხარედ, რაღ საცელია ელაპარაკებოდა.

— რა არის? — ჰკითხა დიდმა მაღისტრმა, — საბრძოლველად არ გატის?

— როგორ არა... ვადის, მაღალ-ღირსო მამაო, — მიუგო მალვაზენმა და ხელთამანი დამალა. რაც შეეხება საბრძოლველ ადგილის ამორჩევას, წმინდა გიორგის მოედანზედ უკეთესს ადგილს ვერ ვიშოვნით.

— კარგი, — უთხრა დიდმა მალისტრმა. — რებეკა! შენი დამ-
ცველი დანიშნულს ადგილას უნდა მივიდეს; თუ რომ იგი არ
მოვა და ან მოვა და დამარტინება, მაშინ შენ ისე დაისჯები
სიკვდილით, როგორც ჯადოქრობის მიმდევარი.

რებეკამ აშაჩედ არაფერი უთხრა, მხოლოდ ზეცისაღმი
აღახვნა თვალნი, გულხელი დაკრიბა და რამდენსამე წამს ასე
იდგა. შეძლებ დიდს მალისტრს სთხოვა, ნება მიეცა ისეთი
კაცი ეშოვნა, რომელსაც მისი მეგობრისათვის შეეტყობინე-
ბინა მისი გაჭირვებული მდგომარეობა და დამცველ ეშოვნათ..

— ეგ სამართლიანი და კანონიერი სათხოეარია, — მიუგო
დიდმა მალისტრმა: — ამოირჩიე კაცი და ჩვენ ნებას მივცემთ,
რომ შენს ოთახში თავისუფლად შემოღილდეს.

— ვინ არის აქ ისეთი, — იკითხა რებეკამ, — რომელმაც სი-
მართლის სიყვარულით ანუ ფულით უბედური ქალს წერი-
ლები წაიღ-წამოილოს?

ყველანი ჩუმად იყვნენ, ყველას ქშინოდა დიდ მალისტ-
რის წინაშე სრბრალული გამოეჩინა ებრაელი ქალისაღმი. რე-
ბეკა დიდ ხანს იდგა აღელვებული და ბოლოს ხმა-მაღლა სთქვა:—
— ნუთუ მართლა არავინ არის? აქ, ინგლისის ქვეყანაში, ნუ
თუ იმრთვის უნდა მოვაკლდე იმედს თავის დახსნისა, რომ გუ-
ლის შემატეივარი არავინა მყავს?

ამას შეძლებ სინლეის შვილმა ლილმა მიუგო: — მე უძლუ-
რი კაცი ვარ და თუ მოძრაობა კიდევ შემიძლიან, ისიც შენის-
წყალობით. მე შევასრულებ შენს თხოვნას, — დაუმატა მან, — ისე,
როგორც კი შეუძლიან უძლურს კაცს; ბედნიერი ვიქნები, თუ
ჩემი ფეხები გაასწორებენ იმ ბოროტებას, რომელიც ჩემმა-
ენამ მოგაიყნათ. მე მხოლოდ შენს გულმტკივნეულობას ვაქებდი
და შენი ენება ფიქრადაც არა მქონდა.

— ღმერთი ყოვლის შემძლებელია, — უთხრა რებეკამ: — მას-
ალვილად შეუძლიან იუდელთა დახსნა ტყვეობიდან. თავის ნე-
ბის შესასრულებლად იგი ლოკოკინასაც კი მიმინოს სიმკვირ-
ცხლეს მანიჭებს. სადაც იყვნეს, იპოვე იორკელი ისაკი და ეს
ბარათი იმას მიეცი, აპა საგზაო ფულიცა. მე მრჩაშს, რომ

დამხსნელი ვინმე გამომიჩნდება. მშვიდობით! ჩემი სიცოცხლე და სიკვდილი შენს სიმარდეზედ არის დამოკიდებული.

ღილმა გამოართვა რებეკას ებრაულად დაწერილი ბარათი. ბევრმა ურჩია მას, მაგ ბარათს ნუ მიეკარებიო, მაგრამ იმან ყურიც არავის ათხოვა.

— მე კარგს ცხენს ვიქირავებ,—სთქვა მან,—და ისე საჩქაროდ წავალ იორკში, როგორც კი შეუძლიან ცხენიანს კაცა, ამ ქალმა განკურნა ჩემი სხეული და დარწმუნებული ვარ ეხლა ჩემი სულის დაღუპვას არ მოინდომებს.

საბეჭდიეროდ, მას შორს წასვლა აღარ მოუხდა, რადგარ ნაც პრეცენტორიაზედ ცოტა მოშორებით ორი კაცი დაინახა, რომელთაც ჩატანები ეტყობოდათ, რომ ებრაელები იყვნენ; როდესაც მიუახლოვდა, ნახა, რომ ერთი მათგანი იორკელი ისაკი იყო, მეორე კი რაბინი. ბენ სამუელი; იმათ გაეგოთ, რომ რეპეკას ასამართლებდნენ და პრეცენტორიასთან ახლო მოსულიყვნენ ამბავის გასაგებად.

— მათ ბენ სამუელ,—უთხრა ისაკმა,—გული როგორლაც შემომკვნესის და არ ვიცი, რას მოასწავებს. ჯადოქრობა ქრისტიანებს. არა ერთხელ და ორჯელ დაუბრალებიათ ჩვენი ხალხისათვის, რომ ამით მიზეზი ჰქონოდათ მისი დევნისა.

— გული დაიმშვიდე, ძმაო,—მიუგო ექიმმა სამუელმა:— შენ შეგიძლიან ისე მოექცე ქრისტიანებს, როგორც მდიდარი კაცი და ყოველივე შელავათი ფულით მოუპოვო შენს ქალს; ხომ იცი ფული რანაირად მოქმედობს მათზედ. მაგრამ ეს ყავარჯნებით მოსიარულე კაცი ვიღა არის? ჩემი შეგობარო,—უთხრა ექიმმა ლილს,—მე შენთვის წამალს არ დავიშურება მაგრამ ისეთს კაცებს კი არ ვუწამლებ, რომელნიც გზებზედ სხედან და მოწყალებას თხოულობენ. რა გტკივა? ფეხები გააქვს დადამბლავებული? ხელებით იმუშავე, რომ ლუქმა პური იშოვნო. თუ შიკრიკობა და მწყემსობა არ შეგიძლიან, განა სხვა საქმე ცოტაა? რა დაგემართა, ძმაო?—მიუბრუნდა ისაკს, რომელმაც ლილისგან მიტანილი წერილის წაკითხვის დროს საშინლად ამოიოხრა, ჯორიდან გადმოვარდა და რაზდენსამე წამს უგრძენობლად ეგდო.

— კარგი, — უთხრა დიდმა მალისტრმა. — რებეკა! შენი დამ-
ცველი დანიშნულს აღვილას უნდა მივიდეს; თუ რომ იგი არ
მოვა და ან მოვა და დამარცხდება, მაშინ შენ ისე დაისჯები-
სიკვდილით, როგორც ჯადოქრობის მიმდევარი.

რებეკამ აშაჩედ არაფერი უთხრა, მხოლოდ ზეცისადმი
აღახვნა თვალნი, გულხელი დაიკრიბა და რამდენსამე წამს ასე
იდგა. შეტყევ დღის მალისტრს სთხოვა, ნება მიეცა ისეთი
კაცი ეშოვნა, რომელსაც მისი მეგობრისათვის შეეტყობინე-
ბინა მისი გაჭირვებული მდგრმარეობა და დამცველი ეშოვნათ.

— ეგ სამართლიანი და კანონიერი სათხოეარია, — მიუგო
ზოდმა მალისტრმა: — ამოირჩიე კაცი და ჩექნ ნებას მიუცემთ,
რომ შენს ოთახში თავისუფლად შემოღილდეს.

— ენ არის აქ ისეთი, — იკითხა რებეკამ, — რომელმაც სი-
მართლის სიყვარულით ანუ ფულით უბედური ქალს წერი-
ლები წაიღ-წამოიღოს?

ყველანი ჩუმად იყვნენ, ყველას ეშინოდა დიდი მალისტ-
რის წინაშე სიბრალული გამოეჩინა ებრაელი ქალისადმი. რე-
ბეკა დიდ ხანს იღვა აღლვებული და ბოლოს ხმა-მაღლა სთქვა:
— ნუთუ მართლა არავინ არის? აქ, ინგლისის ქვეყანაში, ნუ
თუ იმრეთვის უნდა მოვაკლდე იმედს თავის დახსნისა, რომ გუ-
რის შემატევარი არავინა მყავს?

ამას შემდეგ სინლეის შვილმა ლილშა მიუგო: — მე უძლეუ-
რი კაცი ვარ და თუ მოძრაობა კიდევ შემიძლიან, ისიც შენის
წყალობით. მე შევასრულებ შენს თხოვნას, — დაუმატა მან, — ჩსე,
როგორც კი შეუძლიან უძლეურს კაცს; ბედნიერი ვიქნები, თუ
ჩემი ფეხები გაასწორებენ იმ ბოროტებას, რომელიც ჩემმა
ენამ მოგაყენათ. მე მხოლოდ შენს გულმტკიინეულობას ვაქებდი
და შენი ვნება ფიქრადაც არა მქონდა.

— ღმერთი ყოვლის შემძლებელია, — უთხრა რებეკამ: — შას-
ალვილად შეუძლიან იუდელთა დახსნა ტყვეობიდან. თავის ნე-
ბის შესასრულებლად იგი ლოკოკინასაც. კი მიმინოს სიმკვირ-
ცხლეს მიანიშებს. სადაც იყვეს, იპოვე იორკელი ისაკი და ეს
ბარათი იმას მიეცი, აპა საგზაო ფულიცა. შე მრწვეს, რომ

დამხსნელი ვინმე გამომიჩნდება. მშვიდობით! ჩემი სიცოცხლე და სიკვდილი შენს სიმარტეზედ არის დამოკიდებული.

ღილამი გამოართვა რეცეპტას ებრაულად დაწერილი ბარათი. ბევრმა ურჩია მას, მაგ ბარათს ნუ მიეკარებით, მაგრამ იმან ყურიც არავის ათხოვა.

— მე კარგს ცხენს ვიქირავებ,—სთქვა მან,—და ისე საჩქაროდ წავალ იორქში, როგორც კი შეუძლიან ცხენიანს კაცა. ამ ქალმა განკურნა ჩემი სხეული და დარწმუნებული ვარ ეხს ლა ჩემი სულის ღალუპებს არ მოინდომებს.

საბეჭდიეროდ, მას შორს წასევლა აღარ მოუხდა, რადგან ნაც პრეცენტორიაზედ ცოტა მოშორებით ორი კაცი დაინახა, რომელთაც ჩატანები ეტყობოდათ, რომ ებრაელები იყვნენ; როდესაც მიუახლოვდა, ნახა, რომ ერთი მათგანი იორქელი ისაკი იყო, მეორე კი რაბინი. ბენ სამუელი; იმათ გაეგოთ, რომ რეცეპტას ასამართლებდნენ და პრეცენტორიასთან ახლო მოსულიყვნენ ამბავის გასავებად.

— მმაო ბენ სამუელ,—უთხრა ისაკმა,—გული როგორლაც შემომკვნესის და არ ვიცი, რას მოასწავებს. ჯალოქრობა ქრისტიანებს. არა ერთხელ და ორჯელ დაუბრალებიათ ჩვენი ხალხისათვის, რომ ამით მიზეზი ჰქონოდათ მისი დევნისა.

— გული დაიმშვიდე, ძმაო,—მიუგო ექიმმა სამუელმა:— შენ შეგიძლიან ისე მოექცე ქრისტიანებს, როგორც მდიდარი კაცი და ყოველივე შეღავათი ფულით მოუპოვო შენს ქალს; ხომ იცი ფული რანაირად მოქმედობს მათზედ. მაგრამ ეს ყავარჯნებით მოსიარულე კაცი ვიღა არის? ჩემო შეგობარო,—უთხრა ექიმმა ლილს,—მე შენთვის წამალს არ დავიშურებ, მაგრამ ისეთს კაცებს კი არ ვუწამლებ, რომელნიც გზებზედ სხედან და მოწყალებას თხოულობენ. რა გტკივა? ფეხები გააქვს დადამბლავებული? ხელებით იმუშავე, რომ ლუკმა პური იშოვნ. თუ შიკრიკობა და მწყემსობა არ შეგიძლიან, განა სხვა საქმე ცოტაა? რა დაგემართა, ძმაო?—მიუბრუნდა ისაკს, რომელმაც ლილისგან მიტანილი წერილის წაკითხვის დროს საშინლად ამოიოხრა, ჯორიდან გადმოვარდა და რამდენსამე წამს უგრძნობლად ეგდო.

მეტის-მეტად შეშინებული რაბინი გადმოხტა ჯორიდან და თავის ამხანაგს მობრუნება დაუწყო. როდესაც ისაკი გონზედ მოვიდა, ჩვეულებისამებრ თავზედ მტვერი წაიყარა და დაღად-ჰყო:

— ჩემი მტანჯველო შვილო, შენ ბენონი უნდა გრქეოდა და არა რებეკა! შენმა სიკვდილმა მე რად უნდა ჩამიყვანოს საფლავში მაშინ, როდესაც მეტის-მეტის მწუხარებით ღმერთსაც ვემდური და ბეჭაც.

— ძმაო,—უთხრა რაბინმა გაკვირვებით,—შენ ებრაელი მამა ხარ და როგორ შეგიძლიან მაგისთანა სიტყვები წარმოსაქვა?.. შენი ქალი ჯერ ხომ ცოცხალია?

— ცოცხალია,—მიუგო ისაკმა,—ისე, როგორც დანიელი, როდესაც ლომთა მღვიმეში იმყოფებოდა. ჩემი ასული ტყვედ ჰყავთ ქრისტიანებს, რომელთაც უნდათ თავიანთი ჯავრი მაზედ ამოიყარონ, იგინი არ შეიბრალებენ არც მის ყმაწვილ ქალობას და არც მის შევენიერს სახეს. ოხ! იგი გამწვანებული ბზის გვირგვინი იქნებოდა ჩემი ჭალარით შემოსილი თავისათვის, ეხლა კი იონას გოგრასავით ერთს ღამეში უნდა დაჭკნეს! შვილო ჩემის სიყვარულისა! შეილო ნუგეშო ჩემის მოხსუცებულობისა! რებეკა, ასულო რახილისა! სიკვდილის წყვდიადი უკვე გიახლოვდება.

— წაიკითხე წერილი,—უთხრა ისაკმა,—იქნება ჯერ კოდევ შეიძლებოდეს იმის დახსნა.

ექიმმა ებრაულად შემდეგი წაიკითხა:

„ადონაფამის შეილს ისაკს, რომელსაც წარმართნი იორკელს ისაკს ეძახიან. მშეიღობა და კურთხევა იყოს შენზედ! მამა-ჩემო, მე სიკვდილი გადამიწყვიტეს იმისთვის, რისაც არაფერი გამეგება—ჯადოქრობისათვის. მამა-ჩემო, თუ ისეთს გულადს კაცს იშოვნი, რომელიც ხმლითა და შუბით იბრძოლებს ჩვენს დასაცველად ტემპლსტოს ერთ-ერთ რაინდთან, იქნება ღმერთმა მამათა ჩემთა იმდენი ძალა მიანიჭოს მას, რომ გაიმარჯვოს და ამით სიკვდილს გადაარჩინოს ის, რომელიც შველის არსაიდან მოელის; ასეთი კაცი იმ დღიდან სამი დღის

განმავლობაში უნდა მოვიდეს ტემპლსტოში. თუ ეს შეუძლებელია, და ჩვენმა ხალხმა გამომიტიროს, როგორც განდევნილი, მონადირისგან მოკლული ფურ-ირები, როგორც ყვავილი, ცელით მოჭრილი. ყველაფერი კარგად მოითიქნება. ერთი ქრისტიანი მხედარი უსათუოდ იბრძოლებდა ჩემთვის: ეს არის ვილფრედი, ცედრიკის შეილი, რომელსაც აივენგოსაც ეძახიან. მაგრამ იქნება ჯერ კიდევ არ შეუძლიან იარაღის ხმარება. მაინცა და მაინც იმას ეს ამბავი შეატყობინე, იმას ბევრი გულადი მეგობარი ჰყავს და იქნება მიშოვოს ვინმე ისეთი, რომელიც ჩემს დასახსნელად იბრძოლებს. უთხარი ვილფრედს, რომ, მკვდარი ვიქენები თუ ცოლალი, მე მაინც არავითარი წილი არ მიდევს იმ დანაშაულში, რომელსაც მაბრალებენ. და თუ ნებითა ღვთისათა შენ შენს ქალს საუკუნოდ მოგაშორებენ, მაშინ, მამა, ნუღარ დარჩები ამ სისხლის მსმელს ქვეყანაში, წალი ვორდოფეში, სადაც შენი ძმა ცხოვრობს და სადაც სარკინოსები ისე სასტიკად არ ექცევიან ჩვენს ხახლს, როგორც ინგლისელები“.

ისაკი ჯერ გულ-დამშვიდებით უგდებდა კითხვას ყურს, წაკითხვის მერე კი ჩვეულებისამებრ შემოიხია ტანისამოსი, დაიყარა თავზედ მტვერი და ღაღად-ჰყო:—ჩემო ასულო! ხორცო ხორცისა ჩემისა და ძვალო ძვალისა ჩემისა?..

— გამხნევდი, ძმაო,—ანუგეშებდა ექიმი ისაკს. — ეგ მწუხარება შენ არაფერს გიშველის. ლროით წალი ცედრიკის შეილვილფრედთან. იქნება იმან ან სიტყვით და ან საქმით გიშველოს რამე, ამისთვის რომ ის ძლიერ უყვარს რიჩარდს, რომელსაც ქრისტიანები ლომ-გულს უწოდებენ და ხმებიც დადის, რომ იგი უკვე დაბრუნებულა ინგლისში. იქნება აივენგომ როგორმე მოახერხოს და შენი ქალის სიკვდილი აუკრძალონ იმ სისხლის მსმელს ტაძრის რაინდებს.

— მე იმას სადაც იქნება ვიპოვნი, — უთხრა ისაკმა. — იგი გულ-კეთილი ყმაწვალი კაცია და ჩვენი ხალხი ებრალება. მაგრამ იმას იარაღის ხმარება არ შეუძლიან და სხვა რომელი ქრისტიანი გამოიდებს თავს სიონის ასულისათვის?

— არა,— მიუგო რაბინმა,— შენ ისე ლაპარაკობ, თითქო ქრისტიანებს არ იცნობდე. მათი ვაჟკაცობა თქმოთი შეგიძლიან შეისყიდო. მწუხარებას თავი დაანებე და ეხლავე წალი ვილფრედ ივენგოსთან. მეც წამოგყვები და რაც შემეძლება გიშველი; ცოდოც იქნება ჩემთვის, რომ ამ გაჭირვებულს დროში თავი დაგანებო! მე იორკში წავალ, სადაც ბევრი გულადი და მამაცი მეომარია შეკრებილი; იმედი მაქვს, მათ შორის ვიპოვით ისეთს კაცს, რომელიც ხმალს ამოიღებს შენი ქალის დასაცველად, ამისთვის რომ თქმო მათი ღმერთია და ფულის-თვის არაც თუ ქონებას—სიცოცხლესაც დაგიგირავებენ. მე ყველას შენის სახელით დაპირდები სასყიდელს, და, რასაკვირველია, შენც უნდა შეასრულო იგი.

— უსათუოდ, ქმაო,— მიუგო ისაკმა,— კუროხეულ იყოს უფალი, რომელმაც მე ამ უბედურებაში თანა შემწე გამომიგზავნა! ეს კი, ქმაო, რომ რაცა გთხოვონ, მაშინვე არ მისცე; ხომ იცი ქრისტიანების დაწყევლილი ხასიათი: ჯერ ბევრს მოითხოვენ, მაგრამ შემდეგ სულ მცირედსაც ჯერდებიან. მაგრამ მოიქცე ისე, როგორც გინდოდეს: მე აღარა გამეგება-რა, ან რა ჭირად მინდა ოქრო, თუ შეილი ჩემის სიყვარულისა დაიღუპება!

— მშეიდობით,— უთხრა ექიმმა,— ღმერთმა ყოველითერი ისე ასრულოს, როგორც შენს გულს უნდა.

ებრაელებმა ერთმანეთი გადაპირცნეს ლა სხვა-და-სხვა მხარეს წავიდნენ. კოჭლი ღილი რამდენსამე ხანს ერთს ადგილას იდგა და უყურებდა მათ.

— დახე ერთი ამ ძალლ-ურიებს!— სთქვა მან.— როგორ ყურადღებაც არ მომაქციეს, თითქო ან მათი მონა ვიყო, ან ისმალო და ან იმათხავით ურია! ხომ შეეძლოთ ცოტაოდენი ფული ეწუქებინათ. რა ჩემი საქმე იყო, რომ წერილი მოვუტანე, რომლისათვასაც შეიძლება ურიების შიკრიკიც დამარქვან. ვინ ცცის, იქნება იმ ქალმა მართლა მომაჯადოვა. მაგრამ არა, ასე მოუვიდოდა ყველას, ვისაც კი იგი სთხოვდა წერილის წალებას. ჯერ ეხლაც კი რომ ვიგონებ იმ ქალს, ასე მგონია, მთლად ჩემს დუქანსაც კი არ დავზოგავ იმის დასახსნელად-მეთქი!

ლ ვ ი ნ ი ს დ ა უ ე ნ ე ბ ა^{*}

8) ძმარი და მისი მოგზადება

ქველ დროში ძმრად ჭხმარობდნენ მხოლოდ დაჭანგებულ ანუ დაშეავებულ ღვინოს. მაშასაღამე, ძმარი მხოლოდ ღვინიღან მზადდებოდა; ეხლა კი ძმარი ბევრი სხვა მასალიდან მზადდება: წყალ-ნარევი არაყიდან, ლუდიდან, სხვა-და-სხვა ხილეულობის წვენიდან, შაქრისა და თაფლის ხსნილიდან, აგრედვე სახამებლიდან და სხვანი; ერთი იტყვით, ძმრის მომზადება შეიძლება, როგორც იმისთანა სხეულიდან, რომელშიაც ალკოგოლი ურევია, ისე იმისთანისაგან, რომელიც ან პირდაპირ დადუღებით და ან სხვაფრივ როგორმე ალკოგოლს იძლევა. ამის მიუხედველად ღვინიდან დაყენებულ ძმარს უფრო კარგი გემო და არომატი აქვს და ამისათვის უფრო კარგი სახმარია. ამისათვის აქ მხოლოდ ამ ღვინის ძმარზე მოვილაპარაკებ და განსაკუთრებით იმ ძმარზე, რომლის მომზადებაც ღვინის ნაშაისაგან, ე. ი. ჭაჭისა და თხლიდან შეიძლება მომზადდეს. მე აქ არც ძმრის ჭარხანებს შევეხები; გავარჩევ მხოლოდ იმ საშუალებათა, რომელთა ხმარებაც ყოველ ღვინის დამყენებელს შეუძლიან, თუ ისურვებს ჭაჭისა და თხლის ამ რიგად მოხმარებას.

ძმრის მოსამზადებლად რა არის საჭირო?

1) პირველად, რასაკვირველია, ღვინო: ან წყალ-ღვინო, ან ჭაჭის ღვინო, ან თხლიდან გაკეთებული და ან დაჭანგებული ღვინო. ამასთან ისიც მიუცილებლად საჭიროა, რომ ამ ღვინოებში მარილოვანი და აზოტური ნივთიერებანი საკმაოდ იყოს,

*.) «მოამზე» № 11.

რადგანაც უამათოდ ძმრის ფერმენტის მუშაობა არ შეუძლიან; ცა ნივთიერებანი საჭიროა ამ ფერმენტის საკვებად და გასამრავლებლად.

2) ამასთანავე საჭიროა ძმრის დედა, ანუ ის ფერმენტი, რომელმაც ლვინის ალკოგოლი ძმრის სიმჟავედ უნდა გადააქციოს.

3) აგრედვე საჭიროა ჰაერის ზედმოქმედება, რომლის უანგმბადიც უნდა შეუერთდეს ალკოგოლს დასამჟავებლად; ანუ დასაუანგგავად.

4) უკანასკნელად საჭიროა აგრეჯვე შესაფერი ტემპერატურა, განსაკუთრებით 20° — 25° ; მხოლოდ ამ ტემპერატურაში შეუძლიან ძმრის დედას კარგად მუშაობა.


რასაკეირველია, ამას იქმა აღარ უნდა, რომ ძმრის მოსამზადებელი ადგილი სრულიად მოშორებული უნდა იყოს მარანსა; მარანში მომზადება არას მხრით შესაწყნარებელი არ არის, რადგანაც ამ შემთხვევაში ძმრის დედა მარანში დაიბუდებს და საღ და კარგ ლვინოებსაც დაამზარებს; ძმრის მოსამზადებლად საჭიროა ცალკე შენობა, ანუ რამე ოთახი, მარანს მოშორებული. ეს ადგილი სრულიად შშრალი უნდა იყოს, დასაელექტისკენ მდებარე; ამ ოთახს დიდრონი ფანჯრები უნდა ჰქონდეს, რომ საჭიროების დაგვარად ჰაერი ხშირად და მალე გამოიცვალოს; ამასთან ისიც საჭიროა, რომ იქ დიდი სინათლე არ იყოს, ცოტაოდენი ბინდი უფრო რგებს ძმრის დედის გამრავლების.

გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ წითელი ფერი ძალიან რგებს ამ დედის აღორძინებას, ამისათვის ცუდი არ იქნებოდა, რომ ფანჯრებში წითელი შუშები ჰქონდა ჩასმული. ამ ოთახში დიდი სისუფთავე უნდა სუფედეს; ყოველ-გვარი სახმარებელი ჭურჭელი ხისა უნდა იყოს და განსაკუთრებით მუხის ხისა. ტემპერატურა აქ 20° დაბალი არ უნდა იყოს და 30° მაღალიც არ ვაჩიგა. მაშასადამე, ამ ალგილს ყოველთვის გათბობა დასჭირდება, და, მაშასადამე, ბუხრები უნდა ჰქონდეს მოწყობილი.


რა არის ძმარი? ჩვენ უკვე ვიცით, რომ, როცა ალკო-
გოლის უანგმბადი უერთდება, მაშინ ჯერ ალდეგიდი ჩნდება,
შემდეგ ძმრის სიმჟავე და უკანასკნელი წყალი და ნახშირის
სიმჟავე, როგორც ეს შემდეგ ფორმულებიდან სჩანს:



ალკოლი. უანგმბ. ალდეგ. წყალი.



ალკოლი. უანგმბ. ძმრის სიმჟ. წყალი.



ალკოლი. უანგმბ. ნახშირ. სიმჟ. წყალი.

როგორც ვხედავთ, ძმრის სიმჟავე ალკოგოლია გადაგვა-
რებული, უანგმბადთან შეერთებული, წყლის გამოცულით და-
უანგული. თუ ამ გადაგვარებულ ალკოგოლს ანუ ძმრის სიმ-
ჟავეს ცოტაოდენს ($5\% - 10\%$ -დან) წყალში გაეხსნით, მა-
შინ ძმარი იქნება; მაშ ძმარი წყალით განელებული ძმრის სიმ-
ჟავე ყოფილა. შეიძლება ვსოდეთ, რომ უალკოგოლოდ ძმრის
სამჟავე არ გაჩნდება და, საღაც ძმრის სიმჟავე არ არის, იქ
არც ძმარი იქნება.

თუ ზემოდ მოყვანილ რეაქციას მივიღებთ მხედველობაში
და გამოვიანგარიშებთ, ვნახავთ, რომ 100 ნაწილი ალკოგოლი-
დან 130 ნაწილი ძმრის სიმჟავე უნდა გაჩნდეს; ეს თეორიუ-
ლი გამოანგარიშება პრაქტიკას არას დროს არ შეეწონება,
პრაქტიკით უფრო ცოტა გამოდის, რადგანც, როგორც ალ-
კოგოლი, ისე ძმრის სიმჟავე აღვილად ორთქლდება და ამის
გამო გამოსავალს აკლდება. აი პრაქტიკით ნავარაუდევი:

თუ წყალ. 6% ალკოლ. (ტანით) და ან 4,81% (წონ.), იმაში გაჩნდ. 5,55% ძმრ. სიმჟ.						
—	7%	—	—	—	5,82	—
—	8	—	—	—	6,43	—
—	9	—	—	—	7,24	—
—	10	—	—	—	8,06	—
—	11	—	—	—	8,87	—
—	12	—	—	—	9,69	—
						10,70

კიდევ გავიმეორებ, რომ საძმროდ გამოდგება ყოველი ის სასმელი, რომელშიაც ალკოგოლი ურევია და, მაშასადამც, ღვინოც. ძველად ფიქრობდნენ, რომ ძმრის მოსამზადებლად წამხდარი ღვინოც გამოდგებაო, გადაბრუნებული ანუ დამწარებული, მაგრამ გამოცდილებამ ცხადად გვაჩვენა, რომ თუ ღვინო წამხდარია, ის ღვინო საძმროდ აღარ გამოდგება (რასაკვირველია, იმ შემთხვევას გარდა, როცა ღვინო დაჭანგებულია); წამხდარ ღვინოდან ცუდი გემოს ძმარი დვება. აქედან ცხადია, რომ კარგი ძმრის დასაყენებლად საღი ღვინო უნდა იყოს ხმარებული, რომელშიაც ალკოგოლის რაოდენობა 6% — 10% უნდა იყოს. მაშ საძმროდ გამოდგება, როგორც წყალღვინო, ისე ჭაჭის და თხლის ღვინოებიც.

თუ ღვინო კარგად არის შენახული და ალკოგოლიც საკმაო აქვს, ამ შემთხვევაში დაძმარების წინად კარგი იქნება ჯერ ცოტაოდნად გაცხელდეს უცხო ფერმენტების მოსაშორებლად და შემდეგ კარგადაიშმინდოს, რომ სრულიად გამჭვირვალი იყოს; თუ ღვინო მღვრივეა, ცუდი ძმარი დადგება; ღვინის დაწმენდა ამ შემთხვევაში წებოთი არ შეიძლება. ჩვეულებრივ ამისთვის შემდეგ საშუალებას ხმარობენ: მღვრივე ღვინოს რამდენისამე ხნით ჩასხაშენ მუხის ხის ბოჩქაში, რომელიც გაეცხებულია მუხისავე ან წიფელის ნათალით ანუ ბურბუშელათი. ამ გარემოებაში ღვინო ხუთ-ექვს დღეში სრულიად დაიშმინდება.

როგორც უკვე ვიცით, ღვინის დაძმარება გამოწვეულია ერთ-გვარ ფერმენტისაგან, რომელსაც ძმრის დედას ეძახიან (*mycoderinia acetii*); ჩვეულებრივ ძმრის დედა დასაძმარებელი ღვინის პირზეა, თუმცა იშვიათად არ მოხდება ხოლმე, რომ შიგ ღვინოშიც აირიოს. ძმრის დედობა მხოლოდ პირველ შემთხვევაში შეუძლიან.

როცა ძმრის დედა ღვინის პირას არის, მაშინ იმას ბადის სახე აქვს და ამ ბადით სულ მოფენილია ღვინის პირი; ამ გარემოებაში გარეგანი შეხედვით ძმრის დედა მოგეაგონებს ფეიქარას ნაქსოვს და დიდი დამაძმარებელი ძალაცა აქვს,

დიდალ ჰაერს გადასცემს ღვინოს და ამ ჰაერის უანგმბადის შემწეობით მაღლ დაქმარდება.

თუ ეს ბადე ღვინოში ჩავიდა, ძმრის დედა სახეს იცვლის, ლორწო მოეკიდება, ერთი-ერთმანეთს მიეკვრება და ძმრის ბუდედ გადაიქცევა. ეს ძმრის დედა, ბუდედ გადაქცეული და ღვინოში ჩაძირული, ეხლა სულ სხვანაირად ჰმოქმედობს; მისი დამაძმარებელი ძალა ძალიან შესუსტებულია. ამას გარდა იმისი მოქმედება ახლა სხვა გვარია, თითონ ძმარზე ჰმოქმედობს და ძმარს აფუჭებს, ასუსტებს; ძმრის სიმევეს წყლადა და ნახშირის სიმევედ გადააგვარებს, მაშ ძმარს აწყოლებს და ამის გამო ძმრისთვის ძლიერ მავნებელია. თუ ძმრის დედა ამ მდგომარეობაში ჩავარდა რაიმე მიზეზის გამო, მაშინ საჩქაროდ უნდა მოშორდეს ძმარს.

ძმრის დედას ჩვეულებრივ ისე ამზადებენ: აიღებენ ერთ ლიტრ ღვინოს (თეთრია თუ წითელი, სულ ერთია), ჩაასხამენ ფართო-პირიან ჭურჭელში, შეგ მიუმატებენ ორ ლიტრ წყალს, ნახევარ ლიტრს კარგ და საღ ძმარს და ნახევარ ლიტრს რომელისამე ხილის წვენს (ვაშლისას, ჭანჭურისას, მსხლისას და სხვანი) და ან შაქრის ხსნილს. ჭურჭელს დასდგამენ თბილ აზგილას (25° — 30°), ისე კი, რომ ჰაერმა თავისუფლად იმკმედოს შიგ მყოფ ნარევზე. ცოტა ხნის შემდეგ ამ მასალის პირას აქა-იქ გამოჩნდება მოყვითანო წინწკლები (ანუ ნაცრის ფერი), რომლებსაც სხვებიც მიემატებიან; ყველა მათგანი ცალ-ცალკე გამრავლდება და თანდათან და ცოტ-ცოტაობით სულ მოჰყენენ ბადესავით ამ ნარევის პირს. ბადე ჯერ ძალიან თხელია და გამჭვირვალი, მაგრამ თანდათან გასქელდება ნაქსოვივით. ამას შემდეგ ამ დედას დიდის სიფრთხილით კოვზით ან ქაფეირით მისცემენ იმ ღვინოს, რომელიც დასამზარებელია; ამ უკანასკნელიდან სხვა ღვინოს მისცემენ, ვიდრე ყოველ ჭურჭელში არ იქნება ძმრის დედა.


როგორც წინადაც ვსთქვით, ამ დუღილის დედას დიდი ყურადღება უნდა; საჭიროა, რომ ლორწო არ მოეკიდოს და შიგ ღვინოში არ ჩაწვეს; მაშ ძმრის დედა მიუცილებლად

მუდმივ დასაძმარებელი მასალის პირას უნდა იყოს და მუდმივი ჰაერის ზედ-მოქმედების ქვეშ; ტემპერატურაც, რასაკვირველია, ხელს უნდა უწყობდეს მის მოქმედებას. როგორც უკვე ვიცით, ძმრის დედა მხოლოდ უანგმბადის გადამტანია ჰაერიდან დასაძმარებელ მასალაზე; როგორც უდედოდ სიმძავე არ გაჩნდება, ისე უჭაეროდაც შესაძლებელი არ არის. გამოანგარიშებულია, რომ თითო კილო ალკოგოლზე უნდა იმოქმედოს მის დასაძმარებლად 904 ლიტრმა უანგმბადმა ანუ 4,500 ლიტრმა ჰაერმა. აქედან ცხადია, რომ დასაძმარებელი ჭურჭელი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ჰაერს თავისუფლად შეეძლოს მოქმედება; ამის გამო თითონ იმ ადგილშიაც, საცაჭურჭელი სდგას, ჰაერი ხშირად უნდა იქმნას გამოცვლილი.

ამ საზოგადო ცნობების შემდეგ, ვეცდებით ავტოროთ ის საშუალებანი, რომლებსაც ხმარობენ სახლობაში ძმრის მოსამზადებლად და განსაკუთრებით მკითხველების ყურადღებას მივაპყრობთ ღვინის დაძმარებას.

1) ეგრედ წოდებული თრლეანური საშუალება (Procédé Orleanais), ორლეანში (ქალაქი საფრანგეთისა) ღვინის დასაძმარებელ ჭურჭლად ხმარობენ მუხის ბოჩქებს, თვითეულში 400 ლიტრი ჩადის (სურათი 69). ამ

ბოჩქებს, პირის გარდა, წინა ფე-
ხებში რამდენიმე ნახვრეტი აქვს:
ერთი სულ დაბლა, ძირში დაშიგ
ონკანი აქვს გაკეთებული (1);
ცოტა შუაგულზე ზემოდ ერთი
დიდი ნახვრეტი აქვს, რომლის
დიამეტრიც 5,5 სანტიმეტრს
შეადგენს (2); აქედან შედის ჰა-
ერი; გარდა ამისა არიან კიდევ
ჰატარა ნახვრეტები, ერთში ტერ-
მომეტრა არის ჩამაგრებული (3)
ტემპერატურის შესატყობად და
ორშიაც შუშის მოკავული მილია ჩამაგრებული, რომლის პი-



სურათი 69.

რებიც ღიაა და ორივე ბოჩქაშია — ეს ღვინის სიმაღლის (4) საჩვენებელია. ბოჩქის პირთან ცოტა მოშორებით ერთი პატარა ნახვრეტი კიდევ არის, რომელშიაც გძელ-მასრიანი ძაბრია ჩა-დგმული დასაძმარებელ ღვინის მისამატებლად (ეს ნაწილი სუ-რათზე არ არის ნაჩვენები). — თუ ბოჩქები რამდენიმეა, მაშინ ისინი მწკრივად არიან ჩამოწყობილნი და ხან-და-ხან ზედიზე-დაც რამდენსამე რიგად. ბოჩქები დაწყობილია ხარიხებზე და კარგად არის დამაგრებული; თითონ ბოჩქები ისე უნდა იყოს დაწყობილი, რომ მუშებს შეეძლოთ ყოველის მხრით თავისუფ-ლად მუშაობა.

ბოჩქას ასე ამზადებენ: ჯერ მდუღარე წყალით გარეცხა-ვენ და შემდეგ შიგ 80 ლიტრა ძმარს ჩაასხამენ; ბოჩქაში ჩა-სასხმელი ძმარი ცოტაოდნად გამთბარი უნდა იყოს; ბოჩქას ნახვრეტებს დაუკობენ და რვა დღით ასე დასტოვებენ, რომ ჭურჭელი ძმრით კარგად გაიუღინონ. ამას შემდეგ ახდიან პირს და მიუმატებენ 10 ლიტრ დასაძმარებელ ღვინოს; რვა დღის შემდეგ კიდევ ამდენსავე ღვინოს მიუმატებენ და ამ რი-გად ყოველ რვა დღეში ათ ლიტრს მიუმატებენ, ვიდრე ბო-ჩქაში 200 ლიტრი არ შედგება წინად მიმატებულის ძმრით. ახლა ბოჩქა ნახევრად არის გავსებული და ძაბრის მილის ბო-ლო ღვინოშია. უკანასკენილის მიმატების შემდეგ კიდევ რომ რვა დღე გაივლის, მაშინ აქედან გადმოიღებენ ონკანის შემ-წეობით 10 ლიტრ ძმარს და ამის მაგივრად ძაბრში ჩასხამენ 10 ლიტრ ღვინოს. როცა ბოჩქა ნორმალურად მოშედობს, ე. ი. როცა ბოჩქაში ძმრის დედა გაძლიერებულია და ღვინო კარგად ძმარდება, მაშინ ყოველ კვირის აქედან ათ ლიტრ ძმარს გადმოიღებენ და სამაგივროდ მაშინვე 10 ლიტრ ღვინოს მიუმატებენ. საჭიროა, რომ ან მეტი ღვინო არ მიე-მატოს და ან მეტი ძმარი არ იყოს გადმოიღებული; მხოლოდ ამ გარემოებაში იმუშავებს ნორმალურად ბოჩქა; თუ ან ბევრი ძმარი იყო გადმოიღებული და ან ბევრი ღვინო იყო მიმატე-ბული, მაშინ კვირის შემდეგ გადმოიღებულ ძმარს სასურველი ძალა აღარ ექნება. ამგვარად თითო ბოჩქის შემწეობით წე-

ლიწადში 500 ლიტრი ძმარი მომზადება, ესე იგი ხუთი გვე-ტოლიტრი ლვინო (40 ვედრო) დაძმარდება.

რამდენადც დასაძმარებელ ლვინის პირს დიდი სივრცე ექნება, იმდენად ჩეარი იქნება დაძმარება; ამისათვის მიუკი-ლებლად საჭიროა, რომ ბოჩკა ყოველთვის მხოლოდ ნახევ-რად იყოს სავსე; თუ ბოჩკა მთლად გავსებულია, მაშინ ჰაერს აღარ შეეძლება კარგად მოქმედება; ამასთან ისიც მიუკილებ-ლად საჭიროა, რომ ლვინის პირზე გადაფარებული ბადე არ დაირღვეს; ამის გამო ლვინის მიმატება პირდაპირ ბოჩკის პი-რიდან არ შეიძლება, არამედ მხოლოდ ძაბრის შემწეობით, რომლის მასრაც ისე გძელია, რომ ბოლო შიგ ძმარშია ჩაშვე-ბული (ძაბრი, რასაკვირველია, ან შუშისა უნდა იყოს, ან თი-სისა; ლითონის ძაბრი არ გამოდგება). ჩვეულებრივ დასაძმა-რებლად უფრო თეთრ ლვინოს ხმარობენ; თუმცა წითელიც კარგია, მაგრამ ხშირად ამ ლვინოს წინადვე წითელ ფერს აცლიან ნახშირის ფერილის შემწეობით და მერე აძმარებენ; უფრო ხშირად კარგის ფერი ძმარი მოსწონთ, ვიდრე წითელი.


ორეანურის საშუალებით მომზადებული ძმარი ძალიან კარგია და მშვენიერი არომატი აქვს; ეს არომატი დამოკიდე-ბულია იმ ეჯერებზე, რომლებიც ლვინის დაძმარების დროს ჩნდებიან და შიგ ჭურჭელშიცე რჩებიან, რაღანაც აქ აორ-თქლება გაძნელებულია. ამას მხოლოდ ის ნაკლულევანება აქვს, რომ დიდი დრო უნდება ძმრის მომზადებას და ცოტა კეთდება.

2). აჩქარებულა საშუალება, ანუ ეგრევ-წოდებულა „გარ-მანულა“. გერმანიაში მოიგონეს ერთ-გვარი ძმრის მოსამზადე-ბელი საშუალება, რომელიც დაფუძნებულია ერთის მხრით დასაძმარებელ ლვინის სივრცის გაფართოებაზე და მეორეს მხრით ჰაერის სიჩქარით მოდენაზედ. ერთის სიტყვით, უანგმბადის და ალკოგოლის შეხვედრის აჩქარებაზე. ამ საშუალებას ამისათვის ჰქვიან ჩეარი ანუ აჩქარებული საშუალება. ამ საშუალებით ლვინის დასაძმარებლად ბევრი ჭურჭელი აღარ არის საჭირო და, მაშასადამე, მუშაობაც შემკირებულია. აქ დასაძმარებელ

ჭურჭლաდ ბოჩქის մացուրաდ ხმარობენ კარგა მოზღიულ ჩანახს (სურათი 70), რომლის სიმაღლეც სამი ადლია და სიგანე კი აღლ-ნახევარი; ამ ჩანახს

პარი ცოტათი შევიწროებ
ბული აქვს და შიგნით
თავის სიმაღლეზე სამად
არის განაწილებული ორი
ყალბი ფსკერის ჩატანე-
ბით. ერთი ფსკერი თითქმის
ძირშია, ძირიდან 20 სან-
ტიმეტრზედ და წვრილი
ნაჭვრეტებით არის დახვ-
რეტილი. აგრეთვე ყალბი
ფსკერი ყელშიაცა აქვს პი-
რიდან 15 სანტიმეტრს ქვე-
მოც; ეს ყალბი ფსკერიც
დახვრეტილია და ყოველ
ნახვრეტში ჩატანებული
აქვს ღაზლის მოკლე პა-

ტრუქი (პატრუქის სიგრე 15 სანტიმეტრია), რომელსაც ერთი
ზემოთი ბოლო გამოსკენილი აქვს, რომ ფსკერის ნახვრეტში
არ გაძვრეს. შეუ განყოფილებაში ჩაყრილია ძმრით გაჟღენ-
თილი ან ნაშალაშინევ წიფელას ბურბუშელა ან ჭაჭა. ამ ჭურ-
ჭელს ქვემო ყალბი ფსკერის ქვეშ გვერდები დახვრეტილი აქვს
გარედან შიგნით დაგეზავებული (1—1), რომ ჭურჭლის გვე-
რდებზე ჩამონადენი ღვინო გარედ არ გაღმოისხას. ამ ნახვრე-
ტების დანიშნულება ის არის, რომ აქედან შევიდეს ჭურჭელ-
ში ჰაერი, გაიაროს მთელი ჭაჭა და იმ პატარა მილებით (2—2),
რომლებიც ჩატანებული აქვს ზემო ფსკერში გარედ გამოვი-
დეს.— მაშასადამე, ეს ჭურჭელი ღუმელსა ჰგავს, რომელშიც
ძირში ჰაერი შედის, დასაწვავ ნახშირში ან შეშის ნაჭრებში
გაივლის, აქ დასტოვებს თავის უანგმბადს ნახშირის დასაწვა-
ვად და შემდეგ გარედ გავა. რაღგანაც შეუ განყოფილება ამ



სურათი 70.

ჭურჭლის ჭაჭით ან ბურბუშელით არის გავსებული, ამისათვის ზემო ფსკერიდან ჩამონაცენი ღვინო აქ ნაწილდება პატარ-პატარა წვეთებად, რომლებიც ჭაჭის ან ბურბუშელას ალბობენ და ამის გამო დიდად გაფართოვდებიან, გაიშლებიან; რადგანაც ჭაჭის მარცვლებ შორის ჰაერს თავისუფლად შეუძლიან გასვლა, ამისათვის ეს ჰაერი ღვინოს ყველგან შოხვდება; ხომ ვიცით, რომ ჭაჭა წინადევ იყო დაძმარებული, ამისათვის იმაზე ბევრი ძმრის დედა, რომელიც დიდის სისწრაფით ჩანთქამს ჰაერის ქანგმბადს და ღვინის ალკოგოლს გადასცემს დასაძმარებლად.

ამგვარად ძმრის მოსამზადებელი ჭურჭელი (ჩანახი) ფეხზე სდგას, მიწაზე ცოტა მაღლა, რომ შესაძლებელი იყოს ძირში მიკეთებული მილისთვის რამე ჭურჭლის მიღვმა. თუ ამ ჭურჭელში ერთხელ გატარებულ ღვინიდან კარგა მაგარი ძმარი არ გამოვიდა, მაშინ მეორეში გაატარებენ და ხან მესამეშიაც მუშაობა ასე უნდა: ჯერ ერთ ჩანახს პირზე დაასხამენ 1.0 ლიტრ ღვინოს, რომელიც პატრუქებში გაივლის და დაძმარებულ ჭაჭის წვეთებით ყველგან შოხვდება; ორის საათის შემდეგ კიდევ მიუმატებენ იმოღენავე ღვინოს და აგრე გაიმეორებენ ყოველ ორ საათში, ვიდრე ძირის მილიდან არ გამოჩნდება დაძმარებული ღვინო. ამ მილიდან ეს ძმარ-ღვინო ჩადის რამე ჭურჭელში; გავსების შემდეგ ონკანს მეორე ჭურჭელს მიუდგმენ და გავსებულს კი გაათბობენ 25°-ღინ და ასე გამთბარს მეორე ძმრის დასაყენებელ ჩანახზე დაასხამენ ღვინოს იმავე დრო გამოშვებით, როგორც პირველზე. როცა მეორე ჩანახიდანც გამოვა ძმარი, კარგა გასინჯავენ და, თუ შიგ ალკოგოლი კიდევ არის დაძმარებული, ესე იგი თუ ღვინო ჯერ სრულებით არ არის დაძმარებული, ამ მეორე ჭურჭლიდან გამოსულ ძმარ-ღვინოსაც კიდევ გაათბობენ და მესამე ჩანახზე დაასხამენ და უმცველია, რომ აქედან ღვინო სრულიად დაძმარებული გამოვა.


რაღა თქმა უნდა, რომ ამ სამივე ჩანახის მუშაობა ერთი-ერთმანეთთან შეთანხმებული უნდა იყოს და, მაშასადამე, მიმა-

ტებულმა ლვინომ და ან ძმარ-ლვინომ ყოველ ჭურჭელში ერთ-ხან დროს უნდა გაიაროს პატრუქებში; ეს ხანი უნდა ეთან-ხმებოდეს იმ ინტერვალს, რომელიც გადის ერთი ლვინის მიმა-ტებიდან მეორემდინ; თუ რომელსამე ჩანაბში ლვინომ ან ძმარ-ლვინომ უფრო ჩქარა გაიარა, მუშაობის რიგი შეიშლება და ამასთან ლვინოც კარგად არ დაძმარდება; ჭაჭაში გავლილ ლვი-ნოს დრო უნდა ჰქონდეს საჭირო უანგმბადის ჩანთქმისა. — ამ-გვარად ძმრის მომზადება შეიძლება არა მარტო ლვინიდან, არა-მედ ყოველ იმ სასმელიდან, რომელშიც ალკოგოლია და, მა-შასაღამე, წყლით განელებულ არაყიდანაც.

ამგვარი აჩქარებული საშუალებათ ძმრის მომზადებას თუმ-ცა დიდი გამოსავალი აქვს, თუმცა დრო და ჯაფა ბევრად შე-მცირებულია, მაგრამ თითონ დაყენებულ ძმრის კი არც ის გე-მო და არც ის ბუკეტი აქვს, როგორც ორლეანურ საშუალე-ბით მომზადებულის. ამას გარდა ამ საშუალებას სხვა ნაკლუ-ლევანებაც აქვს; პაერის ჩქარი მოძრაობის გამო და, მაშასაღამე, ჩქარი დაძმარებით ჭურჭელში ტემპერატურა ძალიან მაღლა-იწევს და ამ ორ გარემოებას, ესე იგი მაღალ ტემპერატურას და პაერის ჩქარ მოძრაობას, ცული გავლენა აქვს გამოსავალის-რაოდენობაზე — ჯერ ბევრი ალკოგოლი იკარგება და ამას მოს-დევს ძმრის ორთქლებაც და, მაშასაღამე, ამასაც აკლიება.

3) პასტერის საშუალება. რადგანაც ორივე ზემოდ მოხ-სენებულ საშუალებას თავისი ნაკლულევანება აქვს, იმის ასა-კილებლად პასტერმა მოიგონა სხვა საშუალება ლვინის დასა-ძმარებლად: რა კი, როგორც ყველამ, იცის ლვინის დაძმარება დამოკიდებულია ძმრის დედაზე და დასაძმარებელ ლვინის პი-რის სიგრცეზე, ანუ პაერის მოქმედებაზე, პასტერმა მოიფიქრა-ლვინისთვის ძმრის დედის მიცემა იმისთანა გარემოებაში, რო-მელიც დაძმარებას ხელს კარგად უწყობს. ლვინის დასაძმარე-ბლად პასტერიც ჩანახსა ჰქმარობს, მაგრამ სულ სხვა სახისას, უფრო დაბალს და უფრო განიერს. ამ ჩანახს (სურათი 71) სი-განე ორ არშინზე მეტი აქვს და სიმაღლე კი მხოლოდ არში-

ნის მეოთხედი; ეს ჩანახი სახურავით არის დახურული, რომელ-
შიც სამი ნახვრეტია: ერთი შუაგულში (1) ძალიან ფართო



სურათი 71.

და ორიც ნაპირებში, რომელთა შორისაც ერთში გხელ - მას-
რიანი ძაბრია ჩამაგრებული (2) და მეორებში — ტერმომეტრია (3).
შახურავის ცოტა ქვეით ამ ჩანახის გვერდები დახვრეტილი
აქვს, რომელებიც ცოტად დაგეზავებულნი არიან გარედან ში-
გნით (4—4); ეს ნახვრეტები ჰაერის შესასვლელი გზა არის.
ძაბრის შასრა ჩანახის ძირამდინ არ ჩაღის; ჯერ ღვინოს ჩასხა-
შენ ჩანახში, ისე რომ იმისი პირი გვერდის ნახვრეტებზე ცო-
ტა ქვეით იყოს (მხოლოდ ერთი ორი სანტიმეტრია) და შუა
განიერი ნახვრეტიდან — ძმრის დედას მისცემენ. ეს დედა მალე
გამრავლდება და ორ-სამ დღეში სულ დაძმარებს შიგ მყოფ
ღვინოს; სამი დღის შემდევ ნახევარ ძმარს გამოუშვებენ ჭურ-
ჭლის ძირში მყოფ ონკანიდან და მის მავიერ მიუმატებენ იმო-
დენსავე ღვინოს ძაბრის შემწეობით; აქ, რასაკვირველია, ძმრის
დედის ბაზე არ დაირღვევა და დაძმარებაც ჩქარი იქნება და
იმდენად უფრო ჩქარი, რამდენადაც ჭურჭელი განიერია. ძმრის
გამოსავალი იმდენად უფრო კარგია, რამდენადაც ღვინის პი-
რის სივრცე დიდია და სიმაღლე კი მცირე და ამასთან ტემპე-
რატურაც მაღალი არ არის.

ამავე საშუალებით, რასაკვირველია, შეიძლება სუსტი ალ-
კოგოლის დაძმარებაც და მაშინ საჭიროა, რომ ამ ალკოგოლს
მიემატოს 2% ძმარი და რამე ხილეულის წვენი და ან შაქ-

რის ხსნილი; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ცოტაოდენი ფოს-ფორის სიმჟავის მარილიც იქნება საჭირო, რომ ძმრის დე-დას საკმაო საზრდო ჰქონდეს. პასტერის საშუალება ბევ-რად მიემსგავსება ორლეანურ საშუალებას, თუმცა ეს უფრო აჩქარებულია და ეს არის ამისი უმჯობესობა.

ძმარის სხვა-და-სხვა სიმაგრე ექნება, იმის დაგვარად, თუ რა-ნაირად არის მოსახმარებელი. კარგ ორლეანურ ძმარში ძმრის-სიმჟავის რაოდენობა $70\%-80\%$ -დინ აღის; ჩვეულებრივ შინ სახმარებელ ძმარს ამაზე მეტი სიმაგრე არ უნდა ჰქონდეს. ესეთი ძმარი უფრო აღვილი ჩოსამზადებელია და კარგი სახმარიც. თუ საჭიროა, ამაზე მაგარიც მომზადდება, მაგრამ იმის ძალა 12% კი ვერ გადასცილდება და ამისთვის საჭიროა უფრო ბევრ-ალკოგოლიან ლვინის ხმარება და უფრო დაბალ ტემპერატუ-რაში დაძმარება.

რასაკეირველია, შესაძლებელია უფრო მაგარი ძმრის სიმ-ჟავის მომზადება, მაგრამ ლვინიდან კი არა და არც იმ საშუა-ლებით, რომლებიც მოხსენებული იყო. ამგვარ ძმრის სიმჟა-ვის მომზადებაზე ჩვენ აქ არას ვიტუვით, რაღანაც ამას არა-ვითარი კავშირი არა აქვს ლვინის დაყენებასთან.

დაუკანებული ძმრის მოვლა და შესახება. დაყენებულ ძმარს-კარგი მოვლა უნდა და ხან გადაკეთებაც, რომ თვალისფერი-სასიამოვნო იყოს და შესანახავად კარგი. თუ ძმარი მომზადე-ბულია წითელ ლვინიდან, ამ ძმარს ხშირად ფერს ართმევენ, რაღანაც ბევრს არ უყვარს წითელი ძმარი, —აგრელვე ხშირად დაყენებული ძმარი ისე მღვრივეა, რომ დაწმენდა უნდება.

ძმრის დაწმენდა. დასაძმარებელი ჭურჭლიდან გამოსვლის-დროს ძმარი თუმცა ხშირად მღვრივე არ არის, მაგრამ ამასთან არც გამჭვირვალია; ამისათვის საჭიროა იმის დაწმენდა, რომ თვალად სასიამოვნო იყოს და ამასთან ადვილი შესანახავიც. ძმრის დაწმენდა ისე არ შეიძლება, როგორც ლვინისა; იმის-დასაწმენდად მარტო წებოს ხმარება არა კმარა. აი როგორ ახერხებენ ძმრის დაწმენდას; ჯერ ძმარს ჩასხამენ იმისთანა ჭურ-ჭელში, რომელიც გავსებულია წიფელის ნათლებით (ნაშალა-

შინევ-ბურბულელა), ჭურჭელს კარგად დაუცობენ და შეინახავენ. ამ მდგომარეობაში ძმარს გამოეცლება ძმრის ფერმენტი, აზო-ტური ნივთიერებანი და დაიწმინდება. რამდენადაც ღიღი ხა-ნი დარჩება ძმარი ამ მდგომარეობაში, იმჯენად კარგად დაი-წმინდება. ამ ჭურჭლიდან გადმოლების შემდეგ, თუ საჭიროა, ძმარს დასწმენდენ უელატინის ან თევზის წებოს მიმატებით, კარ-გად არევით და შესვენებით. ძმრის დასწმენდად ხშირად რძე-საც ხმარობენ და რძე ძალიან კარგადაცა სწმენდავს. ამ შემ-თხვევაში, როგორც ვაკით, რძე აიჭრება, აზოტური ნივთიე-რებანი ანუ ხაჭი გამოეცლება, დაილექაშს და ამით ძმარს სრუ-ლიად დააწმინდავებს, ამ უკანასკნელ საშუალებას მხოლოდ ერთი ნაკლულევანება აქვს — ხაჭოს ლექს ღიღი ადგილი უჭირავს და ამისგამო შიგ ბევრი ძმარი რჩება, რომელიც შემდეგ გა-წურვით უნდა გამოეცალოს. — დასაწმენდად რძის ხმარების დროს, ამისი რაოდენობა თითო ბოჩკა ძმარზე თითო ლიტრს არ უნდა გადასცილდეს.

ემრის ან დგანის ფერის გასწორება. საზოგადოდ ძმარი სახმარებლად უფრო მოყვითანო მოსწონთ, ქარვის ფერი, ამი-ტომ, თუ ძმარი წითელ ღვინიდან არის მომზადებული, ეს წი-თელი ფერი უნდა გამოეცალოს. ზოგიერთ საძმრო ქარხნებში ღვინოს ართმევეც ფერს დაძმარების წინად და ზოგშიკი — და-ძმარების შემდეგ. ამ ორ გარემოებაში მომზადებული ძმარი ერთვარი არ იქნება, თუმცა კი ერთსა და იმავე ლვინიდან არის დაყენებული; თუ ძმარს გამოაცლიან ფერს, ძმარი დაპ-კარგავს თავის არომატს და ამასთან ცოტაოდენ სიმაგრესაც. როგორც უკვე ვიტით, ძმრისთვის ან ღვინისთვის ფერის წასა-რთმევად ხმარობენ ან ხის ნახშირს ან ძვლისას და ეს ნახში-რი ართმევს, როგორც სუნნელოვან სხეულებს, ისე ცოტაო-დენ სიმჟავესაც. ამისათვის უფრო კარგი იქნება, რომ ჯერ ღვინოს წაერთვას ფერი და შემდეგ ისე უფერული დაძმარდეს. ამ გარემოებაში საჭიროა ღიღი უურადლება, რომ ღვინოს ალ-კაგოლი არ დააკლდეს. ამისათვის ასე მოიქცევიან ხოლმე: ღვინოს ჩასხამენ ბოჩკაში ან ვიწრო-ყელიან ჭურჭელში, ნახ-

შირის ფქვილს მიუმატებენ, პირს დაუცობენ და ხშირ-ხშირად შეაჯღრევენ. რამდენისამე დღის შემდეგ ღვინო კარგა ფერ-მოკლებულია და დასამარებლად იხმარება. უფრო კარგი იქნება, ღვინო ნახშირის ფილტრში გაიწუროს; ამ ფილტრის ანუ გასატარებელა ნახშირის სისქე სამ არშინზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მმრის შენახვა. თუ დაყენებული ქმარი ჰაერის მოჭმედების ქვეშ არის და ამასთან თბილა კიდეც და არც ქმრის დედას არის მოშორებული, ქმარი უეჭველად გაფუჭდება, გაწყალდება; ქმრის სიმუვე დაიწვება და წყლად და ნახშირის სიმუვედ გადაიქცევა. ამასთან თითონ ქმარს და ქმრის დედას ლორწო მოეკიდება. ამგვარად ცუდად შენახული ქმარი უეჭველად შესუსტდება, ძალა მოაკლდება. მაშასადამე, ქმრის საღად შენახვისათვის საჭიროა, რომ ჰაერს მოშორებული იყოს და შენახული სუფთა ჭურშელში, პირდაცობილში და გრილ აღგილას. ვისაც სურს, რომ მომზადებული ქმარი უვნებლად შეინახოს, საჭიროა ამ ქმრის გაცხელება იმავე გვარად, როგორც ღვინოს აცხელებენ სათბობ ჭურჭელში. ამ გაცხელებით ქმარი განთავისუფლდება, გააზატდება სხვა-და-სხვა ფერმენტებისაგან, რომელთაც მისი წახდენა შეუძლიანობა და ამის გამო დიდ ხანს უვნებლად შეინახება. ამას გარდა ქმარი ამ გაცხელებით სხვა ბევრ სიკეთესაც მოიპოვებს, უფრო იწმინდება და არომატის იძენს.—გათბობის შემდეგ ეს ქმარი უნდა გაიწუროს ან ნახშირის ან ქაღალდის ფილტრში, რომ სრული სიმჭვირვალე მოიპოვოს.—ამის გამო ქმრის გაცხელება დიდს და მაუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

სხვა-და-სხვა მმრების შერევა და გაუმჯობესობა. როგორც ღვინოების გაუმჯობესობა შეიძლება მათის ერთმანეთში არევით ანუ კუპაუით, ისე, თუ სუსტი ქმარია, იმის გაძლიერება შეიძლება, და თუ მაგარია—შესუსტება. თუ საჭიროა ქმრის გაძლიერება და მაგარი ქმარი კი არ მოიპოვება, ამ შემთხვევაში ქმარს ალკოგოლი უნდა მიემატოს სასურველი სიმა-

გრის დაგვარად და ხელმეორედ გატარებულ იქმნას დასაძმარებელ ჭურჭელში; ხშირად ზოგიერთი ძმრის დამყენებელი სუსტ ძმარს, იმის გასაძლიერებელად, უმატებს ძმრის სიმუავეს, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს აკრძალული უნდა იყოს; ასე შეკეთებული ძმრის ლვინის ძმრად გაყიდვა აკრძალული უნდა იყოს.

ზოგიერთს შემთხვევაში სუნნელოვანების მისაცემად ამ ძმარს უჩატებენ არმატულ ნივთიერებათ, როგორც ტარხუნა (ესტრაგონი) ან მლოგვი და სხვანი; რამდენისამე დღის შემდეგ გადმოაღებენ; უფრო კარგი იქნება, რომ არმატული ნივთიერებანი პარკებში იყოს ჩაყრილი და ძმარში ჩაკიდებული.


ძმრის დაზიანება და მისი შეგეთება. ძმრის დაზიანების მიზეზი ბევრია და სხვათა შორის ძმრის სიმუავის დაწვა ანუ გაწყალება, ფერმენტის მოქმედება და ჭიალუების გაჩენა, რომლებიც ძმარს ან ფერს უხდებენ, ძალას აკლებენ და სახმარებლად უცარგისად ხდიან. ამ ზიანის მოშორება დასაწყისშივე ძალიან აღვილია ძმრის გათბობით და გაწურვით, ფილტრში გატარებით.

მმრის გაშეაფ-ფერება. ხშირად ძმრის ფერი ძალიან მუქდება და თითქმის შავდება, ამის მიზეზი ხშირად ისვეა, რაც ლვინოს აშავებს, ე. ი. ერთგვარი ორგანული ნივთიერება, რომელიც უპარეროდ უფერულია, და როცა პაერი მოხვდება, ადვილად დაუანგდება და გაშავდება. ამ შემთხვევაში ძმარი ან ნახშირის ფილტრში უნდა იქმნას გატარებული და ან რძეს მიმატებით უნდა დაიწმინდოს (ერთ გვეროლიტრზე ნახევარ ლიტრი რძე). ორივე შემთხვევაში ძმარი აღვილად დაჭკარგავს თავისს შავ ფერს და გასაღდება.

ძმარში ხშირად ჩნდებიან ერთგვარი ცხოველები, რომლებიც ძალიან აფუჭებენ ძმარს, როგორც ოვალად, ისე ღირსების მხრითაც. ამათ შორის შესანიშნავნი არიან პატარ-პატარა ვიწრო-ტანიანი და მოგძო ჭიები, რომლებსაც ნემსაებს (Anguillules) ეძახიან. ამ ცხოველის აგებულობა უბრალო თვა-

ლით კარგად არ განიტევა (სურათი 72, а), მაგრამ თუ მიკ-
როსკოპით გავადიდებთ (იგივე სურათი—б), მაშინ კი კარგად
დავინახავთ. ეს ცხოველები, რო-
მლებიც ჭიაყელებს მოგვაგო-
ნებს, ძმრის ქინქლასგან არიან
მოტანილნი და, რაკი ძმარში
ჩავარდნილან, ძალიან გამრავლე-
ბულან, იქამდინ, რომ ძმარი თვა-
ლიად საზიზღარი გამხდარა. ამას
გარდა ამ პარაზიტებს თავიანთ
ს აცხოვრებლად ბევრი უანგმბადი
ეჭირვებათ, ბევრ უანგმბადს
სნა. ქამენ და ამით დიდად უშ-
ლიან ხელს ღვინის დაძმარებას.

სურათი 72.



თუ რომელსამე დასაძმარებელ ჭურჭელში ეს ჭიაყელები გაჩნ-
დნენ, ღვინო აღარ დაძმარდება და ღროს განმავლობაში სრუ-
ლიად მოლობება; ამისათვის მიუკილებლად საჭიროა, გამოჩენის
უმაღვე ეს ჭურჭელი განთავისუფლდეს: ამ შემახვევაში ზოგი-
ერთნი გვირჩევენ გოგირდეულ სიმჟავის ანუ გოგირდის ბოლის
ხმარებას; თუმცა ეს საშუალება ნემსაებს კარგად ჭხოცავს, მა-
გრამ, სამწუხაროდ, ძმრის დედასაც ასევე სწყენს; მაშასადამე,
ამას ბევრი სიკეთის მოტანა არ შეუძლიან. რადგანაც ნემსაებს
ბევრი ჰაერი სჭირდებათ, ამისათვის ზოგიერთნი ამ გარემოებით
სარგებლობენ მათ მოსასპობად: თუ დასაძმარებელი ჭურ-
ჭელი რამდენისამე ხნით გერმეტიულად დაიხურა, ისინი
უეჭველად დაიხოცებიან და საკომბლების ახდის შემჯერ ძმრის
დედა კი ისევ დაიწყებს მუშაობას. თუ ამ საშუალებით ვერ
მოიშორეს ეს ჭიაყელები, მაშინ ძმრის მოსამზადებელი ჭურ-
ჭელი უნდა დაცარიელდეს, ცხელის წყალით კარგად გაირეც-
ხოს, გოგირდით იბოლოს, კიდევ გაირეცხოს და შემდეგ ისევ
დასაძმარებლად მომზადდეს. თუ ეს ნემსაები დამდგარ ძმარს
გაუჩნდა, მაშინ მათი მოშორება შეიძლება ძმრის გაცხელებით;

ფილტრში გაწურვაცა რგებს; დაბალი ტემპერატურაც (—5°) მარგებელია.

ამათ გარდა ძმარს ხშირად ერთგვარი ჭიაც უჩნდება (სურათი 72, ც), რომელიც აგრეთვე ბევრსა ვნებს ძმის სიკეთეს და რომლის მოშორებაც იმავე საშუალებით შეიძლება, როგორც ნემსაებისა.

ხშირად მოხდება, რომ დასაძმარებელი ჭურჭლიდან გამოსული ძმარი მღვრივეა და თავისთავად არ იწმინდება; ამ შემთხვევაში, როგორც ზემოდაცა ვსოდეთ, წიფელის ნაფოტებზე უნდა დადგეს რამდენისამე დღით; თუ ეს მოსახერხებელი არ არის, მაშინ თითო გეკტოლიტრ ძმარზე რამდენსამე გრამ ტანინს მიუმატებენ და ოც და ოთხის საათის შემდეგ ტანინ-მიმატებული ძმარი უნდა დაიწმინდოს ქელატინის მამატებით; — ნახშირის ფილტრში გაწურვაც ძალიან რგებს.

დ) ღვინის მარილისა და ღვინის სიმავის მომზადება და აგრებული ჭაჭისა და თხლის სხვა გვარადაც მოხვარება

ღვინის მარილი, როგორც უკვე ვაცით, უფრო თხლებშია მოგროვებული; რომელი ღვინიდანაც უნდა იყოს დალექილი, თეთრიდან თუ წითლიდან, თხლე ყაველთვის ორგვარია: პირველი თხლე ანუ დიდი თხლე, რომელიც ახალ ღვინოს ეცლება შესვენების და შენახვის დროს, ვაჟიდან გადმოლების შემდეგ პირველ თვეებშივე; მეორე თხლე ანუ პატარა თხლე ის თხლეა, რომელიც ღვინოს ეცლები შემდეგ, მეორე და მესამე წლებში და ან წებოთი დაწმენდის დროს. ღვინის როდენობა თხლებში თითქმის ერთგვარია, პირველი თხლეა ეს თუ მეორე, მაგრამ უკანასკნელი თხლე (მეორე) უფრო მსუბუქია, უფრო ცოტა ღვინის მარილს შეიცავს, უფრო ცოტა საფერავს და მინერალურ ნავთიერებათ. ამას გარდა წებოთი დალექილ თხლეში ბევრია სხვა-და-სხვა უცხო ნივთიერება, რომელიც დაწმენდამ შეურია—ქელატინი, თევზის წებო; ამის გამო ეს

უკანასკნელი თხლე წებოვანია, მალე ლორწო ეკიდება და ფუჭდება, მაშასადამე, ძნელი შესანახია. თეთრი ღვინის თხლე არაფრით არ განიჩევა წითელ ღვინოს თხლიდან, მხოლოდ პირველში საფერავი და ტანინი უფრო ცოტაა; თითონ თხლის შედგენილებაზე დიდი გავლენა აქვს, როგორც ვაზის ჯიშს, ისე ნიადაგის თვისებას და ყურძნის სიმწიფეს; ერთსა და იმავე ვენახის ღვინოში თხლის შედგენილება სხვა-და-სხვა იქნება, იმის დაგვარად, დაყენებული ღვინო კარგია თუ აყი. თხლის რაოდენობაც ერთი და იგივე არ არის ყოველ წელს, ხან მეტია და ხან ნაკლები სხვა-და-სხვა გარემოების გამო.

თუმცა ორივე თხლიდან ერთგვარად შეიძლება, როგორც ღვინისა და ალკოგოლის გამოცლა, ისე მარილისა და ფერისა, მაგრამ მრეწველობაში პირველ თხლეს უფრო იფასებენ და უპირატესობას აძლევენ, რადგანაც იმაში უფრო ბლომად არის კველა ეს სასარგებლო ნივთიერებანი, რასაკირველია, ღვინოს გარდა; მაშასადამე, ამ თხლის შემუშავება უფრო სასარგებლო იქნება. მართლა-და, ძველ ღროში მხოლოდ ამ თხლეს აძლევ-დნენ ყურადღებას, მხოლოდ აქედან ამზადებდნენ ღვინის მარილისა და სიმჟავეს. ახლა კი, რადგანაც ღვინის მარილისა და სიმჟავეს მრეწველობაში დიდი გასავალი აქვს, ამისათვის ყოველ-გვარი მასალით სარგებლობენ ამ სხეულისა მოსამზადებლად; ახლა ერთგვარად დამუშავებულია არა მარტო პირველი თხლე, არამედ მეორეც, იგრევე ჭაჭა და ყოველგვარი ნაშთი არაყისა.

თხლის შენახვა. თხლე სხვა-და-სხვა გვარად შეინახება იმის დანიშნულების დაგვარად; თუ თხლე ღვინის მარილის ან სიმჟავის მოსამზადებლად არის დანიშნული, მაშინ ის ღვინოს უნდა გასცილდეს, კარგად გაიწუროს, დაიქარის და სიჩქარით გაშრეს. ამისათვის თხლეს ჯერ პარკებში გასწურავენ და გაწურვის შემდეგ პარკებს პირს შეუკრავენ, საქაჩავში ჩააწყობენ და ნელ-ნელა გამოქაჩავენ. გამოქაჩულ თხლეს კარგად დაფხენიან და ან მზეზე და ან თბილ ადგილში, ხონჩებზე გაშლილს, გააშრობენ. თხლე თუ გაუშრობელი შეინახეს, მალე გაუუჭდება.

თხლის მარავები. გაწურულ და გამშრალ თხლეში ორი სხეულია, რომელიც ღვანიდან არის დალექილი; ეს თხლეში

მყოფი მარილებია, რომლებსაც ფასი აქვთ და თხლესაც ფასსა სდებენ: ღვინის მარილი (კალიქვიანი მუავე მარილი) და კირიანი ღვინის სიმჟავის მარილი, რომლებსაც მჩეწველობაში ხმარობენ ან წმინდა მუავე მარილის (კრემორტარტარის) და ან ღვინის სიმჟავის მუსამზადებლად. ამ მარილების ურთიერთორაოდენობა დამოკიდებულია, როგორც თითონ ღვინის ბუნებაზე, ისე აღგილზე. ერთი ინგლისელი ქიმიკოსი ვარინგტონი (Varington) შემდეგს შედგენილებას იძლევა სხვა-და-სხვა ქვეყნის თხლებისას:

	მუავე კალიქვიანი მარილი %.	კირიანი მარილი %.
საფრანგეთის თხლებში	— 17,3	6,0
იტალიის თხლებში	— 24,1	6,1
ისპანიურში *)	— 8,7	18,2

ფალოს (Fallot) ანალიზებიდან სჩანს, რომ სხვა-და-სხვა გვარად დაყენებულ ღვინის თხლებში სხვა-და-სხვა ურთიერთი რაოდენობაა ამ მარილთა:

	მუავე კალიქვიანი მარილი %.	კირიანი მარილი %.
ნორმალური ღვინის თხლები	28,2	6,1
პირველ ხარ. თხლებში	52,5	6,3
მეორე ხარ. თხლებში	22,4	2,7
მესამე ხარ. თხლებში	16,8	3,4
ჭაჭილან გამოწურული ღვინის თხლებში	20,6	2,9
გაჯით შემუშავებულ ღვინის თხლებში	8,0	20,5
ღვინის სიმჟავე მიმარტებ. ღვინ. თხლებში	63,8	6,0
აგრეთივე ღვინ. თხლებში	77,5	6,2

*) რადგანაც თითქმის ყველა ისპანიური ღვინოები გაჯით არის შემუშავებული, ამისათვის იქაური ღვინოების თხლებში კირიანი მარილი ძალიან გადამეტებულია.

როგორც ვხედავთ, თხლეში ლეინის სიმჟავის რაოდენობა დამოკიდებულია ბევრ გარემოებაზე. ამას გარდა, ლეინის მარილის რაოდენობა დამოკიდებულია აგრედვე თითონ თხლის ღირსებაზე, ესე იგი იმის დაგვრად, თუ საიდან არის ამოდებული ეს თხლე; როგორც ვიცით, ლეინის მარილი კარგად ეკვრება ჭურჭლის გვერდებს და ამის გამო რამდენადაც ძირს არის მოკრეფილი ეს თხლე, იმდენად იმაში ცოტაა ლეინის მარილი. ამის გამო თხლეს სხვა-და-სხვა ხარისხებად ჰყოფენ ჭურჭლის იმ სიმაღლის მიხედვით, რომელ სიმაღლიდანაც არის ამოდებული ეს თხლე.

ჭაჭაშის და არაუის ნაშთის მართვები, დაქაჩულ ჭაჭაში კი-დევ ბევრია დარჩენილი ლეინის მარილი და მისი ამოდება შეიძლება ჭაჭას მდუღარე წყალით გარეცხით და ამ ნარეცხის შემდეგ გაცივებით; რასაკიროებულია, თუ ჭაჭაზე რამდენჯელმე ლეინია დაყენებული, ე. ი. ჭაჭას ლეინია მომზადებული, ამ ჭაჭაში ლეინის მარილი შემცირებული იქნება, მაგრამ მა-ინც 2% ნაკლებ არა. ჭაჭაიდან ლეინის მარილის ამოსალებად ასე მოიქცევიან: თუ არაყი პირდაპირ ჭაჭაიდან არის გამოხდილი, არაყის გამოხდის შემდეგ ჭაჭას ცოტაოდენს წყალს კიდევ მიუმატებენ, 20 წუთამდინ აღუღებენ და წყალს, რომელშიაც ეხლა ლეინის მარილი არის გახსნილი, რამე ჭურჭელში ჩასხამენ, უფრო ხშირად ხის აუზში, რომელშიაც ბაწრებია გაბმული ზევიდან ქვეით და ან წნელებია ჩაყუდებული. წყლის გაცივების დროს ლეინის მარილი გამოეცვალება და ამ ბაწრებზე, ან წნელებზე და აუზის გვერდებზე დაჯდება; ამას შემდეგ წყალს გადასხამენ, ბაწრებს გააშრობენ და მარილს მოაშორებენ; აგრედვე აუზის გვერდებსაც.

იმ შემთხვევაში კი, როცა არაყი ჭაჭას ნარეცხიდან ხდიან, მაშინ ჭაჭას ცალკე გარეცხავენ მდუღარე წყალით და აქედანაც ისე ამოიღებენ ლეინის მარილს, როგორც წინად იყო მოხსენებული.

აგრედვე ჭაჭას ნარეცხში, არაყის გამოხდის შემდეგ, ბლობა მარილი არის და ამასაც ამავე გვარად გამოაცლიან.

გაუწმენდავი ღვინის მარილი: ღვინის შესანახავ პურპლი-დან ამოლებული მარილი, რასაკვირველია, წმინდა არ არის და საზოგადოდ შესდგება კალიქვიანი მუავე მარილისაგან, რო-მელშიაც იგრედვე მოიპოვება კირიანი მარილი და შერეული აქვს ღვინიდან გამოცლილი საფერავი და აზოტური ნივთიე-რება. რაღგანაც ამ მარილის ღირსება დამოკიდებულია მასში-მყოფ ღვინის სიმუჯავის რაოდენობაზე, ამისათვის აქ მოვიყვანთ ფალოს ანალიზებს:

კალიქვიანი	მუავე	მარილი	%	კირიანი	მარილი	%
გეროლდის ღვინის						
მარილი (ქვემო სა- ფრანგეთი)	73,0	—	5,1	—		
პარველი ხარისხისა	89,6	—	3,0	—		
არაყის გამოსახდელ						
ქვაბიდან	75,2	—	6,6	—		
ისპანიური მარილი,						
ბუნებითი	56,0	—	23,0	—		
იგივე მეორე ხარ.	46,7	—	8,2	—		
აფრიკიდან	84,3	—	6,2	—		

როგორც ვხედავთ, მარილში უფრო ბევრია ღვინის სიმ-ჟავე, ვიდრე თხლეში. თუმცა ახალ ღვინიდან მარილი ძალი-ან ცოტა ილექტება, მაგრამ რამდენადაც ღვინო ღიდ ხანს ინა-სება, იმდენად მატულობს. ამ გამოცლილ მარილის რაოდენობა, მართლაცა, როგორც ვიცით, ტკბილშიაც ხომ ბლობად არის ეს ღვინის მარილი, მაგრამ, რაღგანაც წყალში ცოტაოდნად მაინც იხ-სნება და ალკოგოლშიკი სრულებით არა, ამისათვის ღვინოშიაც. ცოტად უნდა გაიხსნას და იმდენად ცოტად, რამდენადაც ალ-კოგოლი ბევრია ღვინოში; აგრეთვე გავლენა აქვს ამ მარი-ლის ღვინიდან გამოცლაზე ტემპერატურისაც: რამდენადაც ტემ-პერატურა მაღალია, იმდენად ბევრი მარილი გაიხსნება ალკო-გოლიან ჭაბულში. მაგალითებრ: გამოცლილებამ გვაჩვენა, რომ 10° , ალკოგოლიანი წყალი (ღვინოში ალკოგოლის რაო-დენობა) შემდეგ მარილს გახსნის ტემპერატურის დაგვარად:

100	ნაწილი	5°	გახსნის	0,175	გრ.	ღვინის	მარილ.
—	—	10°	—	0,212	—	—	—
—	—	15°	—	0,253	—	—	—
—	—	20°	—	0,305	—	—	—
—	—	25°	—	0,372	—	—	—
—	—	30°	—	0,460	—	—	—

მაშასადამე, ერთსა და იმავე ალკოგოლის რაოდენობაზე, რამდენადაც ტემპერატურა მაღალია, იმდენად ბევრი მარილი იხსნება წყალში.

პირიქით, ერთსა და იმავე ტემპერატურაზე, რამდენადაც ალკოგოლი ბევრია წყალში, იმდენად ცოტა მარილი გაიხსნება ანუ, რაც სულ ერთია, იმდენად ცოტა მარილი დარჩება გახსნილი; მაგ. თუ ტემპერატურა 11°-ია და ამასთან

თუ წყალში 10 % ალკოგ., მაშინ	0,228	გრ.	მარ.	დარჩება.
— 20 —	—	—	0,157	—
— 30 —	—	—	0,117	—
— 40 —	—	—	0,090	—
— 50 —	—	—	0,073	—

აქედან ცხადია, რომ რამდენადაც ტემპილი დუღილში შედის, ესე იგი რამდენადაც ალკოგოლის რაოდენობა მატულობს, იმდენად ბევრი ღვინის მარილი გამოეცლება; ამასთან ისიც მოვიგონოთ, რომ დუღილის ღვინის ტემპერატურა თითქმის 30°—35° და დუღილის დანელების შემდეგ 15° დაიწევს, ანის გამო, რასაკირველია, მთელი ზარილი გამოეცლება და ჭურჭლის გვრდებზე დაჯდება. რასაკირველია; რომ, როგორც უკვე ვიცით, ღვინის მანც ბლომად რჩება ეს მარილი და შეაღენს 2—4 გრამს ლიტრში:

რაც შეეხება მარილის რაოდენობას და ღირსებას, ამაზე ღვინის ჭურჭელსაც დიდი გავლენა აქვს: ბოჩქაში შენახული ღვინო უფრო ბევრ მარილს იძლევა, ვიდრე სხვა ჭურჭელში.

თხლეს და ღვინის მარილს სხვა-და-სხვა ფასი აქვს, იმის დაგვარად, თუ რა შედგენილებისა არის, ანუ როგორც ამბობენ — „გამოსავლის გრადუსის დაგვარად“; ვაჭრობაში „გამოსავ-

ლის გრადუსს“ იმ წმინდა მჟავე მარილის რაოდენობას ეძახიან, რამდენიც 100 ნაწილი გაუწმენდელი მარილიდან გამოვა. წარმოვიდგინოთ, რომ რომელსამე მარილში 60% კალიქვიანი მჟავე მარილი არის, მაშინ ამ მარილის გრადუსი 60 იქნება; ამასთან ისიც წარმოვადგინოთ, რომ თითო გრადუსი 50 კაპეკი ღირს და თუ ამ 50-ია, გავამრავლებთ მარილის გრადუსს, გვეცოდინება 100 კილო მარილის ფასი: $60 \times 50 = 30$ მანეთი; მაში ფუთი ხუთ მანეთად ღირებულა (კილოში ექვს ფუზე ცოტა მეტია).

ვაჭრობაში ღვინის მარილად იმ კრისტალებს ეძახიან, რომლებიც პირდაპირ ღვინის ჭურჭლიდან არის ამოღებული, ესე იგი გაუწმენდავი მარილი; კრემორტარტარად კი—გაწმინდავებულ მარილს, წმინდა კალიქვიან მჟავე მარილს.—ამ უკანასკნელს, რასაკვარველია, უფრო დიდი ფასი ექნება; როგორც ვაქვით წინად, ღვინის მარილს ცოტა ფასი ჰქონდა; გასავალი მხოლოდ იმ მარილსა ჰქონდა, რომელიც დაკრისტალებული იყო და ჭურჭლის გვერდებიდან იყო მოკრეფილი; ასე კი ამას გარდა ყველა იმ მასალას ყიდულობენ, რომელშიაც ეს მარილი მოიპოვება, როგორც ნაძირალი თხლე, დურდოდა სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელ ხანში ღვინის დამყენებლები ბევრ ნეიტრალ ღვინის მარილს და ან ღვინის სიმჟავეს ხმარობენ და რადგანაც ამავე ღვინის დამყენებლებს ამის მასალა თითონვე ბევრი აქვთ, ამისათვის ცუდი არ იქნება რამდენისამე სიტყვით ავწეროთ, როგორც ღვინის მარილის გაწმენდა, ისე ნეიტრალი მარილის და ღვინის სიმჟავის მომზადება.

წმინდა მჟავე მარალის : ნუ კრემორტარტარას შომზადება. როგორც ვსიქვათ, თხლის მარილი ანუ ტარტარი შესდგება კრემორტარტარიდან და კირიან მარილისაგან და ამათ შერეული აქვთ სხვა უცხა ნივთიერებანიც, როგორც საფერავი, აზოტური ნივთიერება და სხვა უწმირდურება. აქედან წმინდა კრემორტარტარის მომზადება ძნელი არ არის და ეს გაწმენდა დაუფრქებულია ამ მარილის თვისებაზე: ცხელ წყალ-

ში კარგად იხსნება და ცივში კი ძნელად; ამ თვისებას ცხადად დავინახავთ აქ მოყვანილ სქემიდან:

ერთ ლიტრ წყალში	0°	ტემპერატურაზე	3,2 გრამიკრემორტარტარი იხსნება.
— — — — 100	—	4,0	—
— — — — 200	—	5,7	—
— — — — 300	—	9,0	—
— — — — 400	—	13,0	—
— — — — 500	—	18,0	—
— — — — 600	—	24,0	—
— — — — 700	—	32,0	—
— — — — 800	—	45,0	—
— — — — 900	—	57,0	—
— — — — 1000	—	69,0	—

როგორც ვხედავთ, რამდენადაც წყალი ცხელია, იმდენად ბევრი მარილი იხსნება და რამდენადაც ცივია, იმდენად ცოტა. ამ გარემოებით სარგებლობენ კრემორტარტარის გასაწმენდად. გამშრალ თხლეს ან ჭურჭლის გვერდებიდან მოთხეკილ მარილს კარგა წმინდად დაჰფევავენ, ჩაჰყრიან მოკალულ ქვაბში და ყოველ 25 გრამზე თითო ლიტრ წყალს მიუმატებენ (თუჯის ქვაბის ხმარებაც შეიძლება, მხოლოდ იმ პირობით, რომ შიგნიდან მილანქარი ჰქონდეს). დასასხმელი წყალი, თუ შეიძლება, ნაორთქლი წყალი უნდა იყოს და, თუ ამისთანა წყალი არ არის, წვიმის წყალის ხმარებაც შეიძლება; წყალს აუცილებლად ცოტა კირეული მარილი უნდა ჰქონდეს, მაშ ამისათვის მდინარის და წყარის წყალი არ გამოადგება. წყალის მიმატების შემდეგ ქვაბ ქვეშ ცეცხლს გააჩალებენ, აადულებენ და დუღილის დროს ნახშირის ფქვილს მიუმატებენ (თუ ძვლების ნახშირია, კარგად გარეცხილი უნდა იყოს რაიმე სიმუხით) — ყოველ ათ გირვანქაზე თითო გირვანქას; დუღილს განაგძობენ ნახევარ საათს და შემდეგ ქვაბს გადმოიღებენ ცეცხლიდან, იქვე ცეცხლის გვერდით დასდგომენ და ან ნაბადში ან ფარდაგში გაახვევენ, რომ მაღლე არ გაცივდეს. რამდენისამე ხნის შემდეგ მიმატებული ნახშირი დაიღექამს (საჭიროა, რომ ამ დროს განმავლობაში ხსნილის ტემპერატურამ 60°-ზე ძირს არ

დაიწიოს); დაწმენდილ ხსნილს სხვა ჭურჭელში გადასხამენ; ყველას გმჯობინება დიდრონი თიხის-მათრათები, რომლებსაც ან ქალალლით და ან თხელის სამოსლით დახურავენ, რომ არა-ფერი უცხო არ მიემატოს (მტკვერი ან ჭვარტლი და სხვ.) და ცივ ადგილას შეინახავენ. ამ გარემონებაში კრემორტარტარი დაკრისტალდება და ჭურჭლის ან გვერდებზე ან ძირზე დაჯ-დება. ორის დღის შემდეგ წყალს სხვა ჭურჭელში გადმოას-ხამენ და შიგ დარჩენილ კრისტალებს გაჰვენენ ან ფიცრებ-ზე ან სხვა რამეზე გასაშრობად.

რადგანაც დაწმინდავებულ ხსნილის მათრათებში გადმოს-ხმის შემდეგ ქვაბში ნახშირის ფქვილი და სხვა რამ ბევრი სხეულები დარჩა, რომლებიც გაულენთილია კრემორტარტარის ხსნილით, ამისათვის ამ ლექს რამდენჯელმე ცხელის წყალით გარეცხავენ და ამ ნარეცხს იხმარებენ სხვა მარილის გასაწმენ-დად.

თუ აგრე მომზადებული მარილი სრულიად თეორი არ არის, ხელმეორედ გახსნიან. წყალში ნახშირის ფქვილის მიმა-ტებით და ხელმეორედვე დაკრისტალდება; ასე მომზადებული მარილი სრულიად წმინდა იქნება შინ-სახმარად ან გასაყიდად გამოდგება.

აი კიდევ ერთი საშუალება ღვინის მარილის გასაწმენდი, თუმცა კი ღვინის დამყენებელთათვის უფრო ძნელი მოსახმა-რებელია; როცა მარილი ანუ გამშრალი თხლე წყალშია ჩა-ყრილი, მაშინ აქ მიუმატებენ გოგირდეულ სიმუავეს; ეს სიმუა-ვე ჯერ ფერს წაართმევს ნახშირის ფქვილივით და შემდეგ წყალში გახსნის არა მარტო კალიქვან მარილს, არამედ კი-რიან მარილსაც (როგორც ვიცით, კირიანი მარილი სრულიად არ იხსნება წყალში, არც ცხელში და არც ცივში; მაშ წინადან ნახმარ საშუალების დროს სრულიად იკარგება); ხსნილს ლექს გამოაცლიან სხვა ქვაბში გადალებით და ან გაწურვით და ააღულებენ; ამ დუღილის დროს გოგირდეული სიმუავე ამოვა წყალიდან დაშამის გამო მაშინვე გამოეცლება კირიანი მარილის ცოტაოდენის შესვენების შემდეგ, როცა კირიანი მარილი



სრულიად დაილექტება (აქაც ტემპერატურამ ამ დროს განმავლობაში 60° ძირს არ უნდა დაიწიოს), მაშინ ხსნილს მათრათებში გადაასხამენ, სადაც კრემორტარტარი დაკრისტალდება. ასე მომზადებული კრემორტარტარი ცოტათი შეღებილია, მაგრამ ეს საფერავი არაფერ დაბრკოლებას არ მისცემს ამ მარილის მოხმარებას.

ლეინის სიმურავის მომზადებას. ლეინის სიმურავეს ამზადებენ პირდაპირ გაუწმენდელ ლეინის მარილიდან და ამ შემთხვევაში აი როგორ იქცევიან: წმინდად დაფქვილულ ლეინის მარილს ჩაჰურიან დამილანქრებულ თუჯის ქვაბში, წყალს დაასხამენ დაადულებენ; ამ დუღილის დროს ქვაბში ცოტ-ცოტაობით მიუმატებენ მარმარილოს ან ცარცის ფქვილს; ყოველ მიმატების დროს ქვაბი ძალიან აქაფება, რაღვანაც ამ მიმატების დროს ნახშირის სიმურავე ჩნდება; ყოველ მიმატების წინად ცოტაუნდა დაიცადონ, ვიდრე ქაფი შეწყნარდება. რაღვანაც ამ აქაფების დროს საშიშოა ქვაბიდან გადმოლვრა, ამისათვის ქვაბი მხოლოდ ნახევრამდინ უნდა იყოს გავსებული; როცა მარმარილოს ფქვილის მიმატების დროს ქვაბში ქაფი აღარ გამოჩნდება, მაშინ რეაქცია გათავებულია და ამისათვის მიმატებას შესწყვეტენ და ქვაბს შეასვენებენ.

მეორეს მხრით მოამზადებენ ახავე მარმარილოს ანუ ცარცის ხსნილს ეგრედ-წოდებულ მარილის სიმურავეში (წყალმბადიანი ქლორის სიმურავე) და ამ ხსნილს ქვაბში მიუმატებენ ცოტ-ცოტაობით, ვიდრე ლექი ჩნდება. ამას შემდეგ შეასვენებენ, ვიდრე კარგად დაილექავს; ლექზე მყოფ წყალს გადაასხამენ და ლექს რამდენჯელმე გარეცავენ უბრალო წყალით. ქვაბში დარჩება ლეინის სიმურავის კირიანი მარილი, რომელიც, რასაკირველია, წმინდა არ არის (მარმარილოს მიმატებით მთელი კალიქვიანი მარილი კირიან მარილად გადაიქცა).

ამას შემდეგ ამავე ქვაბში მიუმატებენ გამთბარ გოგირდის-სიმურავეს (1 ერთი ნაწილი სიმურავე და 10 ნაწილი წყალი); მიმატებულ სიმურავის რაოდენობა ისეთი უნდა იყოს, რომ ცო-

ტაოდენი კირიანი ლვინის მარილი კიდევ დარჩეს გაუნაწილება; ეს ორივე რეაქცია ასე გამოიხატება:




აქ გაჩენილი ლვინის სიმევე წყალში კარგად იხსნება და გოგირდის სიმევის კირიანი მარილი კი ძალიან ძნელად; ამის გამო ეს უკანასკნელი მარილი დაილექტება და წყალში მარტო ლვინის სიმევე დარჩება. ლვინის სიმევის ხსნილს გადასხამენ სხვა ჭურჭელში და დუნე ცეცხლზე შეაშრობენ იმ წერტილამდე, რომ გაცივების შემდეგ ლვინის ჩიმევე დაკრისტალდეს. ასე მომზადებული ლვინის სიმევე ცოტა შეფერიანებულია, მაგრამ თუ ეს სიმევე შინალვე არის სახმარებელი, არა უშავს-რა.

ქვაბში დარჩენილი ლექი, რომელშიაც ცოტაოდენი ლვინის მარილი (კირიანი) კიდევ დარჩა, კიდევ უნდა აღულდეს ახლად მიმატებულ გოგირდის სიმევესთან და დალექის და დაწმენდის შემდეგ, იმის ხსნილს იხმარებენ ახალ კირის მარილის გასანაწილებლად. იმ ჭურჭელში, რომელშიაც ლვინის სიმევე დაკრისტალდა, კრისტალების ამოცლის შემდეგ, რასაკვირველია, ბლობა ლვინის სიმევე დარჩება წყალში გახსნილი. ამ ხსნილსაც მისამატებელ გოგირდის სიმევეს მიუმატებენ და დალექის და დაწმენდის შემდეგ ამსაც ისევე შეაშრობენ, როგორც პირველს, ლვინის სიმევის დასაკრისტალებლად.

თუ ლვინის მარილის მაგრერად თხლე არის გაღასაკეთებელი, მაშინ ამ თხლეს ჯერ წყალბადის ქლორის სიმევეში გახსნიან, ხსნილს ნახშირის ფევილით დასწმენდენ და გაწურვის. შემდეგ კირის რძეს (კირი და წყალი ერთად არეული) მიუმატებენ, რომლის გამოც ხსნილს გამოეცლება ახლად მომზადებული ლვინის სიმევის კირიანი მარილი. ამ მარილს, რა-

საკვირველია, კარგად გარეცხავენ წყალით და აქედანაც ლვინის სიმჟავეს ისევე მოამზადებენ, როგორც ლვინის მარილიდან.

ნეიტრალუ ჰალიდეების და განსაკუთრებით მჟავე ლვინის და ტებილის შესაკეთებლად საჭიროა ეს ნეიტრალი ლვინის სიძუავის მარილი, ამისათვის ცუდი არ იქნება ვიცოდეთ ამის მომზადება, რომელიც ძნელი არ არის. ამისათვის აღლებენ ჩვეულებრივ გაუწმენდელ ლვინის მარილს, კარგად დაპუქვავენ და გასცრიან. შემდეგ ჩაჭყრიან სპილენძის ქვაბში (მოკალულში), ხუთჯერ მეტს (წონით) წყალს მიუმატებენ, ცეცხლზე შესდგამენ და 60°-დინ გააცხელებენ. ამას მიუმატებენ კალიქვიან ნახშირის სიმჟავის მარილის სხნილს ცოტ-ცოტაობით, ვიდრე ქაფი ედგმება; შემდეგ თბილსავე გასწურავენ პარკში და ნაწურს დააშრობენ ცეცხლზე იმ ზომადე, რომ შიგ თხლეშივე კრისტალები გამოჩნდეს და ამისთვის დაშრობის დროს მუდმივ ურნევენ. გაცივების შემდეგ მარილი მზად არის; აქ შემდეგი რეაქცია ხდება:



ვიდრე ჭაჭისა და თხლის სხვა გვარად მოხმარებაზე ვიტყოდეთ რასმე, მეტი არ იქნება, გაკვრით მოვიხსენიოთ, რომ როგორც კირიანი, ისე კალი ჭვიანი ლვინის სიმჟავის გაუწმენდელი მარილი დიდ ხანს ვერ შეინახება უცნებლად; იმას უწენდება ერთგვარი ვადმყოფობა, რისგმოც იმისი ღირსება დიდად მცირდება, რადგანაც ლვინის სიმჟავე სრულიად გადაგვარდება.

როგორც უკვე ვიცით, ჭაჭის ნარეცხიდან და არაყის ნახადის ნაშთიდან ლვინის სიმჟავის ამისაცლელად კირის რძეს ხმარობენ; კირი შეუერთდება ლვინის სიმჟავეს, კირის მარილად გადაიქცევა და გამოეცლება, რადგანაც, როგორც უკვე ვიცით, ეს კირის მარილი წყალში სრულებით არ იხსნება. ამ გარემოებაში მომზადებული კირიანი ლვინის მარილი, რასაკირველია, წმინდა არ იქნება,—იმაში სხვა მარილებიც ერევა და მათ შორის ფოსფორის სიმჟავის კირის მარილი, აგრედვე აზო-



ტური ნივთიერებანი და მრავალი სხვა-და-სხვა გვარი ნივთიერებანი. ამის გამო ეს მარილი კარგად ვერა შრება, შეი ცოტაოდენი წყალი რჩება და ამისგამო ეს მარილი ადვილად წახდება. ამ შემთხვევაში მარილს ერთგვარი დუღილი უჩნდება, რომელიც ძალიან აფუქებს; თუ ამ დუღილს ტეპერატურამ ხელი შეუწყო, იმაში მყოფი ღვინის სიმჟავე სრულიად გადაგვარდება. ეს დუღილი გამოწვეულია ერთგვარის ფერმენტისაგან, რომელიც ძალიან მიემსგავსება ალელვებულ და გადაბრუნებულ ღვინოების ავადმყოფობას. აქაც, ამ მარილის დუღილის შედეგი პროპიონის სიმჟავეა; ღვინის სიმჟავე პროპიონის და ნახშირის სიმჟავედ იქცევა. აქედან ცხადია, რა დიდი ყურადღება უნდა ამ მარილის შენახვას; განსაკუთრებით ყურადღება იმაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ მარილი მაღავე გაშრეს და შშრალ ადგილას იყოს შენახული. თუ უნდათ დარწმუნდნენ, მარილი რა მდგომარეობაშია, აიღებენ 10 ან 20 გრამ მარილს, 100 კ. ს. წყალში ჩაჰურიან, კარგად შეანჯლრევენ და ქალალდში გასწურავენ. ამ ნაწურს მიუმატებენ 20 ან 30 კ. ს. ღვინის სიმჟავის ხსნილისას (9 წყალი და 1 სიმჟავე). თუ მარილი საღია და გაფუქებული არ არის, ნარევს არა შეეტყობა-რა და თუ გაფუქებულია, ამ ხსნილთა არევის შემდეგ დიდი ღერები გამოჩნდება,—ეს იქნება ღვინის კალიქვიანი მჟავე მარილი.

ასეთივე ავადმყოფობა უჩნდება თითონ გაუწმენდელ ღვინის კალიქვიან მარილსაც და განსაკუთრებით, თუ თხლე შერეულია, თუმცა კი ღვინის კალიქვიანი მარილი უფრო იშვიათად ფუძდება, ვიდრე კირიანი მარილი.

უანგაროს მთაბეჭერი უველამ იცის, სპილენძს თუ რამე სიმჟავე მოხვდა, ან ქონში გაითხუპნა და ან ნოტიო ადგილას არის შენახული, ან გამწვანდება და ან გალურჯდება. ამ შემთხვევაში ყოველთვის ამბობენ, რომ სპილენძს უანგარო მოეკიდაო. ამავე მოვლენას ვნახავთ, თუ სპილენძის ნაკერს რამდენისამე ხნით დაძმარებულ ჭაჭაში ჩავაგდებთ, მაგრამ ეს უანგარო მხოლოდ გარეგანის სახით ემგვანება პირვე-

ლებს; მათ შორის დიდი განსხვაებაა, თუმცა კი ორივე შემთხვევაში სპილენძის მარილი კეთდება. ამ უკანასკნელ ქანგაროს მომზადება დიდად გავრცელებულია იმ ქედებში, სადაც ღვინოს იყენებენ და განსაკუთრებით ქვემო საფრანგეთში. რაღანაც ამ ქანგაროს ვაჭრობაში კარგი ფასი აქვს და გასავალიცა, ანისათვის ორიოდე სიტყვით გავაცნობ მკითხველებს ამ სხეულის მომზადებას; უეჭველია, რომ ჩვენშიაც შეიძლება ამის მომზადება და ტყუილ-უბრალოდ ჭაჭის გაფუჭების მაგიერ სარგებლობა.

როგორც უკვე ვიცით, მარი შემდგარია ქმრის სიმჟავისა და წყლისაგან; აქედან ცხადია, რომ ის ქანგარო, რომელიც სპილენძზე ჭაჭის ქმრის მოქმედებით ჩნდება, ამ ქმრის სპილენძის მარილი უნდა იყოს. ვაჭრობაში ბევრ-გვარია ქანგარო, იმის მიხედვით, თუ რომელ ურთიერთის რაოდენობით არის შეერთებული სპილენძი და ქმრის სიმჟავე. თუ ერთ ნაწილ ქმარშე ერთი ნაწილი სპილენძი მოდის, ამ ქანგაროს მტუტე მარილი ჰქვიან, ანუ მტუტე ქანგარო; თუ ერთ სპილენძზე ორი ნაწილი ქმრის სიმჟავე მოდის, მაშინ ნეიტრალი მარილი იქნება და სხვ.



ამ უკანასკნელს, ე. ი. ნეიტრალ მარილს ეძახიან ქანგაროს და პირველს კი, ესე იგი მტუტე მარილს—ნაცრის ფერ ქანგაროს (verdet gris).

ნეიტრალი მარილი კრისტალოვანია და მუქი ლურჯ-მწვანე ფერი აქვს, თითქმის მოშავოა. თუ ეს სხეული დაკრისტალდა დაბალ ტემპერატურაზე, 60-ზე ქვეით, მაშინ სრულიად ლურჯი ფერი აქვს (ლაუვარი); ამ გარემოებაში უფრო ბევრ წყალს შეიცავს, ვინერ პირველი და, თუ გათბობით ამ წყალს გამოვალით, მუქი მწვანე ფერი მიეცემა და წყალში ჭარგად იხსნება; ხსნილსაც ლურჯ-მწვანე ფერი აქვს. მეორე

მარილს, ნაცრის ფერ უანგაროს კრისტალური ფორმა არა აქვს, ძალიან მაგარია, ქვესავით, და სუსტი მოლურჯი ფერი დაჰკრიავს; თუ დავხვიშრავთ და დავნაყავთ, მაშინ ნაცრის ფერი მიეცემა.

ნაცრის ფერ უანგაროს მთმზადება. რადგანაც ღვინის დამყენებლებს ხშირად ბევრი ჭაპა რჩებათ შეუმუშავებელი, ამისათვის კარგი იქნება ამ ჭაპით ისარებლონ უანგაროს მოსამზადებლად. ამისათვის საფრანგეთში ასე იქცევიან: ყიდულობენ სპილენძის ფირფიტებს, ანუ ფურცლებს, რომლებსაც სიგდ 16 და სიგანე 6 სანტიმეტრი აქვთ, სისქე კი მხოლოდ ერთი მილლიმეტრი და თითო ფირფიტის წონა საზოგადოდ 100 გრამს არ გადასცალდება. ამას გარდა რთველს შემდეგ ყველა სახლობა საჭირო ჭაპას შეინახავს. და უფრო იმისთანას, რომელიც ძალიან არ არის დაქაჯული; იმისათვის გარეცხილი ჭაპა არ გვარგება, რადგანაც შიგ ღვინო აღარ არის. როცა თავისუფალ დროს იშოვნიან, ე. ი. როცა საჭირო მუშაობას გაათავებენ, ჩვეულებრივ ზამთარში, მაშინ შეუდგებიან ჯერ ჭაპის დაძმარებას რომელსამე მარანზე მოშორებულ ოთახში ან სარდაფში. შესანახავ ჭურჭლიდან ამოილებენ ერთის ჯერის საკმაო ჭაპას და კარგად დაფხვნიან, რომ ჰაერმა იმოქმედოს. ჭაპაში ძმრის სიმუავე გაჩნდება და მთელი ჭაპა 40° გათბება-თუ დაძმარებამ დაიგეიანა, მაშინ ჭაპას ცოტაოდენს ძმარს და-ასხამენ; ჭაპის დაძმარება ორ-სამ დღეში გათავდება. იმის შესა-ტყობად — ჭაპა კარგად დაძმარებულია. თუ არა, შიგ ჩასდებენ ერთ სპილენძის ფირფიტას და ერთს დღე და ღამეს დასტო-ვებენ. თუ ჯმ დროს განმავლობაში ფირფიტა სრულიად გამ-წევანდა, ცხადია, რომ ჭაპა მზად არის; თუ, პირიქით, ფირფიტა ყოველგან ერთგვარად არ არის გამწვანებული და ამასთან სველიც არის, მაშინ ერთ დღეს კიდევ დარცდიან, რომ ჭაპა სრულებით დაძმარდეს.

სპილენძის ფირფიტებს ცოტაოდენი მომზადება უნდა, რომ უანგარო კარგად მოეკიდოს; ამისათვის ასე მოიქცევიან: იოლებენ ცოტაოდენ ძველ უანგაროს, ცოტაოდენის ძმრით დაა-

სველებენ, ამას ფირფიტებს წააცობენ და მზეზე გააშრობენ. შემდეგ ამ ფირფიტებს ბუხარში გააცხელებენ 60° — 70° -დინ და აგრე გაცხელებულებს ჭაპაში ჩააწყობენ. ჭაპა თხლად გაფუნილია ფირტებზე, ისე რომ ერთი არშინი სიგანე ჰქონდეს და ორი არშინიდან სამ არშინამდე სიგძე. ამ პირველ რიგზე მწკრივად დააწყობენ ფირფიტებს და ზედ იმდენსავე ჭაპას დააყრიან; ამ ჭაპაზე ისევ ფირფიტებს დააწყობენ და ფირფიტებზე კიდევ ჭაპას და აგრე ბოლომდინ ვიდრე ჭაპის სიმაღლე არშინ-ნახევარი არ შეიქნება. ჭაპაში მყოფ ძმრის სიმებავე იმოქმედებს სპილენძზე და ექვსისა ან შეიდის დღის განმავლობაში, როცა ჭაპა თავის ფერს დაჰკარგავს, საფერავი შესუსტდება, მაშინ ამ გროვას დაშლიან და ფირფიტებს ამოილებენ. ახლა ეს ფირფიტები სრულიად დამწვანებულია, მაგრამ უანგარო ჯერ მაინც მზად არ არის. ამ ფირფიტებს ახლა რიგზე და ზედიზედ დააწყობენ პატარ-პატარა დაბალ კუნძებზე, ისე რომ თითო კუნძზე დაეტიოს 150 ფირფიტა და ამ კუნძებს თბილს და ნოტიო ადგილას დასდგამენ (ხშირად ამისათვის მომზადებულია ერთი პატარა გამთბარი თთახი); ერთის დღის შემდეგ ამ კუნძებს ჩასველებენ ცოტაოდენის ხნით იმავე ტემპერატურის წყალში (30°); აქედან ამოლების შემდეგ ამ კუნძებს ისევ ხუთ ექვს დღეს დასტოვებენ იმავე თბილ და ნოტიო ადგილას. შემდევ კიდევ დაასველებენ წყალში, კიდევ შეასვენებენ და ამას გაიმეორებენ ხუთჯერ ან ექვსჯერ. ამ დროს განმავლობაში და სითბოს და ნოტიოს ზედმოქმედებით ფირფიტები სრულიად გალურჯდება და ახლა უანგარო მზად არის. ახლა ამ კუნძებს ფირფიტებით გადაიტანენ მეორე ადგილას და აქ ამ ფირფიტებს ჩამოაცლინ უანგაროს გაფხვით; გასაფხევად ხმარობენ დაჩლუნგებულ დანებს, რომ უანგაროს თან სპილენძიც არ გაჰყვეს.

უანგაროს გააშრობენ პაერზე; ამისათვის საკმარისია ორი ან სამი დღე; მზეზე გაშრობა არ ვარგა და არც ცეცხლზე შეიძლება; ორსავე შემთხვევაში უანგარო ფუჭდემა. თითო ფირფიტა საზოგადოდ იძლევა 20 გრამ სველ უანგაროს და 10

გრამ მშრალსა; მაშასადამე ათ გირვანქა სპილენძილან ყოველ აპერაციაზე ერთი გირვანქა უანგარო გამოდის და, თუ ოთხ-ჯერ ან ხუთჯერ გაიმეორებენ ახალის ჭაჭით ამ აპერაციას, მაშინ ნახევარი წონა სპილენძისა უანგაროდ გადაიქცევა.

უანგაროზე ნახმარ ჭაჭას ვენახის გასაპატიებლადა ხმარობენ და ხან ფრინველთა საკვებავადაც; თუმცა ჭაჭაში ცოტა-ოდენი უანგარო არის დარჩენილი, მაგრამ, როგორც აშბობენ, ეს ჭაჭა ფრინველს არა სწყენს, პირიქით, ფრინველი კარგად სუქდება.

მომზადებულ უანგაროს მოხმარება ბევრგვარად შეიძლება: ჯერ ერთი ესა, რომ ვაჭრობაში კარიგი ფასი აქვს და, მა-შასადამე, გაყიდვა შეიძლება, რადგანაც, როგორც ვიცით, მწვანედ შეღებილი სახლის ბანები სულ ამ უანგაროთია შე-ღებილი; ამას გარდა, უანგაროს დიდი მნიშვნელობა აქვს და კარგი მოსახმარებელია მილდიუთი დაავადმყოფებული ვაზის სა-წამლავად.

აქ მე აღარას ვიტყვი ჭაჭიდან საფერავის და ტანინის ამოღებაზე; ამაზე უკვე მქონდა ლაპარაკი, როცა ლეინის ნა-კლულევანებათა გასწორებასა ვწერდი.

აქ მხოლოდ ორიოდე სიტყვით მოვიხსენიებთ, რა შნიშვ-ნელობა აქვს ჭაჭას, როგორც საქონლის საკვებავს და ვენა-ხის პატივს.

ჭაჭა, როგორც სამონლის საქვებავი

დიდი ხანია რაც ქვემო საფრანგეთში ჭაჭას ხმარობენ სა-ქონლის საკვებავად და ამისთვის გამოსაღებია როგორც გარე-ცხილი ჭაჭა, ისე არაყის ნახალი; ეს უკანასკნელი უფრო მოს-წონს საქონელს, რადგანაც ცოტაოდენი ალკოგოლი კიდევ არის შიგ დარჩენილი. ამ ბოლოს დროს მიუნცმა მოახდინა,

როგორც გარეცხილ ჭაჭაში ანალიზი, ისე გაურეცხელისა და ამ ანალიზებიდან ცხადად სჩანს, რომ ორივე ჭაჭაში საკმაოდ მოიპოვება ყველა ის ნივთიერებანი, რომლებიც საჭიროა საქონლის საკვებად.

აი მიუნცის ანალიზმები:

	გარეცხილ ჭაჭაში %.	გაურეცხელ ჭაჭაში %.
აზოტური ნივთიერებანი	= 4,16 0/0	4,28 —
ცხიმოვანი ნივთიერებანი	= 1,0 —	4,01 —
ექსტრაქტული ნივთიერებ.	= 17,86 —	19,06 —
ცელულოზა	= 8,18 —	8,18 —
ალკოგოლი	ძლიერ შესამჩნევია	6,50 —
წყალი	= 63,73 —	57,20 —

მიუნცის რჩევით, ჭაჭა კარგად შეინახება ამოთხრილ ორმებში ცოტაოდენ მარილის მიმატებით.

ზოგიერთი ურჩევს ჭაჭას ჯერ გაშრობას მზეზე და მერე შშრალი შენახვას საბძლებში; გამშრალ ჭაჭაში, რასაკვირველია, უფრო ბევრი სასარგებლო ნივთიერება იქნება; თუმცა ამ უკანასკნელის ანალიზი უკვეა მოყვანილი, მაგრამ მაინც კიდევ გავიმეორებთ:

მშრალ ჭაჭაში არის აზოტური ნივთიერებანი	= 11,25 0/0
ცხიმოვანი ნივთ.	= 7,86 —
ექსტრაქტული —	58,17 —
ცელულოზა —	13,58 —

როგორც ვხედავთ, თავისის შედგენილებით ჭაჭა კარგი საკვებავი ნივთიერება არის და ამისთვის ლირსია ყურადღებისა; ამასთან ეს კია ცნობილი, რომ თუ ჭაჭაში კლერტი არის დარჩენილი, საქონელი არ ეტანება და არც მარგებელია; ნურც ამას დავივიწყებთ, რომ რადგანაც ჭაჭაში ბევრია ტანინი, ამით სათვის მუდმივ ამით არ შეიძლება საქონლის კვება და უფრო კარგი იქნება, თუ ბზეში არის არეული. ჭაჭა კარგი საკვებავი იქნება, თუ ასეა შერეული:

15 ნაწილი ჭავა კლერტ-გაშორებული
 5 — თივა
 5 — ბზე ანუ ჩალა
 1 — ქატო და თუ ამას ცოტაოდენი შვრიაც
 მიემატება, მაშინ ხომ სრულებით კარგი იქნება.

ჭავა აგრედვე კარგი საკვებავია ჭათმებისა და ინდოურებისათვის, მეტადრე კურკები. როგორც ამბობენ, ამ საჭმლით ინდოურები ძალიან შალე სუქდებიან და ხორცი ძალიან ნაზი და გემრიელი აქვთ.

ეურმნის კურკების ზეთი. როგორც ვიცით, ჭავაში თითქმის ერთი მესამედი კურკებია და ამ კურკებში $15 - 20\%$ ზე-თანა. ეს ზეთი გემოთი ძალიან კარგია და ამისათვის საკვებავად გამოდგება და კრაქისთვის ან სხვა გვარად მოსახმარებლად ხომ, რაღა თქმა უნდა. ამისათვის ასე მოიქცევიან: კურკებს ჯერ გააშრობენ და შემდეგ წისქვილში დაფქვამენ ხორბალივით, წმინდად; ფქვილს ქვაბებში ჩაჰყრიან ცოტაოდენ წყალს მიუმატებენ და გაათბობენ იმ პირობით კი, რომ მუდმივ ურიონ და არ დასწეან. როცა კარგა გათბება, ისე რომ თითსა სწვავს, ქვაბებს გადმოიღებენ, გამთბარ ფქვილს პარკებში ჩაჰყრიან და საქაჩავში ჩაწყობენ გამოსაქაჩავად. ამ საშუალებით 11% ზეთის გამოცლა შეიძლება (კურკების წონაზე); ზეთი მოყვითანოა, გამჭვირვალი და გემოც ცუდი არა აქვს.

ჭავა, როგორც გენახვეს პატივი. უმეტესი ის მარილოვანი ნივთიერებანი, რომელნიც ვაზმა მიწიდან ამოიღო, ახლა ჭავაში არიან მოგროვილნი და, თუ ამათ ისევ იმ მიწას მიუბრუნებთ, რასაკირველია, პოხიერება არ დაეკარგება. გამოკვლევამ გამრაჩინა, რომ ჭავაში 4% მეტი ნაცარია და ამ ნაცარში $1,77$ ნაწილი აზოტია, $0,927$ ნაწილი ფოსფორის სიმჟავე და $0,476$ კალიქვა. აქედან ცხადია, რომ ჭავაში კარგა ბლობად არის იმისთანა სასარგებლო ნივთიერებანი, რომელიც გამოსალებია მიწისათვის, მის პატივს შეადგენს, მით უმეტეს, რომ ამ მიწიდანვე არის ამოლებული ვაზის შემწეობით. ამ მხრით

ჭავის მოსახმარებლად ზოგი ურჩევს ჭავის დაწვას და მიწის. თვის ამის ნაცრის მიმატებას და ზოგი კი ჭავის დალპობას, გადაღვიებას და სხვა პატივთან არქვას და ისე მიმატებას.

ამით ვათავებთ ჩვენს წერილებს ღვინის დაყენებაზე და ბოლიშს ვიხდით მკითხველების წინაშე, რომ ხშირად შევაწუ- ხეთ მათი გულისყური ზოგიერთ საგანზე დაწვრილებულის ცნობათა ანუსხვით; ამასთან იმასაცა ვგრძნობთ, რომ აჩქარე- ბულ მუშაობის გამო, ზოგიერთი ადგილი ამ წერილებში ბუნ- დოვანი აღმოჩნდა და ამის გამო იქნება გაუგებელი დარჩა. ამას გარდა, საზოგადოდ კი იმედი მაქვს, რომ ჩვენი წერილები უსარგებლო არ უნდა იყოს და მაშ არც ამაო უნდა იყოს ეს შრომა. ვისურვებ, რომ მკითხველებისათვის უსარგებლოდ არ ჩაიაროს ამ ნაწერში.

უკანასკნელი ჩემი რჩევა ის არის, რომ ყველა ვენახის პატრონშა, რომელიც კი ისურვებს ღვინის დაყენებაში ახალ გზაზე დადგომას, დიდი სიფრთხილე იქონიოს. ყველა საქმეს შესწავლა და ვარჯიშობა უნდა; ხშირად მომხდარა, რომ ძა- ლიან სასარგებლო საქმე დაწუნებულა, ძალიან კარგ საშუალე- ბაზე ხელი აუღიათ და უარი უთქვამთ, რადგანაც იმის მოხმა- რება ან ცერ შესძლებიათ და ან ცუდად მოუხმარებიათ; თა- ვიანთი გამოუცდელობა და ცერ-მოხმარება საქმისა და საშუა- ლების უვარვისობად ჩაუთვლიათ და ამის გამო ტყუილ-უბრა- ლოდ დაუწუნებიათ. ესევე შეიძლება ვთქვათ ღვინის დაყენე- ბაზედაც. თუ ვენახის პატრონი ისურვებს რაიმე წარმატებულ ღონისძიების შემოლებას თვისის მოსავალის გასაუმჯობესებლად, საჭიროა ჯერ გამოუცდილებით შეისწავლოს მოსავლის პატარა ნაწილზე, მისი გარემოება გაიგოს, საშუალების კარგად შესრუ- ლების ცითარება, მისი სიკეთე და ნაკლულევანება და მხო- ლოდ მაშინ შეუდგეს მთელის მოსავლის შემუშავებას, როცა სრულიად გავარჯიშებული იქნება. უამისოდ მოსალოდნელია მოსავლის უფრო გაფუჭება და, მაშასადამე, ზარალიც.

აქვე დიდი მადლობა უნდა გამოვუცხადო ჩემს მეგობარს და მოწაფეს კონსტანტინე მიხეილის ძეს ამირეჯიბს, რომელ-

მაც ბევრად გამიაღვილა შრომა სურათების დედნების გადმონ
ლებით; ბევრი ნაწილი ამ წერილებში მოყვანილ სურათებისა
მისგან არას ან გადმოხატული და ან გადმოკეთებული. აგრე-
სო მაღლობას ვუძღვი ანდრია დიმიტრის ძეს დეკანოზი-
შვილსაც, რომელმაც იკისრა აგრედვე რამდენისამე სურათის-
დახატვა.

გ. პეტრიაშვილი

(დასახული)

„ო ՅՈՒՆՈ ՏԱԿԱՅՈՒԹԻՒՆ”

ՇԵՐՈՎԱԴՅԱՆ ՑԱԳՈՐԾԱՅԻ ՇԵԽԾՈՒԹՅԱ

ՑԱՐՑԱՐ ԵՎ ԽԵՂԵՑ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՔՐԱՅԻ	ԼՐԱՅԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ	ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ	ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
65	8 յցըթ.	հակա	հակասա
67	10 նցթ.	մասալա	մասալուսա
71	25 —	amylis	amyłase
79	14 յցըթ.	ամաս	ամասց
81	13 —	mussimètre	mustimètre
82	14 նցթ.	2CuO	2CuO
—	1 յցըթ.	30° B=600	30°Be =600
—	4 —	C ⁴ H ⁶ K ² O ⁶	C ⁴ H ⁶ K ² O ⁶
85	15 —	ֆայենս	ֆայենս ֆայենս
87	3 —	մանուկ Ըստիլս Կոլոզ	մանուկ կոլոզ
—	16 —	(FeCy)Kcy	(FeCy) ² .(KCy) ⁴

ՑԱՐՑԱՐ ԵՎ ԽԵՂԵՑ

37	6 յցըթ.	Hauses Soterne	Hautes Sauternes
41	13 նցթ.	ծեցրո ոցուս	ծեցրո առ ոցուս
44	10 —	յակուլան	յակուլան
45	3 —	մանյանցիօնա, մոցոնուլո	մանյանցիօնա մոցոնուլո,
—	6 յցըթ.	Plôlrage	Plâtrage
46	9 —	CaJO ⁴	CaSO ⁴
47	3 նցթ.	Ca ² (PO ⁴) ²	Ca ⁴ (PO ⁴) ²
—	13 —	Gauties	Gautier
—	1—2 յ3.	շնագ	շնագ
49	3 —	K ² J ₂ O ⁸	K ² S ₂ O ⁸
50	15 նցթ.	ցալալցարուս	ցալոլցարուս.
51	14 —	յականց լամյացեծն	յականց, լամյացեծն
57	9 յցըթ.	լոնրևեծիսա	լոնրևեծիսա
63	10 —	Շշնաս	Շշնաս
69	13 —	acide gallique	acide gallique
70	19 —	թերոց	թերոց
71	5 —	H ² J	H ² S
73	3 նցթ.	(C ⁴ H ⁶ O ⁶)CaC ⁴ H ⁶ CaO ⁶	(C ⁴ H ⁶ O ⁶)Ca և C ⁴ H ⁶ CaO ⁶
—	4 —	K ² JO ⁴	K ² SO ⁴
—	6 —	NaA,KA,CaA ²	NaCl,KCl,CaCl ²

დაბეჭდილია: უნდა იყოს:

დატების დრო	სტ	მესამე ნომერი	მესამე ნომერი
32	6 ზემ.	ტკილიდამ	ტკბილიდამ
—	10 —	1090% დაბალია	1090-ზე დაბალია
36	14 —	სისქეზე	სისქეზე
—	—	48, ₁₆ — 61 0, ₁₆	48, ₁₆ = 61 0, ₁₆
37	12—13 ქვ.	მუსიმეტრი (mussimetre)	მუსტიმეტრი (mustimètre)
40	14 ზემ.	მეილუსაკისა	გეილუსაკისა.
48	7 ქვემ.	შაქარი არ არის	შაქარი არის.
49	9 —	მდგომარეობას	მდგომარეობს
—	10 —	საშუალება, ყველა	საშუალება, რომელიც ყველა
50	5 —	მოხროლედ	მხოლოდ
53	18 —	წყლის	წყლით
54	4 —	ღვინობებიც	ღვინოები

მეთოდე ნომერი

16	7 ქვემ.	ლავაზიეს, აზრით	ლავაზიეს აზრით
17	4 —	1860	1860
25	13 —	შემწეობით	შემწეობით
28	5 ზემ.	ნახშირის წყლოვანი	ნახშირ-წყლოვანი
—	1—2 ქვემ.	ჟანგ-მბალიანი	ჟანგ-მბალიან
30	2 —	მოვისენთ	მოვისენთ
31	6 ზემ.	შენახულ	შენახულ
39	1 —	ამავა	ამავე
40	8 ქვემ.	თკბილი	ტკბილი.
41	9 —	იმანა იხმარ	იმან იხმარა
—	13 ზემ.	დედის	დედით
42	4 —	Jörgenser	Jörgensen
—	12 —	Ellipsoideus	Ellipsoideus
44	5 —	—	—
—	6 —	—	—
45	16 —	—	—
—	17 —	—	—
51	5 ქვემ.	Ellipsoideus	apiculatus
56	3 ზემ.	გარგად	კარგად
—	15 —	ნიეთიერება;	ნიეთიერება,
59	20 —	apiculatus	apiculatus
—	2 ქვემ.	მიმატებულა	მიმატებული
61	10 ზემ.	ყველოლოვის	ყველასოფების
62	13 ქვემ.	ტხელი	ტხელი
67	5 —	Jörgenser	Jörgensen

ს. მ.	ს. ტ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
67	6 ქვებ.	Ganrungs	Gähungs
—	9 —	Oramont	Aramon
—	10 —	Chobles	Choblis

მეცნიერება

61	7 ზემ.	კურგელში	კურგელში
73	7 —	გუდად	კუდად
74	6 ქვებ.	გაუჩკობენ	ჩაუჩკობენ
76	5 ზემ.	დუღის	დუღილის
—	7 ქვებ.	77, ^{9,10} ლიტრი	78,000 მილილი ლიტრი
79	19 ზემ.	Suffisement	Suffisament
91	5 ქვებ.	გავრცელებრივი	გავრცელებული
94	17 ზემ.	ტერირი	თერირი

მაგაზინი ნომერი

101	16 ზემ.	Cellière	celliers
102	3 —	მამულას	მამულის
108	12 —	აღარ	აღარ
—	7 ქვებ.	მოხვერხებს	მოხვერხებას
113	4 ზემ.	ოოცა	როცა
—	5 —	ძველი	ძველის
114	10 —	პრეველი	პირველი
115	4 ქვებ.	$2\text{KHO} + \text{A}^2 = \text{KA} = \text{KAO} + \text{H}_2\text{O}$	$2\text{KHO} + \text{Cl}^2 = \text{KCl} + \text{KClO} = \text{H}_2\text{O}$
122	12 ზემ.	პაზაფხულის	გაზაფხულის
125	11 ქვებ.	ტურგელში	კურგელში
133	7 ზემ.	ბოთლებში	ბოთლებში
135	4 —	კურქლილიამ	კურქლილიამ
—	19 —	იძნება	იჯება
—	3 ქვებ.	თავისუფალი	თავისუფალი
138	7 —	დალბება	დალპება.—

მეზოდე ნომერი

63	10 ზემ.	26%	20%
—	11 —	26%	20%
65	10 —	და ბოჩკებში	და ან ბოჩკებში
72	10 —	სიღილიო	სიღილით
73	16 —	CaOS ⁴	CaSO ⁴
79	9 —	მაჟასადამე. ამგვარი	მაჟასადამე ამგვარი
80	11 —	მამანური	შამპანური
—	8 ქვებ.	de potage, de bourbage	depotage, debourbage
81	2 ზემ.	ეძახიან, ლიქორის	ეძახიან ლიქორს; ლიქორის

ს. ქ.	ს. ქ.	ლაბეჭდილია:	უნდა იყოს:
81	4	ქვემ.	სულის
82	7	—	ღვინი
—	8	—	ყველ
86	9	ზემ.	გრამატედინ
87	9	—	მიუმატებენ 80 ღვინოს
—	5	ქვემ.	ლაშმული
91	1	—	10 ^o
93	18	ზემ.	უკანასკნელის
94	13	—	13, ⁶⁷
95	18	—	გძელი მხარში
100	15	—	ორთ
102	4	ქვემ.	Crache
103	13	—	სულის შაქარი
104	4	ზემ.	წადის
—	6—7	ქვემ.	ბალ ბულახით
105	1—2	ზემ.	საფრანგეთში და
106	2	ქვემ.	agaric blanc
107	17	ზემ.	Fève de Tonka

მ ე რ გ ე ნ თ მ ე რ ი

40	15—16	ქვ.	თუ ალკოგოლებს ავიღებთ, სიმჟავეს და ალკოგოლს გა- მოვაცლით, ან კიდევ ტუ- ტეს, სიმჟავეს და წყალს, მა- შინ...	თუ ალკოგოლებს ავიღებთ, ან სიმჟავეს და ალკოგოლს, ან კიდევ ტუტეს და სიმჟა- ვეს და წყალს გამოვაცლით, მაშინ...
44	16	ზემ.	O ³ H ⁸ O ³	C ³ H ⁸ O ³
50	3	ქვემ.	არომატზე	ბუკეტზე.
53	11	—	აგრედივე	აგრედივე
—	13	—	სხეულებად	სრულებით
69	12	—	Echter	Echter
70	2	—	Astirsumante	Astirsumante
71	6	ზემ.	სიმჟავენი:	სიმჟავენი,
75	15	—	საჭირო არ არის	საჭირო: არის.
76	1	ქვემ.	essoi	essai
—	3	—	roisin	raisin
—	—	—	la	le
78	13	—	აკრძალულია საფერავით	აკრძალულია სხვა საფერავით.
79	3	ზემ.	4 კილო	40 კილო
80	9	ქვემ.	250 ლიტრი	250 გრამ.
91	1	ზემ.	ესეპ	ესეპ
93	8	ქვემ.	ალკოგელი	ალკოგოლი
95	13	ზემ.	ალკოგოლი 71, ₁	ალკოგოლი 11, ₁
96	10	ქვემ.	შეითაგულიანებული	შეთაგულიანებული.

გვ. მუნიც.	ლაპეტლის:	უნდა იყოს:
96 13 ქებ.	ხელის გემო	ხილის გემო
99 2 ზებ.	ბოთლებში ჩადგმულ	ბოთლებში ჩასხმულ
103 12 ქებ.	მილთან	მილთან (7—7)
106 1 —		ლენონში
107 6 ზებ.	38°—70°	38°—40°
— 13 —	Aartinez	Martinez
109 7 —	alternatit	alternatif

მ ე ტ ხ რ ე 6 თ მ ე რ ი

36 3 ზებ.	პოექცევა	მოექცევა
— 9 ქებ.	Cassée	Cassée
41 1 —	+S ²	+S ²
56 4 —	Etades	Etudes
59 15 ზებ.	ის ამოტომ	ის მარტო
64 8 —	სიმევის, ძმის	სიმევის—ძმის
66 8 ქებ.	echonfle	echauffé
71 6 —	huileut	huileux
72 8 —	garisse	graisse
73 7—8 ზებ.	tismes	Fismes
74 4 ქებ.	l'amersume	l'amertume

მ ე ს თ ე 6 თ მ ე რ ი

76 3 ზებ.	არომატიკა	არომატი კი
79 6 ქებ.	გამოაქციოს	გადმოაქციოს
86 1 —	Tinir	Tinir
93 10 —	ცნობილია იმ ქვეყნებში.	ცნობილი არ არიან იმ ქვეყნებში.
103 1 —	35	25
108 3 ზებ.	გაყალბებულა	გაყალბებულია
— 10 —	ალკოგოლის რაოდენობაზე	ალკოგოლი ექსტრაქტის რაოდენობაზე
— 6 ქებ.	0,835	0,985

გ. 3.

ქორლიუზის სალირიკო პოეზიის საფრანგეთში

20.-~~XX~~ საუკუნეში

(Ferdinand Brunetière—1) L'Evolution de la poésie lyrique en France, au dix-neuvième siècle, 2 ტომი.—2) L'Evolution des genres dans l'histoire de la littérature. Introduction. Evolution de la critique, 1 ტომი.)

ჩენ უჩი განაცანით მეითხველს საზოგადოებას ეკოლიუციის მოძღვრება დიტერატურაში, რომლის წარმომადგენელიც არის საფრანგეთის გმირებისილი კრიტიკოსი, წერი აკადემიის ფერლინანდ ბრუნეტიერი. ჩენ იქ («კურია 165, 166 ამ წლისა: «მოძღვრება ეკოლაუციის კრიტიკაში») განვიძრტეთ, როგორც საზოგადო ამ მოძღვრების პრინციპები, ისე შანაარსი პირველის ტომისა, ანუ უკადა კოქტა, ბრუნეტიერისაგან დაწესებულის შრომის შესავალისა. ამ შრომს ავტორმა უწოდა საზოგადო სასეჭი—«ეკოლიუცია ქანტებისა» (ლიტერატურულ გვართა, ლიტერატურულ იურმათა). როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში, კაშბობდით იქანის განვიძები—ლიტერატურული ქანტები. ქს უანტები, როგორც ბუნების ყოველი ნაწარმოები, ისადება, იზრდება და მერე გარდიცვლება სისკა მონათესავე ქანტებად. იმათ დაბადებას, როგორც მათ აღუკავებასა და მათ გარდაცვლას—ტრანსფორმაციას ან ხელს უშლიდა და ან ხელს უწეობდა ზოგიერთი კითარება, ზოგიერთი გარემოება. მათ შორის მსოფლოდ ისინი სცოცხლობდნენ და ძლიერდებოდნენ, რომელიც უფრო ღონიერი იყენება და რომელთან მაღედვათ ამ კითარების თავისდა სასარგებლოდ მოსმარება. ერთის სატეგიათ, ბუნებრივს შერჩევს ეჭვმჯებარებოდნენ. მათ შორისაც სწარმოებდა ცხოვრებისათვის ჭიდილი, საუკეთესო და იდეალუ-

რო, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, და ჭიდილი ესე თავდებოდა მით, რომ ერთი უახრა (გვარი ლიტერატურულის ნაწარმოებისა) გზას უთმობდა მეორეს, სოლო მთლად კი არ აღაგებოდა ხოლმე პირისა-გან ქავებისა, არამედ გარდიცვლებოდა მეორედ. ამნაირად, რო-გორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში ნაწარმოებდა კულტურია, ცხოვრებისათვის ჭიდილისა და ბუნებრივის შენჩენის შემწეობითა. ეს არის, მოკლედ რომ კოქიათ, კულტურიას მოძღვრება ბრუნე-ტიურისა და ამ თეორიის გამოყენება ლიტერატურაში არის მისა-უმთავრესია აზრი და სურვილი. იმ თხსულებაში კი, რომლის შინა-არსაც ესლა კულტობთ მკითხველებს, აკტორი გვისატავს საღი-რიცო პოეზიის კულტურიას. აქ გვიჩვენებს იგი მაგალითს იმ მო-გლენისას, თუ ერთი ფორმა (საკლესიო მჭერმეტყუელება) როგორ გარდიცვლება მეორე სათესავ ფორმად (საღირიცო პოეზიად): გვი-სხინის, რა გარემოებანი უშლიდა ხელია, მაგ., საღირიცო პოეზიის გ: ნიკოსარებას მე-XVII-ე და მე-XVIII-ე საუკუნეში და მეორე გა-რა გითარებანი უწევინა ხელს მის ღლუკავებს მე-XIX-ე საუკუნე-ში. აკტორი გვითვალისწინებს აგრედებე, რა მიზეზების გამო მოგვ-ცა მე-XVII-ე საუკუნემ საკლესიო ნიმუშები საკლესიო მჭერმე-ტყუელებისა და რა მოხდა, რომ მე-XIX-ე საუკუნეში სრულიად გაჭრა ეს გვარი საღირიცო ნაწარმოებისა.

II

როცა მე-XIX-ე საუკუნის საღირიცო პოეზიაზეა კლასიკი-კობთ, უპირესეს უკვლისა უნდა განკუსაზღვროთ თვისება რომან-ტულის პოეზიისა, რომელიც მჭიდროდ შეკავშირებულია ამ ხანის პოეზიასთან, და გამოვარკეოთ, რა გადაწყვდნა და გარემოებათა შემ-წეობით აღმოცენდა იგი ამ დროში. ამ გარემოებათა გამოარკვეს კი შეკლებელია, თუ არ განკისილეთ საზოგადო მიმართულება ეპო-ქისა, მისი ლიტერატურისა, ფილოსოფიისა და საპოლიტიკო მო-ძღვრებისა. ეს საზოგადო მიმართულება არის ინდივიდუალიზმი და ეს ინდივიდუალიზმი კი ის ნიადაგია, რომელზედაც აუკავდება რომანტული პოეზია. ამ პოეზიის ფორმა ლირიკა იყო. გავარჩიოთ

რაღეც ეს სამი ტერმინი: ლიტიზმი, ინდივიდუალიზმი და რომან-ტიზმი.

ლიტიზმი. არის ის უანირ საფილტრიზერო ნაწარმოებისა, პოეზიისა, რომელსაც საგნადა აქვს პირად გრძელბათა გამოხატვა; ჩეკნის თვით უსადედებლოების სულიერის მისწოდებას გამოამკარენება. რასაკვირველია, ჭომიროსის ეპოპეიას და შექმნირის დრამბშიც კი შეკვებით სანდისსან პირად გრძელბათა გამოხატვასა, მაგრამ საფილივო პოეზიას ის განსაკუთრება აქვს, რომ მთლად ერთიანად შეარცდის გამნისათ არის გამსაკვდეული. ამას გარდა, ეს ერთად-ერთი გრძელა ლიტერატურაში, რომლის შემწერითაც შეგიძლიანო აკტორის სტული ფისიოლოგია შეიგნოთ, მაშინ როდესაც შერცე ჭომიროსის ეპოპეია და კერც შექმნირის დრამები კუთ ასერთობენ საგმაღად აკტორის სულიერს არსებასა. აქვდნს ის კა არ შეიძლება დაგასაკვთა, რომ საფილივო პოეზიას აკტორს მატტო ერთი სურვილი ჭრონდეს: თავისი ტანჯვისა და სისარულის, თავისი ბენდირებისა და უსედურების, კაჟოვილებისა და უკმაყოფილების მეითხელთათვის გაზიარება. არა, მაშინ სომ ეგოისტი იქნებოდა. შირადი გრძელბათა მსოფლოდ ფისიოლოგიური საფუძველია, ქარება. სხვა გრძელბათა დასასურათებლად. ეს «პიროვნებითა» (personnel) სასიათი საფილივო პოეზიას არის იმისი მიზეზია, რომ მისი აუგავება შეისაძლებელია მსოფლოდ მაშინ, როცა საზოგადო პოლიტიკაში და ცსოვებებაში გასკითხებულია ინდივიდუალიზმი, როცა პირადია არ არის დაჯანხილი და მიწასთან გასწორებულია, როცა იგი უბრალო ჭაიფად არ არის მისეული. ინდივიდუალიზმი არის სწორებ ეს განთავისუფლება პირადობისა სხვა-და-სხვა მის შემთხვეველ გარემოებათაგან, იხდივადულიზმი არის უმაღლესი გასკათარება ადამიანის «მე-სი, მისი პირადობისა. პოლიტიკაში ეს მავლენია ისატება Laissez faire, laissez passer-თი («აცადეთა»). იგი დაიბადება, როგორც რეაქცია და XIV ისაგან აღიარებულის მოღვრების L'Etat c'est Moi-ს («სახელმწიფო მე კართა») წინააღმდეგ. ეს მეოქვე მარტო იყორიულად ას სკერდებოდა ამ პირინციპსა, იგი თხოვდებოდა, რომ მოქადაქეს ულვალევე თავისი პირადი მოთხოვნილებანი უარ-უკა, მთლად ერთიანად, სხა-ამოუღებლად: თავი შეწირა

საზოგადოებისა და სახლმწიფოსთვის, რომელიც ერთი გაცის მიერ იყო განსხვრციელებული.

საფრანგეთის რევოლუცია იყო მთლიან ერთიანად უარყოფა ამ პრინციპისა. იგი გამოდიოდა პირადობის მოსამართებლები, მის დამტკიცებად და ამიტომ სახელმწიფო დეპოტიტიზმის ომა გამოუცხადა. მან დასცა «ძეგლი მართებულობა», გააქარწიეს ეს პრინციპიცა, მაგრამ არ გასულა დიდი სასი და თვით შეიქმნა, თუ თეორებულად არა, პრაქტიკულად მაინც, ამგენრიგებ პრინციპის; თავიანის-მცემელი. ტერორიზმი, თუ უარესია არა, ძეგლ დეპოტიტები კუთხისა ადარ უთვილია. გადის სასი და ტერორიზმის, საჯსის დეპოტიტიზმს, საპოლიტიკოს სამსედო დეპოტიტიზმი სცვდის. მსოფლი საპოლიტიკოს დამარცხების შემდეგ 1820-ის წლებში პრინციპი ისწინდებული იმისა ისევ გამოჩენდება და გადევ იმოსება ძღვან-გამარტვებ ბით, როგორც დიოტერატურაში, ისე ფილოსოფიაში, როგორც პოლიტიკაში, ისე ცხოვრებაში.

ისდივადულიზმის აღრიცხინებას საზოგადო ცხოვრებაში მოტკიცება ინდივიდუალურის დიტერატურის დანისება. ამ მამართლებას დიტერატურაში სსკა სელის შექმნილი გარემოებანიც დაჭრება თანა. მათ შორის პირები ადგილი უკავია უცხოეთის დიტერატურის თრის უდიდებებულების წარმომადგენლის (გეტესა და ბარონის). სა-წარმოების გაცნობისა და მათ გაყიდვას სასაგადოებისა და მწერლებზე. ამას ზედ დაურთებ გავლენა გერმანულის ფილოსოფიას, განსაკუთრებათ ქანტისა და ფისტეს ნაწერებისა.

რადა არის რომანტიზმი? ისეთი მწერალი არ უთვილა, რომ ათმანტიზმის მნიშვნელობის თავისებური განსასღვრა არ ცემდნოს, მაგრამ უკეთა განსასღვრა ცალმისრიგი იყო: სოგირთის აზრით, რომანტიზმი არის კლასიციზმის წინააღმდეგი. რეაქცია; იგი არის უარის უთვილებელისავე იმ სადამტერატურო კანონისა, რომელიც კლასიციზმის მიერ იყო საკალებებულოდ ცნობილი; მისი თვისება სსკა-და-სსკა სალიმტერატურო ფორმების ერთმანეთში არეგ-დარეგა. სოგირთის აზრით, რომანტიზმი დიტერატურის განსაკუთრებული აზ-რი და საწადები უცხოელთა და ძეგლ საშუალო-საუკუნებების სამა-მობლო დიტერატურის მიბაქვა; მისი ერთი უპირველესი პრინციპ-

თავანი ბუნებისა და ტიპების «დწერაში» «ადგილობრივის» (couleur locale) დაცვაა. მაგრამ უკეთა ეს მხოლოდ აღრიცხვებაა იმ საშუალებათა, რომელთაც ხმარობდნენ წარმომადგენელი რომანტიზმის ლიტერატურისა თავის უმთავრეს სურვილის მისაღწევად. ეს სურვილი იურ პირადების განთვასუფლება დატერატურაში. მათ სწადოდათ განეთავისუფლებინათ თავი საღირერატურო დესპოტიისაგან ისე, როგორც განითავისუფლებას თავი საპოლიტიკო დესპოტიისაგან. ამიტომ, რაც უწინდელ საკლასიკო დილერატურისაგან და მის წარმომადგენელთავან პრინციპად მიჩნეულია, იმას, თუ გინდ გარგიც იყოს, მაინც უარ ჰყოფენ, რომ უფრო ნათლად დაამტკიცონ თავიანთი დამოუკიდებლობა. ასე რომ, „რომანტიზმი არის საზოგადო მოვლენა, რომლის განსაკუთრებული თვისებაა ინდივიდუალიზმისაკენ მისწრაფება“.

საღირიკო პოეზია იწყობა მხოლოდ მე-XIX-ე საუკუნეში, იმიტომ რომ საღირიკო პოეზია არა ჰქვიან იმ პოეზიასა, რომერ დაც საშუალო საუკუნეებში ტრაბადურების შექმნილია. იმ პოეზიასა და ლამანტინისა და ჰიუგოს პოეზიას შეა ისეთივე განსხვავბისა, როგორც საშუალო საუკუნეების მასტერიებსა და კარნელისა და რასინის დრამებს შორის. ამიტომ ლაპარაკი მხოლოდ მე-XIX-ე საუკუნის საღირიკო პოეზიაზე მეიძღება. თვით განსაზღვრა ამ პოეზიას გამტცნებს, რომ ამგვარი პოეზიის განვითარება მე-XVII-სა და მე-XVIII-ე საუკუნეებში შექმდებული იყო. ლუი XIV-ეს დროის საზოგადოებაში არა თუ ხმას კერ ამოიღებდა, თუ არ გიბრძნებდნენ, არამედ, რომ გაგებებია და თავისებური აზრი წარმოებულია, მწერლებლად, ერეტიკოსად ჩაგთვლიდნენ. ერეტიკოსია ის, კისაც თავისი აზრი აქვსო, ამბობს ბოსსუეტი. მაშინდელ ცხოვრების დედა-აზრა საზოგადოებრივობაა (sociabilité); გადაჭარბებული თავაზინობა; იქ იხდივიდუალიზმს ადგილი არა აქვს. უკეთა უკეთა მიმბამებელობაა გამეფესულ-განვითარებული, მაგრამ მიმბამებელობა ეუმაღლესისა, ეუმაღლესისაგან. მიხერა-მოხერასა, სიარულსა და ლაპარაკსა, უკეთა აკა ამას ტონი ზეკვდან ეძლევა. უკეთს სფერაში ნიმუშებ, მოდელებ ეუმაღლესისა არის მიჩნეული და კათ იმის შრელი, კინც ამ მოდელს გერდს აუქცევს, იგი პირუტყვა თანა

შერიცხულია, ჰებჟანე შემცდარია, უცნეური კაცია. ორიგინალობა დანაშაულებად ითვლება. შეგიძლიან მსოდნოდ იმაზედ განცხონო, რაც სასაცილოდ არის აღიარებული; არ შეგიძლიან იტირო, თუ მიზეზი უნის წრემლებისა უკელის არ ატირებს; აგრეძებე სასტრიკად არის განსაზღვრული, თუ რანაირად უნდა გააციხო, ან რანაირად იტირო, რანაირად უნდა გაფავრდე, ან რანაირად დასტებს.

არაეკირველია, ამ სან ში საღირიკო პოლიტია არ შეიძლებოდა განვითარებულიყო; შირიქით, თუ კა რაიმე კვალი არსებობდა ამ პოლიტიას, ისიც მოისპო. გარნა პირად გრძელობათა გამოთქმა და გამოხსტევაც მიუცილებული საჭიროებაა კაცისათვის, რადგანაც «საღირიკო ინსტრიტი» თან-დაუთლილი აქვს კაცისა და მისი დაკმაყოფილებაც საჭიროა; ამიტომ მაშინ ისეთს ვოროტებს ლიტერატურისას ჰქონდათ ადგილი, რომელიც დროსაც შეეფერებოდა, და ასე თუ ისე მწერლის «საღირიკო ინსტრიტისაც» აქმავთვალებდა. ერთადერთი ფორმა, რომელშიც შესაძლო იყო მაშინ რაიმე შიროვნების გამოჩენა მისი სიმპატიით. და ასტრიტით, იყო საკედესიო მცენ-მეტებელება, რომლის უდიდებელესი წარმომადგენელია ბოსტონელი. ეს გარემოება ამტკიცებს დიადს კნონს ბუნებრივის შერჩევისას: სცოცხლობს და ბოგიონობს ის გვარი საღირიტერატურო ნაწარმოებისა, რომელსაც უფრო კარგად იშვიერს დრო-ჟამი, მისი მოთხოვნილება. საღირიკო პოლიტის ადგილი დაიყვანა მაშინ მისმა მასლობელმა, მონათესავე გვარმა—საკედესიო მცენმეტებელებამ. მან გაიმარჯვა «ცხოვრებისათვის ჰიდილში». რადგან ამ საღირიტერატურო ფორმით უფრო დაგილი იყო შირადობის დაზარვა, ამა-ს არ გამოჩენა, მიტომ ეს გვარი უფრო შერჩა ცხოვრების სელში.

დაჭიროა თუ არა საზოგადოებას რეკოლეუტიის ქარმა, დირიგაც განხსნდა და უან უკ რუსოს საწერებში უკეთ გამჩნევთ შირებეს გვალს ლირიკისას. მის «ელოიზაში» ჰსედავთ საღირიკო ლექსებს, რომელიც შრომად არის დაწერილი. თავისი ადსარებაში იგი ნამდვილი ღირებოსია: ნიადაგ იმსას ცდილობს თავისი შირად გრძელობაში დაგვიუქოს თვალ-წინ, მუდმივ თავისს თვაზედა ფიქრობს; გატაცებულია თვისის შიროვნებით, ხას თაყვანს სრემს, ხას აკვირებს

მისი თვისებასი, სან ებრაუბა და ეს სომ უმთავრესი თვისებაა სალირიგა პოეზიასა. დარღი არა აქვს რიგისა და წესის; ორივა-ნალობა, თავისებურობა დანაშაულებად კი არა, საუკეთესო თვისებად მიჩნია. თუ ბოსტ ეტი თავისი დიალის ჰერის და კონკას იმის ასპარება, რომ თავისი მოიღება-ქადაგებაში შიარები, თავისებური არა წამოსცდებოდა-რა, რესო თავისი გარემილებასა და სიბანძურების კი არა ჰმაღავეს, და არა თუ არა ჰმაღავეს, არამედ ცასსაკუთრებულის სამოგესებით აცხადებს საქმეენოდ. მის ნაწერებში გვივებთ იმისაც კი, რაც ბოლოს პოეტ-ლარიკოსების აკადემიურობად დადაქცეოთ. რესოს ძრიერ უწყობდა სელი სალირიკო თხსულებათა წერაში თვით მისი შიარები თვისებასი: მისი სელით აკად-მეოფობა, მისი მეტის-მეტი თავ-მოუკარეობა, მედიდურობა, გულ-ძირისა და გადაჭირებული გრძნობა-ქადაგისა. მსოლოდ ლექსები არ დაწერია, იმიტომ რომ, როგორც სხვა სფერიში, ისე ღატერა-ტური, ნაკრომით არა კეთდება-რა, არამედ უკველიანე რაგენდ და წერიელ მიდის. რესოს ნაწარშესვი არის მსოლოდ ბუდე ლიტი-ტიმისა, მისთა თხსულებათა ლარიკა მსოლოდ თესლია. მის ნაწე-რებს შეა დაგიღი უგავა საკულესით მცენობელებისა და სა-ლირიკო პოეზიის შირის. მისი ნაწერები ბოსუეტის ქადაგების გარდაცვლა, რადგან აქ უფრო ნათლად არის შიარება კარიბისანა გარსატული, და თანაც, როგორც იქარით, ისე შინაგანით, წინა-მორბედია მსოლოდ ლამარტინისა და ჸაუგოს პოეზიისა.

რესოს ფილისოვანებული შიარებისა ესაჩნდება, თხოულობის საზოგადოების მიერ დადებულ უღლიასაგან მის გასთავის გუგლებასა. ბუნების დამონსილეთო, გვაჭიდაგებს რესო, რადგან იგი დედა კეთილი და მზრუნველი და მსოლოდ საზოგადოებაა დანაშაული წესის გარეუნაშიო. ჩენ უკედანი ბუნების კეთილ და გონიერ არისებად და-გვბადა, სოლო საზოგადოებაში გაგვრუნა და მოგვისმო უოკელი კე-თილით. უკიდება აქ ბევრი რამ იყოს არა-მეტი დერებული და მეტი დე-რების წინააღმდეგი, მაგრამ რესოს შროტესტი მაშინ დედ საზო-გადოების წინააღმდეგ დაღი საქმე იყო და დიღი შედეგაც მოჰქმდა მე პროტესტს. ამსიარად რესო, ერთის მსრით, ცდალობდა განე-თავისუფლებასა საზოგადოებისა და სასელმწაფოსაგან შებოჭიდი შირადობა, მიეცა მისთვის რწმუნება და იმედი თვისის უსაზღვრო

ქალისა, ჩაეკიტისა, რომ ის არ არას უკარისტილდა უმა ქეყნისა, ად, მეორეს მსრით, მაშინდელ საზოგადოების ვარუქსილებასა და გათასსირებას ებრძოდა. ტოლისტოის მოძღვრება მხოლოდ მიბაბება რუსთამ, და ოუ რამი მნიშვნელობა კიდევ აქვს ამ მოძღვრებას, აქვს იმიტომ, რომ ესდასდელი საზოგადოებაც ძლიერ და შორიდა იღებდი მოსილ კაცობრიობას. მაგრამ რუსთამის ნასესხებს ტოლისტოის მოძღვრებას ესდა ადამი აქეს ადამი ის ძღვა და ადარც ის მნაშენელობა, რაც ასის წლის წინად ჰქონდა მის ღრივისალსა, იმიტომ რომ ტოლისტოი პიროვნების განვითარებისა და განთავისუფლებისათვის ძალის წოტია ფიქრობს; ხოლო თუ რამის გვადი პიროვნებისტია მოიპოება მის მოძღვრებაში, ამასაც თვით მისი უმაღლესი პიროვნები და წინააღმდეგ ბოროტია არღვებს, მნაშენელობას; უკარგრებს, ბათილებს. ამას გარდაც, უფრეზ დამეტებული და დაუსწეული იარღი მოკლებულია იმ ძღვასა, რომელიც სიასლის დარღვეს ჰქონდა.

რუსთამ ფილისოფების კადეკ სხვა მნაშენელობა ჰქონდა ღიტერტურისათვის. მან შემოიღო საინანგების შეწრლობაში ბუნების აღწერა, რომელიც საკლისიერო დარმებისა და საექლესიო მშენებელებაში, რასაცვირებელა, ადგილი არა ჰქონდა. რუსთამისა განსაკუთრებულის სიეკარელითა და თანავითობით აღგიაწერს, ასეუდიდებულის ბუნებასა და ამ მსრით სრულად ასაღა ეჭუმენტი ი შეაძლო ღიტერტურაში.

რუსთამის გავლენა საფრანგეთის დიტერტურაზე უსასელობო, შეუდარებელი და გასაოცარი. რუსთამის გასლდათ ერთი იმ გენიოსთაგანი, რომელიც თვით შექმნისამ ხოლის გარემოებითა, რომელიც მათი მოქმედებისათვის საჭირო და სისირთა, თვით დამსპეციალის და მოსპობენ სოლის იმ გირარებასა, რომელიც მათ სელს უკრავს. რუსთამ მისცა დასაწყისი სალინიგო პოეზიას, მაგრამ თან მოამზადა ის გარემოებასთაც, უმომღისოდაც მნედი იურ ლირიკის განკითარება. სხვა რამ არა კოქათ-რა, თვით რეკოლიურასი გარემოებები მიზენოთა შემას რუსთამ მოღვაწებას ერთი უპარესელი ადგილთაგანი უჭირდებს და რეკოლიური სომ, როგორც კომეით, თუ ის გათარება კერ შექმნა, რომელიც ჰქონდის სალინიგო პოეზიის აუ-

კავკასია, ის დაბრკოლებანი მარც მოსპო, ორმედთა მიუწითაც მისი აღმოცენება შეუძლებელი იყო. «კი წუ გაგიგიარდებათო, ამბობს ზემოსსენებული ავტორი, ორმ მე ეკოლიურის მომსრულადასა კემულობ და ერთს კაცის, მის პირადობას ესოდენს მინშენელობას კამავა. კეთილ-ინტერ და მომისმინეთ, ბატონებთ 1) დარგინის წინამორბედის 2) გართა სხვა-და-სხვაობასა ჭისინიგენ ჩელილებისა, ასე ტრანსფორმაციის პრინციპითა და ამ ცელილების მიზეზს კი ეძიებდნენ გარეგან გარემოებათა შორის, აწერდნენ მავ. ჟარის, ასე მიწა-წელის ზედ-მოქმედებას, და მომენტისა, ასე წრის (ის. დვერია, 165, 166. 94 წ.) ზედ-გავლენის. სოლო დარგინის შრომა, მისი გენის ღვაწლი კი ის არის, ორმ ტრანსფორმაციის მიზეზსა ჭისებუს თვით გართა შინაგან გარემოებათა შორის, ორმედთა ზედ-გავლენით ამა თუ იმ გარს უნდღება რაიმე სისარგებლი და ცესორების ჭიდილისათვისა მოსახმარი იყიდება. ამ ასაღის თვითების განენის მას უწოდა „ბუნებრივი შერჩევა“ (selection naturelle)... ორგონო ბუნებრი, ბატონებო, ისე ისტორიას და ლიტერატურაში, ასე რომელსამე სელოვნებაში ეს ასაღი თვისების განხენა აწარმოებს ცელილებას. ისტორიას და ლიტერატურაში ამ ასაღის ცელილების დამწერება ინდივიდუალი, კაცის პირადობა გამოდის. გამოჩენდება თუ არ ეს გმირი, თვისება სისარგებლოდ შესცევის გარემოებათა, წრისა და მომენტის ზედ-გავლენასა... პირადობის მინშენელობა და ძალა, სხსს, კი არ ასუსტებს ეკოლიურის ჭიბრტეზესა, უფრო სრულ-ჭერივს... კი არ არღვებს, შირექით, ამ მსრით შექმნა ჭიენს, ავთავებს და ამტკიცებსა.

რესოს მიმარტებად და მოწაფედ ლიტერატურაში უნდა აღვართო ბერნანდენ დე სენ-პიერი, ავტორი პოლისა და გირებინასი. ამით ის კი არ გვინდა კოქებთ, ორმ ურკელიუე ასელი, რაც რესომ შემოიღო ლიტერატურაში, ბერნენდენ სენ-პიერმა განაცრო. არა, იგი მსოდლებ ერთში იყო რესის მიმდევარი, იმაში, ორმ იმანაც ბუნების აღწერს მიაწო სელი და მრავალი ძვირფასი ფურცელი შესძინა ფრანგული დიტერატურას. ბუნების აღწერა

¹⁾ შარშან სორბონაში წაკითხული ლექციები ახლა წიგნებად დაიტენდა.

²⁾ ფორულა სენტ-ილერი და ლამარკი.

ქვე-კუნძულებ გაიხადა. ოუსო ბუნებას აღგიაწოდო, მაგრამ თავისი დღე-
ში კაცის გრძნობის არ აშორებს თავისი აღწერილობას, უჩვენებს
მუდამ მათს ურთიერთს ზედ-გავლენასა, ხლო ბენსანდენ და სენ-
პიერს კი ბუნება უეგარს თვით ბუნებისათვის. ბენსანდენ და სენ-
პიერი ნაძვიადი პერზაუისტია. ოუსო ერთის კალმის მოსმით და-
გის: ტავთ საზოგადო სერათსა, ეს კი სურათის ყოველ წერილმანის
მისდევს და, ასე გგლინიათ, მიკროსკოპით აზტეკილი, ფოთლებისა
და უავილების წერილ ძაფებიაც კი ეძიებს, რომ აუწერებდი არ და-
რჩეს. ჭრდებანდებდა მხატვარი გვეონებათ. ოუსოს აღწერის აქვს
რაღაც ამისტრაქტული სასათი, განუერებულია და, წორა არ იყოს,
ბუნდია. ბენსანდენ და სენ-პიერის აღწერა კი კანკრეტულია და უმ-
ღალასათვის აღიალი წარმოსადგენია. ამ ურს სხვა-და-სხვა ნაირს ბუ-
ნებას აღწერასა, ამ ურს სხვა-და-სხვა ნაირს შესედულებასა ბუნე-
ბაზედ შატობრივი აერთიანებს თავისს საწერებშია და კიდევაც შე-
სანი შესავს სხვოვს გამოაღებინებს.

დამიატონია, ჭავეგონის პოეზიაში, თვით ფლო-
ბერის ნაწერებშიაც ჭავეგონი შატობრივიას თხზულებათა უკრეველს
გავლენისა და სწორებ იმავე ბუნების აღწერაში. შატობრივის შეა-
ერთა არა კი რამ იყო საფლავივა რუსოს ბუნების აღწერილობაში
და რაც კი რამ იყო სამსატერო სინამდგოლე ბენსანდენ და სენ-პი-
ერის-მიერ ბუნების დასურათებაში. მიტოო იმის ბუნებას გრძნობა
უფრო ღმმაა. ამისიან პირველად მან შეურთა ბუნებას ადამიანი,
თათქმის შეაღება ერთად, შეგმავითა ერთმანეთის. პირველად მან
აღიანდა ის საიდუმლო ურთიერთობა, რომელიც არსებობს კაცისა
და ბუნების შეა. სწორებ ეს საიდუმლოება არის პოეზიის უპირ-
გელებიან საფეხული, მისი უპარგელებია ელემენტი. გარდა ამასა შა-
ტობრივის თხზულება, რომელიც ცნობაზა და რომელიც აწ-
ლება «გენია ქრისტიანობასა», იყო XVIII საუკ. ოაციონალისტუ-
რის იდეების წინააღმდეგი რეაქციის მომასწავებელი. ამ თასეულებამ
განსაღვიანი მიუწესებული სარწმუნოებრივი გრძნობა და ამნაირად მის-
ცა, ასე უკედა კოტებ, გასუთავისუფლა შოეზიან დადა სნის და-
გუბებული წეართ. «საღირდენი პოეზიის ერთი უმთავრესი საგანია
მს, რაც არის გარეშე წუთი-სოფლასა, წუთი-შესასა; პოეზიის ში-

ნაარია ის, რაც სხვა რამეს გაითვალისწინებს; კიდევ და არა მა-
რტო ჩვენს მომავალდაც ბუქებასა, ის, რაც არის ჩვენი უშინიშვნელო-
წუთიერი ცხოვრების გარეშე, რაც სდებს; ფასს, აღმენის აქაუნის
ცხოვრების აზრისა და მნიშვნელობისა. ურავლივე ესე კი სარწმუ-
ნობის უმთავრესი სავანია, სეულ ერთა ბეჭდისმს უწოდებთ და
სარწმუნობასა, ქრისტიანობასა, თუ სხვა რომელიამე სისელია. შე-
ტაც აღადგინა. შეტაცრიანი რესოს მოწაფე იყო მით, რომ რო-
გორც რესომ, ისე შეტაცრიანის თვისის ფილოსოფიით შერადო-
ნას მისცა ფართო გზა და უქმდება თვისის თავზე ფიქრისა; უნგენა-
მაგალითი და მიაჩვია ფიქრს ისეთ მწვავე საგრძნების გამო, რომელიც
მარტო მის შირადის გრძნობის უესებობა, რომელია მის შირა-
დობასთან რამე დამოკიდებულება ჰქონდა; მას მაქტია კანის კურ-
დღება შინაგანის ცხოვრებას, სულიერს ტანკვასა და სიხარულსა.

შეტაცრიანისა შეცრასა ლიტერატურაში ეგრედ-წოდებული «ად-
გილობრივი ფერი». ტერიტორიულ სურაკათ იფიქრების, რომ თუ სამუ-
ალო საუკუნოების ცხოვრების შესახებს რომანის სწერი, შეიძლებას
სრულის სინამდვილით ადწერის წარსული უოფა-ცხოვრება, წეს-
რიგი, ზენ-ჩეულება. წენითვის შეეძლებელია სრულის სინამდვილით
წარმოკიდგინოთ და აღეწერთ მაშინდელების მიხერა-მისურა, მათი
ენა და კილო ლაპარაკისა, შეკლორი მათის ოთხისია და ბალების-
დას-ურათება მათემატიკურის სისტორითა: აუცილებლად ჩვენი შირა-
დი გრძნობა დაუთვის ზედ უოკელისევ ამას. ჩვენ არ მაღვიძის ცო-
ტად თუ ბერძნ ექვლას-დელისა სათვალეებით არ გუცხვირთ წარ-
სელია. ეს იქნებ მეცნიერების შეძლოა, მაგრამ მერანია იმათაც გა-
უკირდეთ. ამიტომ სრულიად საჭირო არ არის იმაზედ დაკა, შე-
ტაცრიანი სამდვილად სწერდა ამერიკელებისა და არაბებს თუ არა;
საჭიროა მხოლოდ, რომ მისი ამერიკელები, ცოტათოდ არის მანც,
წააგავდნენ სამდვილის ამერიკელებს და უფრო კი ის არის საჭირო,
რომ იმისი ამერიკელი გასინჩეოდეს იმისაკე ბერმნისაგან, მისი
რომაელი მისი ფრანგისაგან. მხოლოდ ამსათაც უნდა გვესმოდეს
ადგილობრივი ფერი და, თუ ასე გავიგებთ, შეტაცრიანი მის შე-
მქელად უნდა ვიცხაო, რასაკურენელია, ფრანგისლის ლიტერატურაში-

II

1820-იას წლებში, როგორც დატექატურული, ისე საზოგადოებრივი ნიადაგი სრულიად მჩად იყო საღირიკო პოეზიასთან გას. პირველი პოეტი ამ სანში ლამარტინი არის. უკანასკნელი დღეს აღმარტინის სიცოცხლისა უმძიმესი დღესი იყო მისითვის. უკალასაგან უკარიადებოდ იყო დატოვებული, უკელასაგან უარ-უოვოლია იყო; თითქმის ეზიძლებოდა ბერუჟაზის სახით დოკების. მსოფლი მოგადება მიდიოდნენ მის სახისაგად. და იმ კაცს, რომელისაც ერთს დროს სიფრასების ბეჭ-იღბალის სადაც უჭარა სელში და თავისის ხებაზე გასაგებდა თავისის ქვეუნის საქმების, თავისი სითქასთ საქმეები გერ მოუწერ. სოლო საზოგადოებისაგან კი სამეტანი სისასტიკე და გულ-გრილობა, ასეთი კაცი წოდებად იყოს და უკარიადების კი არავინ აჭრებეს. შეცდომა გის თავს არ არის და, რასაკირულია, იმსაც მიუძღვდა, მაგრამ ერთეულთვის მაიც ქეთილ-შესილი, სულ-გრძელი, თავის-უფლების მოუკარე და დიდებით მოსილი იყო. ცოდნა იყო ზიზღით უკრება იმისი... გარდა ამისა, არავის არ შეუძლიან სიქეის, რომ იგი არ იყო ერთი იმ საუკეთესო ორატორთა განი, რომელიც აშშენებდნენ სავარანგეთის ტრიბუნას. შეიძლება გვთავა იმაზე უფრო დასეღოვნებული, უფრო ორიგინალი პოეტი, მაგრამ თავისი დღეში კი არ გვეთლია იმაზე უფრო პოეტი, რადგან, თუ კი რამ არის პოეზიაში უძლესი და უმშეგნიერების, თუ კი რამ წარმოუდგენია კაცს პოეზიაში და დეკლავა, ესე ურევლივე ლამარტინის განასარწივიდა თავისი ლექსებში. ამ სიმაღლემდე მიაღწია მან ძაღლ-დაუტენებლივ, ბენერივე, მსოფლი თავისის ინსტრუმენტის, ასუ თავისის არსების შინაგანის კასთნების ზედ-მოქმედების შემწებით. ასე მიდის თავისის გზით მსოფლი დიდი მდინარე, მიდის წესარედ, მდორედ და ერთვის ზღვას. (გვ. 109 ტ. I) ამიტომაც მისმა პირველმა ლექსებმა (Méditations 1820 წ.) აღტაცებას და განცვიფრებაში მოიყვანა საზოგადოება. ამას მიზეზი არ იყო არც ლექსის სისხლე, არც ლექსის-წერბილებისა და რითმის ორიგინალობა. არა, შესანიშნავი

აქ ის დიდებულია ზე-შთაგონებაა, ორმდის ნაყოფიც იურ მისი ღე-ჭები. «თვის დღეში არც ერთს პოეტს არა ჭერია თვალი უფრო ნათლად მსედველი და უნარი გათვალისწინებისა უფრო ძლიერია და ჩინებულია (გვ. 117. ტ. I). მისი განსაკუთრებული თვისება ის იყო, რომ კერ ამსებრა უგანისა და გულგარულია, ერდებოდა სი-ბინძურების, საზიზდანისა, საწოდოებისა და დასაციხეულისა, არა - იურს ამცირს არ შეძლო მიმკით მისი უკარალება. არც კა ჭი-ნია, თუ არსებობს სიბინძურები, მხოლოდ სანდისხის მოუკრავს უკ-რია, რომ არის მაგნაირი რაზაც ქვეწად. მასი სამეფო ცას იქთ არას, დედმიწაზე სული ეს უოუბა და მსოფლი ცას საღრმეში ითქვამს თავისუფლად სულსა. დედმიწას მსოფლი სასიდისხან თუ წაკერძება უცაბედად, როგორც მიურინავი ანგელოზი თავისის ფრთით, და მაშინვე დაუბრუნდება თავის სამეფოულის, სადაც არ ესმის ტო-რალი და ღრუქება გბილთა და, თუ ესმის რამიე სმა ქვეწადსა, იძ-ლენად გაჭეროვნებული, რომ მის ნაზია და ანგელოზია გალობის მაჩვენე სმენასაც კა არ აწესებს, არ ესამუშება. მართალია, ამნაი-რად ცხოვრების სინამდვილე თავის ფერსა ჭიარგვას მის ნაწერუ-ში, მაგრამ არავერს არ აგრძელოს ამით, შირიქით, მშენიერის, ჭიდე-ბულის, სცეტავის სამოსლით იმასება. საუბრულიდ, ჩეკ კერ მო-გდებასთ კერც ერთს მაგლათს არა თუ დამარტინის ლექსებისას, გრან სისკბისას, რადგან მათი თავუმნა ჩეკს ქნაზედ არა გვაქვს და პროცედ გადმოცემის კერ გავაყდავთ, გერ გირეგორთებთ.

ლამირტინის ლექსებისა, გარჩევის დროს ბრუნეტერი შესება კრის საკითხებას, რომელიც არც ჩეკ შეგვიძლან უკურადღებოდ დაკტიოროთ.

რა შეადგენს საკუთხევის საგანია, ტემასა, ასე კოტეკო, სა-ლირიკო პოეზიისასი? პოლიტიკური თავისუფლება, ანა-და პატრი-ოტიმიდ არ შეადგენს დაულეველი წერტის სალირიკო პოეზიისა-თვისათ, ასეობს აკტორი, იმატომ რომ სისკ-და-სხეს ნამარად ამ ასერების გაგება შეუძლებელია. ისტორიის რომელსამე სასაში თა-გასუფლებაცა და პატრიოტიზმიც უკელას ერთხანობად ესმის. ამ იურ იმ სასაში მსოფლი ერთი დედა-ზერ ტრიალებს სამისაბლოოს განთავასუფლებია, თუ პოლიტიკური თავისუფლების შესახებ; სხვა

უკლა ჭი ამ დედა-აზრის გადაგვარებაა, მასი კონტაივაქცია, ყალბი და ცრუ წარმოდგენაა ამ აზრისა. ამიტომ ის თითქმის უკედას ერთხაირად ესმის და დექსინ ამგვარის შინაარსით ერთგვარი გა-მოდის. აკტორი სრულიადაც არ უარყოფის მას, რომ მშენიდვი პატრიოტული დექსები მოასოფება მსოფლიაო დატერატურაში, მა-გრამ პატრიოტიზმი ღარიბი წეროდ მაჩნია მსოფლი; ამ წერო-თი ბეჭის არ შეუძლიან სარგებლობათ. საუკეთესო ტემპით სადი-რიგო დექსებისა ისეთი საგნებია, რომელზედაც უკლას შეუძლიან თავისებური აზრი იქნიოს და რომელის შესასებ მართლაც რო-გაცი ერთხაართ აზრა არა აქვს. პატრიოტული აზრი ერთობ ნა-თელი და გასაგებია, აქ აცნებას ადგილი არა აქვს, საღირიერ დე-ქსებისათვის კი საჭიროა ისეთი ტემა, რომელიც, ცოტა არ იყოს, საიდუმლოებით მოცულია, ბუნდოვანია და რომელიც უფრო იწვევს პოტენციუალის-მოუკარებასა, აი, მაგალითად, სიყვარული.

თითქმის უკედას თავისებურად ესმის ეს გრძნობა: ერთსა ჰყანია, რომ ეს მსოფლი ჩვენი მსეურები გრძნობას დაკარული-დების სურვილია, რომ მსოფლი ერთი წუთის თავის-შესაქცევად არის მოღონილი, ერთი ღრი საათის დრო-გასაატარებლად არის კარგი, მერქ კა მოსაწენია. ასეთი აზრისათვის სიერულზე ანარეო-ნი, ჭრაციო, ბერასე. ზოგის, მიუსიერი და დე-ვინასა არ იყოს, მა-სნიათ იგი დღიერთოა და კაცთა ტირანად», საშანელ, მაგრამ თანაც სიანეტარო რამედ, სიცოცხლის მომწმლეველ და მასიაკე მომქადო-გებულად. ად. ჟავაშვილი არ ამბობს: «თუ ის (სიერული) კენების მიზეზია, დაქნაც არ მისგან გვიძლევას?» ზოგიერთს სიერული მიაჩნია იდევლად, რომელიც «აგამაღლებს», რომელიც გვაძლევს ძა-ლეს და ღონებს გვიორგენებს, გვამამაცებს, ათასსათვის გმარულსა და თავ-გასწირულს მოქმედებას გვაეისრებინებს, პრაგლის დიდებულს აზრს საგანერგოს. ამათ სიერული «უკდაგ გრძნობად» მაჩნიათ, რომელთა «გამოათქმა მოკვდავია ესის არ ძალებს». მათ გრძნობას «კერ დასდგას კაცთა სასედია». ეს ის გრძნობაა, რომელმაც «სულ-სა მოქმერა ცის ნიჭი ქვენად და თავის მებიად ჭემნა იგი მგრი-ნად!» იგი ღვთაებაა, რომელიც მგრისანი ამ დიდებულს მსსკეპტლუ-შესწირავს:

„შევიშრობ ცრემლსა, ჭირო მანელებელს,
„გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
„შევსწირავ სატრეფს, ჩემსა სალოცველს!

მე მგონია, საჭირო არ არის იმის გასსენება, რომ ეს მგონიანი ნ. ბართაშვილია. ამნაირად ქსმის ეს გრძნობა პეტრარკას და დაწეს. ხსნდისას სიუკარული გარდააქვთ სოლმე «შემნიდლიდან» «შემოქმედზე» და მაშინ იგი უკრძალული გარდიქმნება. ამ სიუკარულით შემოქმედიადმი ცნობილია არიან წმინდა ტერეზია და წმინდა ფრანსისა და სამიზი.

უწდა შენიაშვილთ, რომ ჩემს დირიგოსებსაც სიყვარული სულიერიდან უსულოზე გადააქვთ, მაგრამ უფრო კონკრეტულზე და ამიტომ უფრო საკრძნობია და გასაგებია. არ ვიწი, ზოგიერთი დაქვირთო. აკაკი წერეთლისა, ამ საუკეთესო შოუტისა ჩემს ცოცხადს დირიგოსთა შორის (მე სასეში მისი პატარა დექლები მაქვს), და ამ ზოგიერთი დაქვირთო შემსი ჭავჭავაძისა რით ჩამოუყარდება, მეტი რომ რა კონკრეტული დარტერატურის შესწიმებას დაქვირთოს ამავე საგანზედ? იგინი ამ დიდ სულიერს, ამ ერთს დიდ არსებას, ისეთის კნით ელაპირებებიან, თითქო ნაძღვილი, გულ-წარმტაცია და მომხსიბლეული სიტრიფ უსსდეთ გვერდით. რა შეედრება მათ ტანკებისა, მათ სასოწარეკებილებისა, მათ სევდასა, როცა ჭავჭავან, რომ მათი საყვარელი სახას ეალერსება და მათ ზედაც არ შექვედავს სოლმე! რომელი შოუტის სულას ჩამოუყარდება, თუ არ აყობებს, თ. აკაკი წერეთლის სევდა მის «დამართ ადმართა-ში», როცა მისი საყვარელი გულგრილები მიიღებს უოკელსაკე მის რჩევასა, მის სევწას, მის კედრებისა და როცა იგი უდიადესი სევდით მოცულია, დადგებულია თავ-განწირული და დადგებულია ტანკული და დაღმართ დაუუკება წიმ მაღით» და «საუკუნოდ სელ-დაგრეფით განსვენებას» ლამისი მისთვის აქ, ამ ქვეყანაში, რომელმაც ერთი წერის წის ისე ეშმაკურად მოხიბლა, «სიცოცხლე აგრძნობა», «სული და გვილი აგდებულია», რომელმაც ერთი წიმ აღიტაცა ისე, რომ კინდამ გვილში არ ჩაეტა მასა, ესლა აქ მისი მიმზიდველი ადამია.

დარჩენილა-რა და მცირებარის იქ, «სად ეჭიან ბარით, ნიჩით, კუბო-
თი და ლოდებით».

ხელი შოუტებისათვის სიუკარული არც საეპიკურეო, არც მტან-
კურელი რამე, რომელიც წევგასა და კუულებას უძლინიან; ეს სიუკარული
მათთვის თვით იდეალია, თვით შინაარსია ცხოველებისა. უძისოდ
მათი ცხოველია წარმოუდგენელია, იგინი მისთვის კი არ გამო
დინ საკუმირო სარიტუალიდა და თავის გასაწირადა, რომ თავისის
საუკარლისაგან დათნის გვირგვინი მიღიღოს. არა, მათთვის ამ
საუკარლი არსების გულგრილობა სატანჯველი. მათთვის სუუტებე-
ლია ამ საუკარლის იმისთვის ადამიანის სედი უკრება, რომელიც
«საწმილავში შარბათის ასმენი», რომელიც გარდებთ ეკალში იტენებს
და რომელიც ეშვით ათბობს და მეურ ისარით გულს განუგმირავს.
ამ საუკარლის მისი მომსილეებასაგან დასსისა, განსიადებულისაგან-
გნითავისუფლება მათთვის იდეალიც არის და გრძელ ამ იდეალამდე
მიმეკანი. მათი ტანკვა და სისარული მათ არის სასიმპატია და
თავისის საცემელი, რომ სოულიად უანგართა, სოულიად არ ემი-
ნეგათ, რომ გითომ უსდოდეთ თავიასთა ტანკვით იყოსტათას, იმი-
ცომ რომ წრთულის გულით იტანჯების და წრთველს გრძნობას-
ში გოსტაბისა და შრანჭებისათვის არა სცალიას. შირიქით, ამა
შექსედეო, რა სასიათის სიმტკიცეს იქნის შოუტი, რა სტრიკების
დიდებულებას ჭიშმობას, როდა «სალსში, ძალად ღრუბელის ადარებსა»,
«მოწყენით მტერს თავისს თავზედ არ აცინებს», რომ არა სიქვინ-
შაზედ: «რა ასერია!» მაგრამ კინ ჩაიხვდავს იქ, მის გულში, კინ
დაინასხავს, რა ტანკვა და წრმება ტრადების იქა, რა «შეწარტების
აღია» სწავას. დიდებულია ეს ტანკვა გულმიკედარი ადამიანისა, მათ
უფრო დიდებული, რომ არც შევი თვალების მოღრუბლებას გამოუ-
წევია და არც შირადი უბედურების გრძნობასა, იმიტომ, რომ «ვი-
დას ახსოვს თავისი სატანკა, თუ სატროულ ჭეავს იმ დროს
მს ცოცხალ-მკვდარი?» ეს ტანკვა ისეთი გრძნობის და სურვილის
გამოწევებია, რომლის დაკაულივილებისა და აღსარებულების უძიდო-
ბა ცხოველებისებული კი უარს ათქმევიებს შოუტს:

„და ღმერთს ვველრებ, ღმერთო, მომეცი ნება,
„რომ მეღირსოს საფლავში დაძინება.

„სჯობს, სულ განქრეს კაცი, რადგანც მტვერია!
 უამ ტანჯვისგან საფლავში დამიტაროს!
 „რომ ამ გულზედ მე მიწა დამეყაროს,
 უეგებ მაშინ სატრფომ იქ გაიაროს,
 უჩემს საფლავზედ ცრემლები დააღვაროს,
 „რომ სხვებმაც სოქვან: „ხედავ, რა მწუხარია!“

მაგრამ იქაც კი, საიქათსაც, თავისის საუგარელს კერ გაშორ-
 დება, იქაც იმ იმედით მიდის, რომ ოდესმე საუგარელი მის საფ-
 ლავს ცრემლებს დააყრის და თუ ამას თითონ კერ გაიგების, სისკე-
 ბი მაინც დაინახება და იტუვიან, ამ კარის ტანჯგაძი ტუგადად არ
 გაარა და ბოლოს მაინც ცრემლის ცრემლი გამოწვიათ. ან-და შეჭრე-
 დეთ მეორე შოუტის, რა საირის ესით ელაპარაკება თავისის ქვეუნდასა,
 «ჩემ კარგი ქვეუნდა, რაც ედ მოგიწუებიარი?» ისეთი გულ-უბრუკი-
 ლო, ისეთი წრიველი, გულ-ასდილი და გულ-ამოსეგნილი ბაასია,
 რომ გაეგორებო, რატომ «საუგარელი» აა ჩასწერა «ქვეუნდა» მა-
 გიერადა, განა შეიტლება ასეთის სამდგილის გატაცებით, ასე-
 თის სეკვდიანისა და იმედისა და ნეეგშის მომცემის ენით გაცმა
 თავისის სატრაუზედ შეტის კიმიე მიშმართოს? რა ტანჯვებას ჭიდნობას
 ეს შოუტიც, როცა მისი სატრივო «საგას თავს ეცლის, სეგას ეტრ-
 ივის» და ოვით «კი სწერების დღეს თავის გაჩერიასა», «აა იცის,
 სედ წაგადეს, ვის შესხივლის, ვის უთხრას, ვან გაუღებს დას-
 შელს კარის ბედასას?» მართალი უნდა კოჭებთ, ამ მსოიდან ჩემნა
 შოუტების ხისებული და დიდებ შესახიშნავი შექსოვა იტვირთეს
 როის გრძელობას, შატრიოლიზმისა და სიეგარულისა, ერთძანეთს
 შეადუღეს ისე, რომ უცხოსათვის ძნელი გასარსევია, რომელ გრძელ-
 ბას გრძესატანეს აკტორი.

დაუგბორულებეთ ჩემს საგანსა. ლაპარტიის კიდევ სსეა შესედუ-
 ლება აქეს: სიეგარულზედ. სიეგარულში დამარტიის, რესორსი არ
 იყოს, ღმერთით ეცხადება. საუგარელთა აზრი, სიტუა, თვალი, უუ-
 რი სულ იქითვეს არის მიქცეული, ვანც ჩაუსერგა ეს დიადი და
 ღვთაებივი გრძელობა. ლაპარტიისზედ ითქმის, რომ «ღმერთი იმი-
 ტომ სწავს, რომ სიეგარული შეეღლია». დაუსარულებელი სიეგარუ-
 ლი არის ის საიდუმლოება, რომელიც მისოვის დამსტეკიცებული
 საბუთია ღვთის არსებისა (L'immortalité).

მეორე ტემა სალიტერატურული შოუზიას არის ბუნება. რაიაკვირვებულია, ბუნების მოვლენათა კანონები უკედას ერთსაირად ესმის, მსოდნოდ ბუნების მოვლენასი სსკა-და-სსკა უთბოქედილების იწმევის, სსკა-და-სსკა გრძელების შეადგეს ამა თუ იმ ადამიანში. ნაზ-ბუნებიანი, გულ-ჩვალი გაცი, რაღაც კავშირს ჰქომის ბუნებასთან, ჰკომის, რომ რაღაც საიდუმლოს ამჟღავნებს სის ფოთლების შრიალი, კარსკვლეულ ციმციმი, მთვრის მკრთალი ნათელი. უოკელს პოეტი-ლირიკოსს თავისიერებით შესედულება აქვს ბუნებაზედ, თავისებურობდა, სსკა-და-სსკასათანად ჰკომის მის მოვლინებათა. ჭიუგოსა და დეკინის, ლამარტინისა და მიუსიეს გულში სულ სსკა-და-სსკა ნაირად აღიბექდება ბუნების ესა თუ ის სურათი. ლამარტინის ბუნება ნაზ-მურმანობიანე დედად, მჩერუნველ და მოუკარულ დედად მახსინა, ყოსელივე გიღალატებს და მოგატუუებს, ყოგელივე წესებადა, ბუნება კი მუდმივ ერთსაირად მოუკარულია კაცისა, ყოგელ დღე ერთსაირად უნითებს მზე. სიკედილის დროს ერთი რამ აწესებს მის გმირს (Jocelyn), აწესებს, სახელდღირ, ის, რომ მზის სხივები კედარ მოუალერისებს. ბუნება მისი ხუგეშია, კეთილის-მეოული ძალა; ბუნება ყოველთვის თანაუგრძელობს ჩვენს მსიარელებასა, განაუგეშებს ყამსა უბედურებისას (Le Uallon). ისიც სოდ პოეტისავით სან მწესარეა და სეკდიანი, სან მომციხერე და მხიარული. ლამარტინის კვეუფის შოერი, «კით მეგობარს შესტრფის» ბუნებას, «მის მწერულების საწუთოება აკიწყდება», და თითქოს ამნაირის სიტუაციით მიმართავს სოლმე:

„მთაო ცხოველო, ხან მცირნორო, ხან ცრემლიანო,
„ვინ მოვიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრო შვება
„არა იპოვოს და არ დაპხსნას გულსა ვაება,
„გზულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ლრუბლიანო!

„პოი, სალამოვ, მყუდროვ, სამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
„როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად,
„მწუხრი გულისა—სევდა გულისა—ნეგეშსა ამას შენგან მიღებს,
„რომ გათენდება ღილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განათლებს!

ამას ამბობს ჩვენი სასიქადულო პოეტი და, თქმა არ უნდა, რომ მასაც ლამარტინევით უგრძენია ბუნება.

ახლა სიკვდილზედ რაღა აზრისა ლამარტინი? გაგიგვირდეთ იქნება, რომ სიკვდილს ჩვენი სალირიკუ პოეზიის ერთს უმთავრესს ტემადა სთვლის, თუმცა სიკვდილი უკეთესათვის ერთია, თუმცა «მისგან უღველი გასწორდეს, სუსტი და მაღ-გულოვანი», მაგრამ გველა სისკა-და-სსკანძირად უცემის სიკვდილს. ლამარტინი მისნელს» უწოდებს და ისე ეცებება, როგორც კარგ მეცნარსა. სიკვდილი არ აშენებს, არ ჰითებს, რომ მასი სელი «ქაუნის დამშმაბელი სმლით აფექტილია», რომ მისი თვალი «ცბიურია» და შებლა ცხა-სტიკი. ჰარიქით, იმის აზრით, ღვთისაგან გამოგზავნილია უპე-დურების დროს, ჩვენდა საშეღაბდ, ჩვენდა მსისნელად ტანვგასაგან. ხიკვდილი კი არ აცემილებულის გაცის, რამედ ათავისუფლებს წევთის-სიკვდილის ტანვგასაგან. გიქტორ ჭრუგო სიკვდილს სუჯ სსკა თვალით უყურებს, საშაში და საშინელი რამ ჰითებს. მისი წარმოდგენა გაიაწმ-დებს საუკეთესო წევთებს ჩვენის სიცოცხლისასათ, ის გვამორებს ეო-შელიკებს, რაც კი რამ ძეირთებასთა ჩვენთვის, მეგობრებსა, ნათესავებსა და შოღლის სიცოცხლეებსაც, ამ საუკეთესო განმს გაცის ასებისასათ. დე-განისა და ბოლდებს კი თუ არ ეშინიანთ საკვდილისა, იმატომ, რომ სიცოცხლე მათის აზრით, სიტონ ჭველია, ჩაზიანდობდა და მასი მოშორება არაფრთდ არის სისკვდებით. მაგრამ ამათ ლამარტინისა-გათ სისტრარდ არ მაჩნიათ სიკვდილი. რადგან იყი აათარაობა» «ნიურგანაა», რომელიაც ჩაიმდება გაცი და დაძექრებულის უოკელისაგა გრძელებასა და საგანთა გათვალისწინების შესასა და უნარსა. სწო-რებ ამნაირი შინაარსის გამო არის საღლორიკო პოეზია, აკტორის აზრით, საფილისაოვო პოეზია. აქ ჭრება, რომ პოეტი უკველ-თვის 『საიდეითა』 (au-delà) შეჭრებს; სიეკარულში, ბუნებაში, სი-გვდილში ეძიებს მას, რაც ჩვენთვის 『მიუწიდომელია», ჩვენთვის მი-უსკვდრელია, ეძიებს მას, რის დანესხა, ან გაგონება, ან სელით შესება ჩვენთვის შეუძლებელია. მიზეული მიზეზის ძებნებს, და უსრულებე-ლის კეთილისაგან მასწავლებებსა, და უსრულებელის არსების ნატერა—ეს შინაარსია ფალოსოფიისა, ანუ უკედა კოქეათ, ფალოსოფიურის

პოეზიისა. ჩვენ გნახავთ დეკინის ლექსებში, რა სიმაღლემდის მა-
თლწაა ამ პოეტურის ფილოსოფიამ ანუ ფილოსოფიურია პოეზიამ.

ბოლოს დროს დამარტინს მუზიმ უდადასტა და თვითონაც
მას გაიტაცა პოლიტიკამ, რომ თითქმის სრულის უგუდებელ-უო-
ფით ისსენიებს თავისს ლექსებსა, მაგრამ ჩვენ ამსა არ უნდა მივ-
სედოთ. ჩვენ მხოლოდ ის უგვიძლიან ვთქვათ, რომ დაიდებულება
მისი ლექსებისა, თავისებური ფილოსოფიური შესედულება, რომე-
ლიც ისტრება ამა თუ იმ საღირივო ტემას განვითარებაში და რო-
მელთაც პირებელად იგი შეესო თავისს ლექსებში და მის შემდეგაც
დაუშრობელ წეაროდ არის გადაქცეული ეგეთი შესედულება პოე-
ზიის შინაარსისათვის,—უკელივე ესე საქმარა, რომ დამარტინი
მივიჩნიოთ საფრანგეთის ერთ უდიდებულესი პოეტადა, და ამა თუ
მარტინ საფრანგეთის პოეტად, არამედ მოელას ეკროპას საუკეთე-
სო ლირიკულსთა ამსანაგად.

ჭირა აბაშიძე

სახალხო პოეზია

და

მისი სახელამოგიო და სასცენო მნიშვნელობა

III *)

საზოგადო განხილვის შეძლევ, დაპირებისამებრ, მივმართოთ კერძოდ ქართულს სახალხო პოეზიას და განვიხილოთ მისი გარეგანი და შინაგანი ღირსებანი, რომ ჩვენი მსჯელობა უფრო ყოველ-მხრივი და საბუთიანი გამოვიდეს; დავიწყოთ ფორმაზე მსჯელობა ცოტა ზორიდან.

ყოველის ხალხის თავდაპირველ პოეზიას შეადგენს თვით მისი სიცემა, როგორც ფორმა შინაგან აზრ-გრძნობათა გამოხატულებისა. ბუნჩენი ენის პირველად გამოჩარხვას უწოდებს პირველ პოემდ მთელს დადამიწაზე¹⁾. მართლაც, სიტყვა არის ისეთი ორგანიზმი, რომელშიც არის მოთავსებული ათასი სხვა წვრილი ორგანიზმები. აქ არიან ერთად შეზავებული და ათას რიგად გადაკვანძული კაცის სული, კერძოდ მისი გონება, გრძნობა, ფანტაზია, სხვა-და-სხვა ხელოვნება: პოეზია, მუსიკა და სხვ. ამისათვის საკვირველიც არ არის, რომ ხალხის პირველ გონებრივ ნაწარმოებს — პოეზიას და ნამეტურ მის ფორმას დიდი კავშირი უნდა ჰქონდეს სიტყვასთან, რადგან სიტყვაც თავის-თავად ფორმა არის პოემისათვის. აქედან არის, რომ პირვან-

*) „მთამბე“ № 11.

¹⁾ М. Карерь.—Искусство въ связи съ общимъ разв. культуры. т. I. Введеніе. „Языкъ“.

დელი ხალხი რამდენადაც იმ საგანს სცემს თაყვანს, რომელსაც
შეეხება თავისს ნაწარმოებში—პოეზიაში, იმდენადვე კრძალვით
უყურებს თვით სიტყვასაც, როგორც საგნის შინაგან ბუნების
გამომხატველს. ამიტომ ხალხისათვის წინად სიტყვაც სათაყვა-
ნო საგნად იყო გადაქცეული. სიტყვას, ხალხის შეხედულებით,
დიდი რამ ძალა აქვს და მისი ასე თუ ისე ხმარება კაცის ბედ-
ილბალზე ჰმოქმედობს. სიტყვა, ოვიდის თქმით, „mare turbatum“,
„concreta flumina sistant“, ესე იგი მღელვარე ზღვას და გაშმაგე-
ბულს მდინარეს დააწყნარებს, შეაჩერებს (Metam. VII, 150.204).
სირბიელების თქმულებით ეშმაკს უნდა ეთქვა „ანოტრია“, მაგრამ
წამოსცდა „π ο τρητό“, ამის გამო თავი ვეღარ შეიკავა სირბილის
დროს და ჩირგვში ჩაიჩეხა. ჩვენში ასეთი ცრუ-მორწმუნება
არის გარეულებული. თუ ახლად გადაცვალებული მკვდარი ან
შეადარე, ან მიამსგავსე შენის მოსაუბრე ქალის, ან კაცის რო-
მელსამე გულითად საყვარელს, მესაუბრე დედაკაცის წყევლა-
კრულვას ვერ გადურჩები. „შორს, შორს, შორს იყოს! ამას-
ჯვარიწეროს! მის მოსვლა-მდის ნურა გეტკინა, შეიღო! გაგიხ-
მა ენა! ენამ არ გიყივლოს!“ გაიძახის იგი და თანაც აფურთ-
ხებს. ასეთი შეხედულება სიტყვაზე ყველა ხალხებს აქვთ, მაგა-
ლითებრ, გერმანელებს, სლავიანებს, მალორიუსებს და სხვებს²⁾).
შრავალ ველურ ხალხთა შეხედულებით, თუ ვინმე დასწყევლე
და ამავე დროს ახსენე იმის სახელიც, ეს წყევლა უსათუოდ
იმას მიუვა, უსათუოდ გასჭრის. ამისათვის ეს ველურნი ხალ-
ხნი ხშირად ავად-მყოფს სახელს უცვლიან; ეშმაკი, რომელიც
არის მიზეზი მისის სნეულებისა, ვეღარ მიაგნებს და ავად-მყო-
ფი მორჩებათ³⁾.

ასეთს ორიგინალს შეხედულებას რომ თავი დავანებოთ და
ისე დავაკვირდეთ სიტყვას და ხელოვნებას საზოგადოება და პოე-
ზის კერძოდ, დიდს კავშირს დავინახავთ მათ შორის, დიდს
მსგავსებას ვპოვებთ, რაოდენსამე საზოგადო მხარეს ვიპოვით,

²⁾ А. Потебня—„Мысль и Языкъ“ (Мин. Нар. Просв. 1862 г. ч. 114.)

³⁾ Тейлоръ—Доисторический бытъ народовъ и начало цивилизаций
გვ. 158.

რითაც ერთის მხრით მართლდება შეხედულება პირველ ხალხისა, რომელიც თავდაპირველად, როგორც პოეზიას და მას საგანს უცქეროდა ვითა საღმრაოსა რასმე, ისე უყურებდა სიტყვასაც; სიტყვა იმ დროს, ბუნზენის ან იუს, პირველი პოეზია, პირველი პოემა იყო მისთვის. პოეზიასა და სიტყვას ორი მხარე აქვს: შინაარსი და ფორმა, ეს ორი მხარე ისე ცხადად არის ხალხის ძევლ სიტყვიერებაში გარჩეული, რომ მათი არევ-დარევა და შეერთება არღვევს მთელის ნაწარმოების აზრს, მის გუნივრულ ბუნებას.

ამ საზოგადო მსჯელობას უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი მასაზრება, სახელდობრ ის მოსაზრება, რომ პირველ პოეზიას, როგორც არა ერთხელ ვოქვით პირველ წერილში, შეზავებული და შექსვილი აქვს მუსიკაც, როგორც მეორე მხარე იმავე სულიერის მოთხოვნილებისა. სახალხო პოეზიაში და აგრედვე იმ ნაწერებშიაც, რომელიც სახალხო სიტყვიერებაზეა დაფუძნებული, როგორც მაგალითებრ, პომიჩისის პოემები, ხშირად შეხვდებით დასურათებულს მგოსნებს, რომელნიც სხვა-და-სხვა ნაციონალურს ინსტრუმენტებს უკარენ და მღერიან ლექსის თხზვისა, ანუ თქმის დროს. ამასთანავე ის საზოგადო მოვლენაც არის შემჩნეული, რომ „რამდენადაც სახალხო ეპოსი ძველია, იმდენად უფრო თვალ-საჩინოდ არის გამოხატული კავშირი მოქმედ პართა და მუსიკალურ შესრულებას შორის.“⁴⁾. პომიჩისის გმირები ერთსა და იმავე დროს ლექსისაც ამბობენ, მღერიან კიდეცა, ინსტრუმენტსაც უკარენ⁵⁾ და კიდეცა თამაშობენ⁶⁾). ასევე რქცევა ფინნების ტიტანი ვენეიმენი, „Слово о полку Игореве“-ს ბოიანი, ასევე იქცევიან ბერძნებისა, ქართველებისა და ზოგ სხვათა „მასხარები“, თათრების „ყარაგოზი“ (შავთვალა), რუმინების „caragosis“ ფრანგების უანგლიორები, გერმანელების „spielmann“-ები, ჩვენი „ხუმარა“, „პამპულია“ და სხ. ⁶⁾.

⁴⁾ Θ. Буславъ—Народн. поэзія. 1887. Русский басгатирский эпосъ гл. XII.

⁵⁾ ibid.

⁶⁾ А. Веселовскій.—Разысканія въ области р. дух. стиха. VII, 128.

თუ ასეთი კავშირი აქვს პოეზიასთან მუსიკას, პოეზიის-თვის საჭიროა, მაშასადამე, მუსიკალური მოწყობაცა, ესე იგი მუსიკის შესაბამი ტეხნიკური მოწყობაცა. ამიტომ პოეტურ თხზულებათა უმეტესს ნაწილს აქვს თვისი ზომა (მეტრი), რომელიც გამოიხატება რიტმითა და რითმითა.

მაგრამ ეს ორივე კუთვნილება ყველა პოეზიაში არ გვხვდება. ისეთი პოეზიაც არის, სადაც რითმის თითქმის არავითარი ადგილი არა აქვს. ისტორიამ იკის რამდენიმე ასეთი პოეზია; მაგალითებრ: რუსებისა, ძველთა რომაელთა, გერმანელთა სახალხო პოეზია და დასასრულ ებრაული პოეზია. კერძოდ ამ უკანასკნელ პოეზიაში ყოველივე დამყარებულია არა რითმაზე, არამედ აზრის ლოლიკურ აწევ-დაწევაზე⁷⁾. მაშასადამე, რიტმი და რითმი, თუმცა პოეზიების უმეტეს ნაწილში მოიპოება, მაინც სახოგაღოდ პოეზიის უსაჭიროეს თვისებად, კუთვნილებად არ უნდა ჩაითვალოს. ზოგიერთ პოეზიაში, და განსაკუთრებით ებრაულში, მათ მაგიერ არის შინაგანი რითმი, ესე იგი აზრების შეწყობა, ანუ, უკედ რომ ვთქვათ, „წევრების პარალელობიში“.

თუმცა ჩვენს სახალხო პოეზიის არც რიტმი აკლია და არც რითმი, როგორც ქვევით დავინახავთ, მაინც ზემოხსენებული პარალელიზმიც ძალიან შეფერებული და შეთვისებული აქვს, რის გამოც არცერთის ხალხის პოეზია არ ატკბობს ყურს, სმენას თავისის მუსიკით, ხმების პარმონიული წყობილებით ისე, როგორც ჩვენი სახალხო პოეზია. ამის მიზეზი ცხადია. რომელ პოეზიისაც ერთი ზემო-ნაჩვენები თვისებათაგანი აკლია, ან ერთ-ერთი მხარე სძლებს მეორეს, ან სულ აძევებს, ესე იგი ან ფორმა ბატონობს და ან აზრი, იქ სრული პარმონია შეუძლებელია. ჩვენს პოეზიაში კი ამ თუ მხარეს შორის სუფევს სრული პარმონია, სრული განწყობილება. მაგალითად, ავილით ერთი რომელიმე ლექსი ქართულ სახალხო პოეზიისა.

⁷⁾ Труды Киевской Дух. Академии 1872 г. №№ 10, 11 и 12. „Ритмы и метръ евр. поэзии“ А. Олесницкаго.

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი მიწაზე გოგდება,—
ქალი რად გინდა უცხო მხრის:
დასნეულდება მოკვდება ⁸⁾).

როგორ მკითხველი ჰქედავს, ამ ლექსში სუფევს რითმამა, ბოლო მარცვლების შეწყობა, და სრული პარალელიზმიცა, ესე იგი სტროფა, რომელიც შესდგება ოთხის სტისისგან, განიყოფება შინაგანის მხრით ორ თანასწორ ნაწილად. პირველი ნახევარი სტროფისა ტყუილ-უბრალოდ არის მოყვანილი, თითქმის სრულიად არ უკავშირდება მეორეს. მართლაც სად მწყერის მიწასა და ხეზე არ-ჯდომა და სად უცხო ქვეყანა-ში გაუძლებლობა?! მაგრამ ეს განვებ არის ქმნილი. მგოსნის მიერ. ამ ღონსძიებით მან ჯერ თითქმის მოაწყო ჩანგი, და მერე ზედ დამტლერა ის სიტყვები, რომელთ გამოთქმაც უნდოდა. ამ ნაირად ჩნდება ლექსში აზრის დელვა, ტოკვა, რის გამოც რამდენადაც გამოთქმულს აზრს მეტი ძალა ეძლევა, იმდენად სტიხებში ჰარმონია ჩნდება და ყურს მეტად ატკბობს.

ან კიდევ ავილოთ:

სამთა ფრინველთა, მხარ-გრძელთა
ალგეთის მინდორ გაექნა;—
უძმოსა, უმამისძმოსა
ამირანს თავი მოექლა ⁹⁾).

მე წინ-წინ. გომბორზე მოვა,
შუქი ალავერდს ჩადგება,—
ადგილიმც დაილოცება,
სადაც თემურაშ ბრძნდება.

ზენ ბოკალიგოს თოვლი თოვს,
ქვენ ბოკალიგოს შრესაო,—
თინიბექ, შენსა ციხესა
მარჯვენა კუთხე სქდებაო ¹⁰⁾).

ზამთრივ ლობიო დავთესე,
გაზაფხულს გაშავდებაო,—
ბიჭმა რომ გოგოს აკოცოს,
მითომ რა დაშავდებაო?

⁸⁾ იხ. „ივერია“ 1892 წ. № 188.

⁹⁾ ფშაური ლექსში. 1887 წ. გვ. 106.

¹⁰⁾ ib. 156.

ეს პარალელურიზმი არის ორ-წევრიანი, მაგრამ არის პარალელურიზმები სამ-წევრიანი და მრავალ-წევრიანიც, რომელნიც შეიცავენ არა მარტო ერთს კერძო აზრს, ან ფაქტს, როგორც ამას ვხედავთ ზემო-მოყვანილ ორ-წევრიან პარალელურიზმებში, არამედ ამ ფაქტს აქ ემატება თავისს დასაბუთება და დასკვნაც.

მაგალითებრ:

თოვლი სთავს ბოროლანშია,
მზევ! რად არ ამოშუქდები?
ჩავო, რას დამყეფ, ყორანო,
განა შენთვისა ვსუქდები?
შინვე მიუვალ დედასა,
თუ ღმერთსაც არ მოყძულდები.

გაზაფხულისა პირზედა
შაშვემა დაიწყო გალობა;
ქორწილის გამხარებელო,
დავწვი ეგ შენი ქალობა,—
არ იცი თავისიანი,
თუ კი შეუტყე ფშავლობა!

ამ პარალელურიზმში ერთი წევრით მეტია. ამ მეტ წევრს პარალელურიზმში შეაქვს ახალი აზრი, რომელიც არის მეორე წევრის ან განმარტება, ან დასაბუთება და დასკვნაა.

სხვა პოეზიებში, მაგალითებრ, ებრაულში, გვხვდება პარალელურიზმები სინონიმური, ანტიტეტური და სინტეტური. პირველში აზრი არის გამოხატული პირველის სტიზით; ქვედა სტიზები კი იმეორებს მასვე ხან უცვლელად, ხან კი ვარიაციებით. მეორე პარალელურიზმი ხშირად არის არა-სრული, დაცალებული და ერთი მეორეს ისე ჰგავს წევრები, რომ ძნელი გასარჩევია. სინტეტურში კი ის შედარება, რომელიც მეორე მუხლშია, ამტკიცებს პირველ სტიზის აზრს¹¹⁾. ჩვენს პოეზიას ამ ზემო ჩამოთვლილ თვისებათა შორის შეუმჩნევია უფრო ორ-

¹¹⁾ ერცელი გამოკვლევა ამ საგნისა იხილე Keil. Lehrbuch der histor.-kritisch. Einleitung in den Alt Test. § 107.

წევრიანი და სრული პარალელიზმი. ხანდისხან კი სამ-წევრიანიცა და მეტ-წევრიანიცა შეეხდებათ.

თუ ზოგიერთ ხალხთა პოეზიის აქვს მხოლოდ შინაგანი რითმა, რითმა აზრისა, ან პარალელიზმი აზრებისა, ლექსის წევრთა, სხვებსა აქვს შინაგანი და გარეგანი ზომაც. სპეციალისტები ამბობენ, რომ არა ენას არა აქვს იმდენი სხვა-და-სხვა გვარი მეტრი, რამდენიც სანსკრიტულსაო¹²⁾. სანსკრიტულის შემდეგ მეორე ადგილს დაიკერს სპარსული. მაგრამ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიკოსებს რომ ჩვენი ენა სკოლნოდათ, ამ მხრით ქართულს დაყენებდნენ, თუ პირველს ადგილზედ არა, სანსკრიტულისა და სპარსულის შემდეგ მაინც. ჩვენს ენას აქვს თითქმის ყველა ის ზომა, რომელიც ამკობს ზემოასენებულს ენებს, ასე რომ ქართულისათვის და ქართველისათვის სანსკრიტულითა და სპარსულით რომელისამე პოეტურ თხზულების თარგმნა თითქმის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს¹³⁾. მაშინ, როდესაც, მაგალითებრ, რუსულს ენაზე იგივე თხზულება უნდა გადითარგმნოს პროზით, ან ესთიმოგით და ან სულ არა. ჩვენს ენაში კი შეგიძლია დაიცვა ყოველგვარი ლექს-წყობა ორიგინალისა. აქ თქვენ შეეხდებათ ათას რიგის წყობა ლექსისა: გმირული, ანუ ძაგლაკორული, რვული ანუ ეგროსული-

ამტკიცდა მარჯვენა მხარი
ამ შუა მარხვა დღესაო¹⁴⁾.

შეეხდებათ „ლექსი“, „წყობილი“, „სპარსული“, „შაირი“ და სხვა მრავალი¹⁵⁾.

რამდენადაც მდიდარია ქართული პოეზია ლექს-წყობის ზომებით, იმდენადვე ამშენებს და ამსუბუქებს ქართულს ლექსს რითმა. ჩვენს პოეზიაში თითქმის ერთი ლექსიც არ მოინახება ურითმოდ. უს გარემოება შედეგია არა მარტო ლექსიკონის

¹²⁾ Бокль—Исторія англійської цивілізації I. 1. 29.

¹³⁾ იხილე მაგ. ქილილა და დამანა.

¹⁴⁾ ეზაური ლექსები, 221.

¹⁵⁾ იხ. Историч. изображение Грузии. СПБ. 1802 г. стр. 89—49. შედარები დოდაშვილის წერილი, „ივერია“ 1890 წ. № 220 და 272.

სიმღიდრისა და ქართულის ზმნების ფორმების ურიცხვის სხვა-
და-სხვაობისა, არამედ შემდეგისაცა:

ყველამ უნდა იკოდეს, რომ ჩვენს ენაში არის მხოლოდ
ერთად-ერთი ბრუნვა, თუ იმ გრამატიკოსებს არ დავუჯერებთ,
რომელიც ამბობენ, რომ ქართულში ვითომც-და სამი ბრუნვა
უნდა იყოსო ¹⁶⁾). ჩვენს ენაში არა თუ მარტო სახელნი არსე-
ბითნი, არამედ ნაცვალ-სახელნიც, რიცხვითნი სახელნიც და
დასართავი სახელებიც ბრუნვებში იღებენ უცვლელად ერთსა
და იმავე დაბოლოებებს: ისა, სა, მან, ითა, თ და ზედ-ს. ეს
კიდევ არაფერი. ეს დაბოლოებანი არ იკვლებიან არა თუ მარ-
ტო მხოლოდითს რიცხვში, არამედ მრავლობითშიაც კი ისევ
ისე რჩებიან, რაიცა სხვა ენებში ძლიერ იშვიათია. ეს გარემოვ-
ბა ქართულს ენაში მეტი-მეტად ადვილებს ლექსის წყობის
საქმეს. რუსულს ენაში კი ასე არ არის, რადგან იქ არა თუ
სხვა-და-სხვა ბრუნვებში გვხვდება სულ სხვა-და-სხვა დაბოლო-
ებანი მხოლოდითსა და მრავლობითს რიცხვში, არამედ ერთსა
და იმავე ბრუნვაშიაც და ერთსა და იმავე რიცხვშიც კი ბევრ
ნაირი დაბოლოებანი გვხვდება. ავიღოთ, მაგალითებრ, ნათე-
საობითი ბრუნვა. შეიძლება პოეტს სურს ლექსში ჩამოსთვა-
ლოს სხვა-და-სხვა საგნები და ყველანი ნათესაობითის ბრუნ-
ვაში ამყოფოს. რითმას აქ მაინც ვერ მოახერხებს, რადგან ერთი
სიტყვა ამ ბრუნვაში მისცემს რჩ-ს, მეორე რჩ-ს, მესამე რა-ს, მე-
ოთხე რყა-ს, და ასე სულ სხვა-და-სხვა დაბოლოებას, როგორც
მხოლოდითში, აგრედავ მრავლობითში. ამნაირად უქიმონ და
თითქმის სეირიან პოეტსაც, შეიძლება, აერ-დაერიოს დავთარი.
ქართველს პოეტს ეს გაჭირების დღე არასოდეს არ დაადგე-
ბა, რაც უნდა სხვა-და-სხვა სიტყვა აიღოს, რითმა მაინც გა-
მოვა, რადგან იმ ბრუნვაში სიტყვის ყველა იმ ნაწილებს, რო-
მელიც იბრუნვება, ერთი და იგივე მარცვალი აქვს ბოლოში:

¹⁶⁾ А. Пагарели—О грамматическом литературах грузинского языка. СПБ. 1873 г. 38, 40, 44. ვართამის აზრით, ჩვენს ენაში 3 ბრუნვაა; იესე ჩუბინა-
შვილის აზრით—7; დოდაშვილისა და იოსელიანის აზრით—4; გაიოზის აზრით
კი—ერთი ბრუნვა უნდა იყოს. ის. 85, 98; ჩვენის აზრით, გაიოზის მეტი ყველანი
სცდებიან.

ჩემისა (ნაცვალ სახელი), კაცისა, (სახელი არსებითი), თეთ-რისა (ღასართავი სახელი), ურისა, ათისა (რიცხვითი სახელი) და სხვ. ამ რიგად შეგიძლია იქამდის აწყო რიგმა, საღამდისაც შენი ლექსიკონი წებას გაძლიერს. ამისათვის ამბობს სახალხო მგოსანი:

ლექსები ვიცი იმდენი,
ღიღმის მინდორზე გძელია;
თუ გინდა შინაც გაგატან,
მოგაწყვეტინო წელია¹⁷⁾).

შეორე პირობა, რომელიც ააღვილებს ლექსის თხზვის საქმეს ჩვენს ენაში არის ის, რომ წოდებითს ბრუნვაში, უმეტეს ნაწილს სიტყვებისას აქვს დაბოლოება „ო“, აქედან წარმოსდგება ის მოვლენა, რომ, თუ სამ-მარცვლოვან და ორ-მარცვლოვან რითმის ვერ მოაწყობ ლექსში, ერთ-მარცვლოვანი მაინც უსათუოდ გექნება. მოაწყვები და იტყვი:

. . . . ჩემთ!
. . . თეთრო,
. . . ცულო,
. . . ბნელო და სხვ.

ასე შეიძლება ისარგებლო სხვა ბრუნვებითაც, მაგალი-თებრ, მოქმედებითის ბრუნვით. ამისათვის ჩვენს სახალხო პოე-ზიაში ხშირად შეხვდებით ლექსს, საღაც ყოველი სტისი თავ-დება „ითა“-ზე.

ზამთარი ვნახე დაცდილი,
წიკო გამადის ჩვენითა,
შავეთში საღამ ჩავვარდი
ჩემის მიმინო ცხენითა,
ათამაშებდა ყურებსა,
გაკვებულ იყო ქერითა...

მესამე მიზეზი ჩვენს ენაზე ლექსის თხზვის სიაღვილისა არის ის გარემოება, რომ ლაპარაკში სხვა პირის სიტყვები,

¹⁷⁾ იხ. «ივერია» 1892 წ. № 136.

ჩვენ მიერ გადმონაცემები, გამოიხატება ერთაუ-ერთი ასო-
თი, სახელგობრ „ო“-თი. ამა და ამ კაცმა ასე მითხრაო, ვერ
წამოვალო და ასე მააყოლებ სტიხების ბოლოში:

ქნაო,
როო,
მზაო,
გზაო და სხვ.

მაგრამ ამ „ო“-ს ხშირად სახალხო მკოსანი და ჩვენი ბე-
ლეტრისტებიც სრულებით უადგილოდაც ხმარობენ ლექსის
სიაღვილისათვის. ზევით ვთქვით, რომ ასეთი ღაბოლოვება
იხმარება ერთი მაშინ, როცა სიტყვა წოდებით ბრუნვაშია და
მეორედ—როცა გაღმოსცემ მესამე პირის სიტყვებს. ჩვენ სა-
ხალხოსა და ხშირად ხელოვნურ პოეზიაშიაც შეხვდებით ლექსის,
სადაც „ო“ არის და ზემო-მოხსენებული პირობანი კი არ არის
დაცული.

ნეტა, ქება როგორ ითქმის
ამ თბილის ქალაქისაო... ¹⁸⁾

მობრძანდი ქრისტეს მარხვაო,
რაჭი ვერ დაგიხვდებიო (?!).

კახეოში ფუნჩალ ჯამბსული
ათეთრებს შუბის ტარსაო;
ოთხითა ჭედავს ლურჯასა,
გახედავს ბორბლის მთასაო.
ვერ გაღივლისა ლურჯაი,
ვერ მოჰკიდებსა ნალსაო,
ქარსა მაულის ბინასა,
ვერ დავავლება თვალსაო ^{19).}

ამ ლექსებში „ო“ ბოლოში სრულებით უადგილოა და
ეს უადგილო „ო“ გვხვდება არა მარტო სახალხო პოეზიაში,
არამედ ხელოვნურ ლიტერატურაშიაც. მაგალითად:

ეო, მეო, აქეთ მომხდეო ^{20).}

¹⁸⁾ დ. ჩუბინაშვილი—ქრისტომატია, II, 180.

¹⁹⁾ „ივერია“, 1887 წ., № 170.

²⁰⁾ დ. გურამიშვილი—დავითიანი. 1881 წ. გვ. 117.

კაცი ხარ კაცად შობილი
კაცი გიყვარდესო,
გაჭირვებულსა უშველევ,
სადაც უჭირდესო...²¹⁾.

იტყვი: „დამდნარა, ყოფილა მხნეო...“
ალარ იტყვი კი: „დამივიწყეო...“²²⁾.

რა ვარსკვლავი, რა ვარსკვლავზედ, ჩვენ დაგვებადაო,
დედამ ღმრთისამ, მოწყალებით, ჩვენ გადმოგვედაო²³⁾.

ვუუცავ, მე არვინ მიხილავს, რომ არს შვენებით ანაო,
მთვარესა ეზრახებოდა, მუნ ეერ ხარ ჩემისთანაო,
ვარსკვლავნი მუდამ სამონად გარს უდგნენ თანის-თანაო,
და მხილველნო, დაგვემოწენით, კარგი ყოფილა განაო²⁴⁾.

როგორც ვთქვით, ამ მაგალითებში „ო“ მაინც და მაინც
არასა შეელის საქმეს. მაგრამ, როგორც ყველასგან შეთვისე-
ბული და შეყვარებული ფორმა ქართულის ლექს-წყობისა, იგი
უნდა დარჩეს ისევ თავისს ადგილზე და დარჩება კიდეც.

მეოთხე პირობა ჩვენის ლექს-წყობის სიადვილისა არის ის,
რომ დამხმარებელი ზმინა მესამე პირში „არის“ ხშირად მოკლ-
დება და გადიქცევა „ა“-თ. ეს აძლევს მგონანს საშუალებას,
რაც უნდა დიდი ლექსი იყოს, სულ ეს ერთი რითმა „ა“ გა-
გამოიყენოს ბოლოში, მით უმეტეს, რომ ჩვენის ზმინის ზოგი-
ერთი ფორმებიც ხელს უწყობს აქ პოეტს თავიანთი დაბო-
ლოებით, რომელიც ძალიან ჰგავს ზემო-მოყვანილს დაბოლო-
ებას. მაგალითებრ, ეს ორი დაბოლოება არეულ-დარეულია ამ
ლექსში.

ჩვენ კორდზე ერთი ველია,
ია დვას, ვარდი ფენია,
კოშკი დგას მარმარილოსი,
ცას წვერი მიუბჯენია.
შიგა ზის ქალი ლამაზი

²¹⁾ ი. დავითაშვილი. 1890 წ. გვ. 3.

²²⁾ ჩ. ერისთავი. 1882 წ. I. 54.

²³⁾ ibid. 80,

²⁴⁾ ბესიკი. 1885 წ. გვერდი 29.

ლერწამ-ტან—თმა-გიშერია.
ბრიალის გულ-მკერდა—ღაბაბა,
პირი თმისაგან ბნელია,
გული მტრედია უმანქო,
ღონით ვეფხვი და ლომია...²⁵⁾).

ამას გარდა სახალხო პოეზიას აქვს ლექსებში რითმა სულ „იაო“, „აო“, „ითაო“, „ათაო“, „იანი“ და სხვა ათასგვარი, არა მარტო ერთ სტროფაში, არამედ, როგორც ზევითა ვთქვით, მთელს თხზულებაშიაც. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ რითმა ეწყობა, ენის სიმღიდრის წყალობით, არა მარტო ერთს და ორს მარცვალში, არამედ მთელ სიტყვებშიაც კი.

მაგალითებრი:

ავთანდილ გადინადირა
ქედი მაღალი ტერანი,
ვერც მოკლა ხარი, ვერც ფური,
ვერცა იჩემი რქიანი.
ნახტომსა შეველსა. გვერდსა ჰკრა
ისარი ორ-შენრიანი.

და ასე ქვევით. ან შესცვლის მგონანი ამა თუ იმ დაბოლოებას და ისევ ისე მოაწყობს ჩანგს, მაგ. ახალის სიტყვებით: ძლიერი, საძოვარი, მომავალი, აფთარი; ჩქარათა, მარდათა, ფარათა, მხარათა, შავათა და სხვ.

ასეთსავე მაგალითს ვპოვებთ პროგანსალების პოეზიაში და შუა-საუკუნოების ზოგიერთ სასულიერო პირების პოეზიაშიც დასაყლეთ ეკროპაში. აქ შეხვედებით მთელს თხზულებაში:

bibo—cibo
mori—ori—chori
sterben—faerhen
pascor—vascor
nectus—inictus²⁶⁾.

ასეთი გავლენა ენასა და პოეზიაში მომასწავებელია მათის მეტის-მეტის განვითარებისა და გვხვდება იგი მხოლოდ განვი-

²⁵⁾ „იუერია“ 1892 წ. № 128.

²⁶⁾ M. Карьеръ—Искусство. III, 437.

თარებულს პოეზიებში და სახელმოვან პოეტების ნაწერებში, როგორც, მაგალითებრ, „ვეფხის-ტყაოსანში“, ქართულს სახალხო პოეზიაში, ბაირონისა და ჰენრი ნაწერებში²⁶). სუსტ პოეტებს კი ერთიანად იმავე რითმის შედგენა მთელ თხზულებაში კი არა და ორ სტიბშიაც კი ძლიერ უჭირთ, მაგალითად, რას ჰგავს?

ეს მოკლე სიტყვა ჩვენს ცხოვრებას ღრმათა სახსავდა და ჩვენს მწარე სვეს ჩვენსა თვალსა წინ უსახსავდა (?!)²⁷).

ჩვენ ამნაირად ვუჩვენეთ, თუ რარიგად ადეილია, ქართულის ენის სიმღიდრის წყალობით, ქართულის ლექსის თხზვა. ამიტომ ძალიან მოკლებული უნდა იყოს კაცი პოეტურს ნიჭს და ქართულის ენის ცოდნასაც, რომ მან რითმა ვერ მოაწყოს ორ სტრიქონში მაინც. მდაბიო ხალხს, როგორც მისი სიტყვი-ერებაც გვიმტკიცებს, სრულებით არ ეძნელება მელექსეობა, რითაც ცხალად გვიმტკიცებს, რომ იგი არის ამ შემთხვევაში პოეტურის ნიჭით შემული და მაგალითი მათთვის, ვისაც პოეტობა მოსწყურებია და მუზა კი ნაკლებად სწყალობს. ყოველს გართობასა და ღროს-გატარებაში, ყოველს ბაასში ჩვენი გლეხები ეჯიბრებიან ერთმანეთს მელექსეობაში; ამის გამო წარმოსდგა ერთი ფორმა ჩვენის პოეზიისა — „ზმა“, რომელშიაც ასე სახელ-განთქმული იყო ჩვენი დავით გურამიშვილიც. ასეთი მისი მოწინააღმდეგენი გაჭირვებისაგან „კოტით ძარს დასცემ-დნენ ქუდას“. დღესაც გლეხი, როცა გამხიარულდება, ან ლვინით ზარხოშდება, გაებაასება თავისს ამხანაგს და მელექსეობენ თავიანთ ცხენზე, ხანჯალზე, ცოლზე, ნაღირობაზე, ომში გამოჩენილ მამულიაზე და სხ. ამ ნიჭს ხალხი იჩენს აკროსტიბ-შიაც, ანუ კიდურ-სიტყვაობაში, სადაც ან პირველი, ან უკანასკნელი სიტყვები, ან მარცვლები სიტყვებისა დაწყობილია ანბანზე. ერთი გლეხი თითებზე სთვლის „ან“, „ბან“, „გან“, „დონ“... მეორე, მისი ამხანაგი კი ამ ანბანზე აწყობს ლექსებს. ეს თვისება ჩვენს პოეზიას უკავშირებს ებრაულ პოეზიას, სადაც,

²⁶⁾ „თამარ ღაზნელი“, გვ. 9.

(მაგალითებრ, „გოდვა იერემიასი“, „იგავთა“ 13 თ., ფს. 24, 188 და 144²⁸⁾ აკროსტიხებს ფართო ადვილი უჭირავთ.

ამნაირად ჩვენი სახალხო პოეზია თავისის ტეხნიკურის მშვენიერებით და შესანიშნავის განვითარებით არა თუ ხელოვნურს ბელეტრისტიკას არ ჩამოუვარდება, არამედ მის გვერდით სდგას და ხშირად მისთვის მაგალითობის გაწევაც შეუძლიან. ამისთვის საკვირველი ის კი არ არის, რომ პოეტმა ამ წყაროს მიჰმართოს, მგოსანი ამ წყაროს დაწაფოს, როგორც მოიქცა კოლცოვი, შოთა, ვაჟა-ფშაველა და სხვები. საკვირველი და სამწუხარო ის იქნება, თუ ნიკიერი პოეტი ასე არ მოიქცა, ესე იგი თუ პოეტი ვერც თეოთონ სწევს წყაროობას და ვერც მიმხვდარა, თუ სად აიჩინოს ასეთი წყარო თავისის გზისათვის, ჩაჯდება კაბინეტში და, ვინ იცის, რამდენს აფლსა პლვრის ორის პწყარის შეთხვებისათვის?

რომელ პოეტს შეუძლიან ჩვენს სახალხო მგოსანს გადააჟარბოს ლექსის მშვენიერებით, გაშალაშინებით? რომელი პოეტი დაიწუნებს ამ ლექსებს, მაგალითებრ:

ავთანდილ გადინადირა
ქედი მაღალი ტყიანი...

—
თამარ-მეფე და ხონთქარი
მაღალმა ლმერთმა წაჰკიდა...

—
აღსდევ, გმირთ გმირო, ნუ გძინაქს...
და სხვას მრავალს ამისთანას.

მაგრამ ამით არ თავდება ქართულ სახალხო პოეზიის ფორმალური ლირისება და მნიშვნელობა ჩვენის ბელეტრისტებისათვის. უმთავრესი და კიდევ უფრო სამაგალითო ლირსება ჩვენის სახალხო სიტყვიერებისა არის მისი შოგტური მხარე.

პირველი კაცი ბუნების შვილია და მეგობარი. ესევე ითქმის უველა მდაბიო ხალხზედაც, რომელიც ისევ პატრიარ-

²⁸⁾ v. Keil. Lehrbuch der historisch. kritisch. d. Alt. Test. § 107; უკანასკნე—Труды Кіев. Дух. Акад. 1872 г. №№ 10—12.

ქალურს მდგომარეობაშია, და, მაშასადამე, ბუნების შეილია და მოსაუბრე. მდაბიო ხალხი მუდამ ან ტყეში, ან წყალში სდგას, ან მინდორში იმყოფება, შესკერის მთვარიან ღამეში ნორჩ მდელოს, ფრინველებს, ცხოველებს, და სცხოვრობს მათთან ერთად. მის გამო ბუნების ყოველი მოვლენა, ასე თუ რსე, ბეჭედს ასვამს ყოველს მხარეს გლეხის ცხოვრებისას და კერძოდ მის გონებრივ ნაწარმოებს, მის პოეტურ ნიჭის მოქმედებას, შემოქმედებას, შეხედულებას, მის აზროვნობის სახეს ²⁹⁾.

თუ ბუნების საზოგადო კანონი ასეთია, რალა თქმა უნდა, რომ საქართველოში უფრო უნდა გამოიჩინა აშ კანონს თვისი ძლიერება და გავლენა კაცზე. დედამიწაზე ცოტა მოიპოება ისეთი ადგილები, სადაც ბუნების სიმშევნიერე, სილამაზე, სინაზე, სიკეკლუცე და პოეზია ისე იყოს შეკრებილ-შეზავებული, როგორც ჩვენს საქართველოში. მრავალ პოეტს შეასხა ფრთები კავკასიის ბუნებამ; მან ჩაუდგა სული პუშკინისა და ლერმონტოვის მუზას. კავკასიის მთები აღამალლებს ფანტაზიას, აღაფრთოვანებს ადამიანის სულს. ჩქერებარე მდინარენი და ნაკადულნი გარშემო მწვანედ მობიბინე მინდვრებით, დაბურულ ტყეებით, ზურმუხტ მდელო-ყვავილებით, დაულალავ და გულის მომხიბლავ მგოსნებ-ბულბულებით ვის არ გაუღვიძებენ გრძნობას, ესტეტიკურ გემოვნებას; ვის არ მიჰფენენ ციურს მადლს და უნებლივდ არ ააღაპარაკებენ, ნამეტურ მაშინ, როცა ჩვენებურ მდინარეთა „ზეირთებში ჰკრთის ლაუვარდი ცისა კამარა“!?

„თუ მართალია,—ამბობს მიტროპოლიტი ევგენი ბოლხოვიტინი,—რომ ბუნების უზარმაზარი გრანდიოზი საგნები აღძრავს და დაპატივებს მგოსნის ნიჭს, სად უნდა დაბადებულიყო გენიოსობა პოეტისა, თუ არა საქართველოში, ამ ყველა ქვეყანაზე უფრო მომხიბლავ ქვეყანაში, რომელიც ყველა ქვეყანაზედ მეტად ჰგავს ძველი საბერძნეთის თესსალიას?! მაგრამ თესსალიაში მხოლოდ ოლიმპია, საქართველოში კი მრავალი თვალ-ძიუშვდენელი.

²⁹⁾ ა. Гумбольдтъ--Картина природы (Ans. der Natur.) I. 166. Бокль—Ист. англ. цивилизаций I. 1. Відпові физич. законовъ на чоловѣка и его жизнъ. стр. 29.

ოლიმპი უახლოებს ერთმანეთს ცასა და დედამიწას. იქ მხოლოდ პირების მთები გახადა მუზების ბინაფ; აქ კი ათასი პირების მთებია, უფრო მიმზიდველი, ვიღრე მთები თესსალიისა. იქ მხოლოდ ერთი ჰელიკონი გადმოაჩქენებდა გაგიუებულს იპპოკრენს, აქ კი რამდნიმე შდინარე მოსჩქეფს მთებიდან. აქ ერთი-მეორეზე უეწოლილი მთები და კლდეები. ენით გამოუთქმელის სიცხადით გაგონებს სახელოვანს არაյს გიგანტებზედ, რომელთაც სურდათ ცაში ასასვლელ კიბედ გამხდარიყვნენ და რომელნიც დაიმარხნენ მის ქვეშ. აქ (საქართველოში) ყველგან უეხვდები, ჰორაციოს თქმისა არ იყოს, ზეფირებისგან გაგრილებულს მინდორთ, რომელნიც უფრო მომხიბლავნი არიან, ვადრე მინდორნი თესსალიისანი. აქ, თანხმად ჰორაციოსი, მრავალი პენეება გამოვჭებს მაღლოვან პინდებიდნ და მთა-გორაკთ შუა მიიკლავნებიან აქაფებულ ზეირთების ზეირთებზედ მსროლელნი, მიიკლავნებიან იმ მთებ შუა, რომელნიც მოფენილნი არიან ნაზის შევანეთი და თითქოს ხელით დარგულ ხეობებით. საღაც არიან მგრძნობიარე არსებისთვის წინ გაშლილნი ბუნების ასეთი სურაონი, ნუ თუ ძნელია, რომ იქ დაიბადნენ თეოკრიტები, ტიბულები, პროპერციები, პეტრარკები?“³⁰⁾).

აი ნამდვილი სურათი კავკასიის ბუნებისა! გასაკეირველია განა ამას შემდეგ, ევგენი მიტროპოლიტისა არ იყოს, რომ ამ ბუნებამ გაჭხადა ქართველი ერი მუდამ მხიარული, მომდერალი, მოცინარი, ლალი, მკვირცხლი და სიცოცხლით საესე არსება?! ქართველი ხალხი ნამდვილი მგოლანია. ამ ხალხისათვის, მის ზემო-აღნიშნულ მდიდარ და განვითარებულ ენის შემწეობითაც, პოეტობა, მგოსნობა, ლვინის, ქალის, ბუნების შემკუბა სულ აღვილი რამ არის. აქედან უნდა წარმოსდგებოდეს ის საკეირველი მოვლენა ჩვენს სახალხო პოეზიაში, რომ აქ მჯოსნად, ხალხის ორლანდ, მის აზრების და ზნე-ჩვეულებების გამომხატველად გამოდიან შემოქმედობის ნიჭით შემკულნი არა მარტო მამაკაცნი, არამედ დედაკაცნიცა. ზოგიერთს პოე-

³⁰⁾ Историч. изображение Грузии 1802 г., стр. 83—85.

ზიებში ქალი ძალიან ნაკლებს მონაწილეობას იღებს, ამ სფერაში მომქმედი როლი თიქმის სრულებით არ ეკუთვნის. თუ არც ქალი მომქმედ-თაოსან არსებად დასურათებული, არის უმეტეს ნაწილად მარტო მითოლოგიაში, როგორც წარმომადგენელი ტიტანების დროის, კოსმიურის ელემენტისა, საფიზიკო კანონების მოქმედებისა. ამისათვის ჩვენის სახალხო პოეზიის განხილვას კაცი განცვიურებაში მოჰყავს. კითხულობს კაცი ხალხის ძველ ნაწარმოებს და არ სჯერა, რომ დედაკაცს ასეთი თვეით-მოქმედების ძალა გამოეჩინა ჯერ იმ ადგილას, რომელსაც აზის ნაწილი ჰქვიან, და მერე იმ ხალხში, რომელსაც მთელი აზია მისის დესპოტიზმით და დედაკაცის ცხოველებთან გასწორებით გარს ეხვია 25—30 საუკუნის განმავლობაში. მაგრამ რას პხედავს თვისდა სანუგეშოდ? მთელი ხალხი მღერის და ჭიკჭიკებს: მღერის ბერი, ყმაწვილი, ქალი, კაცი, მიჯნური, ბედნიერი, ბედისგან დამწვარი! მამაკაცთა შორის დედაკაცი გამოდის შემოქმედობის ძალით აღჭურვილი და სირინოზის ხმით აწკრიალებს მშვენიერს ლექსს! მას მუზა ისევე სწყალობს, როგორც აქტივურს არსებას—მამაკაცს.

მაგალითებრ, მამაკაცი ასე უცქერის თავისს თავს, როცა მგოსნობს:

ამა ქართულის ნათქომი
ერთი ხევსური ვარია;
ვამ გამიწყრეს ბატონი,
გაჯვარდეს დედოფალია.
ქართული მე მოვიგონე
მეოუ ერეკლეს ცდისაო,
თუ გინდ გამიწყრეს ბატონი,
იქნების ჩემი ჭკვისაო...

ან კიდევ:

სულ ასე ვილაპარაკებ,
არ დავაყუნებ ყბებსაო... და სხვ.

მაგრამ ასევე უცქერის იგი დედაკაცსაც:

აი ლალები, ლალები,

მიმართავს მგოსანი თავის მიჯნურს,—

შავარდენს გიგაფს თვალები,
კი ლექსები გამოთქვი,
ჰენს სიყრმეს ვენაცვალები!

აქედან ვგონებ ის აზრი შეიძლება დავასკვნათ, რომ თვითონვე ხალხი უცქერის ქალს არა მარტო როგორც პოეტს, არამედ როგორც თავისუფალს არსებასაც.

მაგრამ არც თვითონ ქალი ჰმალაჭას თავისს პოეტურ მოწოდებას. მას თავიც კი მოაქვს ამ ციურის მოწოდებით:

მაგა ლექსისა მოთქომი
ხევსურის ქალი თმიანი

ამბობს იგი თავის მოწონებით:

მოგივიდოდი, თორლვაო,
არ ვიყო კეთილიანი. ³¹⁾
სახელად მქიან თამარი,
ეგრე თიკუნად ლელია,

განაგრძობს იგი:

შენთანამც მომცა სიცოცხლე,
შენთანამც მომჭრა ყელია...

ამ ნაირად სალიტერატურო ასპარეზზე გამოდიან ყველანი გაურჩეველად სქესისა და წოდებისა. მღიდარმა გარეგანმა ბუნებამ და შინაგანმა ნიჭიერებამ ყველას აღუძრა შემოქმედობითი ფანტაზია და უნებურად აალაპარეკა. მგოსანი ჩვენს ქართულს სახალხო პოეზიაში, როგორც არაბულში³²⁾, მოგვითხრობს ამპარტავნულად, თუ როგორ გაეჯიბრა ვისმეს, ან გაქცეულს მტერს როგორი ლექსები მიახალა ზურგში, ან როგორ დასცა მიწაზე და ზურგზე დააწერა სამარტვინო ლექსი!...

თუ მგოსნობის ნიჭი მას ასე შესწევს, უკველი უნდა იყოს, რომ მის პოეზიასაც უმაღლესი ესტეტიკურის შშვენიერების ბეჭედი უნდა ჰქონდეს დასმული. ასეც არის მართლა.

³¹⁾ ფშაური ლექსები, 63.

³²⁾ კარევა—Искусство. III, 105.

ეს ესტეტიკური მშვენიერება ჩვენ სახალხო პეზიას, პირ-ველად, იმაზედ ეტყობა, რომ აქ მგოსანი თითქმის არას ამბობს შეუდარებლად, ისე, თუ მაგალითი თვით ბუნებიდან არ ამორ-ლო, თუ საბაბად ის საგნები არ გაიხადა, რომელიც გარს არ-ტყია. ყოველი სურათი, პეზია, შემთხვევა, საგანი—ეს ყო-ველივე მგოსნისათვის საბაბია, რომ ან ტკბილი საუბარი გა-ჰმართოს, ან მშვენიერი სიმღერა ჩაწერიალოს, ან საყვარელს გაულიმოს და ან, ბოლოს, გულის დარღი მაინც გამოჰატოს. ამისათვის ამ პოეზიაში შეხვდებით ხშირად სურათებს ბუნებისა და ცხოვრებისას, შეხვდებით იდილიურს სცენებს. მგოსნისა-თვის სულ ერთია, საიდან არის ამოღებული სცენები, სურა-თები—კაცის ცხოვრებიდან, თუ ფრინველებისა, ან ნაღირების ცხოვრებიდან. როცა გულზედ ეჭიდება რამ დარღი, რომელიც სულს უხუთავს და ამის გამო უჭირს თავისი შინაგანი მდგო-მარეობის გამოხატვა, რომ სხვასაც განუზიროს მწარე ფიქ-რები, მგოსანი მიმართავს გარეგანს საგანს, რომ ამ მაგალი-თის შემწეობით გითხრას: „აი შეჭედე, აი ასეთივე ამბავია ჩემს გულშიაცაო!“ მაგალითებრ, ვთქვათ მგოსანს გულს უდა-გავს მიჯნურობა და ამავე დროს სიყვარულის საგანი დაჰკარ-გვია, ვეღარ უპოვია. გულ-სევდიანი სდგას მარტო, შესცეკრის და შესტირის შთასა და ბარს. ამ დროს მოკვრავს თვალს ცაზე მოსრიალე შავს ლრუბლებს და აი რას ჩაგონებს ეს ლრუბ-ლები მგოსანს:

ბოროლას შავნი ლრუბლენი
ორსავ კუთხივა ჰქრიანო,
უსარის, ერთმნეთისას
შაყრას ძლიეს მოელიანო;
როდესაც შაიყრებიან,
მანანას ჩამოყრიანო...

ან მგოსანი ვერ ჰბედავს პირდაპირ შეეხოს იმ წმიდა სა-განს, რომელიც არის მიზეზი მისის ტანჯვისა. იგი ამ შემ-თხვევაში იწყებს შორიდან და თან-და-თან უახლოვდება:

ჩვენს კორდზედ ერთი ველია,
ია დგას ვარდი ფენია,
კოშკი დგას მარმარილოსი,
ცას წვერი მიუბჯენია,
შიგა ზის ქალი ლამაზი,
ლერწამ-ტან, თმა-გიშერია³³⁾).

ან, კიდევ, მოსანი გაუტაცნია ოომელსამე ბრწყინვალე
შოვლენას, ან შემთხვევას მის წარსულ ცხოვრებისას, მაგალი-
თებრ, იმ ფიქრს, თუ ამა და ამ დროს, რა სეირი პნახა ნადი-
რობაში. აგონდება ამ დროს გამოჩენილი თავისი ვაჟკაცობა,
სიმარდე. მაშინვე ითვალისწინებს თვის მიერვე ნახულს სცე-
ნებს ნადირების ცხოვრებისას და ყოველ ამისაგან აღფრთო-
ვანებული ასეთს ლექსს სთხზავს:

ჯიხვების განავალი კლდე
რო ნახო, გაგიკირდება;
იმათ ნაწოლსა, ნადგომსა
თოვლიც არ მოეკიდება,
ფეხ რო შაუსხლტეს ტიალსა,
კლდეზედ რქით დაეკიდება!—
იმათ მიმყოლსა ვაჟკაცსა
რა კარგი წაეჭიდება!..

ან მისი გული, ესტეტიკური გრძნობა მოუხიბლავს ირმებ-
ჯიხვების სილამაზეს, სინაზეს; სიკეკლუცეს, უმანკოებას. იგი
მაშინვე ენთება, ველარ იტევს გრძნობებს გულ-მკერდში; მისი
ფანტაზია ფრთებ-შესხმულია, წყარო პოეზიისა აქსილია და ასე-
თი ნაკადული გადმოსჩეიფს:

ჯარჯი ჩახედავს ჯიხვებსა,
რა მშეენივრები დგანანო:—
რქა-რქაზე გადაუხვევავ,
ანგელოსებსა ჰგვანანო!..

ასეთის პოეზიის წყაროა მეოსნისათვის მცენარეობაც. იგი
პედავს მშვენიერს, გაფუჩქნილს ხეს და მოუთმენელობის გა-
მო გეუბნება:

³³⁾ „ივერია“ 1892 წ. 128.

ჩვენი ბატონის კარზედა,
ხე ალვად ამოსულაო,
წვერში დასხმია ყურძენი,
საჭმელად შამოსულაო.
იმის უჭმელი ჭაბუკი
უდროოდ გადასულაო.

ამ ბუნების აღწერილობაში ჩვენს სახალხო პოეზიას ბევრი პოეტი ვერ შეედრება. აქ მას უხალოვდება უფრო ა. ყაზიბეგი. პოეზია, როგორც პოეზია, აქ იპოება! მეორე პოეტი, რომელსაც ასვია ასეთივე ბეჭედი ციურის მაღლისა, არის გრიგორ თრბელიანი. პლასტიკური პოეზია გვხვდება აგრედვე ადგილ-ადგილ ილია ჭავჭავაძის ნაწერებშიაც და ორიად სხვა პოეტების თხზულებებშიაც.

პირველი სამი პოეტის ნაწერებში ისე ფაქიზად, ისე ნაზალ, სპეტაკად არის აღწერილი ბუნების სურათები, რომ თვით ბუნებაშიაც არ არის ისე მშვენიერი. ამით ეს პოეტები ამტკი-ცებენ არა მარტო ხელოვნების ძლიერებას საზოგადოდ, არა-მედ იმ შეურყეველ ჭეშმარიტებასაც, რომ ხელოვნებამ ბუნების პირდაპირი ასლი არ უნდა გადმოილოს, რადგან ამ შე-მთხვევაში ხელოვნება იქნება. მეტი ბარგი, როგორც ბუნების განმეორება და რადგან, მეორეს შერით, ბუნებასა და ცხოვრებაში ბევრი ისეთი რამაც არის, რის დამალვასაც ითხოვს კაცის ღირსება და პატიოსნება, შილლერის სიტყვით, და არა გამოკვეყნებას და მით კაცის ღირსების, გრძნობის და სვინი-ღისის შელახვას. ამ ჭეშმარიტებას ის შეიგნებს, ვინც ემილ ზოლას და პოლდეკოს შეუდარებს ყაზიბეგს, შოთას და რომელსამე სხვა დიდებულს პოეტს³⁴⁾.

მაგრამ, როგორც ზევით მოყვანილ მაგალითებიდანაცა სჩანს, არც სახალხო პოეზია ჩამოუვარდება ამ პოეტების ნაწერებს ესტეტიკურის მშვენიერებით. ასეთივე ნიჭი, ციური

³⁴⁾ ი. Бѣлинскій. 1874. изд. 2. т. IV. стр. 267; т. III. 1876 г. стр. 183. ზეადარე Гегель—Курсъ эстетики или наука изящного. Перев. Модестова, 1847 г. ч. 1. 24;—Шиллеръ—Собр. соч. Изд. Гербеля, т. III. стр. 421—2;—Лессингъ—Лаокоонъ. Рус. Пер. 1859. стр. 2.

ძალა, და უშეტესიც კიდევ, ჩვენ სახალხო პოეზიას ეტყობა სიყვარულისა და ქალის აღწერაში. აქ კიდევ უფრო დამტკიცდება პოეტური მოწოდება ჩვენის ხალხისა, მისი ესტეტიკური წარურა. აქ მან მრავალი საპოეტო სახელი და დილება დაჩრდილა, დააბნელა; მან მშვენიერად შეიგნო ეს ულრმესი და ყველაზე უფრო პოეტური გრძნობა—სიყვარული—ეს საფუძველი, წყარო და საგანი ყოველის პოეტობისა, ხელოვნებისა საზოგადოდ და სიტყვიერებისა კერძოდ. ჩვენის ხალხის შეხედულებით, სიყვარულს აბუჩად ვერავინ დაიკერს. თუ სიყვარულზე ჭრებავს ბასი, წინადავ უნდა აღიშურვო ამ გრძნობის შემწეობით; წინადავ უნდა შეიგნო მისი საიდუმლო, მისი სული, გული; ამას გარდა, რაღა თქმა უნდა, ზენაც უნდა გწყალობდეს. უნდა გქონდეს ანგელოზის ენა და ვრძნობა წმიდა, შეუბლარავი, განშორებული ყოველსავე მწიკვლს. ეს გრძნობა უნდა იყოს ისეთი მახვილი, ისეთი ფხიზელი და ცოცხალი, რომ მას არ უნდა გამოეპაროს არაფერი, არცერთი თვისება, საიდუმლოება სიყვარულისა. მას უნდა მოექცე დიდის სიფრთხილით, რადგან

სიყვარულსა მალვა უნდა,
როგორც ცხენსა ნაპარევსა,
თუ გამოჩნდა, გლოვა უნდა,
როგორც გულის საყვარელსა⁸⁵).

სიყვარულის ძალა უძლეველია; იგი თეით ლომია, სრული მფლობელი კაცის გულისა. იგი

...ღონით გევსევი და ლომია,
კისაც შეშიმია, სულ უკედა,
გით ტატა, დაუმოხია;
იმისი შეშიმელი მტერი
ჯერ არვის გაუგონდა⁸⁶).

სიყვარული ციური მაღლით ავსებს გულს; ამისათვის იგი „შაქარზედ უფრო ტკბილია“.

⁸⁵⁾ ფშაური ლექსები, 173.

⁸⁶⁾ „ივერია“ 1892 წ. № 128.

ლირსეული საგანი სიყვარულისა, ჩვენის ხალხის შეხელურ ლებით, არის ქალი, რადგან იგი ხატებაა ყოველის მშვენიერებისა, იგი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებას ესტეტიკურის გემოვნებისას. მაგრამ ქალიც არის და ქალიც. ქალი მაშინ არის სიყვარულის ლირი, როდესაც შემჟულია შინაგანისა და გარეგანის მშენიერებით. მხოლოდ ამ ორის თვისებით დააკმაყოფილებს იგი ხელოვნების შინაგანს და გარეგანს მხარეს. მაგრამ საზოგადოდ ქალი უფრო შემჟულია ბუნებისაგან და ამისათვის ყველა არსებაზე უფრო მეტად აკმაყოფილებს ხელოვნების მოთხოვნილებას. მისი თვისებანია: სინაზე, სიმეტრიული აგებულება, გრძნობიერება, სიმკვირცხლე, ჩივილი გული, გრაცია. ამ თვისებებს არ უნდა იყოს მოკლებული ქალი, ხოლო თუ მან თავისის შეუსაბამო ცხოვრებითა და ყოფაჯუცვით შეძლალა თავისი ლირსება, ამ შემთხვევაში ის ლირი კი აღარ არის სიყვარულისა, არამედ ლირისია ზიზღისა, რადგან მაშინ ქალი ბლალავს, სწამლავს და აუპატიურებს კაცის ესტეტიკურს გემოვნებას, მის მაღალს გრძნობას, სულიერს მოთხოვნილებას, იმ მოთხოვნილებას, რომელიც კაცის გულში ბუნებისაგან არის ჩასახული და ღვთაებისაგან ნაკურთხი. კაცი ესტეტიკური არსება არის და სტკებება ცხოვრებით, ბუნების მშვენიერებით, სურათებით, მუსიკით, მშვენიერის არსებით და, თუ ვინმე ამ მოთხოვნილებას და მისწრაფებას წინა-ალუდება და ეს გრძნობა კანონიერ, უმაღლეს გრძნობა არ იცნო, ის სასიზღარი არსებაა. აქ ხალხს ვერც ესტეტიკური კრიტიკა დაიჭირს, ვერც რეალისტები უსაყველურებენ, როგორც ქვევითაც დავინახავთ, როცა პოეზის შინაარსზე გადავალთ. იმისათვის ვერ უსაყველურებს, რომ შრომისაგან დაქანცულს გონიერს არსებას რამდენიმე წუთი აქვს დასასვენებელად მინიჭებული და ამ დროს, როცა ცხოვრების ვარამს რჩება, ისვენებს და აკმაყოფილებს მეორე მხარეს თავისის არსებისას, ესტეტიკურ მოთხოვნილებას. ამ შემთხვევაში ხალხი უკეთესი კრიტიკოსია. თუ მან ისეთი არსება შეამჩნია, რომელიც მშვენიერების იდეალს შორს.

ჩამორჩენია, ვერ ითმენს და თავისს აზრს, შეხედულებას და
გრძნობას ამ საგნის შესახებ ასე გვიხატავს:

ჩემი ძმა მეხვეწებოდა,
უნდა შეირთო ცოლია;
იმან რო ცოლი მომგვარა,
ყვითელი კომშის ფერია;
ორი სარტყელი ვიყიდე
მესამე ჭია-ფერია;
სამივ ურთიერთს გადვაბი,
მძლიეს დაუჭირა წელია!!

მაგრამ ეს კიდევ არაფერია. ეს ცოლი ცხოველს მოგაგონებს!

ერთი ქილა ერბო მქონდა
ყვითელი კომშის ფერია;
სამს დღეზედ ისე შეჭამა,
ძირზედ მოუსვა ხელია!!

სრულებით სხვა არის, თუ ქალი დამშვენებულია ბუნე-
ბისგან შინაგანისა და გარეგანის სამკაულით. ეს იდეალი მშვე-
ნიერებისა ქართველის ხალხის პოეზიაში ისეთი მაღალია, წმი-
და და ფაქიზი, რომ მაზედ უმაღლეს იდეალს ძნელად თუ შე-
ქმნის ფანტაზია შექსპირისა, ბაირონისა, ბარათაშვილისა, შო-
თასი და სხვ. ჩვენი ხალხი ესტეტიკურის გემოვნებით არ წა-
აგავს ტიბეტელებს ან ამერიკისა და აფრიკის სხვა ველურ ხალ-
ხებს, რომლებისათვისაც იდეალი სიმშვენიერისა არის: განიერი
და ჩაჭყნეტილი ცხვირი, რუსული ღორივით გრძლად ჩამო-
შვებული ყურები, თითო ალაზე წვრილად ჩამოკიდებული-
ძუძუები, თებოთი გაეკრისილი და გაქონილი თმა, რომლიდანაც
ქონი და წბოლი წვეთავს, გადმობრუნებული რგვალი. და
სქელი ლაფშები, წვრილი და ჩაბრუკებული შუბლი და მე-
ტად წვრილი თვალები ⁸⁷⁾.

შინააღმდეგ ამისა, ჩვენს სახალხო პოეზიაში ქალის იდე-
ალია გარეგანის მხრით: „ქალალდი, კალამ-მოუსობელი“, „თვა-

⁸⁷⁾ Чарльзъ Дарвинъ—Пронесхождение человѣка 1871. ч. 2. стр. 383
и 388. შედარձ ლესინგъ—Лаокоонъ или о границахъ живописи и поэзии,
1859. Москва. стр. 168.

ლი მაყვალი“, „წამწამი ვარდის წალამი“, „ლოცები—ალის პრიალი“ ან „წითელი ყაყაჩი“, „სახე მოხდენილი, ჯავარ-სრული“, „ტანად ლერწამი“, „სარო“, „ძუძუ-მკერდი—თეთრი ბროლივით“, „გაცინება დილის გაშლილის ვარდისა“, კბილი „ხშირი მარგალიტი“, „თბა ხშირი ნახუჭუქევი“, „წელ-წვრილი“, „ვარდი ლამაზი“⁸⁸⁾. საზოგადოდ, ქალი უნდა იყოს „ნარდივით სათამაშო“, „წალკოტი პირმეტყველი“, „მზე ამოსული“, „შავ-თვალ-წარბ-გიშერ-თმიანი“, „უკვდავების წყარო“, „გულის წამალი“, ტურფა და ფაქიზად გაზრდილი, „მარგალიტის კუნწულაზედ ამოსული იაგუნდი“, „ნათელი ელვარე მზიანი“, „თოვლის ნაქერი“, მაშინ იგი ციური ანგელოზი იქნება. იგი ჰგმირავს გულს, თუ ეს უკანასკნელი კიდევ ჰგრძნობს რამეს, ან კიდევ სცემს, ჰეთექავს, თუ მას ესტეტიკისა გაეგება რამე. ამისათვის ხალხი ჩვენს პოეზიაში ცდილობს, რაც შეაძლება, ღირსეულად შეამკოს იგი, თითქო ფიქრობს, კრიტიკოს-სკეპტიკებმა არ მისაყველურონ, პოეტურის ნიჭის. უქონლობა არ დამწამონო!

შენ ჩემო დიდო იმედო
კოშკო, ნაგებო კირითა!
კახეთს მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა,
წითელო მოვის პერანგო,
შეიდგან შეკრულო ღილითა,
ცავ წმინდავ, ვარსკვლავიანო,
მზევ დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო,
ნადენო აქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძლო,
შენთანამც წოლა-ძილითა.

ასეთი არსება ასეთივე მოვლის ღირსია; მას უწმინდური ვერა მიეკარება რა:

იამა გშობა შობითა,
ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა,
შეგამკო სუნდელებითა?

⁸⁸⁾ იბ. ფშაური ლექსიგი 167; 146. აგრძელე ივერია 1892 წ. № 128.

ამის გამო, მკონანი პრძნობს რა თავის-თავის ულირსობასა და იმ შშვენიერის არსების მიუწდომელს სიმაღლეს, მეტს ვერას პბედავს, ხშირად მხოლოდ ნატრობს, რომ იქცეს თასად და საყვარელს არსებას ტუჩებზე მიედგას, ან დვინოდ იქცეს, რომ საყვარელმა შესვის, ან სათითედ, რომ თითზე წამოეგოს, მისი ყანის ნამგლად, რომ ხელშა შეეჭრას, მაისის ფარდად, რომ ცხვირ-პირზე დაეყრებოდეს, წითელ პერანგად, რომ მკერდზე დაედებოდეს და სხვა და სხვა. რა შეუდარებელი ხურათებია! როგორი ძლიერი ხელოვნებაა ხალხურის გრიოსობისაგან შექმნილი! რა შშვენიერი და წმიდა გემოვნებაა, რა პოეზია!

ახლა, რომ უფრო ვიგრძნოთ ეს შშვენიერება, მოვიყვანოთ რომელისამე პოეტის ნაწარმოებიდან ისეთი ადგილი, საღაც ამ საგანზევე იყოს ლაპარაკი და შშვენიერების აღწერა-გამოხატვას შექმნილდეს. რომ არავინ დაგვწამოს რამე და ან არ გვიპასუხოს, რომ, ვითომ განგებ სუსტი და მცირე პოეტი ამოგვერჩიოს, ფილოთ ერთი შესამჩნევი პოეტებთაგანი ქართულს ბელეტრისტიკაში. ჩვენს ლიტერატურაში, უმეტესობის აზრით, მსხვილ და თვალსაჩინო მწერალს წარმოადგენს, მაგალითებრ, ბატონი ა. ფურცელაძე. ამოვილოთ მის საუკუთხსო თხზულებიდან, „თამარ ღაზნელიდან“ ერთი ადგილი და მივაქციოთ ყურადღება, როგორც საზოგადოდ პოეტურს მხარეს, აგრედვე თვითეულს სიტყვასაც, რამდენად პატიოსნურია იგი, რამდენად გრძნობიერი, შნოიანი, ესე იგი რამდენად ეტყობა ამ ენას ის თვისება, რომელიც ყოველ კეშმარიტ პოეტის ენას უნდა ჰქონდეს, რაც უნდა საზიზღარს საგანს ეხებოდეს.

„გულის სიღრმილეგან სრინწანი (?) ბოხი ხმა სხვილი
მთის გრგვინეასაუით ქვესკნელითა ალმახდებოდა
ბერკეტისაგით (?) მსხვილი კლავნი და მოტიდნებილი (?!)
იმას მძიმეთა ტლანტესა მსრბზე ჩამოპყიდოდა.
კამუში (!) მხარეგვი; ჯირკებრ მსხვილი მოკლე ჭისერი
დედა-ბოძივით ბეჭებ შუა ჰქონდა ჩამჯდარი;

ქართველისაგით (!) გაღრუნილი ჰქონდა მას ცხვირი
და ლოქტისაგით შესაზარი უზომის პირი ³⁹⁾.

აბა, პოეზია, თუ გინდათ, აქ არის! ენას ხომ ვერც რუ-
სთველი დაიწუნებდა. ალბათ ამიტომ ამბობს ცოტა ქვევით პო-
ეტი:

„მე პოეტი კარ, ვგონებ ზოგთა ასე მიწოდეს“ ⁴⁰⁾.

მაგრამ მართლა გწამსთ, რომ პოეტობა უნდა ასეთ მშვე-
ნიერ შედარებათა და სურათთა შემქნას, როგორიც არის: „ხრინ-
წიანი ბოხი ხმა“, „კლავნი მოტლან ქილი“, „ბერკეტისავით
შსხვილი“, „ტლანქი მხარი“, „ქარახსასავით გალრენილი“,
„ლოქოსავით შესაზარი?“ ნუ თუ ამის დაწერასაც პოეტური
ნიჭი სჭირდება და ან ამის დაწერისთვის „პოეტი“ უნდა ეწო-
დოს ვისმე?

მაგრამ ვინც მას „პოეტი უწოდა“, ისინი გაგვიწყრებიან
და გვიპასუხებენ, რომ ჩვენს „პოეტს“ პოეზია ფეხებზე ჰკიდია,
კიდეც იმიტომ ვცემთ თაყვანს, რომ თვითონვე მის აზრით,
ამ „პოეტად წოდებულის“ აზრით

„პოეტის საქმე ის არის, რომ მას აგვიწერდეს,
რაც რომ გვისახავს ცხოვრებისა მოვლინებას“

• • •

გვიჩვენებდეს მას, რაც რომ ხალხსა თვალებს აუღსნის,
სულ გაუმხნევებს; მისცემს ძალას და გულს გაუშლის ⁴¹⁾.

ეს ყველაფერი გვჯერა, გვწამს ეს მიზანი პოეტისათვის,
მაგრამ მაგ პოეტის ნიჭით და მაგისთანა ენით, რომლის ნი-
შეშიც ზევით მოვიყვანეთ, „სულს გაუმხნევებ“ და „მისცემ
ძალას“ კი არა და გულსაც შემოჰკრი და წიგნს გადააგდები-
ნებ, რომ ენა არ მოიგრიხოს და არ მოიტეხოს! მეორეს მხრით,
ვერც იმაში დაგვარწმუნებთ, რომ ამ „პოეტს“ ესტეტიკა არა

³⁹⁾ «თამარ დაზნელი». გვ. 18.

⁴⁰⁾ ibid. 29.

⁴¹⁾ ibid. 29.

სწამდეს, ან კიდევ არ ცდილობდეს აქაც გამოიჩინოს ნიჭი. წეტამც აგრე იყოს; მაშინ ლოლიკა მაინც გამოვა, მაგრამ რას იზამთ, რომ ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს! მაგალითებრ, რას ნიშნავს იმავე თხზულებაში ასეთი აღვილი:

„გიშრის კავები, გვეჯებ სდაჭით (!!) მხარს დაშვებულნი
რუნი მარწვევით (!) ჰაწაწინად გამონასკულნი (?)
სპეტაკ თეთრ სახეს გარდისფერი გამოსჭვიოდა,
ყორნის ფრთასავით წმმწამები თვალთ დაჩრდილოდა“...

ოჰო! აკი ესტეტიკა სძულსო? მაგრამ ჯერ კიდევ დავ-
ტკბეთ:

„მისი ალერსით შეხედვა და ლიმილი თვალში,
თითქო სიცოცხლის ნექტარს კაცა ასხავდნენ ტანში;
მოხუცს სიცოცხლეს უდინძებდნენ; ყამწვილის გული
შემდგომ მის ნახვის იყო ტებილად და ტებეულად“ (?!).¹²⁾

რომ კიდევ უფრო ცხადი წარმოდგენა შევაღინოთ იმა-
ზე, თუ რამდენად დაბლა სდგას ასეთი ვითომ-და პოეზია სა-
ხალხო პოეზიაზე, ავილოთ კიდევ ერთი აღვილი, მაგრამ ახლა
სხვა თხზულებიდან, სადაც ავტორი, ჩვენდა სანუგეშოდ, ლექსს
თავს ანებებს და პროზით ჰქარავს თავისს გმირს—ქალს:

„ორექვსმეტის წლის ქალწული,—ამბობს „პოეტი“,—მშვენიერი შა-
ვის რაღაცხარად წორქსლათ (?) ტრიფალებით გამამზირალი თვალები,
რომელის გვარითაც (?) ვერავინ დაიკვეხებს მეცნიერებულთა ქადთა (?) გა-
რდა! მშვენიერი მაღალი, და თითქო ძაღლა გაძოქანდა ეკული (?!), მო-
ყანილი წელი და მხარ-ბეჭი; შავი გიშერივით თმა-წარბი; თეთრ-წითე-
ლი (?) ნაზი ფერი; სიცოცხლის მოძრაობა და მეტყველობა ყოველს პი-
რის სახეში (?); რალაც ნაირი წმინდა, ტკბილი, თითქო გულში კაცს
რალაც ნეტარებას ასამსო, კილოიანი ხმა, რალაც იდუმალება მოძრაო-
ბაში ჩაუთუთქავდა ყველას პირველსავე ნახვაზედ გულს“^{13).}

ახლა ვიკითხოთ, ესტეტიკა დაპერწყებია, თუ არა „ამ პო-
ეტად წოდებულს“? თუ დაპერწყებილა, რაღას ნიშნავს ეს სა-
კვირველი ბოლო: „გიშრის კავები“, „ნექტარი“, „მარწყვივით

¹²⁾ ib. 36.

¹³⁾ «მაციხეობია» გვ. 18.

ტუჩი՞? და თუ ეს ბოლო აჭირვებს საქმეს და გაკვირვებთ, როგორლა მოგწონთ ასეთი მარგალიტები ენისა და პოეზიისა: „გიშრის კავები გველებ ხლაკით მხარს დაშვებულნი“, „პა-წაწინად გამონასკულნი“ ტუჩი, „ტკბილად დატყვევებული“, „რაღაცნაირად ცოცხლად“, „რომლის გვარითაც ვერავინ და-იკვეხებს“, „მეგრელთა ქალთა გარდა“, „თითქო ძალით გამო-ქანდაკებული“, „ყოველს პირის სახეში“ და სხვა?

საქმე. აი რაში გახლავს. „პოეტს“ არც სილამაზე, არც სი-ყვარული და არც ტუჩ-წამშები არ დაჰვიწყებია და კიდეც ყოველს ღონეს ჰქმარობს, რომ იქნებ მშვენიერი სურათი და-გიხატოთ და გათქმევინოთ: „აი შენი კალმის ჭირიმე, პოეტო!“ იგი ათასნაირ ტექმინებს ეძებს ლექსიკონში სიცოცხლის და მშვენიერების გამოსახატავად, ზევრს „რაღაც“-საც ჰქარჯავს, სადაც საგანზე ცხადი და გარკვეული წარმოდგენა შემოელე-ვა ხოლმე, მაგრიმ განა „გველებ ხლაკვნა“, „მარწყვივით ტუ-ჩი“, „პაწაწინად გამონასკული“ „რაღაცნაირად ცოცხლად“ და ათასიც სხვა ასეთი შშრალი, მოუხეშელი და უშნო სიტ-ყვები. გამოაჰქატავს იმას, რასაც სიცოცხლე და მშვენიერება ჰქვია?! ამისთანებით როგორ გამოიხატება ცოტათი მაინც ის, რაც ხალხის გენიოსურმა ნიჭმა ასე გამოსთქვა:

იამა გშობა შობითა,
ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა
შეგამყო სუნელებითა!

წეტავი ვიყო მე ვარდი,
შენ წინა გავიშლებოდე,
პატარა ჩიტად მაქუია,
უბეში ჩიგივდებოდე;
შაქარ-ყინულად მაქუია,
ენაზე დაგადნებოდე?!

ლესსინგი ამბობს თავის „ლაიკონში“, რომ სიტყვით სილამაზეს ვერ გამოჰქატავო, ამისათვის ამ შემთხვევაში ცო-ტა სიტყვები უნდა იხმაროვო; უმეტეს ნაწილად კი სილამა-

ზის გამოსახატავად და დასამტკიცებლად უნდა მიაქციო ყურადღება იმ ფსიხოლოგიურს და ფიზიოლოგიურს მოქმედებას, რომელიც მოსდევს მშვენიერის არსებისგან მიღებულს შთაბეჭდილებასათ. ამიტომ ეს შესანიშნავი ესტეტიკოსი აქებს ჰამიროსს, რომელმაც ელენეს სილამაზე ორის სიტყვით აღწერა და სხვა კი ყოველივე გამოჰატა იმ მოქმედების ჩვენებით, რომელიც მან იქონია თითქმის ბერიკაცებზეაც კი ⁴⁴⁾. კრიტიკის ასეთს მოთხოვნილებას სრულებით ეწინააღმდეგება ზემომოყვანილი ადგილი „მაციხეიტიადან“ და „თამარ ლაზნელიადან“, მაგრამ ამავე მოთხოვნილებას სრულიად და საესებით ასრულებს ჩვენი სახალხო პოეზია, როგორც ეს სხანს ზემომოყვანილ მაგალითიან: მგოსანი ისე გაუგიუებია სიმშვენიერეს, რომ აღარ დარღობს, რადაც უნდა გადიქცეს—შაქრად, პერანგად, ჩიტად, ვარდად, თუ რამე სხვად. ამით იგი ყოველსავე სიტყვაზე უკეთ ჰაზარავს იმ მშვენიერებას და მის ძალას. ეს ლირსება და მხარე ჩვენის სახალხო პოეზიისა. კიდევ უფრო აშკარად არის გამოხატული შემდეგს, მართლაც რომ საუკუთხოვო ლექსში:

ქვეშ-ქვეშ შემოგცერს, თოლს შეგურის,
შუეუნა სვილის ფერია;
თავს დახრის, წყნარად გაივლის,
ვითომ და არაუერია!!
ეტყვი: რად დამწერ? იძახის:
ბერა რა ჩემი ბრალია?
კბესო უნ ტეცსლია მაკური,
და ნუ ივეთქებ ფალია?!

„თოლის შეყრა“, „დაჭრა“, „ცეცხლის მიყრა“ და „ფალის ფეთქება“ არის სწორედ ის საშუალება და ღონის ძიება, რომელთაც ასახელებს საუკეთესო ესტეტიკოსი და კრიტიკოსი—ლესსინგი, რომელსაც ჰემარობს საუკეთესო პოეტი—ჰომიროსი და რითაც მართლაც რომ საუცხოვოდ იხატება მშვენიერება! თუ ქალის სილამაზე ისეთი იყო, რომ თოლი

უნდა შეეყარა, გული დაეჭრა, გრძნობათა ფალია აეფეოქებინა, მაშ ეს ყოფილი იდეალი მშვენიერებისა, რის დაშტკიცებაც უნდოდა ხალხსაც და ჩვენც! ⁴⁵⁾

ასე, და ამ სახით, ჩვენის სახალხო პოეზიის განხილვაშ ფორმალურის მხრით ცხადად გვიჩვენა და დაგვარწმუნა, რომ აქ არის საუკეთესო მაგალითი უმაღლესის ხელოვნებისა ყოველის ბელეტრისტისათვის, ნამეტურ მისთვის, ვისაც პოეტური ნიჭი, ღვთაებრავი მადლი ნაკლებ აქვს მინიჭებული, ვინც შემოქმედობის ძალას ვერ იჩენს და, მაშასადამე, მაგალითი სჭირდება მისაბაძავად და გემოვნების შესამუშავებლად. ამისათვის ეწაფებოდნენ და უნდა ეწაფებოდნენ კიდეც ყოველნი გონიერნი პოეტი ამ დაუშრობელს ნაკადულს ცხოველის პოეზიისას. აქ პოეტი პნახავს ყოველ რიგ სახეს, საშუალებასა და გზას, თუ როგორ და რით გამოჰქატოს შინაგანი მდგომარეობა კაცისა და გარეგანი მშვენიერება რომელისამე საგნისა, ან არსებისა. ასეთი ცოცხალი პოეზია, ასეთი სურათები, შედარებანი გააცოცხლებენ ყოველს ნაწარმოებს პოეტისას, ჩაუდგმენ სულს და მისცემენ იმ თვისებას, იმ ძალას, დასვამენ იმ ბეჭედს, რომელზედაც ეწერება: „შენ ხარ შვილი უკვდავის გენიოსისა და სიკედილი არც შენ გიშერია, იქნები მუდამ უკვდავი სასახელოდ და საბეჭდიეროდ იმ ერისა, რომლის შვილმაც შენა გშობა!...“

მ. გ—ძე



⁴⁵⁾ მოიგონეთ გოგოლის ტარას ბულბიდან ის ადგილი, სადაც ანდრია პოლიაკის ქალს ბუხრიდან ოთახში ეპარება და როცა მის მშვენიერებას თვეალს მოჰკრავს, ენა უვარდება და ხესავით გაშეშებული სდგას მოხიბლული ქალის სილა-გაზით.

მიღლ ლევონ მოგზაურობა

კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი

კალა, 8 აგვისტო 90 წ.

ვერ ისეგ ისე დატუსებული კარ იმ დიდებულის სასახლით, რომელიც დღეს დიღით გასილეთ გაგებისის ქედზე, რომ კცდოლობ და კერ წამირთმევია თავი ამ მშენიერის სურათისათვის და ამი- ტომ მემნელება წერილის განვრმობა ამ საღამოს.

სამშებათ დიღით, 5 აგვისტოს, ავიბარგენით დატეფარის მთა- დან. საუკეთესო და ანუცდეული სიამოვნება მოგველოდა თურმე სწორედ იმ დროს, როცა გარანტი გასველით. $71\frac{1}{2}$ საათზედ გამო- სხდა ხოსტასა მსედარი (იასაული), რომელიც ქემოდან მოდიოდა; მას მარდად შეაჩერა წერნი, წამოსდა, თავაზიანად მოგვე- სალმა და მოგვართვა კრითი დიღი მუკვრა ქალადებისა, დაუკვდი- ლი ვიცე-გუბერნატორისაკან წითელის ლაქით. ფრასტა! ამ აზრის უცრად გაგვიაღეა გუნებაში, მაგრამ კი მოელოდა მის განსიონციე- ლების ამ სიმაღლეზედ; ოჯ, რა დიდად გვასიამონა ამ ამძაკმა! სტეფანის თან წერილი მიიღო, მე—სამი. რომ იციდეთ, რა სი- ტებოება მოაქვს წერილს ადამიანისთვის, როცა გაგდასის შექმნა მოსილ ქედებზე დასტეტიალობს, დარწმუნებული კარ ასეთს სიმუნწეს- არ გამოიჩენდით მათს წერაში.

$91\frac{1}{4}$ საათზე ბარგის უკანასკნელი ცალიც შეკრული იყო. იმ დროს, როცა გზას შეკუდექით, ღურბლები ესკევოდა დატეფარის მთას; მზე ძლიერ გასაცსენებდა. მოელი საათ-სასკარი. მიგვებოდით ღრან- ტოს მარველსა ნაშირას, რომელიც მიშვენება დატეფარის გადასა- უგლელ უელს. როგორც იყო, მივაღწიეთ გადასაკალ უელის უკანას-

სკნელ აღმართს. სტეფანი სშარად შესჩერებია ცას, ოომელზედაც ღრუბლები თავისის მოგრძო კუდებს მიაქროლებენ და ამის გამო ცუდის გუნდაზეა.

მართლაც, ოოცა, 10 წამის იერიშით სიარულის შემდეგ, წერ-ჟე მოკემეცით, ის მშენებირი სურათი, ოომლათაც მსურდა დაკიტ-კბარიყავ, ბურუსში იყო გასკეული; მოების კრესილის შეა-გვდა ამართული უზიარესზარი მდევრი თითქმ მაღულობის თამაშობდნენ; ზოგნი თავ-მოკემეთილებს გაანდნენ ნისლ-ბურუსისგან და ზოგნი გაპნეტილ ბამბასავით თეთრის ღრუბლებით იყენენ გარემოცულნი-ფაროგრაფიით მათი გადაღება მოუსერსებელია, შაგრამ სასახლისა მაინც დაიდა! მუინგართა ზღვდეს შემოუფარგლავს ჭრიზონტი 30—40 კელის მანძილზე; ზოგნი ისე ასლოს მოსჩავან, თით-ქო გასრუსას გეგმუქრებიანო. აი, თუნდა, დასედეთ ამ გაყინულს ზღვას, ოომელსაც დაუფარავს მთელი გაღთა ბუმბერზის მთის; მისგან წარმოდენილი ყინვის მდინარე რამდენისამე კერისის მან-ძილზე ჩამოსდევს ფერდას და დასწერება ძირის ჭალას. აქედან გარგად გარჩევთ მწვანით მოსილს მთის ბეჭებს; შეგვიძლიან სათო-თაოდ დაგთვალოთ გიდეც გლდის წერტიბი, ოომელთაც მაღლა აუ-შერიათ თავი ამ გამუდმებულ თოვლის სამეფოში; ეს წერტიბი-საუკებივითა სდგანან შეხდილია და შექასებულის ყინულში, ოომელ-საც ზოგნი ღურვა ფერი დაჭკრავს, სოლო ზოგნი მწვანე ფერი; უფრო მაღლა კი გაბჟურიალებული თეთრი ფერი აქვს.

არსად მოსახლე არ მოსჩანს, ჩემსა კართ ლატივანის უელზე 2826 მეტრის სიმაღლეზე. სტეფანი გუშინ 223 მეტრით კიდევ უფრო ზევით ასედა, ერთს მაღლა აწვდილ წერზე, ასე რომ 3000 მეტრს ასცილებია. ცოტა სანს შემდეგ დაკიდაღმართეთ; და-ქანებას ძლიერ კამჩევდით. დიდ სანს კიარეთ ამ ნაირის გზით და ხოლოს გადავადებით ერთ სერს, საადანაც დაკინახეთ სულ ქერმოდ, ჭალაში, მდინარე ინგური და აქა-იქ გაბნეული სოფლებითავიანთის გრძებით. ეს სკანეთის განთქმული კოშებია, გასია-გეთრებულ ფერსა სდებს ამ განკერძოებულ და საიდუმლოებით მო-ცუდს ნაწილს გავასიისებს და ძლიერ განასხვავებს სადადისა სკა-ნეთს თავისუფალ სკანეთისაგან. აგრ გსედავთ უშეულის საზოგა-

დოქტას, ოომელიც უქსისგება სამის თითქო გაერთიანებულის სოფლებისაგან. ამ სამში უკედაზე მაღალი შდებარება ჯიბიანისა აქვს; (2152 მეტ.); ამასთანავე იგი არის უკანასკნელი სოფელი ინგურის საოავესაგან; იძვეა ოაგისუფალის სტანეოის სამზღვარიც. ერთი მეონეკარი ჩამოდის და თითქმის სწოდება კიდეც ჯიბიანს. უკანასკნელ მის ფარდულ ზე თითქო ერმწევით განმარტოებულ კოშეს. წუ თუ ეს უბრალო კედის წევტია? უდურბისიდოდ გერას ვატევით გადაწყვეტილებიც იდა. არცერთს ჩემნების აქმდე არ გაასსენდა საუზიე. ასედა კი დაგეჭითხეთ საათს და აღმოჩნდა, ოომ 21/4 საათისა უოვილიყო. გოსტომ გადასვევისა სახქროდ გზიდან ცხენების, და უკელან დავსისედით იმპე მდელოზე სასაუზმოდ. ჩემნი გუშინდელი მამალი ტეის ქათამი ისეთი მიუკარტებდი აღმოჩნდა ჩემნის კბილებისა და ღრმილებისათვის, ოომ კინადამ ზედ დაგაცემდა. ცა მოისხანედ იქერუშებოდა; კუპრივით შავი ღრუბლები თეხულდეს ზედ დასწოლოდა და დრო-გამილშებით ჭეხილის სმა გეპსმოდა. დრო იქო თავი დაგენებებია გარეულის მამლისათვის, ოომელასაც მაინც გერაიური დაგეჭებებია! სტევენს საუცხოურ აზრი მოუკითხა. ამოილო შეკოლადი და თითო ნატესი უკელას დაგვირიგა. გივომ ჭერ იქვის თვალით შექსედა ამ სახოგაგეს, მაგრამ ოცა გასინჯა ცალი თვალი უკითლად გაუბრიწყინდა და შეი სიამოგების წუალიც მოუკითხა; ეტეკობოდა, ოომ სერწებს ძლიერ იმაგრებდა, მაგრამ მაინც მამაცობა ისმარა, და სასევაზე მეტი შეისასა ერთს თავისის ფარიელ სარდინის კოლოფეში, ოომელიც ბლომად ჭერნდა შეგროვილი. აკი მოგასასენეთ—ჭეუასზედ არა იქარება-რა-მეთქ!

ოთხ საათზედ დაკიანეთ შირველი რიგი არუის სექბიას (2463 მეტრზე), დაღმართი იწუებს თან და თან დაქანებას და ბოლოს ერთხმად დაუშება. ჩემს გამოვედით კიდევაც აღმისის სამფლობელოდან; ბუქჩარები, თან და თან უფრო მოზრდილი, ფესტებს გვიკარიავს და ამაგე დროს წმინდა შესაბუნა წეიძმა პირდაპირ თავზე გვასხამს და თავს გვიგრილებს. ჩემს მხოლოდ ჩამოვიზესატეთ უკრებზე ჩემნი სახდის ჭედები და მიკე შერებოდით გზას. ოოვორც იქო, ჩამოვარეთ აღმართი. მოსასვენში,—ერთ ბრევზე, დაკიანეთ

პირველი სკანდალი სოფელი. კაცის ეგოსტურდა, სოფელი გაციებულია, ქადა ქცეულა; ეს უსაგმოდებული ქასები, დაწყვარტილული კოშები, უდაბნოს მღვმარება, ორმედიც მათ გათქმო სუვერენი, მაგი ნაძვნარი, ორმედიც გასს არტყია—უოველიერ ესე დასრულებული სელოგნერი სურათა, თუმცა სამგლოვანო ფერისა კა. ასე იტერი, ომზ რომელსამე ფერას მოუკადოვებია უოველიერ სუღა დგმული ამ სოფლისა და მიუსინებია რამდენიმე საუკუნეთით. არსად არ გვიგვიძენია ისე ციალად, ორგორც აქ ვიგომენით, თუ რა ცხოვრებას ეწეოდა კაცობრიობა ამ ათხასასა, თუ სუთასის წლის წინაად. ეს სოფელი კალაც არის და არც არის; ნამდვილად თრი სოფელი და ერთმანეთზედ ნასეგარ ეკრისით დაშორებული, — დაუბერ და დაივსორი, თუმცა ორიენტი კალას ეძახან.

კანცელარია მოთავსებულია ამ აუ სოფელ შეა. სანმ კანცელარიამდე მისეიდოდეთ, უნდა გახვიდეთ ინგურში, ორმედზედაც გადასტულია საკმაოდ მაგარი სიდა; მაგრამ სიდენედ ფიციტები კა გერ არის ერთმანეთზე კარგად გადაბმული და დამაგრებული. კანცელარია ერთი განმარტობულია და გამურებული ქრისტიანი; ზემოდან ქვეს ფიჭელი აქვს დასურული და საჩირდილობლად ზედ გართხმია არყის სის შტოები, ორმედიც იქვე სდგას. სასლის წინ ქვემოდაც გვიმული ფერდობია ამწყანებული რაღაც ნათესით, ეს ფერდობი მიაწევს იქვე მასლობლად ატენიდს ტემდე. ზემოდ მაღალი კლდოვანი ბრეგია, ორმედიც შეკრიფა მდინარე ინგურში; ჩემის პირდაპირ — სამხრეთისაკენ ძლიერ დაწერული ფერდოა მდინარემდე; ამ ფერდოზე სშირი ტუა ქელის ნაძვნარისა; ნაძვებს ისარავით აუზერიათ თავი. ერთობით ეს სურათი დაბურული და მდინასხეს შესასედად, და სულ არა ჭიგას მომცინარე და ბრწყნვალე სურათებს ცხენის წყალის ნაპირებისას; ალაგ-ალაგ არც ეს უკანასკნელი არის ნაგლებად დიდებული, მაგრამ არც ერთს მათგანს არა აქვს ეს ველურის შეუმცველობისა და თითქმის დრამატიზმით საგაე იერ, ორმედიც აქ პირველ დანახვაზედგე თვალში გეჩისირება. ამის მაზეზა ისაა, ორმ კალას უჭირავს უმაღლესი ფარდული ტეის ალაგებისა (ეს სოფელი თითქმის 1800 მეტრ. სიმაღლეზედ არის გაშენებული).

ესლანდელი ჩვენი თაგმესათან სატურთვით ჩამოუკარდება ჩა-
ღურისას, რომელიც თითქმის გვარიან სააგარაკო სასლა მოგრძო-
ნებს კაცის, მთელი შექმნა შესდგება ორის საჭერისაგან; წინ ავანიცა
აქვს, რომელ ცედაც სამ-საფეხურიანი დანგრეული კაბე აგიძლებათ.
კარები დაბალია და სარაზაკთან გაუცნობელი; ოთასის საუკეთესო
ბოწყობილობა გასლაგსთ ვიწრო, ჭიისაგან დასრული ტასტი, კედ-
ლის ექის მსარეზე ჩაუდებული, ერთად-ერთი სკამი და მოღრე-
ცილი სუფრა (გრძელი სკამი); მაგრამ ორ უნდა იყოს—დადი უსა-
მართლობა იქნებოდა ჩექნის მსრით საუკედურის თქმა, რადგან თავი
მაინც ჰქენდება გაჭის შეფარებული და წკიმისაგან უსრუცელ-ურ-
ფილი გართ.

თასება როგორდაც ჩეულებობზე უფრო დაფაცუებულია,—
მგრისა, შიმშილასაგან კუჭი ეწვის და ამიტომ ჩექნის მოსკლამდის
დაქარია აუკიე სოფელი და ემოგნა შემდეგი სანობაგე: პური—კერ
ძრავათგეს! გვერცხა—რვა დაუსერიდან და სუთი—ლაფხორდან,
ერთი ბოთლა რე სკასურის არაეთ სუნ-გემო მიცემული და ერ-
თიც ცოცხალი თსა. ამ უკანისენები იქნება მიკუსავეთ სიკვდილით
დასვა, მაგრამ სანამ ამ გადაწყვეტილებას სისრულე ში მოგიყვანდით,
რავიანად გავსინჯეთ, რომ შეგისტო—ღირსი იყო თუ არა ამ
საპატიო სასკელისა. კასშამი განათავეთ და მიკუჭით უკვლანი; ჩე-
მოგარდა მუწლორება, მაგრამ ეს უკანისენები სიტეა სულ მართალი
არ არის: განთადისას გავარდა თოვთა განცელარის ასლოს; მა-
შინება წამოგრევის დით, გოსტომ სახელოდ გასტენა არიგე ღულა
ჩექნის რო-ღულიანის თოვების; მაგრამ სისლის გარშემო არა იძე-
როდა-რა: «კამაკეს» ფუჭი გამოდგა (fausse alerte), მაგრამ გოსტოს
მაინც აღარ დაუძინა დალამდე—გვდარავოდა.

ამ დროს გამოჩნდა გუშინდელი თხის გამუიდკელი; მოგარ-
თვა პატარა შეტის გეგერება—ნობათად და მოგვთხოვა ჩეულებისა-
მებრ გაუიდულის თხის ტეავი და ერთი საჭერი მისი სორციცა-
ამასთანავე დაგეგმითხვა—სკადაგის ხორცი სომ არ გინდათო. სკადა-
გის სორციო? მოელს ჩექნს მოგზაურობაში—ქუთასისიდან აქამიდე
ეს სალი ჩექნ აღარ გვესილა. აუ უნდა იყოს ამის მიზეზო, კვიჭ-
რობდით?

თურმე დათვი ყოველა. კალას დათვს მოაწენატრებია ცურიანი, ე. ი. სისხლიანი ხორცი; ჩდგარა დაძით, მესინათურად დასრუმია თაგა ერთს კარგს მოქადილს სარს და დაზათიანად გაუკრაგს კბილი; მაგრამ, საუბედუროდ, ამ ჩაირ ცურიან ხორცს ის ცუდი ჩეულება ჭირია, რომ როგა ერთის მსრით კბილს ვინმე ჩაუკრის, მეორეს მსრით მორთავს სოლმე თურმე ბდავილს. ამ ბდავილს გაუზღიმებია მცენები და თოვის სროლა ამტეუდარა წესანდელი.

მშენიერი დილა გათენდა. სევის ბოლოში შორის, შორის დასაკლეთისაკენ, ამაუად აუდერია თავი ერთს იმ მწერებლობაგანს, რომელიც თავისის დღეში დაუკიტესარი რჩება კარის გრძებაში. ეს არის ლო-თავიანი მწერებლი უშისია, რომელიც ოცნებასაც უდიდებებს დათან სასოწაოკეთოილებაშიაც აგდებს საუკეთესო და გამშედებს; ადაპანისტებს *) თავისის ქალწელისებრივის მიუკარებლობით. ამ მშენიერს ბრწყინვალე დილაზე კალას სერათმაც დაჭკარგა თავისი კელური მოუხეშაობა. უშის დაშტაპებდა როგორც ქანდელი დაბურულნაძერის ტუებ ტემოდ, ვიწრო სევის ბოლოში; იგი თითქო საუცისოვთ ჩანხოშა ჩასმული და ერთი პატარა კასსილი კუთხეში გამოკეთილიო...

6 აგვისტო უფრო საქმიანი დღე იყო. ჩენეს მცენარებს, დატევაზე შეკრებილს, სასევ ქადალდების დაცვა კურიებოდა. ჩენის მსდებლები ჰყელანი გვშეგალოდების ამ საქმეში, როგორც შეეძლოთ, მაგრამ ბერის კერას აკეთებდნენ; ცოტა სახს შემდეგ არისე იშვარების სის ჩეროში წმოწოდა და ესლიონის ბოლება; იან დარბაის სლურს ბაასს უექცეოდნენ უესახებ ბოლიტივისა და უძალესის ფინასებისა. სამაგიეროდ გოსტომ გასამეცა თავისია სიმარვეე და, როგა მიდი-მოდიოდა მცენარებით დატკირთული, შეუკუთხესებდა სოლმე დარბაისელ კრების: «თქვე არმზადებო, კამოყდეგარნო, ძღვივებო თქვენაო», და სივა ამისთან სიტყვებს უძღვიდა.

ჩენეს სანასაკად მაინცა და მაინც ბეკნი არ მოსულან. ეტეონს, რომ თავისუფალი სკასები არ არიან ისეთი ცნობის მოუკარენი, როგორც მათი მომენი, მკვიდრი ცსენის წელის სეკბისანი...

*) ალპინისტებს უწიდებები იმ მოგზაურ, რომელთაც მიზნადა აქცის ასელა უმაღლესის მოების უმაღლეს მწვერვალებზედ.

ლაპარაკი ამათაც ბეკით უკვართ; შესედედებით ბეკად არ განირჩებიან სადადიანთ სეანებისაგან; სიღამაზით კი ჩამოუკაზდებიან; წევრები და ტანისამოსი ისე წმინდა და გერა აქვსთ შენასული; მათის სასის მოსაზელობა უფრო მრისსანე და მოუსესვაია; მათი მძლორი ჭარი, დაუსრულებელი სამთარი, ცხოვრების სიმნელე და მძიმე, ძინელად მოსასელებელი საზოდო მინცა და მაინც არ უწეობს სედის მითს ტანადობას და სიმშენერეს—უდროოდ აბერებს. განსაკუთრებით ქალებს.

მეორე სოფელი მოსჩინს განცელარის სეკითა უნიდან; ეს სოფელი მდებარეობს თარ ღელეს შეა, რომლის წყალია ინგურს ერთგის ცოტა ქვეთ. ამ ღელებზე საცალფესია სიღება გადაუზღვდი. იგივე დაღვრებილი და მრისსანე სურათი, იგივე ბეჭედი გამარტებულის ცხოვრებისა! აკლაა მსოლოდ კლდე-ქსაბის დათვი (պეშერნიაშ მედინშა) და სიუღირთი მსეწი ანტიდელუვიდან დორისა და ადამის წინაპარი—რომ სრული სურათი გამოვიდეს ისტორიის უწინარესის სანაცია. მიგრატო სახა-და-სსეა ფერადეულობა! რომ დრო იყოს, რა კარგს აკვარელის სურათის დაჭატალა გაცი ამ სათოფურიან კოუგბისას, ამ ჩაბენელებულ ნაძვნარის ტიპისას!

იმ დორს, როცა მცენარეულობას კერტბდით, ერთი რამ განდა აღმოგასინეთ—მთელი უანები ცერცვისა და მუსუდოსი. ხუმრობა საქმე იყო კანა ჩეკნის სარშასეთვის ამ ნაირი საცახელი? გავმართეთ მათ შესასებ მოლაპარაკება მცხოვრებლებთან. მაგრამ ბეკი დაპარაკეთ და კაჭურობა არც კა დაგისტორება. უფასოდ მოგვართებს ერთონა და მეორეც, რამდენიც გვიზდოდა.

წინად კოტეკი, რომ დატყარადნ დაგისასეთ ერთი დიდებული მუინჯარი, რომელიც მთის კალთას ჩამოჰქმება ძლიერ ძირს მეთქმ. ჩეკნის აზრით, ერთს დღეს შესაძლებელი იყო მისი მოვალე. კალელებმა დასტურები დასცეს ამ ჩეკნის მოაზრებას, და მეორე დღესკე გასემიზავრეთ.

ძლიერ კასაჭირი აღმართი აკარეთ და 8 საათზედ იფრალში მაგედით. ეს სოფელი მთის კალთაზეა გაშენებული შეგ შუაგვალ ტევში. გადაში თუ დღემარება და მეუღლერობა სუფეს, აქ სულ წინააღმდეგს გსედავთ; ყველაფერი გარეთ არის გამოჩენილი: ქალი,

კაცი, ბავშვი, ქაოამი, ღორი. ორგორც მიგედით, მაშინათეუ გარს უშემოგვეხვია მთელი სოფელი. კრთი ბავშვი სუთის თუ ეჭვისის წლისა, ორმეტიც დედას აესანა და ჩელში ეჭირა, მშენიერება იყო, მაგრამ სოფელიად ტიტეველი, ესე იგი დედიშობილია. ორცა დააპიროვთ ამ ქურუბიძის მიადევსება—დედა ტიტევიალით გაირინდა სახლისაკენ. სოფელში სედ შეიდა შენობას; ეს შენობასი ამოვა— სილა არიან პრტეელის დადგების ერთმანეთზე დადგებით უკირწელოდ და უკართხად და წაგვასის ჰატარ-ჰატარ სიმაგრეებს; ერთს მათგანზე მიშენებულია ჩელებირიგი მაღალი კოშკი, ორმეტიც თაგვდება ქესადგურით. უკედა . ეს შენობასი გადასურულია ფიჭალის ქვით. კოშკი ქესადგური ტოტათი გადმოცილებულია შენობას და მის სასირულები ღთხისით საბ-სამი სარკმელია დატესული; ქესი სათოვეურებ უნდა იყენებ. სოფელს გარეთ განსატროებულ ადგილზე კედესია სდგას, თითქმის იმავე სიდიდის, ორგორიცაა. კარგა მოზიდილი სადარბაზო თათარი. ამ შენობას ადგილზე შეატყობის კაცი, ორო კედესია არის, გარეთ კედელზე, სოფელის პირ და პირ, გამოსახულია წმინდებების სასები. იური სიგელესაგან გამოსუნებიათ, ზოგიერთ წმინდასი მარავანდედიც დაუკარგაში; ერთს მათგანის, რამელსაც დიდი თათოველი თვალები აქვს, ერთობი განიდევლი, სუშას მაგავიად,—ერთი თვალი აკლია. თუმცა ეს ნახატები იმ დროის უნდა იყოს, ორცა ბავშობის სასაში იდგა მსატერბაბის სელოენება, მაგრამ მაინც ატეკია სელოენების ნიშან-წელი. ამ სატებს გარეშემო შემოვლებული აქვს იურად-იურადა სამკაული. მე ამოვილე ჩემი უბის წიგნი და გადმოვსატე ქალალდზე ლირ, უფრო გამისხვავებულის მსატერბის თვალი, და თას გულში კამბობდია: არც ისე გელუწინი უფრიდლან ეს სეანები! ისე რაფაელი *), ორმედმაც ეს თავები დაჭატა, არავრით ჩამოვკარდება ჩემის ბაზან-ტიფლ მთხუმბელების, ორმეტო ნაწარმოები, ათას კურ გადაღებული და უშენოდ შეთხუმბელი, გამოიტესილია სოლმე ფლორენსიის მაღაზიებში და იყიდება, კითარცა ძეგლის სელოენების ნივთები. კინ იყო ეს ოავაელი? ან სელლოუების უთურდ არც კი იციან მისი სახელი.

*) შესანიშვნავი იტალიელი მხატვარი იყო, ოობლის ბადალი. ჯერაც არ დაბალებულა—აქ კი დაცინებით არის ნათქვამი.

ა, ბატონებთ, მშენიერი საკანი ჩსრექა-ძიებისათვის! იგულისხმით, ბატონია მწსრებელ-მეგლებანო-მეთქი!

ჩვენის გზის მაჩვენებელი კედარ კიბოკეთ ერთის საათის შემდეგ და რჩებ კი დაიწეო ცხუნება; მოთმინება გვეკარგებოდა. ბოლოს გამოჩედა, როგორც იყო, და გაეწიეთ. ქსლა შივდიოდით მთის კედის უმაღლეს ფარდებში, რომელიც თან-და-თანის აღმართით მიაღწებს მეინიკას; ტუქმ დაუთმო ადგილი ბუჩქნარებს და საბალასკებს; შემდეგ გამოჩედა მეორე სოფელი სალეფეში. ეს სოფელი იურალიგით ცოცხადია. შეაში ნაძღვიდი ჭეხა მადის, უაშებ კარებში ცნობის მოკარეო თავები გამოუყიდათ ჩემნდა სატერეტად. ჩვენის გზის მაჩვენებელი შეჩერდა იმ აზრით, რომ ან ეუიდა ჩემთვის და ას ეთხოენა მუჯუროები (მთაზე ასაკლები რკინა-ბოლოიანი კოსი). Alpenstocks (ალპიურმტოკი—მუჯურო) სალდებული—აი კიდევ მეორე საკიონებებს! სომი კიდევ უფრო მეტად გაჰქიმირდა, როცა გამოედაპარაგა წიქორთულის რუსელის ქანთ ერთი მდალის ტანის მოსუცებელი კაცი და აუქსინა, რომ ეს ესა ციმბირ. ში კისწავდეთ. იავისუფალი სკენი იყო, მაგრამ მუდამ თავისუფლად არ უოფილა, რადგან სკანებს არა აქვთ ჩემულებად თავის ნებით გადიანოს ურალის მთა, ას ისე, როგორც მოგზაურობა, ასა-და ისე, როგორც მუშა გაციმბირებისა, რადგან ეს გაციმბირება ცოტას სხობით უოფილიერ, ეტობა, დიდი დანაშაულობა არ მიუძროდა, სანაფლობია ექნებოდა, ასა-და შერის ძიების რამ საქმე. *)

11¹/₄ სააიზედ მიგადაწიეთ მუჩინის 2,290 მეტრის სიმაღლეზედ. ეს არც ისე დიდი სიმაღლეა, რომ არ დირდეს მაზედ ასელა, რაგი ასე დაუსლოდება კაცი ჭანიგატაუეს მთას და ისეთი დიდებულის თვალის იქნის იშვიათი. ჩვენ დაგეკითხეთ ჩემნის თავის, რა უფრო სარიგა იქნებოდა ჩემთვის — ჰირდაპირ მუინკაზე ასკლა, თუ ისეგი ისა სკობდა, მასდობელ მთებზე აგსულავათ, რომელიც ბალასით იყო შემოსილი. ზურგი ამ სკრისა, რომელიც კელის დასკლეთ

*) ჩვენის აზრით, ამის მიზეზი ხალდეშში მომხდარი აჯანყება უნდა ყოფილიყოს (1873 წ.), როდესაც მოჰკლეს სვანებმა მასრის უფროსი გრინევსკი და თავ. კონსტ. მიქელაძე.

შსათებულია, მიებჯინებოდა მთავარის მთის ძალის და თუმცა ძღიურ შაღალი არ არის, მაგრამ სამუდამო თოვლის სამუშავის მაინც ესამ-ზღვიერება. ჩვენ ეს უკანასიერნები გზა გააჩინეთ როის მოსაზოგადობა: ერთი, რომ მუინვარზე მცენარეული არ მოაძეგებოდა და იმაზე სია-რული ძღვიერ სასიყვარა: თუ გრძელი თოვე არა გაქვს, კისერს დაგილად მოიტეს, მუკურინ რომ გვჭიროთ სეღში; მეორე გადავ იმიტომ, რომ იმ სერიდან უფრო კარგს სანახადს სურათს მოკუ-ლოდით თეთნულდას მთაზე და მის გაუღლებად დასავლეთისაკენ. რადგან ჩვენ გადავაც შეგადგინეთ მოგზაურობის გაგმა, აწი დავიწ-ევთ საჩრდილობელ აღაგის ძებნა, სადაც უნდა გამსაუსმნა სეღდა-სეღ. ამისთანა ადგილი გვთვეთ ერთის ტირივის ქვეშ ერთს ვი-თომ-და პატა კუსტულზე, ოომელსაც გარშემო უკლიდა შეასვარის ქეშიძნ გამონავალი წეალი. იქ მისვლაშე უნდა გადაგეპარა ერთი ამწერებული ბეჭი, რომლის ძირში დაფენილი იყო მშენებირ მუ-ლი სისხლის ძარღებით დაფარჩხესული. მართლაც, ამ მოლუს მაწან-წეალებდა უოველის მსრით მრავალი რეჟიმი მშენებირის წითელის ფერისა, რაიცა იყო იმის მოისაწავებული, რომ ამ რეჟიმი რეინა-სარევი წეალი იყო. წეალი ანგარა და ცივია; ქათის იუნებს ისე, როგორც ზელოცელის წეალი თავ-ასდილ წერწელში; გვმო სწორედ მეღნისია აქეს. ეს გემო დადად საშაში არ არის; ცხენები სარჩად დაწინიერება ამ წეალს, თითქო იციან, რომ მაღნეულის წეალის სმა მარგებელია.

ეს წეალი კერ კადებ უცნობია; აუცერია მოგზაური მას არ ისსენიეს. აი კადებ ერთი თავმინებულებული სამდიდრე დადის გავ-კასიის ერთს უმშენერების; აღაგზე. უკუმა უნდა მოკართლოთ იგი და დაკარგეთ რაიმე სასელა; მით უმეტეს, რომ შემპანიის ლავინის თვით ეს წეალი გავაძლევს უსკად. აკიდეთ დიდის ამით სეღში ჭიქები, კუწოდეთ მას სასელად მაღნეული წეალი ედმონდ ბერსერიისა და დავლიერ, როგორც მისი მომავალის ბედის სა-დლეგრძელო, ავრედებ სადლეგრძელო უკუმა იმ სნეულთა, რომელ-იც უოველ მსრიდან მოაწედებას ამ წეალს, უთუმდ, ადრე იქნება თუ გვარი, რომ მოიპოვონ დაკარგული კანძროელობა და შემა-ტონ სისხლისათვის წითელი საფერავი (globules rouges).

აწი კი დართა შეუფლებელ აღმართსა! მამასასლისა და გიგო აუმოგებენ—სსკები დარსენ ცექნების მცენებად. ერთს საათს შემდეგაც კერ მოგემეცით სერის თავზედ, თუმცა ასლას კი კიუა-კით. ოფელი წერწურით ჩამომდიოდა შებლადან; ტანისამოსა ტანზე მეტოდა; უოკელ წერში კისკენბადი სულის მოსაბრუნებ-ლად; მაგრამ გული მაინც ძლიერ მიცემდა. მუსლებში კი მაღა ასკე მქონდა; ამის მიზური მადლენის წყალის რკინა იყო. ოფის წამის შემდეგ აგვიდათ, როგორც იყო, სერზე და უნებლივდ უსაკა-რეთ გაოცებულებმა.

ჩექნ წინ, ჩექნ ფესო ჰქებ, მეორე ზღვა იდგა მენენარისა იმ სი-დადე, როგორც მონბლანზეა. ის სერათი, რომელიც ჩექნ წინ არის ეს-ლა გადაშლილი, კაშმით არ ააწერება, თათქმა ამართულ დანის უქაზე-და კართ გადამსხდარი. სუთასი მეტრის სიმაღლეზე ამართულა ჭიერში ბუქნებრივი ზღვედე ამ თა მეონკარს შეა, რომელიც სიგრ-ძით-სიგრძეზე გამსკდარა და ერთსაც და მეორესაც გადმოუშვერია თავისი, ძევლის ფოლადის ფერი გვერდება; ამ დიდებულის სურა-თის დასასკაზე მაკუჭხდით და შევასისსლ-სორცეთ რამდენადაც შეგვაძლო გველა ის ფიჭვი, რაც ამ სურათში გააგრძენობინა. სი-დიადე სურათისა მით უმეტესი იყო, რომ ჩექნ ფერთხსათ, ძალის, ღუმბლები ელგასაგან განათლებოდა სოლმე და ბჯგენა გვესმოდა კურლებულიდან. ჩექნზე დაშორებით, ძლიერ ქავათ, კეკრაკო, რომ გაიღლეა ღრუბელი, წამოვიდა ირიბად, როგორც შეკეტილი ზეწარი, წვიმა და დაუშინა შეაგულ ჭალას, სადაც რამდენისძმე კერსის მან-ძილზე ჩასდებს მენენარს გუდი; ეს ზეწარი თან-და-თან უსლოვ-დებოდა მენენარის ზღვას და საცავა ჩექნამდინაც მოგვიდა; მოგვესმა გადევ მედგარი შაშინი და ჩამოცვივდა პირველი წევები. ჩექნ-მა სგანებმა მოკურცსლებს ქეთიერებს და, თუმცა მე წვიმისა არ მეშინიან, მაინც, რადგან საფრთხისილო იყო, რომ ჩექნს რკინებლს მესი არ მიეზადნა, კაჯადრე მეც თავშემ დაქანება, რაც მაღა და დონე მქონდა. დაბრუნება არაფრით იყო შესანიშნავი, თუ არ მით, რომ სკანებმა მსატვრობის გარდა მათებატივაშიაც გამოიხანეს ნიჩი. სალდებში რომ გამოვიარეთ, სტეფენსა მამასასლის ჭიათსა ისე-ბის თანამდებობით: სეტავ თუ იწევებან ის ძროსები, რომელიც

ა აკერ სძოვენთ, და თუ იწევლებიან, შეიძლება თუ არა იშვიათ ქაცმა ცოტათდენი რე პირის გასასევლებლად რამდენისამე შაურისათ. ამ სიტყვაზე ერთი ქოსა სკანი შეკარდა ცალმაგში (მანჩხ) და გამოიტანა ერთი ბოთლი რე და უკეთდა რამოდენიმე ყლაპი და გლივეთავა, მმარ, ორი შაური-ტეტჭი», უკათსარი. სკანმა გაიქნია თავი. «მაში, სამი შაური». კიდევ გაიქნა თავი. «აშა ერთი აბაზი და გაგათაკოთა სკანმა დაიწერა სმა-მაღლა ლაპარაკი და სკლის ქნება.

«ოს, ღმერთო ჩემთ! აქ თქოზე უფრო ძვირი ყოფილა რე? მაში რამდენი ღირს? სთქვასა. არც ამით გარეოდა რამე. იციებამ წაუმარა ერთი შაურიც. თქებულ არ მომიგვდეთ! გასჭირდა სატე. მანათი? 100 მანეთი? 1000 მანეთი? სკანმა დაიწერა სიცილი, აიღო 30 კაპ. და მოურჩით, როგორც იურ, ამ ასირებულს გაცის ისე, რომ თოვის სროლა არ ატესილა; გადაგრჩით სიფათს, რომელიც შეემთხვევა ამას წინად ერთს ჩვენს გამოხენილ მოგზაურს 2 მანეთისათვის.

კარგა ადრე დაგბრუნვდით კალაში და მიკესალამეთ ჩვენს სადგომს დიდის სიამოგნებით (ნედლი მუსუდო კიდევ გასპარულებოდა). მთელი საბაზო წერილების წერას მოვალეობეთ, რედგან გაცოდათ, რომ იასაული გამოიყდილა ბეროდან და წაიღებდა ჩვენს წერილებს ცაგერს.

ბერი, 12 აგვისტო 1890 წ.

სანამ აგიშერდეთ ჩვენს მოგზაურობას კალადას ბერომდის, საჭიროა რაოდე სიტყვა გთხა აქაურობის გასათვალისწინებლად. ჰერ ერთი ეს, რომ ბერი არ არის არც დაბა, არც სოფელი, მთ უმტრეს მთავარი რამ ას მნიშვნელოვანი აღავა, როგორც მანდ გვეურნა. აქ არის აგებული რამდენიმე შენობა, ერთი-მეორეზე საკმარი დაშორებული. ეს არის სასოფლო პოლიციის სამყოფი, რესის ადმინისტრაციისაგან დაწესებული თავის-უფალ სკანეთის დასაკლეთ გუთხეში. წარმოიდგინეთ გასცელარია, სსკებზე ცოტათი უფრო სრული და რამდენიმე აიგიანი სენაკი გაბნეული აქა-იქ მინდვრის ბოლოში, რომელსაც მედიდურად დასხერებია უშა. ეს მთა აძლევს სათავეს ერთს მდინარეს, რომელიც რამდენისამე საუკნის მანძილზე

ხამოურიბის ბერის შენობებს. ამ აქ., 1,300 მეტრის სიმაღლეზე, (დიდი არაფერი სიმაღლეა) კართ დაბარებული ამ წერთა.

ამ განიმარტების შემდეგ შეგუდგები ჩეკნის მოგზაურობის აღწერილობას.

ის შეკნიერი ტერობი, რომელიც ჩვენ სელს გვიწყობდა მოედი მოგზაურობის დროს, შეიცვალა, როგორც კი მიკედით ბერიში. რადგან აქ უნდა დავოჩეთ სისა-და-სხვა მიზეზების გამო, ამასთვის ეს ცუდი ამინდი სელს გელარ შეგვიშლის. ეს ადგილი ისე გაეცანებული არ არის, როგორც სისტემა; შეეძლია კაცს სურსათი არა ისორის მარწევი: პური, სორცი და ასე გასინჯე, დვანოც კი. კცდილობით ბურტელი შევისათ აქ ერთხმის დროს, რომ შემდეგ ში გაიცემინას აღარ შეგვესინდეს.

თან-და-თან ვითვალისწინებთ თავისუფალ სეანეთის მდებარეობას, რავი ტერიტორია დავთვალიერეთ და ნესკარ სიგრძეზე გადავიარეთ. კადა არის ერთი უბრალო მიკარდნილი კარის აღაგი სეანეთისა და ტექში მიგარებული. ინგური, რომელიც ამ ქავენის მიავარ მდინარედ არის ცილინდრი, წელობის უწევს მსოლოდ მის ერთ საწილს, ძლიერ მცირედ დასახლებულს; მაგრამ ინგურის ერთვის მრავალი სისა მდინარე, რომელიც მთავარ მთავარ მთებიდას მოძღვისარებს, თუ კინდათ წარმოიდგინოთ, ინგურის მიმართულება, წარმოიდგინეთ სკანერის სამსრუთისა და დასაგლეთის მსარეში დროს ჩავარდნილი კალაპოტი ასო M-ს სახისა, რომელსაც ძლიერ გან-განზედ გაუბავდეს ფეხები და იდაუგები შეურგებულება, თათქმა დოინჭი შემოუწოდა.

